აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
სოხუმის აკად. ი. ვეკუას სახელობის უნივერსიტეტი

შ. კვირტია, თ. ზალდასტანიშვილი

პოლიტოლოგიის საკითხები

„სოხუმი“
2001

UDK 9479223 (082) ს223

წინამდებარე ნაშრომი ეხება პოლიტოლოგიის მეცნიერების შედარებით მნიშვნელოვან საკითხებს და გარკვეულწილად ასახავს დღეს საქართველოს უმაღლეს სკოლებში პოლიტოლოგიის სწავლების პროგრამას. ნაშრომმა შეიძლება შეასრულოს დამხმარე სახელმძღვანელოს როლი სტუდენტებისათვის, ასევე საინტერესო იქნება შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: პროფ. შ. კვარაცხელია

რეცენზენტი: პროფ. შ. მისაბიშვილი.

პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება

შესავალი. საზოგადოება და მისი შემადგენელი სისტემები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. პოლიტოლოგიაში გამოყენებული ცნებებისა და კატეგორიების შესახებ. პოლიტოლოგიის საკითხები და პრობლემები. პოლიტოლოგიის ამოცანები და მისი კავშირი სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. პოლიტოლოგიის თეორიული მეთოდები. პოლიტოლოგიური ანალიზის ემპირიული მეთოდები. დიალექტიკა და სინერგეტიკა. პოლიტოლოგიის შემეცნებითი ღირებულება.

ყოველი მეცნიერული დისციპლინის რაობის დადგენა ფაქტობრივად არის პასუხი სამ კითხვაზე:

1. რას შეისწავლის ეს მეცნიერება? სხვა სიტყვებით: რა არის ამ მეცნიერების საგანი?

2. რა საშუალებებით ანხორციელებს ეს მეცნიერება მეცნიერული კვლევის პროცესს? ანუ როგორია ამ მეცნიერების მიერ გამოყენებული მეთოდები, ხერხები და ა.შ.?

3. რას გვაძლევს ამ მეცნიერების ცოდნა? ანუ როგორია ამ მეცნიერების შემეცნებითი ღირებულება?

თუ რას შეისწავლის პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება ანუ პოლიტოლოგიის საგანზე საუბარი იწყება პირველ შეხვედრაზე და გრძელდება უკანასკნელ, შემაჯამებელ ლექციამდე.

ძალიან მარტივად თუ ვიტყვით – პოლიტოლოგია არის მეცნიერება პოლიტიკის შესახებ. პოლიტიკა – საზოგადოებრივი ცნობიერების კომპონენტია (სხვა კომპონენტთა გვერდით). საზოგადოებრივი ცნობიერება – საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვაა. საზოგადოებრივი ყოფიერება

– სულიერ და მატერიალურ სფეროებში რეალიზებული იდეებია. პირველი შეხებიდანვე ჩანს, რომ საქმე გვაქვს ძალზე რთულ დისციპლინასთან.

პოლიტოლოგია – ეს არის პოლიტიკის შესახებ მეცნიერებათა ერთობლიობა. ეს არის პოლიტიკური სფეროს (ბიოსფეროსთან ანალოგიით კი პოლიტოსფეროს) რეალური და პოტენციალური გამოვლენების ფორმითა და შინაარსით უზარმაზარი მასა, რომელშიც იგულისხმება სუბიექტები, სიტუაცია, ინსტიტუტები, პროცესები, მათი სტრუქტურული შემადგენლობა, დანიშნულება, როლი, წარმომავლობა, გავრცელება, პროგრესი, ქმედება, ურთიერთობა და ა.შ.

პოლიტოლოგია შეისწავლის პოლიტოსფეროს, იკვლევს და ადგენს პოლიტსფეროსათვის დამახასიათებელ ზოგად დამოკიდებულებებს ე.ი. კანონზომიერებებს, მათი გამოვლენის ყველა მოდუსებსა და ატრიბუტებში.

თავისი ფესვებით პოლიტოლოგია საუკუნეების სიღრმეში მიდის. მისი ისტორიის პირველ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს პლატონისა და არისტოტელეს სისტემატიზირებული შეხედულებები პოლიტიკის საკითხებზე. შემდეგ მნიშვნელოვან ეტაპად უნდა ჩაითვალოს ნ.მაკიაველისა და შ.მონტესკიეს მოღვაწეობა და რა თქმა უნდა XVII-XVIII საუკუკნეების მიჯნაზე მოღვაწე ფრანგი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების განსაცვიფრებელი პლეადა.

პოლიტოლოგიის, როგორც საზოგადოებათმცოდნეობის დამოუკიდებელ სფეროდ ჩამოყალიბების ეტაპად უნდა ჩაითვალოს XIX-XX საუკუნის შესაყარი – როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდნენ ე.დიურკჰეიმი, ა. და მ. ვებერები და მრავალი სხვანი. განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი პოლიტოლოგიამ გააკეთა XX-ს. მეორე ნახევარში, რაც გამოიხატება პოლიტიკური მეცნიერებების დისციპლინარული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

პოლიტოსფეროს შემეცნება, მისი დღევანდელი დღე და უახლოესი პერსპექტივები ნათლად მიუთითებენ პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების ფუნქციონალურ ასპექტებზე. ჯერ ერთი, პოლიტოლოგიის განვითარება ეფექტურობას ანიჭებს პოლიტიკურ მოღვაწეობას – აქ ვლინდება პოლიტოლოგიის ეურისტიკულ-რომანტიული ფუნქცია, მეორე, პოლიტოლოგიის განვითარება დაკავშირებულია არსებული რეალობის კრიტიკასა და მისი ტრანსფორმაციის საშუალებების დახვეწასთან – ეს შეიძლება ჩაითვალოს პოლიტოლოგიის კათარზისულ ფუნქციად.

პოლიტოსფეროს არსებითი ფენომენების შესწავლით, მათი შედარებით ცივილიზაციის ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ მიზნებთან, პოლიტოლოგია ავლენს საკუთარ აქსიოლოგიურ ფუნქციას.

ინტელექტუალური მოღვაწეობის არც ერთი სფერო არ არის დატვირთული ისეთი დიდი რაოდენობის მეცნიერული თუ ფსევდომეცნიერული ელემენტებით, ცნებებით, იდეებით, როგორც პოლიტოლოგია. ცოდნის ამ სფეროში თავს ყველანი სპეციალისტებად გრძნობენ და ეს მაშინ, როდესაც პოლიტოსფერო ძალზე რთული, დელიკატური და სათუთი ობიექტია, აქ პროფესიონალიზმი დიდ და პერმანენტულ შრომას მოითხოვს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მივუთითოთ თვით პოლიტოლოგიაში შემავალი ზოგიერთი დისციპლინები. მათი არასრული ჩამოთვლა და ზოგადი დახასიათება ქვემოთაა მოცემული:.

1. პოლიტიკის ფილოსოფია – დისციპლინა, რომელსაც აინტერესებს პოლიტოსფეროს დინამიზმის ზოგადი კანონზომიერებანი, სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების შინაგანი ლოგიკა.

2. პოლიტიკური გეოგრაფია – პოლიტიკური ლანდშაფტების კლასიფიკაცია, ურთიერთგამიჯვნა და ურთიერთკავშირი. აწარმოებს შედარებით ერთგვაროვანი პოლიტიკური ლანდშაფტების გამოყოფას. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ტერიტორიალურ განპირობებულობას.

3. გეოპოლიტიკა – ახდენს გეოგრაფიული რელიეფისა და სოციალური ღირებულებების სინთეზს, ცდილობს გამოავლინოს რეალური პოლიტიკური აქტიურობის კავშირი და საფუძველი სიერცულ პარამეტრებთან და ა.შ.

4. ქრონოპოლიტიკა – იკვლევს პოლიტოსფეროსათვის დამახასიათებელი დინამიური ცვალებადობის თანმიმდევრობის კანონზომიერებებს, ფორმებს, პერიოდებს, ციკლებს, ჯაჭვებს, პოლიტიკური მოღვაწეობის აქტიურობისა და პასიურობის მონაცვლეობადობის ციკლებს, კრატოკრატიულ მოძრაობებს, მისწრაფებებს და სხვ.

5. გლობალიზმი და ფუტუროლოგია – შეისწავლის თანამედროვე სამყაროს პრინციპული მნიშვნელობის მეგატენდენციებს, რისკის ეპოქაში სახავს არსებობის ოპტიმუმებს, ცხოვრების დინამიზმს, მოხმარების ხასიათს, ტექნოლოგიის საზღვრებს, სტაბილური განვითარების ტენდენციებს და ა.შ.

6. პოლიტიკური სოციოლოგია – იკვლევს პოლიტიკისა და სოციალური გარემოს ურთიერთმიმართების ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა

პოლიტიკური პროდუქტების სოციალიზაცია, ინსტიტუციონალიზაცია, ოპერაციონალიზაცია სოციალური მონაწილეობის, ჩართულობის თვალსაზრისით, ლიდერობის, ელიტიზმის, რისკის, მცირე ჯგუფების, კონსენსუსის, კონფლიქტების, გადაწყვეტილებათა მილებისა და სხვა ფენომენებს.

7. ეთნოპოლიტოლოგია – იკვლევს ეთნიკური ერთიანობებისა და პოლიტიკური რეალობის ურთიერთობებს, აანალიზებს და იყენებს ეთნიკური ფაქტორების (კულტურა, კონფესია, ტრადიციები) ზემოქმედების პოლიტიკურ პრაქტიკაზე.

8. შედარებითი პოლიტოლოგია – ადგენს პოლიტიკური სტრუქტურების მსგავსებისა და განსხვავების მიზეზებს, ადარებს მათ ფუნქციების, მორფოლოგიის მიხედვით, პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის, ლოკალურისა და გლობალურის, რეგიონალურისა და ციკილიზაციურის დიპაზონში.

9. გამოყენებითი პოლიტოლოგია – იკვლევს პოლიტიკური გადაწყვეტილებების ცხოვრებაში დანერგვის, მათი განსაზოგადოებრიობის ტექნიკას: ექსპერტიზა, გათვლა, ნეიტრალიზაცია, პრაქტიკული ნაბიჯების დეფორმაცია და ა.შ.

რა თქმა უნდა, ყველა ჩამოთვლილი დისციპლინა მთლიანობაში შეადგენს პოლიტოლოგიას. ჭეშმარიტებას დავამახინჯებთ თუ ვიტყვით, რომ ყველა ჩამოთვლილი დისციპლინა განვითარების თვალსაზრისით დგას ერთ დონეზე. ზოგიერთი მათგანი სულაც საწყის ეტაპზეა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მეცნიერება ვერ არის განვითარებული ჯერ და ამდენად ვერ ხერხდება პოლიტიკური პრაქტიკის შესაბამისი კონცეპტუალური აღჭურვა და განახლება.

საზოგადოება და მისი შემადგენელი სისტემები. საზოგადოებრივი ცხოვრება სინამდვილის ურთულესი სფეროა. ის შედგება ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული დიდი და მცირე სფეროებისაგან. მათგან ურთულესია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი სფეროები. ყოველი ამ სფეროთაგანი წარმოადგენს თავისთავად სისტემას, სპეციფიკური ტრადიციებით და ა.შ. ყოველი ამ სისტემათაგანი შეისწავლება შესაბამისი საზოგადოებრივი მეცნიერებით.

პოლიტიკური სისტემა ერთ-ერთი ურთულესი და უდიდესია სოციალურ სინამდვილეში. ამ სისტემის ჩარჩოებში მიმდინარეობენ საზოგადოების ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესები.

სწორედ ამიტომ პოლიტიკურმა სისტემამ მიიზიდა სხვადასხვა მეცნიერებების წარმომადგენლები (ეკონომიკა, სამართალი, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ.). მაგრამ სპეციალურად და კომპლექსურად ეს სფერო შეისწავლება მხოლოდ ერთი მეცნიერებით – პოლიტოლოგიით. პოლიტიკური ცხოვრება მთელი მისი მდიდარი მრავალფეროვნებით ჩვენს პლანეტაზე ქმნის გარკვეულ პოლიტოსფეროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიოლოგიის მეცნიერებასთან ანალოგიით, რომელიც ქმნის მთლიანობაში წარმოადგენს პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების საგანს.

პოლიტოლოგია (ბერძ. politika – სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, და logos – მოძღვრება) – მეცნიერება სახელმწიფოს მართვის შესახებ, ანუ ზოგადად – მეცნიერება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შესახებ. პარადოქსულია, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი უძველესი და იმავდროულად ერთ-ერთი ახალი მეცნიერება. უძველეს მეცნიერებად ის უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ მისი შემადგენელი ყოველი თემა (პოლიტიკური ძალაუფლება, პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკა, პოლიტიკური პროცესი და სხვ.) უხსოვარი დროიდან აინტერესებთ მოაზროვნეებს – პლატონს, არისტოტელეს და სხვებს. საკმაოდ დიდი ხნის წინათ მეცნიერულად იყო განზოგადებული პოლიტოლოგიის მეცნიერების ბევრი მნიშვნელოვანი დებულებები, კერძოდ, პოლიტიკური ლიდერობის, ძალაუფლების დანაწილების, პოლიტიკურ რეჟიმთა მონაცვლეობადობის და ა.შ. ამავე დროს, პოლიტოლოგია ერთ-ერთი ახალგაზრდა საზოგადოებრივი მეცნიერებაცაა, რამეთუ როგორც მთლიანი, სისტემატიზირებული მოძღვრება, ის ჩამოყალიბდა წინა საუკუნის დასაწყისში, ხოლო ჩვენთან მისი კუთვნილი ადგილი დაიკავა მე-20-ე საუკუნის 90-იან წლებში. ცნობილია, რომ ყოველი მეცნიერება მაშინ ჩნდება, როდესაც საზოგადოებაში გაჩნდება მისი საჭიროების სიმპტომები. საკითხი ეხება მეცნიერების საჭიროებას. ჩვენს ქვეყანაში ეს მეცნიერება დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებამდე საჭირო არ იყო, რადგანაც წინა პლანზე წამოსწევდა ბევრ საჩოთირო საკითხებს და მაინცდამაინც კარგ სამსახურს არ გაუწევდა გაბატონებულ პოლიტიკურ რეჟიმს. იმ დროისათვის ძალზე უხერხული იქნებოდა კითხვები მრავალპარტიულობის, ძალაუფლების დანაწილების, სამოქალაქო საზოგადოების, ალტერნატიული არჩევნების და სხვათა შესახებ.

პოლიტოლოგიის საჭიროება მთელი სისრულით თავს იჩენს დემოკრატიულ საზოგადოებაში, აქ იძენს მნიშვნელოვან ფუნქციას – ხელს უწყობს ამ საზოგადოების შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას. დღეს

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტოლოგია სოციალურ მეცნიერებაში ლიდერის ადგილს იკავებს.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა. რა უნდა მოვიაზროთ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ქვეშ?

საზოგადოების პოლიტიკური სისტემაში არსებობს და ფუნქციონირებს რამოდენიმე ქვესისტემა, მხოლოდ მათი ერთიანობა ქმნის ამ სისტემას. მხედველობაში გვაქვს ინსტიტუციონალური, მარეგულირებელი, კომუნიკაციური და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ქვესისტემები.

ინსტიტუციონალური ქვესისტემა წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საყრდენს. მასში იგულისხმება პოლიტიკური ინსტიტუტები: მმართველობის პოლიტიკური ფორმები (რესპუბლიკა, მონარქია), პოლიტიკური რეჟიმები (დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტორიტარული), საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, საარჩევნო სისტემები და სხვ. სწორედ ინსტიტუციონალური ქვესისტემა ქმნის სამართლებრივ-ნორმატიულ ბაზას, განსაზღვრავს მთელი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საზღვრებსა და პირობებს. აქ ხორციელდება სისტემის სტაბილურობისათვის აუცილებელი პირობების დადგენა, სხვა საზოგადოებრივ სისტემებთან ურთიერთობა, იქმნება საერთაშორისო პოლიტიკა.

მარეგულირებელი ქვესისტემა. მოცემული ქვესისტემა ეყრდნობა რა ქვეყნის კონსტიტუციასა სხვა საკანონმდებლო აქტებში დადგენილ სამართლებრივ პოლიტიკურ ნორმებს არეგულირებს პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირებასა და საქმიანობას. ხაზი უნდა გაესვას, რომ საწყისი ბაზა, რომელსაც ეყრდნობა მოცემული ქვესისტემა არ შემოიისაზღვრება მხოლოდ ოფიციალურად დადგენილი სამართლებრივ-პოლიტიკური ნორმებით, აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ერთვნული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვეები, ტრადიციები, საზოგადოებაში აღიარებული პოლიტიკური შეხედულებები, პრინციპები და ა.შ.

კომუნიკაციური ქვესისტემა ესარის იმ ურთიერთმიმართებათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების პროცესში, ე.ი. საზოგადოების მართვის პროცესში. სუბიექტებად აქ გვევლინებიან პოლიტიკური ინსტიტუტები და ორგანიზაციები, ლიდერები, ელიტა, მოქალაქეები. აქვე იგულისხმება პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა, რომელსაც აშკარა ფორმით თუ ფარულად ადგილი აქვს ყველა სახელმწიფოში.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური ქვესისტემა. აქიგულისხმება პოლიტიკური კონცეფციები, თეორიები, შეხედულებები, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებას, მთელი პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ურთიერთობების სრულყოფას. ამ ქვესისტემაში ხდება პოლიტიკური მიზნების ფორმირება, მათი მიღწევის გზების დადგენა, პოლიტიკური კურსის სტრატეგიის გამოკვეთა, პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ოთხი ქვესისტემიანი სტრუქტურა თავს აკლენს ნებისმიერ საზოგადოებაში, თუმცა განსხვავებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული პირობები გარკვეულ გავლენას ახდენენ მასზე. ანუ, სხვა სიტყვებით, პოლიტოლოგია შეისწავლის პოლიტიკური სისტემის სტრუქტურას, მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების მთელი მრავალფეროვნებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე რთული სტრუქტურით ხასიათდება სხვა ძირითადი საზოგადოებრივი სისტემები – ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, ანუ ყოველი მათგანის სტრუქტურა შეიცავს ოთხ ქვესისტემას, რა თქმა უნდა სპეციფიკური თავისებურებებით.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა ყველა სისტემისაგან განსხვავდება ფუნქციებით და თავისი წამყვანი, ძირითადი როლით სხვა სისტემების მიმართ, რაც ვლინდება იმაში, რომ პოლიტიკურ სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებებია მთლიანად საზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება, როგორ პარადოქსულადაც არ მოგეჩვენოთ, უფრო მეტად ვიდრე სხვა სისტემების, განისაზღვრება არსებული სოციალური გარემოს მიერ. აქედან კეთდება დასკვნა, რომ პოლიტიკური ძალების შესაძლებლობები საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მართვის საქმეში საკმაოდ შეზღუდულია. ამის მაგალითად გამოდგება პოლიტიკური ძალების თითქმის ყოველი ის ნაბიჯი, რომელიც სასურველ შედეგს ვერ აღწევს. მეტიც, პოლიტიკური ძალების შესაძლებლობები მკაცრად არის დეტერმინირებული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ობიექტური კანონზომიერებებით.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის აღნიშნული თავისებურებები, მისი სტრუქტურა და ძირითადი დანიშნულება განსაზღვრავენ

მისი ფუნქციების შინაარსს. რა თქმა უნდა, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მთავარი ფუნქცია არის საზოგადოების მართვა, სახელმწიფოს პოლიტიკური მართვის ფუნქცია. ეს ეცინდება საზოგადოების სტრატეგიული მიზნებისა და პერსპექტივების განსაზღვრაში, პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციაში. ძირითადი მიზნების განხორციელების მიზნით ხელმძღვანელობას მოძრაობაში მოჰყავს პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტები, ამ ფუნქციას ხშირად მიზანდასახულობის ფუნქციასაც უწოდებენ. შემდეგი არის ინტეგრალური ფუნქცია, რომლის მიზანის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის კონსოლიდაცია, საზოგადოების დინამიური სტაბილურობის მიღწევა. პოლიტიკური სისტემის მარეგულირებელი ფუნქცია მიმართულია სახელმწიფოში პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ, პოლიტიკური ქცევის რეგლამენტირებისაკენ, რაც დაკავშირებულია საზოგადოების წევრთათვის ქცევის მისაღები ნორმებისა და ეტალონების შემუშავებასა და დამკვიდრებაში.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა დინამიური მოვლენაა და ვითარდება საკუთარი, ობიექტური კანონების საფუძველზე. ცნობილია, რომ არც ერთი კანონი ან კანონზომიერება არ ეცინდება წმინდა სახით, რომ ისინი იკვლევენ გზას ურთულეს ვითარებებში, ამიტომ მათს გამოვლენას უფრო ტენდენციის სახე აქვთ. ეს ახრი სავსებით სამართლიანია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების შესახებ, სადაც შეინიშნება და შეიძლება კიდეც გამოიყოს შემდეგი ტენდენციები.

1. ტენდენციები, რომლებიც იჩენენ თავს პოლიტიკური ძალაუფლების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. აღნიშნული ტენდენცია ძირითადად ეხება პირიროვნებისა და ძალაუფლების ურთიერთობას. ჯერ კიდევ ნ.მაკიაველი აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის შინაარსსა და მიზანს შეადგენს პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნება. ასევე ტენდენციის სახე აქვს ნებისმიერი ძალაუფლების სწრაფვას გაფართოვოს საკუთარი უფლებების სფერო, დაამყაროს ტოტალური კონტროლი მთელს საზოგადოებაზე. ამ ტენდენციის წინააღმდეგ დემოკრატიულმა საზოგადოებამ შეიმუშავა „შესლუდვებისა“ და „წინააღმდეგობების“ ხერხები, რომელთა შორისაა, მაგალითად, ძალაუფლების დანაწილება, სამოქალაქო საზოგა-

დოებების ფორმირება და სხვ. უცვლელი ტენდენცია არის აგრეთვე ის, რომ პოლიტიკურ ძალაუფლებას ყოველთვის ჰყავს პოლიტიკური ოპოზიცია (ღია ან არალეგალური).

2. ტენდენციათა მეორე ჯგუფი ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. აქ აისახება საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროების ურთიერთქმედება. ნათელია კანონზომიერება რომელიც ასახავს პირდაპირ დამოკიდებულებას ქვეყნის ეკონომიკური სისტემასა და დემოკრატიის განვითარების დონეს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს მეორე კანონზომიერება – პოლიტიკური საშუალებების ზემოქმედება საზოგადოების ეკონომიკური სფეროს განვითარებაზე. თანამედროვე საზოგადოებამ გამოიმუშავა მეთოდები, რომელთა საშუალებით ეკონომიკის შესაძლებლობებით სდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების რეგულირება.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარებაში მოქმედი კანონზომიერებების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი თანდათანობით ქრება, ძალას კარგავს, უკანა პლანზე გადადის, მაშინ როდესაც სხვა კანონზომიერებები ძალას იკრებენ და მნიშვნელოვნად ზრდიან თავიანთ აქტივებს საზოგადოებაში. შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. სოციალური რევოლუციები, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებები თანდათანობით ტოვებენ ისტორიის სცენას, მაშინ როდესაც ძალას იკრებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესები. სოციალურმა რევოლუციებმა საზოგადოებები გამოატარეს დიდ ტანჯვა-წამებაში და საბოლოოდ ვერ შეძლეს იმ დაპირებათა შესრულება, რასაც დასაწყისში ჰპირდებოდნენ, ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა.

პოლიტოლოგიაში გამოყენებული ცნებებისა და კატეგორიების შესახებ. პოლიტოლოგია, როგორც ყოველი მეცნიერება კვლევა-ძიების პროცესს ანხორციელებს გარკვეული ცნებითი აპარატის გამოყენებით. ძირითადი ცნებები, კატეგორიები, ისევე, როგორც სხვა მეცნიერებებში, პოლიტოლოგიაშიც წარმოადგენენ უზოგადეს ცნებებს და ასრულებენ თავიანთ ტრადიციულ ფუნქციას. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ კატეგორია წარმოადგენს შემეცნების პროცესის ერთ-ერთი ეტაპის დასრულებას, ამ ეტაპზე შექმნილი ინფორმაციის აკუმულირების მექანიზმს, მის მკაცრად დაფიქსირების საშუალებას და ასევე ამ ინფორმაციის ტრანსლაციის ფორმას, ე.ი. მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციული მემკვიდრეობის უზრუნველყოფას.

პოლიტოლოგიის კატეგორიული ქსელი მოიცავს კატეგორიათა ორ ჯგუფს: პირველი, ეს არის ზოგადი კატეგორიები, რომლებიც გამოიყენებიან სხვა მეცნიერებებშიც, მაგალითად – „სისტემა", „სტრუქტურა", „პროცესი" და მეორე, იყენებს მრავალრიცხოვან საკუთარ კატეგორიულ აპარატს – „პოლიტიკა", „პოლიტიკური ძალაუფლება", „პოლიტიკური სისტემა", „პოლიტიკური პარტია" და ა.შ.

ზოგად კატეგორიათა ჯგუფიდან აქ განვიხილოთ ზემოთნახსენები სამი ძირითადი კატეგორია. „სისტემის" კატეგორია ფართოდ გამოიყენება პოლიტოლოგიაში. გავიხსენოთ, პოლიტოლოგიის საგნად დავასახელეთ საზოგადოების პოლიტიკური სისტემა. პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური ძალაუფლება, საარჩევნო კომპანიები ასევე განიხილებიან როგორც სისტემები. ამ ცნების საშუალებით ხერხდება ურთულესი ობიექტებისა და პროცესების წარმოდგენა გარკვეული, გამარტივებული მოდელის სახით. ამა თუ იმ ფენომენის სისტემის სახით წარმოდგენა გამოავლენს მასში მთავარს, ძირითადს, იმას რაც ქმნის სისტემას. ნებისმიერი სოციალური სისტემა მთავარი ელემენტების გვერდით შეიცავს მრავალრიცხოვან ცელად სიდიდეებსაც. პოლიტიკური სისტემის მიმართ უნდა ითქვას, რომ მისი პრაქტიკულად ყველა შემადგენელი ელემენტი ცელადია, განსხვავებულია მხოლოდ ცვალებადობის ტემპები (დიდი ბრიტანეთის პარლამენტს XIII საუკუნიდან არსებითი ცვლილება არ განუცდია. რუსეთში, მხოლოდ ბოლო საუკუნის მანძილზე რამოდენიმე პოლიტიკური რეჟიმი არსებობდა).

ამავე დროს საზოგადოების პოლიტიკური სისტემაში არის ელემენტთა ჯგუფი, რომელიც საკმაო სტაბილურობით ხასიათდება. ახლა ფაქტიურად შევეხოთ ისეთ ცნებას, როგორიცაა „სტრუქტურა". იცვლებიან პოლიტიკური ლიდერები, თაობები, პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა უცვლელია. მასში იგულისხმება ოთხი ტვესისტემა: ინსტიტუციონალური, რეგულაციური, კომუნიკაციური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური. რა სახითაც არ უნდა შეიცვალოს საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, ეს ოთხი ქვესისტემა მასში აუცილებელია.

სისტემისა და სტრუქტურის ცნებების გვერდით და პარალელურად, იმავ დონეზე გამოიყენება „პროცესის" ცნება. ის აღნიშნავს მოვლენას დინამიკაში, მოძრაობაში, ცვალებადობაში. პოლიტოსფეროში ერთდროულად უამრავი პროცესები მიმდინარეობენ, ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის არსებობის და ფუნქციონირების ფორმას. პროცესია, მაგალითად, საზოვადოებრივი

აზრის ფორმირება რაიმე მოვლენის შესახებ, საარჩევნო კომპანია, კონფლიქტური სიტუაციები, პოლიტიკურ მიმართებათა დემოკრატიზაცია და ა.შ.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პროცესების მართვა შესაძლებელია ე.ი. პროცესები მართვადია. მაგრამ ამავე დროს არიან პროცესები, რომლებიც განკითარების რომელიღაც ეტაპზე უმართავნი ხდებიან. უმართავი გახდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი, განსაკუთრებით ბოლო ეტაპზე და მნიშვნელოვანწილად იმიტომ, რომ მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ ძალაუფლებრივი ორგანოები, ვერ შესძლეს წარემართათ პროცესი ოპტიმალური კურსით, რამაც არასახარბიელო სოციალური ძვრები გამოიწვია. ბოლო ეტაპზე დაშლის პროცესი იმდენადვე სწრაფი იყო, რამდენადაც სტიქიური.

საბედნიეროდ პოლიტიკური პროცესების ძირითადი ნაწილი მართვადია, რაც იძლევა საშუალებას შენარჩუნებულ იქნას დინამიური სტაბილურობა, ანუ მეტნაკლები ტემპით იზრდება მოსახლეობის კეთილდღეობა, ქვეყნის უშიშროება, კონსტიტუციური მართლწესრიგი.

ყოველი კონკრეტული სოციალური სინამდვილე ხასიათდება სპეციფიკური პოლიტიკური პროცესებით, თუმცა არც ზოგადი პროცესების ნაკლებობას აქვს ადგილი, არსებობენ გარკვეული ტიპის პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ყველა საზოგადოებაში იჩენენ თავს (მოქალაქეთა მონაწილეობა ან არმონაწილეობა ამა თუ იმ პოლიტიკური აქციებში – საარჩევნო კომპანიებში; პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, პოლიტიკური ორიენტაციის ფორმირებას, პოლიტიკური კულტურის ელემენტების გაცნობიერებასა და გათავისებას და ა.შ.).

მეცნიერებაში ჩახედული ადამიანი შენიშნავს, რომ განხილული, პოლიტოლოგისათვის მნიშვნელოვანი ცნებები სხვა მეცნიერებების საკუთრებაცაა. მსგავსი ცნებები პოლიტოლოგიაში ბევრი არ არის, მაგრამ არის. ის ფაქტი, რომ პოლიტოლოგიაში გვხვდება სხვა მეცნიერებების ცნებები შეიძლება აიხსნას რიგი გარემოებით. პოლიტოლოგია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა და მას ქმნიან არაპოლიტოლოგები, არამედ სხვა მეცნიერებების წარმომადგენლები – ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, იურისტები, ისტორიკოსები და სხვები. სწორედ ამ მეცნიერებების წარმომადგენლებმა შემოიტანეს პოლიტოლოგიაში თავიანთი მეცნიერებების კატეგორიული აპარატის ნაწილი. ამ, რა თქმა უნდა, პროგრესულ მოვლენას თან სდევს ზოგიერთი უზუსტობებიც. მაგალითად,

„სახელმწიფოს“ შეისწავლის ისტორიული, იურიდიული, ფილოსოფიური, სოციოლოგიური და მრავალი სხვა მეცნიერება და ყოველი მათგანი თავისი კუთხით იხილავს „სახელმწიფოს“. ასევე პოლიტოლოგიაში მუშაობენ არამეცნიერული სფეროდან შემოსული ცნებები (პუბლიცისტური, დიპლომატიური), ასევე ბუნებათმეცნიერებების ცნებები და ა.შ. მაგრამ პოლიტოლოგიის კატეგორიულ ქსელს ძირითადად შეადგენენ საკუთარი, პოლიტოლოგიური ცნებები, რომელთა ანალიზსა და შესწავლას დაეთმობა ძირითადი ყურადღება.

პოლიტოლოგიის საკითხები და პრობლემები. პოლიტოლოგია, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება თავისი საგნის – საზოგადოების პოლიტიკური სისტემის – შესწავლისას გამოყოფს ძირითად საკითხებსა და პრობლემებს.

პოლიტიკური ძალაუფლება – წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცენტრალურ თემას – მისი არსი, პრინციპები, ფორმები, საფუძვლები, რესურსები, პოლიტიკური ინსტიტუტები, ძალაუფლების დანაწილება, ლეგიტიმურობის პრობლემა და ა.შ. ცხადია, ძალაუფლება პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი საშუალებაა. ძალაუფლების ფენომენი პოლიტიკურ სისტემაში იგივეა, რაც ფინანსები ეკონომიკის სფეროში – ასეთ შედარებას აკეთებდა ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი გ.პარსონსი.

პოლიტიკურ ძალაუფლებისა და საზოგადოების მართვის ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო. ამიტომ საკითხთა მეორე ჯგუფს შეადგენს სახელმწიფოსთან, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები. აქ იგულისხმება სახელმწიფოს ფორმები (მონარქია, რესპუბლიკა, ფედერაცია, მათი სხვადასხვა მოდიფიკაციები); პოლიტიკური რეჟიმები (დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტორიტარული, ლიბერალური). საკითხთა ამავე ჯგუფს განეკუთვნება ადამიანთა სხვადასხვა სახის არასამთავრობო გაერთიანებები ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებები.

პოლიტოლოგიის შესასწავლ საკითხთა მესამე ჯგუფი შეეხება პოლიტიკურ ლიდერობას, პოლიტიკურ ელიტას ე.ი. პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტებს, პიროვნების როლსა და ადგილს პოლიტიკურ სისტემაში და ა.შ.

ძნელად წარმოსადგენია სახელმწიფო სადაც არ არსებობენ პოლიტიკური პარტიები, ადგილი არა აქვს პოლიტიკურ მოძრაობებს.

თუ არსებობს სახელმწიფო სადაც ოფიციალურად არ არის დაშვებული პოლიტიკური პარტიები ეს არ ნიშნავს რომ ფაქტობრივადაც ასეთი ვითარება. პარტიები და მოძრაობები აქ არსებობენ არალეგალურად. ასეთი განცხადების გაკეთება თამამად შეიძლება, რადგან არ არსებობს სახელმწიფო სადაც არ არის პოლიტიკური ბრძოლა, ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამიტომ საკითხთა მეოთხე ჯგუფი პოლიტოლოგიაში ეხება პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკურ მოძრაობებს.

პოლიტოლოგიის საკითხთა და პრობლემათა მეხუთე ჯგუფს შეადგენს თანამედროვე საარჩევნო სისტემები. როგორც პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობები ასევე საარჩევნო სისტემებიც წარმოადგენენ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ძლიერ საშუალებას.

თანამედროვე პოლიტოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოლიტიკური პროცესების შესწავლას, მათს შინაარსს, სტრუქტურას, ფორმებს და ა.შ. ეს არის საკითხთა მეექვსე ჯგუფი.

პოლიტოლოგიის შესასწავლ საკითხთა მეშვიდე ჯგუფს შეადგენს საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასთან, მის ფორმირებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. საქმე ეხება იმ ნორმებსა და ღირებულებებს, რომელთა საშუალებით ადამიანი ანხორციელებს თავის სოციალურ სტატუსს. შეიმუშავებს პოლიტიკური მიზნების სისტემას, აყალიბებს პოლიტიკურ ორიენტირებს, ქცევის ნორმებს და სხვ.

ასეთია მნიშვნელოვანწილად პოლიტოლოგიის კვლევის ძირითადი საკითხები, ჩვენ მათ დაკუბრუნდებით და შედარებით დეტალურად განვიხილავთ აქ მოყვანილი თანმიმდევრობით.

პოლიტოლოგიის ამოცანები და მისი კავშირი სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის უმთავრესი მიზანი არის საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია რიგი ამოცანების გადაჭრა. მათ შორის: 1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის აღმოცენებისა და განვითარების ზოგადი და სპეციფიკური პირობების შესწავლა; ასევე მისი შემადგენელი ინსტიტუტების დეტალური ანალიზი, მხედველობაშია – პოლიტიკური ძალაუფლება, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკური ელიტა, საარჩევნო სისტემა, ასევე პოლიტიკური ურთიერთობები და პოლიტიკური პროცესები. 2. იმ მექანიზმების შექმნა

და დახვეწა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მოცემული კონკრეტული საზოგადოებისათვის პოლიტიკური სისტემისა და მისი შემადგენელი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების ოპტიმალური კორექტირება. 3. პოლიტიკური სისტემისათვის თითქმის გარდუვალი კრიზისული სიტუაციების მიზეზების ანალიზი და მათი დარეგულირების გზების ძიება. 4. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიზეზების აღმოცენების, საზოგადოების განვითარებაში მათი როლის არგუმენტირებული ახსნა-დასაბუთება. 5. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტაბილური განვითარების პირობების შესაქმნელად პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

პოლიტოლოგიის ზემოთ ჩამოთვლილი მიზნები და ამოცანები პირდაპირ მიუთითებენ მისი მეცნიერული, პროგნოსტიკული და პრაქტიკული როლის მრავალგვარობაზე და ცხადია ამ მისიას პოლიტოლოგია შეასრულებს სხვა სოციალური მეცნიერებების მიღწევების რაციონალური გამოყენებით.

პოლიტოლოგიასა და სხვა სოციალური მეცნიერებების ურთიერთკავშირის ობიექტურ ხასიათს განაპირობებს ორი გარემოება: ჯერ ერთი, საზოგადოების განვითარების პროცესების (ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიური, და სხვ.) ურთიერთკავშირი და ხშირად მჭიდრო ურთიერთგადახლართვა ახასიათებთ. ამიტომ სოციალური მეცნიერებების ავტონომიურობა ფაქტობრივად გამორიცხულია. მეორეც, საზოგადოებაში თავს იჩენენ პრობლემები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან უმნიშვნელოვანეს სოციალურ ღირებულებებთან, რომელთა შესწავლითა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებით დაკავებულია ყველა სოციალური მეცნიერება. ამ ღირებულებათაგან ძირითადია – საზოგადოების სტაბილურობა და მატერიალური კეთილდღეობა, ეროვნული უშიშროება, თავისუფლება და კონსტიტუციური მართლწესრიგი.

სოციალურ მეცნიერებათა ურთიერთკავშირს სხვა, შედარებით კონკრეტული საფუძვლებიც გააჩნია. პრაქტიკულად ყველა სოციალურ მეცნიერებას აინტერესებს პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რადგანაც ეს უკანასკნელნი გავლენას ახდენენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროზე ე.ი. ყველა სოციალური მეცნიერებების კვლევის ობიექტებზე. მაგალითისათვის, ეკონომიკის თეორიის სპეციალისტები სკრუპულოზურად შეისწავლიან სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კავშირს საზოგადოების ეკონომიკურ სისტემასთან. პოლი-

ტიკური სისტემის განვითარება, ზოგადად, მისი დინამიზმი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ისეთი მეცნიერებებისათვის, როგორიცაა პოლიტიკური ისტორია, სოციოლოგია, სამართალი და სხვ.

მაშასადამე, პოლიტოლოგიის კავშირი სოციალურ მეცნიერებებთან განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ პოლიტიკური პროცესები იქცევენ არა მხოლოდ პოლიტოლოგების ყურადღებას. მეტიც, პოლიტოლოგიის სხვა სოციალურ მეცნიერებებთან შეხების მაჩვენებელია პოლიტოლოგიის მიერ მათს მიღწევებზე, სოციალურ მეცნიერებათა შედეგებზე დაყრდნობა.

პოლიტოლოგია იყენებს იურისპრუდენციის მიღწევებს, პოლიტიკური ისტორია მას აწვდის ფაქტობრივ მასალას, უშუალოდ ეყრდნობა პოლიტიკური სოციოლოგიის გამოკვლევებს. კონკრეტულად: პოლიტოლოგიაცა და სოციოლოგიაც შეისწავლის ჯარს, არმიას. პოლიტოლოგისათვის არმია არის პოლიტიკური ბრძოლისათვის შესაძლებელი ინსტრუმენტი. სოციოლოგიას კი აინტერესებს თვით არმიაში მიმდინარე პროცესები, მათი რეგულირების ოპტიმალური ვარიანტის დადგენა.

რაც შეეხება მოვლენათა და პროცესთა კვლევის ზოგადფილოსოფიურ მეთოდებს, ზოგადად ფილოსოფიურ მეთოდოლოგიას, ის გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის საბოლოოდ ჩამოყალიბების საქმეში.

პოლიტოლოგიის თეორიული მეთოდები. ნებისმიერი მეცნიერების, განსაკუთრებით კი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მეთოდურ არსენალს, რომლის საშუალებით ის იკვლევს თავის ობიექტს. მეცნიერების მიერ გამოყენებული მეთოდების კომპლექსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საკვლევი რეალობა: მაგალითად, რას ვიკვლევთ – პოლიტიკური სისტემის სტრუქტურას თუ მის ფუნქციებს, სტრუქტურის ელემენტთა ურთიერთკავშირს თუ სისტემის განვითარების ტენდენციებს და ა.შ. ყოველი კვლევა-ძიება გარკვეულ მიზანს ისახავს, ამის მისაღწევად მოძებნილ და გამოყენებულ უნდა იქნას ეფექტური გზა ანუ მეთოდი. მაგალითად, თუ გვაინტერესებს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ალბათ ამ შემთხვევაში კარგი შედეგი უნდა მივიღოთ თუ ვიხელმძღვანელებთ შედარების მეთოდით, ე.ი. საკვლევ პოლიტიკურ სისტემას შევადარებთ სხვა სახელმწიფოს სისტემას, ამ მეთოდს შედარებითი ანალიზი ეწოდება.

კონკრეტული მიზნების გათვალისწინებით პოლიტოლოგი შეარჩევს მიდგომისა და ანალიზის განსხვავებულ მეთოდებს, რომელთა რაოდენობა ძალიან დიდია. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

ინსტიტუციონალური მეთოდი. დიდი წარმატებით გამოიყენებოდა XX-ე საუკუნემდე, თუმცა XX-ე საუკუნეშიც საკმაოდ ნაყოფიერ მეთოდად ითვლებოდა. ეს მეთოდი აქცენს აკეთებს პოლიტიკური ინსტიტუტების შესწავლაზე, შეისწავლის სახელმწიფოს, მის ორგანოებს, სამთავრობო პროგრამებს, პოლიტიკური მოღვაწეობის რეგულირების სხვადასხვა ხერხებს, რაც საშუალებას აძლევს იქონიოს მთლიანი წარმოდგენა იმის შესახებ თუ როგორ გავლენას ახდენს ინტიტუციონალური ქეესისტემა მთლიანად პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე.

შედარებითი მეთოდი. როგორც ვთქვით აქ ერთმანეთს ადარებენ პოლიტიკურ სისტემებს, მის სხვადასხვა ელემენტებს – პარლამენტს, მმართველობის ფორმებს, საარჩევნო სისტემას და ა.შ. ეს მეთოდი პოპულარული და ნაყოფიერი განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა, როდესაც აქტიალური შეიქმნა პასუხი კითხვებზე – შესაძლებელია თუ არა მომავალში თავი ავარიდოთ ტოტალიტარულ რეჟიმებს? რატომ მოხდა რომ ფაშიზმი არ გავრცელდა ყველა ქვეყენაში? მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა ძლიერი იმპულსი გამოდგა შედარებითი ანალიზის მეთოდისათვის, რომელიც საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა პოლიტიკური სისტემების სტაბილურობის პირობების გამოსავლენად, მათი ტრანსფორმაციის კანონზომიერებების დასადგენად.

ისტორიული მეთოდით წარმატებით შეისწავლება პოლიტიკური მოვლენები მათი განვითარების პროცესში. ამ მეთოდის ღირსებად უნდა ჩაითვალოს მოვლენების შესწავლა საკუთარ კონტექსტში ე.ი. იმ გარემოისტორიულ პირობებში, როდესაც ამ მოვლენას ქონდა ადგილი. ისტორიული მეთოდი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს არაერთგზის განმეორებული მოვლენები (ომები, რევოლუციები) და გააკეთოს შედარებით ზოგადი დასკვნები. გარდა ამისა, პოლიტიკური სისტემების რეტროსპექტრული ანალიზი საფუძველია პოლიტოლოგიის პროგნოსტიკული ფუნქციის განვითარებისათვის.

სოციოლოგიური მეთოდი ფართოდ გამოიყენება, ის ეხმარება მკვლევარს წარმატებით გაანალიზოს პოლიტიკური პროცესების დამოკიდებულება საზოგადოებაზე მთლიანად, მის სოციალურ სტრუქტურაზე, საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაზე.

ნორმატიულ-ღირებულებითი მიდგომისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესს საზოგადოებისათვის, როგორ ზემოქმედებს საზოგადოების კეთილდღეობაზე, განაპირობებს თუ არა თავისუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას. აღნიშნული მიდგომით მკვლევარი ცდილობს დაადგინოს მოცემული საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის ოპტიმალური ვარიანტი, თან ისე, რომ გამართლებულ იყოს მისი მიღწევის საშუალებები. ხშირად პოლიტოლოგები, როდესაც აღნიშნულ მეთოდს იყენებენ საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის ოპტიმალურ ფორმად განიხილავენ აშშ დემოკრატიას, ძალაუფლების მისთვის დამახასიათებელი დანაწილებით. ამასთან ერთად, სხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემის განვითარება განიხილება, როგორც მოძრაობა აშშ მოდელისაკენ. ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბებული და დაცულია ზ.ბჟეზინსკის შრომებში.

სისტემური მიდგომა არსებობს XXს. 50-იანი წლებიდან და აქვს ხელშესახები შედეგები. ეს არის მკვლევარის პოზიცია ყოველისმომცველი ანალიზის წარმოებისათვის, რადგანაც მთელი სოციალური სინამდვილე წარმოადგენს მრავალფუნქციონალურ, თვითრეგულირებად სფეროს, სადაც ყველა შემადგენელი ნაწილი განაპირობებენ ერთმანეთს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია და რისთვისაც მოწოდებულია სისტემური კვლევა.

ფუნქციონალური მიდგომა ყურადღებას უთმობს იმ კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებასა და სტაბილურობას, მის შეგუებას გარემომცველ სოციალურ სინამდვილესთან. ამ მეთოდით იკვლევენ, მაგალითად, პოლიტიკური რეჟიმისა და საზოგადოების კეთილდღეობის დონის ურთიერთმიმართებას. ასევე ხდება დასაბუთება იმისა, რომ პოლიტიკური სისტემის ნებისმიერი ელემენტის ფუნქციას შეადგენს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

ბიხევიორისტული მიდგომა (ინგ. behavior – ქცევა). ითვლება, რომ ამ მეთოდმა რევოლუციური ძვრები გამოიწვია პოლიტოლოგიაში. ამ მეთოდით საზოგადოების პოლიტიკური სისტემა განიხილება როგორც ორგანიზმი, რომელიც ფუნქციონირებს თავისი კანონებით და გააჩნია განვითარების საკუთარი შინაგანი ლოგიკა. კვლევის მიზანი, ბიხევიორისტების აზრით, აღმოვაჩინოთ ეს კანონები და ეს ლოგიკა. ეს მეთოდი დიდი ხანია ცნობილია და დაკავშირებული ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის სახელთან (XIXს. 80-იანი წლები), მისი აზრით

შემდეგი გარემოებები შეადგენენ ბიხევიორისტული ანალიზის საფუძველს: ადამიანთა პოლიტიკურ ქცევას განაპირობებს ფსიქოლოგიური მოტივები; მათ შეიძლება ქონდეთ სოციოლოგიური ან პიროვნული, ინდივიდუალური საფუძვლები; პოლიტოლოგიაში შეიძლება გამოიყენონ სხვა მეცნიერებების მიღწევები, რადგანაც სხვადასხვა სიტუაციაში, თუ სოციალურ სისტემებში, ადამიანთა ქცევა ერთმანეთის მსგავსია; შესაძლებელია პოლიტიკური მოვლენების ან პროცესების არსებითი ნაწილის რაოდენობრივი პარამეტრების დადგენა, ე.ი. შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები, მათემატიკური მეთოდი, ანკეტირება და ა.შ.

ანთროპოლოგიური მიდგომა პოლიტიკური პროცესების შეფასებაში უპირატესობას ანიჭებს ადამიანურ ბუნებას (სოციოლოგიური მიდგომა სოციოლოგიურ მოვლენებს აძლევს უპირატესობას). ამ მეთოდის ამოცანად, მისი მიმდევრები სედავენ იმის შესწავლაში თუ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაზე რა გავლენას ახდენს სოციალური გარემო და ადამიანთა რაციონალური მოღვაწეობა, ბიოლოგიური, ინსტინქტიური მოტივები და ა.შ.

პოლიტოლოგიური ანალიზის ემპირიული მეთოდები. თეორიული მეთოდების პარალელურად პოლიტოლოგიაში გამოიყენება ემპირიული მეთოდები, რომელთა მეცნიერული ავტორიტეტი თანდათანობით იზრდება, რადგან იძლევიან შედარებით ობიექტურ და კონკრეტულ ცოდნას, რომლებზედაც დაყრდნობით პოლიტოლოგია აკეთებს კონკრეტულ დასკვნებს და აყალიბებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს. ემპირიულ მეთოდებს მიეკუთვნება - მოსახლეობის ანკეტირება, დაკვირვება, სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება, საბუთების შესწავლა, ექსპერიმენტი, მოდელირება და ა.შ. (ანკეტური გამოკვლევების ფართოდ გამოყენება დაიწყო XXს. 1935 წელს აშშ ჯორჯ გელაპმა დააფუძნა საზოგადოებრივი აზრის ამერიკის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის მუშაობის საფუძველია მოსახლეობის გამოკითხვა და ანკეტური გამოკვლევები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შესწავლაში გელაპის ინსტიტუტის როლი თანდათანობით იზრდება).

ანკეტირება გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. გამოიყენება მისი ორივე ფორმა – ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ. განსაკუთრებით აქტიურად მათ მიმართავენ არჩევნების წინა პერიოდში. ამავე დროს გადაიჭრება მნიშვნელოვანი პრაქტიკული და მეცნიერული ამოცანები.

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მიიღება საზოგადოებრივი აზრის საკმაოდ ზუსტი სურათი და საჭიროების შემთხვევაში იქმნება მისი კორექტირების შესაძლებლობა. ანკეტირების მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს მის შესაძლებლობაში არსებული მასალის ბაზაზე გამოავლინოს ნაიმე კანონზომიერებები. თუმცა ანკეტირება არ იძლევა საიმედოობის დიდ გარანტიას და ეს გასაგებიცაა.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემპირიული ანალიზის ისეთი მეთოდი, როგორიცაა – **დაკვირვება**. მას აწარმოებენ სპეციალიზირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ცენტრები, სამთავრობო კომისიები. დაკვირვება, განსაკუთრებით თუ ის ხანგრძლივად ტარდება დიდ ინფორმაციას იძლევა შესასწავლი ობიექტის შესახებ, ვთქვათ, პოლიტიკური სისტემის შესახებ, ავლენს მისი განვითარების კანონზომიერებებს. ხანგრძლივი დაკვირვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო კომპანიების შესწავლის თვალსაზრისით (უნდა ითქვას, რომ ამ სახის დაკვირვებები მრავალი ქვეყნისათვის დიდი ფუფუნებაა, მოითხოვს ძალზე სოლიდურ ფინანსურ ხარჯებს).

პოლიტოლოგიური გამოკვლევების ტექნიკური საშუალებების კომპლექსში დიდი როლი აკისრია **სტატისტიკური** მასალის ანალიზს. თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით მიიღება საიმედო რეზულტატები, პოლიტიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებისა და ტენდენციების თვალსაზრისით.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შესწავლისათვის არანაკლებ (სტატისტიკასთან შედარებით) როლს ასრულებს სხვადასხვა სახის **პოლიტიკური დოკუმენტების** შესწავლა. მხედველობაშია – პარტიის პროგრამები, მთავრობისა და პარლამენტის სხდომათა ოქმები, ასევე პოლიტიკურ მოღვაწეთა დღიურები, მემუარები, წერილები.

ზემოთ, როდესაც ემპირიული მეთოდები ჩამოვთვალეთ ვახსენეთ აგრეთვე ექსპერიმენტი. ეს რთული საკითხია. შესაძლებელია თუ არა ექსპერიმენტი პოლიტოლოგიაში? ამ კითხვას გარკვეული აზრით შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ რაც შეიქმნა „თამაშის თეორია". ექსპერიმენტი პოლიტოლოგიაში ტარდება „თამაშის თეორიის" შესაბამისი მოდელირების სახით. მკვლევარი–პოლიტოლოგი სათამაშო სიტუაციის შექმნის გზით აღადგენს მისთვის საინტერესო პოლიტიკურ პროცესს (პარლამენტის სხდომას, პოლიტიკურ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს) და „გაითამაშებს" მისი

შესაძლებელი განვითარების მრავალ შესაძლებელ ვარიანტს. ცხადია მას ექმნება დასკვნებისა და არჩევანის საშუალება.

კიბერნეტიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, კომპიუტერული ბუმის წყალობით პოლიტოლოგია გადადის მისი არსებობის სრულიად ახალ ეტაპზე. რეალური გახდა პოლიტიკური პროცესებისა და მთლიანად პოლიტიკური სისტემის განვითარების მოდელირება, მათი არსებითი კანონზომიერებების გამოვლენა. მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ფართოდ გამოყენებამ პოლიტოლოგიას ფაქტობრივად, მიანიჭა ზუსტი მეცნიერების სტატუსი. ეს პოლიტოლოგიის განვითარების მაღალი ეტაპის მაჩვენებელია და ამავე დროს, წმინდა ინტუიციურად, შეიცავს გარკვეულ საშიშროებასაც.

დიალექტიკა და სინერგეტიკა. ვაგრძელებთ საუბარს მეთოდზე, დავრწმუნდით, რომ პოლიტოლოგიის მეთოდური არსენალი საკმაოდ მდიდარია. მაგრამ პოლიტოლოგიის შესაძლებლობები და ამ სფეროში კვლევა-ძიების რთული ხასიათი მთლიანად უნდა იქნას ამოწურული. ამისათვის კი აუცილებელია ზოგადკონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოკვეთა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩვენი მეცნიერ-მკვლევარების მეთოდოლოგიური არსენალი მთლიანად ეფუძნებოდა მხოლოდ დიალექტიკურ მატერიალიზმს. ეს კი ნიშნავს, რომ ნებისმიერი მოვლენის ახსნას ვცდილობდით დეტერმინიზმის ჩარჩოებში, ე.ი. საყოველთაო მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღიარებით. ხოლო ის, რაც ამ საყოველთაო კავშირებში ვერ მოიაზრებოდა ითვლებოდა შემთხვევით მოვლენად და მხედველობაში არ მიიღებოდა. დღეს დიალექტიკურ მატერიალიზმს საერთოდ აღარ ახსენებენ, სახელმძღვანელოებში მეცნიერების მეთოდის შესახებ თავები თითქმის აღარ არიან. საკითხი რა თქმა უნდა რთულია, უფრო ზუსტად საჩოთიროა, მაგრამ არა იმდენად რომ მასზე საერთოდ გავჩუმდეთ.

აქედან გამომდინარე საჭიროა შევეხოთ დიალექტიკური მატერიალიზმის გამოყენების შესაძლებლობებს თანამედროვე პოლიტოლოგიაში და ასევე შევეხოთ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დამუშავებულ ახალ მეთოდს, რომელიც თანდათანობით იკრებს ძალასა და ავტორიტეტს და მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია სინერგეტიკის სახელით.

პოლიტოლოგიის საგნის, საკვლევი სფეროსა და მეთოდურ არსენალთან გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ამ სფეროში არსებობენ

დეტერმინირებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, თვალსათლივ ჩანს რიგი კანონზომიერებების არსებობა. მაგალითების მოყვანა სირთულეს არ წარმოადგენს. მაგალითად ეკონომიკური კრიზისების პირობებში პოლიტიკური ძალაუფლება კარგავს მიმდევრებს, შეიმჩნევა ოპოზიციის გამოცოცხლება და ახალი არჩევნების შემთხვევაში მათი შანსი შესამჩნევად იზრდება. ან კიდევ, განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერი სტიმულია ერის გაერთიანებისათვის, მთავრობის ირგვლივ ძირითადი ძალების კონსოლიდაციისათვის.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის მკვლევარები უკვე აღარ განიხილავენ დეტერმინიზმს მისი საყოველთაო მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით როგორც უზოგადესსა და ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიად. ამ მეთოდის უნივერსალურობაში ეჭვი თავად ცხოვრებამ შეიტანა. მრავალი პროცესის ახსნა, დიდი სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, არ ხერხდებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. ეს ეჭვები შემდგომ გააძლიერა ფუნდამენტური მეცნიერების უდიდესმა აღმოჩენებმა XXს-ის დასაწყისში (მხედველობაში გვაქვს კვანტური თეორია), რომელმაც მაშინ დაარღვია არსებული სამყაროს კონცეპტუალური მოდელი, როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, საათის მექანიზმის მსგავსად მოქმედი. კვანტურმა თეორიამ დაასაბუთა ფიზიკის მეცნიერებისათვის შემთხვევითი და ინდეტერმინირებული პროცესების დიდი მნიშვნელობა. ეს დასკვნა ძალიან მალე გადმოიღეს სოციალურ მეცნიერებებში და ავიწროებს დიალექტიკას, საყოველთაო მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს). ახალი მეთოდოლოგია, რომელიც მეცნიერულ ლიტერატურაში შემოვიდა სინერგეტიკის სახელწოდებით აცხადებს, რომ ყოველი ცალკე აღებული სიტუაცია თავად ქმნის საკუთარი არსებობის ფაქტორებს, რომლებიც ყოველთვის არ ეთანხმებიან ცნობილ კანონზომიერებებს. საჭიროა დიალექტიკისა და სინერგეტიკის მიმართებას ცალკე შევეხოთ. ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტიკის მეთოდს პოლიტოლოგიის საკითხთა ანალიზში არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. სხვა საკითხია ის, რომ მისი პრეტენზიები ერთადერთ და უნივერსალურ მეთოდზე საფუძველს მოკლებულია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სოციალურ სინამდვილეში, პოლიტიკურ სფეროში კანონზომიერი მოვლენებისა და პროცესების გვერდით და პარალელურად არსებობენ და თანდათანობით მეტ ძალას იკრეფენ, მეტ როლს ასრულებენ გაუთვალისწინებელი, შემთხვევითი მოვლენები, რომლებიც მოგვიანებით ფართო სოციალურ რეზონანსს იღებენ. მათი ანალიზი დიალექტიკური

მიდგომით პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებელია მეორე მეთოდით სინერგეტიკით.

შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ სინერგეტიკა არის მეცნიერება თვითორგანიზებადი, თვითმართვადი მოვლენების შესახებ. სინერგეტიკაც მსგავსად დიალექტიკისა შეეხება ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის პრობლემას, მაგრამ ესმის დიალექტიკისაგან განსხვავებულად. სინერგეტიკის პოზიციით ონტოლოგია (მოძღვრება ყოფიერებაზე, მის საფუძველზე, პრინციპებზე, სტრუქტურაზე, განვითარების კანონზომიერებაზე) და გნოსეოლოგიის (მოძღვრება შემეცნებაზე) შორის ერთიანობა არ არსებობს.

დიალექტიკისაგან განსხვავებით სინერგეტიკა სხვანაირად უყურებს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სუბიექტურსა და შემთხვევითს. სინერგეტიკა მათ განიხილავს არა როგორც მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო პროცესებს (დიალექტიკის მიდგომით ისინი ყურადღებას არ იმსახურებენ), არამედ როგორც სოციალური სინამდვილის მდგრად და არსებით პროცესებს.

შემთხვევითს სინერგეტიკა განიხილავს, როგორც ზოგადი თვისებების მატარებელს. ეს ეხება მიზეზებსა და სიტუაციას, რომელშიც ჩნდება შემთხვევითი, ეხება მისი გამოვლენის დროს, მისი დინამიზმის მიმართულებას. ცხადია ეს ეხმარება მკვლევარს უკეთ ჩაწვდეს შემთხვევითის ბუნებას, გამოიყენოს მის შესახებ მიღებული ცოდნა, ვთქვათ, პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში, მათი მართვის პროცესში. სინერგეტიკული მიდგომა შემთხვევითს განიხილავს არა როგორც აუცილებლობის გამოვლენის ფორმას (დიალექტიკა), არამედ, როგორც დამოუკიდებელს, თავისთავადს, საზოგადოებრივი ყოფისათვის ჩვეულებრივ მოვლენას. მაშასადამე, სინერგეტიკული მიდგომით კვლევის ობიექტია არა მხოლოდ კანონზომიერი, დეტერმინირებული მოვლენები, არამედ შემთხვევითიც. ე.ი. სოციალური სინამდვილე მთელი მისი სიმდიდრით. პრაქტიკამ დიდი ხანია მიაქცია მკვლევარის ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა დიდი როლი შეიძლება ქონდეს შემთხვევას ისტორიის მსვლელობაში, რომ შემთხვევა ხშირად (განსაკუთრებით პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვში) წარმოაჩენს შესაძლებლობების ფართო სპექტრს, რომელთაგან შემდეგ კეთდება არჩევანი, ხშირად არცთუ საუკეთესო.

ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ისტორიის თანამედროვე ეტაპი დიდ ასპარეზს წარმოადგენს სინერგეტიკის მეთოდის შემეცნებითი ძალის

დემონსტრაციისათვის. მრავალრიცხოვანი მოვლენები და პროცესები შეიძლება გაანალიზებული, გაანალიზებული და შესწავლილი იქნას სინერგეტიკის მეთოდით და შედეგად გაიზარდოს მათი მართვადობის ხარისხი. პირდაპირობას, სწორხაზოვნებას, სტაბილურობას მოკლებული პროცესების შეცნობაში დიალექტიკა უძლურია, ეს არის სინერგეტიკის ასპარეზი. ქვეყანა შედის საბაზრო ეკონომიკაში, ან უფრო ზუსტია, საბაზრო ეკონომიკა მთლიანად ეუფლება ქვეყნის ეკონომიკას, ეს კი ნიშნავს, რომ სრული თავისუფლება აქვთ თვითრეგულირებად და თვითორგანიზებად პროცესებს. პირობებში, როდესაც საერთოდ არ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების სერიოზული სისტემა (როგორც იაპონიაში, აშშ, ევროპის რიგ ქვეყნებში) ყველა ზემოთხსენებული „თვითრეგულირებადი" და „თვითორგანიზებადი" პროცესები მიდიან გარკვეულ წესრიგამდე, მაგრამ ეს გზა შეიძლება ძალზე მტკივნეული აღმოჩნდეს სახელმწიფოსათვის, თვით ამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ჩათვლით.

თანამედროვე პოლიტოლოგიის ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე საუბარი ასე შევაჯამოთ. დიალექტიკურმა მეთოდმა დაკარგა უნივერსალურობა, საყოველთაობა და განსაკუთრებულობა. მკვლევარები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე დაყრდნობით შემეცნებაში დიდი შედეგები გამორიცხულია. მაგრამ დიალექტიკა, როგორც სამყაროს, სოციალური სინამდვილის კონცეპტუალური ხედვა არ გაქრალა, წარსულს არ ჩაბარებულა (ალბათ არც არასოდეს არ გაქრება). პოზიციები, რომლებიც დათმო დიალექტიკამ დაიკავა ახალმა მეთოდოლოგიურმა პოზიციამ – სინერგეტიკამ, რომელმაც ცხოვრებისათვის დამახასიათებელი შემთხვევითი და სუბიექტური ადრე მიუწვდომელ დონეზე აიყვანა, გვაიძულა საზოგადოებრივი ცხოვრების, კერძოდ პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თვითორგანიზებადი და თვითრეგულირებადი პროცესებისათვის სერიოზული თვალით შეგვეხედა.

პოლიტოლოგიის შემეცნებითი ღირებულება. დასაწყისში შევეხოთ პოლიტოლოგიის სოციალურ სტატუსს. დემოკრატიულ საზოგადოებებში პოლიტოლოგია აუცილებელი მეცნიერებაა, რამეთუ აქ არსებობს რეალური მოთხოვნილება იმ დასკვნებსა და პროგნოზებში, რომელიც პრაქტიკული პოლიტოლოგიის კომპეტენციას შეადგენს. ეს პირველ რიგში, დაკავშირებულია პოლიტიკური ცხოვრების სირთუ-

ლეებთან თანამედროვე ეტაპზე. პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი ფორმების აღმოცენებასთან, ახალი პოლიტიკური სტრუქტურებისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ახალი მასობრივი ფორმების გაჩენასთან. სახელმწიფოს კომპეტენტური პოლიტიკური მოღვაწეობა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება საჭიროებს პოლიტიკურ თეორიებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც საერთაშორისო გამოცდილება, ასევე პოლიტიკური აზროვნების განვითარების ეროვნული სპეციფიკურობა, როგორც აღნიშნეთ, პოლიტიკური პროცესების პროგნოზირების საქმეში არსებობს რეალური მოთხოვნილება.

აქედან გამომდინარე, პოლიტოლოგიის მიზანი არის მისცეს ქვეყნის მოსახლეობას ჭეშმარიტი ცოდნა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, მისი შინაარსის, სტრუქტურის, ფუნქციების, მიზნების, შესაძლებლობების შესახებ. თუმცა ეს არ არის თვითმიზანი, აღნიშნული ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ ქვეყნის ყოველი მოქალაქე იყოს ჭეშმარიტი მოქალაქე, რომ შეეძლოს კვალიფიცირებულად და კომპეტენტურად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის ცხოვრებაში. დებულება იმის შესახებ, რომ შეიძლება იყოს საზოგადოების წევრი და იდგე პოლიტიკის გარეთ – მცდარია. პოლიტიკური პროცესების მონაწილეა ყოველი მოქალაქე. ცნობილია გამოთქმა – ჩვენ ყველანი ამომრჩევლები ვართ, მაგრამ როდესაც ვუახლოვდებით საარჩევნო ურნას იმ წუთში გადავიქცევით პოლიტიკოსებად. რა თქმა უნდა შეიძლება არც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ ესეც ხომ გარკვეული პოზიციის დაფიქსირება არის.

ცხადია, რომ პოლიტიკური ცოდნა განსაკუთრებით იმათ სჭირდებათ, ვინც თავისი საქმიანობით უშუალოდ არის ჩართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა სტრუქტურებში. უზარმაზარი პასუხისმგებლობა აწევთ მათ მხრებზე, რადგან საქმე ეხება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი პროგრამების რეალიზაციას ეკონომიკის, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. სამწუხაროდ პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ცოდნის დონე ხშირად არ შეესაბამება დაკავებულ სოციალურ და პოლიტიკურ საფეხურს.

მაგრამ მარტო პროფესიონალიზმზე არ არის საუბარი. პოლიტიკური ცოდნის რაღაც მინიმალური მარაგი აუცილებლად სჭირდება თითოეულ მოქალაქეს, რათა საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ სოციალურ გარემოში არ იყოს „თამაშგარე" მდგომარეობაში. არის ისეთი სპეციალობები, რომელთა წარმომადგენელთათვის პოლიტიკური ცოდნა მათივე სპეციალობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მხედველობაში გვაქვს

ეკონომისტები, ფინანსისტები, ბიზნესმენები, საგადასახადო, საღაზღვევო და სხვა სფეროების სპეციალისტები.

ფაქტობრივად, აქ დასრულებულ პირველ ნაწილში ჩვენ გავეცით პასუხი სამ ძირითად კითხვას, რომლებიც აუცილებლობით დგება ყოველი ახალი მეცნიერული დისციპლინის შესწავლის პირველ ეტაპზე. ეს კითხვებია: რას შეისწავლის მოცემული მეცნიერება? ანუ რა არის ამ მეცნიერების საგანი? მეორე: რა საშუალებებით აწარმოებს ეს მეცნიერება თავისი საგნის შესწავლას? ანუ როგორია ამ მეცნიერების მეთოდოლოგიური არსენალი? და მესამე: რა საჭიროა ეს მეცნიერება? როგორია მისი შემეცნებითი ღირებულება? ე.ი. ამ კითხვებზე ფაქტობრივად პასუხები გაცემულია. შემდგომი საკითხების განხილვის თანმიმდევრობა იგივეობრივი იქნება პირველი ნაწილის ერთ-ერთ ფრაგმენტში მოყვანილი პოლიტოლოგიის საკითხთა ჯგუფების თანმიმდევრობისა.

პოლიტიკური ძალაუფლება

ძალაუფლების განსაზღვრება. პოლიტიკური ძალაუფლება. პოლიტიკური ძალაუფლების საფუძვლები. ლეგიტიმურობის პრობლემა. პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურა. პოლიტიკური ძალაუფლების რესურსები. პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციები, ფორმები და განსხვავებული დონე. პოლიტიკური ძალაუფლების განვითარების ტენდენციები.

ძალაუფლების განსაზღვრება. პოლიტიკური ძალაუფლება. დასაწყისისათვის უარი ვთქვათ ძალაუფლების აღმოცენების თეოსოფიურ პროგრამაზე, რომლის თანახმად ყოველივეს საწყისი ერთია. ნაცვლად ამისა დავდგეთ ძალაუფლების გაგების შედარებით ფხიზელ და ბუნებრივ პოზიციაზე. შედეგად – ძალაუფლების ნამდვილ ფესვებს დავინახავთ სოციოგენეზის ობიექტურ-ისტორიულ სვლაში: ველურთა რიტუალების, ჩვევების, გარკვეული ტრადიციების, დაუწერელი კანონების და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია – მოწესრიგების სხვა გარეგანი ბერკეტების გარდა სოციუმში თანდათანობით, ნელ-ნელა იქმნება, იბადება, იხვეწება და მკვიდრდება ინდივიდთა ურთიერთობისა და ქცევის შინაგანი მარეგულირებელი მექანიზმი. ძალაუფლება ეს არის ჩვენი რეალური არსებობა, ჩვენი საწყისი, ამოსავალი. იგი მარადიულია. ჩვენივე დაუძლეველი ჩართულობითა და მიკუთვნებულობით ყოფის ხელოვნურად შექმნილი გარემოსადმი. პრიმიტიული ცხოველური ჩვევების საფუძველზე მართვის, უფროსობის, ყოჩობისა და პირველობის შინაგანი მოთხოვნისაგან განსხვავებით ძალაუფლება შეზავებული

[1] პოლიტიკური ძალაუფლებისა და პოლიტიკური ხელისუფლების ცნებები ფაქტობრივად იდენტური და ურთიერთშესაცვლებადი ცნებებია. აქ და სხვაგან ჩვენ ძირითადში გამოვიყენებთ პოლიტიკური ძალაუფლების ცნებას. ეს ცნება პოლიტოლოგიის უპირველესი ცნებაა. ეს ცნება არის გასაღები საზოგადოების პოლიტიკური სისტემის გასაგებად. შემდგომ განხილულ ყველა კატეგორიებიუშუალოდ დაკავშირებული არიან პოლიტიკური ძალაუფლების ცნებასთან.

ცივილურობასთან არის მაკეთილშობილებელი უნარი წარმოქმნილი ადამიანთა შინაგანი ორგანიზებულობით. მაშასადამე, ძალაუფლების საწყისი თავისთავად მოქცეულია სოციუმში, მის წევრთა ობიექტურად ჩამოყალიბებულ არაერთგვაროვნებაში, მათს დაყოფა-დანაწევრებაში, მიკუთვნებული როლებითა და ფუნქციებით. ტოტალური თანასწორუფლებიანობის (რაც თავისთავად ფიქციას წარმოადგენს) შემთხვევაში ძალაუფლება არ არსებობს, მას ასაზრდოებს ობიექტური განსხვავებულობა.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ სადაც ჩნდება ადამიანთა შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა იქ თავს იჩენს მიზნის მისაღწევად მათი ქმედებების შეთანხმება, კოორდინირება. იმავდროულად ჩნდებიან წამყვანები, ხელმძღვანელები, გაბატონებულნი და შემსრულებლები, დაქვემდებარებულნი. დაქვემდებარებისა და დამორჩილების მოტივები სხვადასხვაგვარია. მოტივების საფუძველი შეიძლება იყოს მიზნის მიღწევის სურვილი, მითითების შესრულების აუცილებლობის შეგრძნება, ხელმძღვანელის ავტორიტეტი, და ბოლოს, შიში დაემორჩილებლობის შემთხვევაში. აქ მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ ძალაუფლებრივი მიმართებები ობიექტურად ახასიათებს საზოგადოებას. პოლიტოლოგები თვლიან, რომ ეს არის ხარკი, გადასახადი საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, რამეთუ გამორიცხულია იყო საზოგადოებაში და იყო თავისუფალი მისი კანონებისაგან. სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლებრივი მიმართების გარეშე ცივილიზაცია შეუძლებელია. ყოველივე ეს გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ „ძალაუფლების" ცნება. ზოგადად „ძალაუფლების" ცნება ნიშნავს ერთის უფლებას და შესაძლებლობას იქონიოს ზემოქმედება სხვაზე, დაიმორჩილოს სხვა.

ძალაუფლების გამოვლენის ყოველი ფორმა, ცხადია, იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ძალაუფლებას, როგორც ავღნიშნეთ, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ბირთვს. პოლიტიკური ძალაუფლება პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებენ საზოგადოების სხვა სისტემებზე – ეკონომიკური, სოციალური, სულიერი.

პოლიტიკური ძალაუფლება, როგორც ნებისმიერი სხვა ფორმა ძალაუფლებისა, წარმოადგენს ერთის უნარსა და უფლებას განახორციელოს თავისი ნება სხვების მიმართ, მაგრამ ამასთან ერთად საკუთარი სპეციფიკით ის განსხვავდება ძალაუფლების სხვა ფორმებისაგან. პოლიტიკური ძალაუფლების დამახასიათებელი ნიშნებია: ზეობა, ანუ მისი გადაწყვე-

ტილებების აუცილებლობა მთლიანად საზოგადოებისათვის. მას შეუძლია შეზღუდოს ძალაუფლების სხვა ფორმების ქმედება, მეტიც შეუძლია საერთოდ შეაჩეროს მათი მოქმედება. მეორე ნიშანია საყოველთაობა, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მოქმედებს მთელი საზოგადოების სახელით და კანონის ძალით, მესამე ნიშანია ლეგალურობა ე.ი. აქვს უფლება გამოიყენოს ძალა და ბატონობის სხვა საშუალებები ქვეყნის ფარგლებში; შემდეგი ნიშანია მონოცენტრულობა, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოში არსებობს გადაწყვეტილებების მიღების ერთი ცენტრი; და ბოლო ნიშანია ძალაუფლების მოპოვების შენარჩუნებისა და რეალიზაციის პროცესში იყენებს საშუალებების ფართო სპექტრს.

მაშასადამე, პოლიტიკური ძალაუფლებას აქვს უნარი და შესაძლებლობა გაატაროს თავისი ნება საზოგადოების ძართვაში, ზემოქმედება იქონიოს ხალხთა დიდ ჯგუფებზე, დარაზმოს ისინი მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად, დაარეგულიროს ურთიერთობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მიაღწიოს ქვეყნის სტაბილურობასა და საზოგადოებრივ თანხმობას.

პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციონირების წარმატებები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათ შორის გადამჭრელი როლი ეკუთვნის პოლიტიკური ძალაუფლების საფუძვლებს ანუ მისი კანონიერების დაფუძნებას, საზოგადოების მიერ მისი წამყვანი როლის აღიარებას. ამ თემას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

პოლიტიკური ძალაუფლების საფუძვლები. ლეგიტიმურობის პრობლემა. ყველაფერს აქვს თავისი საწყისი. საკუთარი საწყისი აქვს პოლიტიკურ ძალაუფლებასაც. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ საწყისზე დიდად არის დამოკიდებული მისი შემდგომი ბედი. ცნობილია, რომ პოლიტიკური ძალაუფლება შეიძლება ჩამოყალიბდეს თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების შედეგად, ან სახელმწიფო გადატრიალების, ან სისხლიანი რევოლუციის შედეგად, რომელიც საზოგადოების ტრაგედიად გადაიქცევა, დაანგრევს რა ქვეყნის მეურნეობას და რაც მთავარია შეიწირავს და გააუბედურებს მილიონებს. ტრაგედიებს არ ივიწყებს საზოგადოება, ხოლო თუ ის დაკავშირებულია ძალაუფლების ფორმირებასთან, მას განსაკუთრებით. გაივლიან თაობები და ხალხთა მასების ნდობა ასეთი ძალაუფლებისადმი გამორიცხულია.

სხვაგვარად ეპყრობა ხალხთა მასები კანონიერ ძალაუფლებას, რომელსაც ხალხი აღიარებს და უცხო ქვეყნებიც. კანონიერება აქ ნიშნავს,

რომ ხალხი აღიარებს ამ ძალაუფლების წამყვან როლს. აქვე უნდა ითქვას, რომ კანონიერი ძალაუფლების ფორმირებაში არ არის იმის გარანტია, რომ ის გაამართლებს ხალხის ნდობას. ამის მაგალითები ბევრია.

მაშასადამე, ძალაუფლების უპირველესი ნიშანია საზოგადოების მიერ მისი კანონიერების აღიარება. პოლიტოლოგიაში ეს აღინიშნება „ლეგიტიმურობის" (ლათ. legitimus – კანონიერი) ცნებით. „ლეგიტიმური ძალაუფლების" ცნება მეცნიერებაში შემოიღო მ.ვებერმა, მანვე მიუთითა, რომ ლეგიტიმურობა ყოველთვის არ არის ერთნაირი ტიპის პროცესი. მან ხაზი გაუსვა კანონიერების ე.ი. ლეგიტიმურობის სამ საფუძველს (წყაროს). პირველ რიგში, ძალაუფლება ლეგიტიმურობას იძენს როდესაც ის ტრადიციების შესაბამისად, მემკვიდრეობით გადაეცემა. მაგალითად მმართველობის მონარქიული ფორმის შემთხვევაში. მეორე რიგში, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება იძენს ლეგიტიმურობას პიროვნების დიდი პოპულარობისა და კულტის გამო. ძალაუფლების ასეთ ტიპს მ.ვებერმა უწოდა ხარიზმატული (ბერძნ. harisma). ხარიზმა ნიშნავს ღვთაებრივ ნიჭს და გამორჩეულობას იმ უნიკალური თვისებების გამო რომელსაც გამოავლენს ლიდერი. მესამეც, ძალაუფლებას ლეგიტიმურია, თუ მას აქვს რაციონალურ-სამართლებრივი საფუძველი. ხალხი მას მიიღებს, რადგან აღიარებს მისი კანონების რაციონალურ, სამართლებრივ ბუნებას.

მოყვანილი დიფერენციაცია ბევრ რამეზე მეტყველებს. დაასახელეთ ნებისმიერი ძალაუფლების ლეგიტიმურობის საფუძველი და საკმაოდ უშეცდომოდ შესძლებთ დაახასიათოთ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხასიათი, აქ გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმი, ცხოვრების დონე და სიცოცხლის ხანგძლივობაც კი. ძალზე ზუსტად ივარაუდებთ მის ხანგძლივობას.

ტრადიციულ და ხარიზმატული ლეგიტიმურობა ახასიათებთ პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, ასევე ეკონომიკურადაც რომ სუსტად არიან განვითარებულნი. თუ ამ ქვეყნებში ეკონომიკურად მაღალი დონეა ეს არ არის კანონზომიერი პროცესი, აქ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე (ნავთობით მდიდარი ქვეყნები). რაც შეეხება პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობის მესამე ტიპს ის გავრცელებულია ქვეყნებში მაღალგანვითარებული პოლიტიკური სისტემით.

არსებობის ხანგრძლიეობით გამოირჩევა ტრადიციული და რაციონალურ-სამართლებრივი ლეგიტიმურობა. ტრადიციული ლეგიტიმურობა

ემყარება მემკვიდრეობითობას და თუ კატაკლიზმები გამოირიცხება, მათ ხანგრძლივობა გარანტირებული აქვთ. რაციონალურ-სამართლებრივი ლეგიტიმურობაც იძლევა ხანგრძლივობის გარანტიებს. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ესენი არიან ქვეყნები თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმებით, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემათა განვითარების მაღალი დონით, სტაბილურობით და ა.შ.

რაც შეეხება ხარიზმატიკულ ლეგიტიმურობას, ის ვერ იძლევა საფუძველს ხანგძლივობის პროგნოზირებისათვის, ლიდერის გარდაცვალებასთან ერთად ყველაფერი სწრაფი ტემპით დაიწყებს ცვლილებას.

პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობა ის გარემოებაა, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების მიერ გამოხატული მხარდაჭერა, ნდობის დემონსტრირება თვით ძალაუფლების ფუნქციონირება ეფექტურობას მატებს, და პირიქით. ამიტომ ძალაუფლება ყოველთვის ცდილობს დაიმსახუროს ხალხის მხარდაჭერა, რისთვისაც იყენებს შესაძლებლობების უზარმაზარ არსენალს: ბრძანებები, საკანონმდებლო აქტები, დადგენილებები, პოლიტიკური მოძრაობები, ეროვნული სიმბოლიკა, ტრადიციებისადმი პატივისცემა, კონსტიტუცია, რეფერენდუმები და ა.შ.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლებიც ძალზე ასუსტებენ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალაუფლებას, მის ავტორიტეტს. მაგალითად, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება უძლურია დაიცვას საზოგადოება კორუფციისაგან, დამნაშავეობისაგან, სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენებისაგან.

პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურა. პოლიტიკური ძალაუფლება ასახავს მიმართებას (ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს), როგორც ყოველ მიმართებაში აქაც ადგილი აქვს ორ მხარეს. ერთია გაბატონებული, მმართველი, ხელმძღვანელი – მას ეწოდება „სუბიექტი" (ეს შეიძლება იყოს პიროვნება, სახელმწიფო ინსტიტუტი, ხალხი მთლიანობაში), მიმართების მეორე მხარეს დგას დაქვემდებარებული, ქვეშევრდომი, ანუ „ობიექტი", რომლისკენაც მიმართულია ძალაუფლება. ობიექტი შეიძლება იყოს ხალხი, საზოგადოება, ყოველი მოქალაქე. ყველაფერი ნათელია, სუბიექტი ბატონობს, ობიექტი ემორჩილება, ასრულებს პირველის ბრძანებებს. მაგრამ არ არის ასე მარტივად. არ არის გამორიცხული სუბიექტისა და ობიექტის თანმთხვევა, რაც შეიძლება განხორციელდეს მმართველობის რესპუბლიკური ფორმის

პირობებში, ან დემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმში. დემოკრატია ნიშნავს კიდეც ხალხის ძალაუფლებას, რომელიც ორი ფორმით რეალიზდება – უშუალოდ და გაშუალებულად (ხალხის წარმომადგენლებით. ე.ი. იდეალურ ვარიანტში. დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლების სუბიექტი არის ხალხი და იგივეა ობიექტიც, რამეთუ გადასცემს რა საკუთარი ნებით ძალაუფლებრივ ფუნქციებს შესაბამის სტრუქტურებს, ხალხი, საზოგადოება მთლიანად იღებს საკუთარ თავზე ვალდებულება დაემორჩილოს მის მიერ არჩეულ ძალაუფლებას.

ცხადია, არადემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებში (ტოტალიტარიზმში, აუტორიტარიზმში) ამ თემაზე საუბარი გამორიცხულია.

პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტი და ობიექტი მისი ორი მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ მის სტრუქტურაში არსებობს კიდევ ერთი კომპონენტი – ძალაუფლების რესურსები. საკითხი ეხება იმ საშუალებებს, რომელთა ძალით პოლიტიკური ძალაუფლება ზემოქმედებს ადამიანთა საქმიანობასა და ქცევებზე.

პოლიტიკური ძალაუფლების რესურსები. პოლიტიკური ძალაუფლება თავისთავად არის უთანასწორობის ასიმეტრიის გამომხატველი ფენომენი. ზემოთ შევეხეთ სუბიექტსა და ობიექტს. პირველს მინიჭებული აქვს ბატონობის უფლება, მეორეს მხოლოდ მორჩილების. ხსენებული უთანასწორობა დაცული და შენარჩუნებულია უამრავი საშუალებებით, რომელსაც რესურსები ეწოდებათ და რომელთა საშუალებით ხორციელდება პოლიტიკური ძალაუფლება. ძალაუფლება რესურსებს იყენებს იმ მიზნით, რომ დაარწმუნოს, წაახალისოს, დასაჯოს „თავისი" ქვეშევრდომნი. რესურსების უდიდესი არსენალი არსებობს, მათგან ზოგიერთს შევეხებით.

ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი რ ე ს უ რ ს ე ბ ი. ძალაუფლების მოპოვება (ხელში ჩაგდება), მისი მიზნების რეალიზაცია და შემდეგ კი მისი შენარჩუნება უდიდეს ეკონომიკურ რესურსებს მოითხოვს. ჯერ-ერთი, პოლიტიკური ძალაუფლება საერთოდ ვერ იარსებებს ეკონომიკური რესურსების გარეშე. პოლიტიკური ძალაუფლებას, იქნება ეს მემკვიდრეობით გადაცემა, რევოლუციური გადატრიალება თუ არჩევნების დემოკრატიული პროცედურა ყოველთვის სჭირდება ეკონომიკური (ფულადი) რესურსები. არჩევნების ორგანიზება, ინაუგურაცია თუ მეფედ კურთხევა – ყოველივ ეს ძვირადღირებული პროცესია. მეორე, დასახული მიზნების, პროგრამების რეალიზება უზარმაზარ ეკონომიკურ ხარჯებს

მოითხოვს. ძალაუფლების მფლობელთა ყურადღების ცენტრში ყოველთვის მოქცეულია ეკონომიკური პოლიტიკა. აშშ პრეზიდენტები ხშირად თავიანთ პროგრამებს ლეგიზის ფორმით გამოხატავდნენ. ფ.რუზველტს – „ახალი კურსი" ქონდა ალბული, ჯ.კენედი „ახალ ზღუდეებს" ისახავდა მიზნად, ლ.ჯონსონმა დაიწყო „ომი სიღარიბის წინააღმდეგ". ყველა ჩამოთვლილი არსებითად ეკონომიკური პროგრამებია და მიზნად ისახავდნენ ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებას.

მესამე, ეკონომიკური სიძლიერე აუცილებელი ფაქტორია ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. პოლიტიკური ძალაუფლების მხარდამჭერი აპარატის შენახვა, ძალზე ძვირადღირებული პროცესია.

ეკონომიკურ რესურსებზე საუბარი დიდ ყურადღებას მოითხოვს. აქ იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტი, დიდი როლი ეკისრება საგადასახადო სისტემას. ეს არის არა მხოლოდ ბიუჯეტის შევსების წყარო, არამედ ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით წარმოებს საზოგადოებრივი კაპიტალის წარმოება და კვლაგწარმოება. მას „ეკონომიკურ სასწაულს" ეძახიან. ეკონომიკური რესურსები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად მას ეკონომიკურ ძალაუფლებას უწოდებენ, რადგან ეკონომიკური სიძლიერე ბევრად განაპირობებს პოლიტიკურ სიძლიერეს. ალბათ სწორედ ამიტომ ეკონომიკურ სფეროში ხშირად ხდება ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. საქმე ეხება პოლიტიკის მამებს შორის არსებულ კორუფციას, ღალატს და ა.შ., რომლის შესახებ ინფორმაციას ყოველდღიურად აქვეყნებს მსოფლიო პრესა. შეეხოთ სხვა რესურსებსაც.

ძ ა ლ ი ს მ ი ე რ ი რ ე ს უ რ ს ე ბ ი. პოლიტიკური ძალაუფლების ეს რესურსი ემსახურებიან ქვეყნის თავდაცვას, შინაგან წესრიგს, იცავენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, აღკვეთენ მის წინააღმდეგ ყოველგვარ ქმედებებს. ესენია – არმია, პოლიცია, უშიშროების სხვადასხვა სამსახურები, პროკურატურა, სასამართლო, ასევე მათი კუთვნილი ტექნიკა და მატერიალური საჭიროებები. გამოცდილება მოწმობს, რომ ამ რესურსებს ხშირად მიმართავს პოლიტიკური ძალაუფლება. ეს ქმედითი რესურსებია. ისინი ნერგავენ შიშს, რადგან მათი ამოძრავება ხშირად ემუქრება ადამიანთა თავისუფლებასა და ზოგჯერ სიცოცხლესაც. პოლიტიკური ძალაუფლება მათ მიმართავს უმეტეს შემთხვევაში საკუთარი სისუსტის დასამალად, ძალის რეანიმაციის მიზნით ან კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად. არმიას არა ერთხელ დაუმყარებია წესრიგი კონფლიქტურ სიტუაციაში.

პოლიტიკური სტრუქტურები დაინტერესებულები არიან, რომ მათ მიმართ ძალოვანი სტრუქტურები ლოიალურად იყონ განწყობილნი და

ამას ცდილობენ სხვადასხვა გზით. საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ ამ სტრუქტურებში მუშაობა პრესტიჟულია და სოლიდურად ანაზღაურებადი.

ძალოვან სტრუქტურებს ხშირად უშუალოდ უკავშირებენ სამხედრო ძალაუფლებას. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურებში დიდი ნაწილი უკავიათ სამხედროებს. როდესაც სამხედროები აკონტროლებენ ძალაუფლების ყველა სფეროებს. სამხედრო ორგანიზაციის სპეციფიკა შეიძლება გადატანილ იქნას სამოქალაქო სტრუქტურების საქმიანობაზე და ამ შემთხვევაში მივიღებთ პოლიციურ სახელმწიფოს ან სამხედრო გადატრიალების შედეგს.

სოციალური რესურსები. პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ეს ასევე მნიშვნელოვანი რესურსების ერთობლიობაა, რადგან უზრუნველყოფს არსებული ძალაუფლების მხარდაჭერას, დაინტერესებულნი არიან მის არსებობაში. აქ იგულისხმება პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი თანამდებობები და სხვადასხვა სახის პრივილეგიების სისტემა.

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკა წარიმართება ისე, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კმაყოფილია და დაინტერესებული არსებული პოლიტიკური წყობის შენარჩუნებაში იგულისხმება დაზღვევის ფართოდ მოქმედი სისტემა (მოსახლეობის დიდი ნაწილი დაზღვეულია და ამდენად მშვიდად არის), საპენსიო უზრუნველყოფის მაღალი დონე (ზოგან ხელფასის 90%), ფართოდ არის გავრცელებული ქველმოქმედება და ა.შ.

ინფორმაციული რესურსები. საკითხი ეხება მასმედიის, ძალაუფლების ყველაზე ახალგაზრდა რესურსებს. თუმცა „ახალგაზრდობა" არ ნიშნავს ნაკლებეფექტურობას. მას დიდი როლის შესრულება ძალუძს პოლიტიკური ძალაუფლების ფორმირების და ასევე ფუნქციონირების პროცესში. მისი სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციის (ფარული თუ ლეგალური) არსებობის პირობებში ის შეიძლება იქცეს ანტირესურსად. ხშირად მას „მეოთხე ძალასაც" უწოდებენ, რაც მიუთითებს მის დიდ შესაძლებლობებზე წარმართოს და ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი.

ჩამოთვლილი რესურსებიდან თითოეულ განსხვავებული როლი აკისრიათ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე. მაგალითად, როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს, ცხადია, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ ძალოვანი სტრუქტურები, ძალისმიერი რესურსები. სტაბილური ეკონომიკური და

პოლიტიკური განვითარების პირობებში წარმატებით მუშაობს ეკონომიკური და სოციალური რესურსები. როდის, რომელს და რა დოზით გამოიყენებს და რა შედეგები ექნება ეს მთლიანად დამოკიდებულია პოლიტიკური ძალაუფლების უნარზე.

პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციები, ფორმები და განსხვავებული დონე. ამ საკითხებს შედარებით მოკლედ შეეხებით.

პოლიტიკური ძალაუფლების ძირითადი ფუნქცია არის მთლიანად საზოგადოების (ქვეყნის, სახელმწიფოს) და მისი ყოველი სფეროს მართვა. უფრო კონკრეტულად – პოლიტიკური ძალაუფლების უმაღლესი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ პერმანენტულად არეგულიროს წინააღმდეგობა აუცილებელ წესრიგსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს შორის. აღნიშნული ამოცანების შესრულებაში ყოველ პოლიტიკურ სისტემას აქვს საკუთარი მიზნები და პროგრამები.

ყოველი პოლიტიკური ძალაუფლება პირველი დღიდანვე (ან უფრო ადრე) იწყებს ქვეყნის კონკრეტული პირობების (ეკონომიკური, პოლიტიკური) შესაბამისად მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. დიდი ყურადღება ეთმობა ოპოზიციას, სხვადასხვა ფენებისადმი დამოკიდებულების გააზრებას, ძალაუფლების უზრუნველყოფას რესურსებით და ა.შ.

მეორე ფუნქცია მჭიდრო კავშირშია პირველთან და მდგომარეობს თვით პოლიტიკური სისტემის დახვეწაში, აღებული სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის მობილიზებასა და ოპტიმიზაციაში.

პოლიტიკური ძალაუფლების მესამე ფუნქცია მდგომარეობს ქვეყანაში სტაბილიზაციის შენარჩუნებაში. სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ძალაუფლება ამას სხვადასხვაგვარად ახერხებს. მაგრამ ცხადია, რომ ამისკენ მიისწრაფის ყოველი ძალაუფლება, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მიზნის მიღწევა უშუალოდ დაკავშირებულია მის ლეგიტიმურობასთან, ხალხის მხრიდან ნდობის დამსახურებასთან.

პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ფიგურირებს პოლიტიკური ძალაუფლების ფორმის ცნება, რომელშიც იგულისხმება, ჯერ ერთი, ინდივიდუალური პოლიტიკური ძალაუფლება, როდესაც ძალაუფლებას ფლობს და ანხორციელებს ერთი ადამიანი (ნებისმიერი მონარქი) და მეორე, პოლიტიკური ძალაუფლების ინსტიტუციონალიზებული ფორმა, როდესაც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს და მის უფლებებს იცავს კონსტიტუცია.

პოლიტიკური ძალაუფლებაში ანსხვავებენ ფუნქციონალურად ურთიერთდაკავშირებულ სამ დონეს. უმაღლესი დონე – ძალაუფლების უმაღლესი ორგანოების მაკროპოლიტიკური დონე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო). საშუალო დონე – განსხვავებული რანგების ბიუროკრატია, რომელიც უმაღლეს რანგს აკავშირებს არაფორმალურ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, მოძრაობებთან, მოსახლეობასთან. მესამე დონე – პოლიტიკური ძალაუფლების მიკროდონე, უშუალო პოლიტიკური კავშირი ადამიანებთან, მცირე ჯგუფებთან. ამ დონეზე ყალიბდება ადამიანთა შეხედულებები პოლიტიკაზე, ფორმირდება მათი ზოგადი შეხედულებები, პოლიტიკური კულტურა მთლიანობაში.

პოლიტიკური ძალაუფლების განვითარების ტენდენციები. ძალაუფლება ჩნდება ადამიანებთან ერთად და მასთან ერთადვე განიცდის მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე შეიმჩნევა ძალაუფლების განვითარების გარკვეული მიმართულება და ტენდენციები. შევეხოთ ამ ტენდენციებს.

1. შეიმჩნევა პოლიტიკური ძალაუფლების დემოკრატიზაციის ტენდენცია. პოლიტიკური ძალაუფლების ფორმები, რომლებიც უშუალოდ ემყარებოდნენ ძალადობას,. დამორჩილებას, თანდათანობით უთმობენ ადგილს კონსენსუსსა და თვითმმართველობას. ე.ი. ვითარდება დემოკრატიული ტენდენციები, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იზრდება როლი სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობების, პოლიტიკური გაერთიანებების, ჩნდება სამოქალაქო საზოგადოებები.
2. ტენდენცია ძალაუფლების ლეგიტიმურობის ფაქტორის ზრდისა, რადგან ლეგიტიმურობა ითვლება ცივილიზებულობის ნიშნად. ამაზე მეტყველებს ყველა ქვეყნის მთავრობების სწრაფვა ხალხის მიერ მათი ლეგიტიმურობის აღიარებისაკენ.
3. როგორც ადრე აღინიშნა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა ჩადებულია არა თვით ძალაუფლებაში, არამედ მის გაუმარლებელ, დაუსაბუთებელ კონცენტრაციაში. მესამე ტენდენცია აღნიშნულ კონცენტრაციას უწევს წინააღმდეგობას, ეს არის ძალაუფლების დანაწილების ტენდენცია.
4. მეოთხე ტენდენცია ნეგატიურ პროცესს ასახავს, ეს არის ძალაუფლების განსხვავებული შტოებს შორის კონფლიქტების ზრდის

ტენდენცია. ეს ტენდენცია მაინცდამაინც ვერ უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

5. მეხუთე ტენდენციაც ნეგატიურად უნდა ჩაითვალოს. ეს არის ძალაუფლებრივი სტრუქტურების ბიუროკრატიულობის ზრდის დიდი ტემპები. ამ პროცესს ადგილი აქვს ყველგან და აქვს ნეგატიური შედეგები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული მმართველობითი ფუნქციების შესრულების პროცესში ბიუროკრატია ექცევა გარკვეული ჯგუფებისა და ინდივიდების გაკლენის ქვეშ. ცნობილია, რომ აღნიშნულ სიტუაციაში ბიროკრატია ყოველთვის არ ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი ინტერესებით.

სახელმწიფო – პოლიტიკური ინსტიტუტი

სახელმწიფოს ცნება, არსი, მახასიათებლები, ამოცანები, ფუნქციები. სახელმწიფოებრიული წყობის ფორმები თანამედროვე ეპოქაში. სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და ეკონომიკური განვითარების დონე. თანამედროვე სახელმწიფოების განვითარების ტენდენციები.

სახელმწიფოს ცნება, არსი, მახასიათებლები, ამოცანები, ფუნქციები. ყველა საზოგადოებრივი მეცნიერება თავის კვლევის ობიექტებში აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს. ამ ფენომენთან დაკავშირებით პოლიტოლოგიას თავისი ინტერესები გააჩნია. როგორც წინამდებარე პარაგრაფებში იყო ნაჩვენები ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ძირითადი საკითხი პოლიტიკური ძალაუფლების საკითხია. პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაციისა და საზოგადოებაში სოციალური პროცესების მართვის ფორმად გვევლინება სახელმწიფო. სახელმწიფოს შესწავლის პოლიტოლოგიური ასპექტი გულისხმობს სახელმწიფოს ისეთი ასპექტების ანალიზს, როგორებიცაა პოლიტიკური მახასიათებლები, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, პოლიტიკური მმართველობის ფორმები და ა.შ.

სახელმწიფოს რაობით მრავალი მკვლევარია დაინტერესებული, რომელთა ნააზრევში საბოლოოდ სახელმწიფოს არსი გაიგება, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე პოლიტიკური ერთობა, პოლიტიკური ძალაუფლებითა და სოციალური პროცესების მართვის თავისებური ორგანიზაციით გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. ეს ზოგადი განსაზღვრებაა და საჭიროებს დამატებით დახასიათებებს რათა შეიქმნას სრული შესედულება სახელმწიფოზე.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია სუვერენიტეტი – ანუ საგარეო დამოუკიდებლობა და შინაგანი ერთმმართველობა. სუვერენიტეტი ნიშნავს უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლების არსებობას,

რომლის სახელითაც ლებულობენ ყველა გადაწყვეტილებებს, ვალდებულებებს ყოველი მოქალაქისათვის. სახელმწიფო იცავს ყველას ინტერესებს და არა რომელიმე პოლიტიკური ძალებისა. მხოლოდ ის სცემს კანონებს და ანხორციელებს სამართალს.

სახელმწიფოს ახასიათებს აგრეთვე სპეციალური დაწესებულებების არსებობა, რომლებიც (მთავრობა, ჩინოვნიკების აპარატი, იძულების ორგანოები) ანხორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლებრივ ფუნქციებს.

სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მონოპოლური მდგომარეობა ძალადობის გამოყენებაზე. ე.ი. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს ძალადობის უფლება თავისი მოქალაქეების მიმართ. არსებობს ამის ორგანიზებული შესაძლებლობები – იძულების აპარატი.

სახელმწიფოს ახასიათებს ასევე გარკვეული იურიდიული წესრიგი, ის ქმნის და იცავს გარკვეული სტილის სამართლებრივ წესრიგს თავის ტერიტორიაზე – დროულ-სივრცული პარამეტრების გათვალისწინებით – კონკრეტულ ტერიტორიაზე და დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

სახელმწიფოს ძირითად მახასიათებლებში დიდი ადგილი უკავია ეკონომიკის მომენტს. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი წყარო და მთავარი შემადგენელი ნაწილი.

ცალკე უნდა გამოიყოს სახელმწიფოს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვანი არის საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური ასპექტის თვალსაზრისით. ასეთი ელემენტებია: ტერიტორია, მოსახლეობა, ხელისუფლება.

ტერიტორია – წარმოადგენს სახელმწიფოს მატერიალურ საფუძველს, მის სივრცობრივ არსს. ისტორია მოწმეა, რომ სწორედ ტერიტორიები იყვნენ ყოველთვის ყველანაირი პრეტენზიების, კონფლიქტებისა და ომების მიზეზები სახელმწიფოებს შორის. სახელმწიფოს ტერიტორიაში იგულისხმება ხმელეთი წიაღისეულით, საჰაერო სივრცე და ტერიტორიული წყლები. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

სახელმწიფოს მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია – მოსახლეობა ანუ ხალხი რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე და ექვემდებარება ამ ხელისუფლებას. სახელმწიფოს შეიძლება იყოს მონონაციონალური (იშვიათობაა) და მრავალეროვანი, რაც ხშირად კონფლიქტების წყაროა

და სახელმწიფო იძულებულია მათ რეგულირებას დიდი ყურადღება დაუთმოს. ეს კონფლიქტები ძლიერი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევიან, ხშირად სეპარატისტულ პროცესებს იწვევენ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მთლიანობას. არ არსებობს სახელმწიფო ხალხის გარეშე, მაგრამ შეიძლება არსებობდეს ხალხი სახელმწიფოს გარეშე, ებრაელები 1948 წლამდე, ქურთები -- დღემდე.

მესამე ძირითადი ელემენტი სახელმწიფოსთვის ეს არის სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, ხშირად ამ ასპექტში იყენებენ ხელისუფლების ცნებას, რომელიც შესაბამისი ორგანოების დახმარებით ანხორციელებს სოციალური პროცესების მართვას მოცემულ ტერიტორიაზე. იდეალურ ვარიანტში მას ევალება სუვერენობა, ეფექტურობა, სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

ისმება კითხვა – რა ამოცანები დგას სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის წინაშე? ეს არის პირველ რიგში, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, სოციალურ ჯგუფთა შორის შესაძლებელი კონფლიქტების გამოვლენა და დარეგულირება, ამ ინტერესთა ჰარმონიულობისა და თანხმობის მიღწევა. სახელმწიფოს ამოცანაა, არგეთვე, მოქალაქეთა თავისუფლებისა და უფლებების, მათი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა.

სახელმწიფოს არსი შედარებით სრულად ვლინდება მის ფუნქციებში. ტრადიციულად სახელმწიფოს ფუნქციებში გამოყოფენ – საშინაო და საგარეო ფუნქციებს. საშინაო ფუნქციებში იგულისხმება – არსებული პოლიტიკური წყობის, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის, წესრიგისა და კანონების, ადამიანის უფლებების დაცვა; სამეურნეო-ორგანიზაციული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფუნქცია, ეკონომიკის რეგულირება, ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და პროგრესის უზრუნველყოფა; სოციალური ფუნქცია, ე.ი. სოციალური პროგრამების შესრულება; კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია.

საგარეო ფუნქცია გულისხმობს საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების დაცვას.

ზოგადად სახელმწიფოზე სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს მისი კონსტიტუცია.

ჯერჯერობით ჩვენ შევეხეთ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის განსხვავებულ მახასიათებლებს, მის ძირითად ელემენტებს. ახლა შევეხოთ სახელმწიფოებრიობის ფორმებს, მათს ტიპოლოგიას.

სახელმწიფოებრივი წყობის ფორმები თანამედროვე ეპოქაში. თანამედროვე შეხედულია გამოირჩევა სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმების უკიდურესი მრავალფეროვნებით. სახელმწიფოს მოწყობის ფორმაში გასარკვევად ხშირად დიდ დახმარებას გვიწევს მისი სახელწოდება. მხედველობაში გვაქვს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, სახელმწიფო-ქალაქი ვატიკანი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შვეიცარიის სამეფო, ირანის ისლამური რესპუბლიკა და ა.შ.

სახელმწიფოთა ტიპოლოგიის პოლიტოლოგიური ანალიზი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საფუძველზე კეთდება მოცემული კლასიფიკაცია. პირველად სახელმწიფოთა ტიპოლოგია მოგვცა პლატონმა და არისტოტელემ. მათ სახელმწიფოთა ტიპოლოგიას საფუძვლად დაუდეს ის თუ ვინ არის ძალაუფლების სათავეში. თუ ერთი პიროვნება – ეს არის მონარქია, რომელსაც შეესაბამება მმართველობის ფორმა, წოდებული ტირანიად. თუ რამოდენიმე პიროვნება – ეს არის არისტოკრატია (ან ოლიგარქია), თუ მოქალაქეთა დიდი ნაწილი, ე.ი. პოლიტია (დემოკრატია).

აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული ტიპიური იყო სახელმწიფოთა დაყოფა მონარქიად და რესპუბლიკად. ასეთი დაყოფა შემოგვრჩა მე-XIX საუკუნემდე. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, თუმცა დღეისათვის სახელმწიფოთა კლასიფიკაციის საფუძვლად ძირითადში მიღებულია ძალაუფლების განხორციელების მეთოდები. ე.ი. თანამედროვე სახელმწიფოთა ტიპოლოგია დამოკიდებულია იმ კრიტერიუმებზე, რომელთა შესაბამისად ხორციელდება ეს კლასიფიკაცია. ასეთი კრიტერიუმებია: მმართველობის ფორმები, ძალაუფლების მეთოდები, ტერიტორიული ორგანიზაცია, დამოკიდებლება რელიგიისადმი და სხვა.

მმართველობის ფორმების მიხედვით სახელმწიფოები იყოფიან მონარქიად და რესპუბლიკად. მონარქიის ინსტიტუტმა დღემდე შემოინახა თავი.

მონარქია არსებობს კონსტიტუციური და აბსოლუტური. კონსტიტუციური მონარქიაში, მონარქის უფლებები შეზღუდულია კონსტიტუციით, კანონით, საკანონმდებლო აქტებით. საპარლამენტო მონარქიაში ძალაუფლება ეკუთვნის პარლამენტს და არა სახელმწიფოს მეთაურს მონარქის სახით.

როგორ შემოინახა დღემდე თავი მონარქიამ? რამ განაპირობა მის არსებობა თანამედროვე ეპოქაში? მრავალი ქვეყნისათვის (განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე) მონარქიის ინსტიტუტი წარმოდგენილია როგორც

ეროვნული ერთიანობის სიმბოლო, როგორც მისი პოლიტიკური სისტემის ურყევობა, რადგან მონარქის ძალაუფლებას ვერაფერს უშაევებს პოლიტიკურ ძალთა ბატალიები. ტრადიციულად მონარქის მოვალეობაა წარმოადგინოს ქვეყანა საზღვარგარეთ. თუმცა ხშირად მონარქები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ესპანეთის მეფემ ხუან კარლოს I ორჯერ ჩაახშო ფრანკისტული პუტჩი. მონარქია უზრუნველყოფს პოლიტიკურ მემკვიდრეობითობას, იცავს ტრადიციებს, პოლიტიკურ კულტურას, ფაქტობრივად დიდად განაპირობებს ქვეყნის სტაბილურობასა და პროგრესს.

კონსტიტუციურის გარდა არსებობს აბსოლუტური მონარქია, სადაც სახელმწიფო იმართება კონსტიტუციისა და ხშირად პარლამენტის გარეშე. სულთანებს ხშირად აქვთ კვაზიპარლამენტები (მრჩეველთა მცირე რიცხვი). აღმოსავლეთის მონარქების მახასიათებელი ნიშნებია ძალაუფლების მონოპოლია, აბსოლუტიზმი და კომპეტენტურობა, რამაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნების წარმატებულ მოდერნიზაციაში.

მონარქია არის მრავალ ქვეყანაში. ბევრგან კი ძლიერია მონარქისტული განწყობა და მიდრეკილებები (რუმინეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, რუსეთი).

მმართველობის ფორმას, სადაც ძალაუფლების ორგანოებს ირჩევს ხალხი ეწოდება რესპუბლიკა – საპრეზიდენტო ან საპარლამენტო. ტიპიური საპრეზიდენტო რესპუბლიკა არის აშშ. საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა იმით გამოირჩევა, რომ პრეზიდენტი და პარლამენტი (კონგრესი) ცალ-ცალკე აირჩევიან, რაც აძლიერებს მათს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას. კონგრესი ვერ დაშლის მთავრობას და ვერ გადააყენებს პრეზიდენტს, შეუძლია დასვას საკითხი იმპიჩმენტის თაობაზე. თავის მხრივ პრეზიდენტი ვერ დაშლის პარლამენტს და ვერ დანიშნავს ახალ არჩევნებს. საპრეზიდენტო რესპუბლიკა ვერ დამკვიდრდა ევროპაში, უფრო გავრცელდა ლათინურ ამერიკაში. ევროპაში უფრო გავრცელდა საპარლამენტო მონარქია (დიდი ბრიტანეთი, დანია, შვედეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ესპანეთი), საპარლამენტო რესპუბლიკებია (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, ავსტრია, ფინეთი). საფრანგეთს, პორტუგალიას და ფინეთს აქვთ თავისებურებები, აქვთ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები და ზოგჯერ მათ ნახევრად-საპარლამენტო ქვეყნებს ეძახიან.

მმართველობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოთა ტიპოლოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს უფრო შეიმჩნევა საპრეზიდენტო და

საპარლამენტო ფორმათა სიმრავლე, ვიდრე მონარქიულ ან რესპუბლიკური ფორმის ქვეყნები.

სახელმწიფოთა კლასიფიკაციისათვის საფუძვლად გამოდგება მათი ნაციონალურ-ტერიტორიული ორგანიზაცია. ამის შესაბამისად გვაქვს სახელმწიფოების უნიტარული, ფედერაციული და კონფედერაციული სახესხვაობები.

უნიტარული – ნიშნავს ერთიან ქვეყანას, ერთიანი კონსტიტუციითა და მოქალაქეობით, ძალაუფლების ორგანოების ერთიანი უმაღლესი სისტემით.

როგორც წესი ეს არის მონონაციონალური სახელმწიფო. მაგრამ თუ არიან სხვა ეროვნების წარმომადგენლები მათი პრობლემები გადაიჭრება ავტონომიური წარმონაქმნებით (ესპანეთი, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი).

ფედერაცია – ეს ისეთი სახელმწიფოებია, რომელთაც აქვთ საკუთარ თავში შემავალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები (რესპუბლიკა, შტატები, კანტონები, პროვინციები, მიწები), რომელთაც აქვთ გარკვეული დამოუკიდებლობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, კანონმდებლობა. ფედერაციის ნიშნებია ერთიანი კონტროლი ფედერალური ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. ფედერაციის სუბიექტებს არა აქვთ უფლება ფედერაციიდან გასვლისა. ფედერაციის სუბიექტებს აქვთ სხვა მნიშვნელოვანი უფლებები.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული პრინციპით შექმნილი ფედერაციები უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ (აშშ, მექსიკა, გერმანია, ავსტრია), ვიდრე ეროვნულ-ტერიტორიული პრინციპებით შექმნილი (იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, სსრკ).

რაც შეეხება კონფედერაციას – ისინი უფრო სუსტი სახელმწიფოებრივი გაერთიანებებია. ისინი არსებობდნენ დროის მოკლე მონაკვეთებით და ძალიან მალე იშლებოდნენ ან გადაიქცეოდნენ ფედერაციად.

სახელმწიფოების კლასიფიკაცია შესაძლებელია მათი რელიგიებისადმი დამოკიდებულებებისდა მიხედვით. სახელმწიფო შეიძლება იყოს საერო და რელიგიური. რელიგიურ სახელმწიფოებს მართავენ სასულიერო პირები. გაბატონებული რელიგია მმართველობის საფუძველია. მსგავსი სტრუქტურები იძენენ მნიშვნელობებს ისლამურ სახელმწიფოებში (ირანი, პაკისტანი).

სახელმწიფოებრივი წყობის ფორმათა დიდი მრავალფეროვნება ახასიათებთ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის ქვეყნებს ან გან-

ვითარებად ქვეყნებს, სადაც გვხვდება აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქიები, სამხედრო დიქტატურა, ხუნტის ავტოკრატიული მონოპოლიები, ან მონოპოლია ამა თუ იმ პარტიისა, გვაროვნული კლანისა.

სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და ეკონომიკური განვითარების დონე. არსებობს თუ არა კავშირი ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ დონესა და მმართველობის ფორმას შორის ძალზე ძნელი საკითხია. თუმცა ასეთი კავშირი მაინც არსებობს. უკანასკნელმა საუკუნემ გამოამზეურა რიგი კანონზომიერებები. არ არის შემთხვევითი, რომ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების პირველი ათეული დემოკრატიული ქვეყნებია. მმართველობის რესპუბლიკური ფორმა კარგად განვითარებული დემოკრატიული რეჟიმით უზრუნველყოფს როგორც წესი, მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. ასევე კანონზომიერ ხასიათს ატარებს ეკონომიკური განვითარების დონის ტემპების დაცემა გარდამავალ ეპოქაში.

შეიძლება ისაუბრო სხვა კანონზომიერებებზეც, მაგრამ რაიმე, ყველასათვის მისაღები რეცეპტების შემუშავება, როგორც ჩანს, შეუძლებელია. შეიძლება დავასახელოთ რიგი მაღალგანვითარებული ქვეყნები, ცხოვრების მაღალი დონით, სადაც მმართველობის ფორმა არის აბსოლუტური მონარქია. ცხადია ეს არის ქვეყნები სადაც ნავთობმრეწველობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. მაგრამ ბუნებრივი პიროებები არ არის მთლიანად გადამწყვეტი მომენტი. ჰონკონგს, პრაქტიკულად არც წიაღისეული გააჩნია და არც სოფლის მეურნეობისათვის ძალიან სასარგებლო მიწები, მაგრამ შეიქმნა 5მლნ ადამიანისათვის ეკონომიკური აყვავების პირობები. ანალიზისათვის მნიშვნელოვან მასალას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ჩინეთის ფენომენი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. ჩინელი პოლიტოლოგები თვლიან, რომ ღარიბი ეკონომიკა ცუდი საფუძველია დემოკრატიისათვის. ჯერ უნდა შეიქმნას ძლიერი ეკონომიკა და შემდეგ მის საფუძველზე უნდა იფიქრო „საშუალო კლასის" შექმნაზე, საზოგადოების პოლიტიკურ დემოკრატიაზე და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე.

პროგრესის საკითხებში დიდი გამოცდილება აქვთ დემოკრატიულ ქვეყნებს, თანაც ეს გამოცდილება განსხვავებულია და დამოკიდებულია იმათ პოზიციებზე, ვინც ძალაუფლების სათაურებთან არიან. ესენი შეიძლება იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და კონსერვატორები (ნეოკონსერვატორები).

სოციალ-დემოკრატების პოზიციები ძლიერი იყო ევროპაში 60-70-იან წლებში. ეკონომიკის ორგანიზაციაში მათ უპირატესობა მიანიჭეს სახელმწიფოს, მის ჩარევას ეკონომიკის საკითხებში და თვლიან, რომ დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს სოციალურ სტრუქტურებში თანდათანობითი ცვლილებები დემოკრატიული სოციალიზმის მიმართულებით. სახელმწიფოს ფუნქციებია ეკონომიკის რეგულირება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, სამედიცინო მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა. მაგალითისათვის, შვედეთმა საგადასახადო პოლიტიკა გამოიყენა შემოსავლების გადანაწილებისათვის, დასაქმების სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის, შვედეთშიც კი სადაც სოციალ-დემოკრატები სხვაზე მეტ ხანს იყვნენ ქვეყნის სათავეში, სახელმწიფოს მათმა კონცეფციამ მაინც მოაქცია საზოგადოება ჩიხში და იძულებული იყვნენ დაეთმოთ ასპარეზი ლიბერალებისათვის.

ლიბერალებსა და ნეოკონსერვატორებს აქვთ განსხვავებული ეკონომიკური დოქტრინა სახელმწიფოს როლის შესახებ (80-იან წლებში ევროპის უმრავლეს ქვეყნებში სათავეებთან ისინი დადგნენ). მათი პოზიცია არის სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკონომიკაში. თავისუფალი მეწარმეობა არაფრით არ უნდა იქნეს შეზღუდული. მრეწველობის ობიექტები დენაციონალიზირებული უნდა იქნას. საგადასახადო პოლიტიკით დახმარება უნდა გაეწიოს მცირე და საშუალო ბიზნესს, რამდენადაც თავისუფალ წარმოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პროფკავშირების როლი შეზღუდულია. ე.ი. ლიბერალებისა და ნეოკონსერვატორების ძირითადი იდეა არის ეკონომიკური თავისუფლების იდეა.

თანამედროვე პირობებში შეიმჩნევა სოციალ-დემოკარტებისა და ლიბერალ-ნეოკონსერვატორების დაახლოების ტენდენცია. პირველებმა აღიარეს თავისუფალი ბაზარი, ლიბერალებმა აღიარეს ზოგიერთი ეკონომიკური პროცესების რეგულირების აუცილებლობა. ორივე აღიარებს ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას.

თანამედროვე სახელმწიფოების განვითარების ტენდენციები. არცერთი პოლიტიკური სისტემა არ ხასიათდება ძლიერი მდგრადობით, არ არის გაყინული წარმონაქმნი. ის ყოველთვის ვითარდება, იცვლება, ინგრევა ან თანდათანობით იხვეწება. პოლიტიკურ სისტემათა აღნიშნულ დინამიზმსა და ცვალებადობაში შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ტენდენცია.

დღეისათვის მრავალი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია სწრაფვა ჩამოაყალიბონ ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა ბევრი ევროპული ქვეყნის კონსტიტუციაში. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, პირველ რიგში, მოიაზრება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე მოდელი გულისხმობს, როგორც წარსულის გამოცდილებიას, ასევე უკანასკნელი წლების მიღწევებს, დემოკრატიის პრინციპების, ადამიანთა უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ ახლებურ შეხედულებებს. სამართლებრივი სახელმწიფო ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სამართლის უზენაესობა, საზოგადოებაში ბატონობს კანონი და არა ადამიანები; ადამიანის უფლებების დეკლარაციიდან გამომდინარე მოქალაქეთა მაქსიმალური უფლებების და თავისუფლების დოზა საზოგადოებაში; ძალაუფლების დანაწილების განხორციელებული პრინციპი; სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთპასუხისმგებლობა, როდესაც ორივე მხარე პასუხს აგებს კანონების დაცვაზე; მოქალაქეთა მხრიდან კანონის პატივისცემა, სამართლებრივი ცნობიერებისა და პოლიტიკური კულტურის თანაგრძნობა; საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპებისა და პროცედურების, მნიშვნელოვანი პრინციპის „რაც არ არის აკრძალული ნებადართულია" დაცვა.

ცხადია განსხვავებულ ქვეყნებში ეს პრინციპი განსხვავებულად ხორციელდება. მთელ რიგ ქვეყნებში – ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში – საკმაოდ ახლოს მივიდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილ მოდელთან.

თანამედროვე სახელმწიფოთა განვითარებაში გამოიკვეთა აბსოლუტური სუვერენიტეტის საწინააღმდეგო ტენდენცია, ტენდენცია დემოკრატიული შეზღუდვებისა. ახლო წარსულში ნებისმიერი მცდელობა ნებისმიერი ქვეყნისადმი რაიმე რეკომენდაციის მიცემისა მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან განიხილებოდა, როგორც ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის მცდელობად. დღეისათვის ურთიერთგადაჯაჭვული მსოფლიო ცალკეული პრობლემების (ომის, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ამა თუ იმ ქვეყნისაგან მოითხოვს მისი სუვერენიტეტის გონიერ შეზღუდვას. ატომური კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის მოთხოვნა არ უნდა იქნას გაგებული როგორც ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა.

ასევე შესამჩნევ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ტენდენცია თანამედროვე სახელმწი-

ფოებში. ადგილი აქვს ძალაუფლების გადანაწილებას უფრო დაბალი დონის სტრუქტურებში ე.წ. ადგილებზე, რაც ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს. ფართო მასების ჩართვას პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში.

მნიშვნელოვან ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის მოვლენების არსებობა თანამედროვე ქვეყნებში. მხედველობაში გვაქვს ერთი მხრივ, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ინტეგრაციისაკენ სხვადასხვა ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯები. იქმნება ძალაუფლების ზენაციონალური ორგანოები – ევროპარლამენტი, ევრომთავრობა, გაერთიანებული ვალუტა და ა.შ. მეორე მხრივ, მხედველობაში გვაქვს ადვილად შესამჩნევი გამოღვიძება ეროვნული მოძრაობებისა, უკვე არსებული სახელმწიფოების დაშლა. სსრკ, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, დეზინტეგრაციონული პროცესები სხვა რეგიონებში, უნიტარულ სახემწიფოებში. ბელგიის მაგალითი, სადაც თანამედროვე სიტუაცია მიდის ქვეყნის ტერიტორიის სამ ენობრივ ერთობად დაყოფისაკენ. ფრანგულ, გერმანულ, ნიდერლანდურ ჯგუფებს არ სურთ დაახლოება, მიისწრაფიან ფედერალისტური ტრანსფორმაციისაკენ დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბების პერსპექტივით. სწრაფვა თაკისთავადობისა და გამოცალკევებისაკენ შეიძლება ჩაითვალოს დადებით პროცესებად, გაგრამ მათ თან სდევს ეთნოკონფლიქტები,რომლებიც ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემას საფუძველს ურყევენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა – ეს არის თანამედროვე სახელმწიფოების სწრაფვა შეიქმნან საკუთარი იდეოლოგია, საზოგადოების გამაერთიანებელი იდეოლოგია. თუ სახელმწიფოს არა აქვს გამაერთიანებელი იდეა ის კარგავს ინტერგაციულ ძალას. ეს განსაკუთრებით საშიში ტენდენციაა მრავალეროვანი სახელმწიფოებისათვის, რომლის შემდგომი ნაბიჯია სეპარატისტული იდეოლოგიის ჩასახვა და შესაბამისი შედეგები.

თანამედროვე ქვეყნებს ახასიათებთ მმართველი ბიუროკრატიული აპარატის შეკვეცა და მისი შენახვისათვის გაწეული ხარჯების შემცირება. ეს ვითარებაც შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ ტენდენციად, რადგან ბიუროკრატიულ აპარატს გააჩნიათ საკუთარი ეგოისტური ინტერესები, რომლებიც ხშირად არ ემთხვევიან სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

პოლიტიკური რეჟიმი

„პოლიტიკური რეჟიმი" – პოლიტოლოგიის კატეგორია, მისი არსი. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. ტოტალიტარული რეჟიმი. ავტორიტარული რეჟიმი. ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების დემოკრატიულში ტრანსფორმაციის პერსპექტივები. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ურთიერთკავშირი.

„პოლიტიკური რეჟიმი" – პოლიტოლოგიის კატეგორია, მისი არსი. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ სრული წარმოდგენისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მმართველობის აქ არსებული ფორმის ცოდნა, საჭიროა გავერკვეთ აქ გაბატონებულ რეჟიმში. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ხშირად პოლიტიკური ძალაუფლება განსხვავდება კონსტიტუციით აღიარებული მმართველობის ფორმისაგან. ამ ვითარებაში გარკვევა აუცილებელია.

პოლიტიკური რეჟიმის ცნების ქვეშ იგულისხმება იმ მეთოდებისა და საშუალებების არსენალი, რომელთა მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკური ძალაუფლება. ეს არის საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, იმ პოლიტიკური კლიმატის დახასიათება, რომელიც არსებობს ქვეყანაში, მისი განვითარების ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე. პოლიტიკური რეჟიმის საკმაოდ ზუსტ განსაზღვრებას იძლევა პოლონელი პოლიტოლოგი ე.ვიატრი. მისი აზრით პოლიტიკური რეჟიმი არის კონსტიტუციური წესრიგის კონკრეტული პრაქტიკული რეალიზაცია. ე.ი. პოლიტიკური რეჟიმი არის ის რეალობა, რომელიც შექმნა არსებულმა კონსტიტუციამ. უნდა ითქვას, რომ ეს განმარტება საკმაოდ ზოგადია. პოლიტიკურ რეჟიმზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა გავცეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე.

1. როგორ ჩამოყალიბდა მოცემული პოლიტიკური რეჟიმი? საკითხი ეხება იმას თუ როგორ იყო პოლიტიკური ძალაუფლების არჩევნები?

2. რა ხასიათის პოლიტიკური დაჯგუფებები მოვიდნენ მმართველობაში? ამ კითხვაზე პასუხი ნათელს გახდის, თუ რა მიზნები აქვთ გამარჯვებულ დაჯგუფებებს. ცხადია, რომ განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ დემოკრატიულ ძალებს, სამხედრო ელიტას, ექსტრემისტულ ჯგუფებს.

3. პოლიტიკური ბატონობის რა მეთოდებს ეძლევათ უპირატესობა – დემოკრატიულს თუ ძალისმიერს?

4. რომელი პარტიები იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის? კომუნისტური, ლეიბორისტული, დემოკრატიული? რა მიზნებს ისახავენ ეს პარტიები?

5. დასაშვებია თუ არა პოლიტიკური ოპოზიცია და რა დოზით? ოპოზიციის არსებობა გულისხმობს აზრის თავისუფლებას, მასმედიის დამოუკიდებლობას. ასევე გულისხმობს ძალაუფლების სტრუქტურების კრიტიკის შესაძლებლობას და ა.შ.

6. როგორია პიროვნების მდგომარეობა ამ ქვეყანაში? პირველ რიგში, პიროვნების უფლებების ფაქტობრივი რეალიზებადობა, მისი დონე.

მრცემულ კითხვებზე კომპლექსური პასუხი ზუსტ სურათს მოგვცემს პოლიტიკური რეჟიმის შინაარსის შესახებ. ამ კითხვების საფუძველზე ფორმირდება პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაციის კრიტერიუმები. მათს საფუძველზე გვაქვს პოლიტიკური რეჟიმის ორი დიდი ჯგუფი: დემოკრატიული და არადემოკრატიული. არადემოკრატიულში იგულისხმება – ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები. შევეხოთ მათ უფრო დეტალურად.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. დემოკრატია (ბერძნ. demos – ხალხი და kratos – ძალა) ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას. მაგრამ ვითარება, რომ მთელი ხალხი განხორციელებდეს ძალაუფლება – ეს არის ილუზია, ან მხოლოდ იდეალი. რეალური დემოკრატია არის ხალხის მიერ აოჩეულთა ძალაუფლება. ამას ეწოდება – წარმომადგენლობითი დემოკრატია.

დემოკრატიული რეჟიმი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყარო არის ხალხი. ის ირჩევს წარმომადგენლებს, აძლევს მათ ნებისმიერი საკითხის გადაჭრის უფლებას. არჩევნებში დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეიძლება მხოლოდ შემდეგ არჩევნებში. კანონი დემოკრატიის პირობებში ყველას ერთნაირად იცავს, ხალხს ძალაუფლების აღვირახსნილობისაგან, ძალაუფლებას ხალხის რისხვისაგან.

2. დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური ძალაუფლება ლეგიტიმური ხასიათისაა და თავის ნებას ანხორციელებს კანონის შესაბამისად. პოლიტიკური ძალაუფლება კანონის ფარგლებში დიდ უფლებებს ანიჭებს ხალხს. აქ მოქმედებს პრინციპი – ნებადართულია ყველაფერი- რაც კანონით არ არის აკრძალული.

3. დემოკრატიულ საზოგადოებას ახასიათებს ძალაუფლების დაყოფა. ეს ნიშნავს, რომ ერთმანეთს დაცილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო უფლებები, რაც გამორიცხავს ძალაუფლების ერთ ხელში კონცენტრაციას, მეტიც დანაწილება მათი უფლებების გაწონასწორების საშუალებაცაა.

4. დემოკრატიული რეჟიმი უფლებას აძლევს ხალხს მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკური საკითხების შემუშავებასა და გადაჭრაში. ეს გარანტირებულია კონსტიტუციით.

5. დემოკრატიული რეჟიმის მნიშვნელოვანი ნიშანია პოლიტიკური პლურალიზმი. ორი ან მრავალპარტიული სისტემა, პარტიათა ქიშპობა დასაშვებია. ოპოზიცია ადგენს ალტერნატიულ პროგრამებს, აკონტროლებს მმართველ ძალას თავისი ფრაქციების მეშვეობით.

6. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა ადამიანის უფლებების რეალიზაციის მაღალი დონე. აქ იგულისხმება ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის წესები და პრინციპები. ადამიანის უფლებები მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მოქმედებს 50-მდე პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც აღიარებენ და სამართლებრივად აკანონებენ ადამიანის უფლებებს. მათ შორისა 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული – ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია; 1950 წელს მიღებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენცია; 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა არაადამიანური და დამამცირებელი სახის ქცევების წინააღმდეგ; 1990 წლის ახალი ევროპის პარიზულ ქარტია და სხვ.

ტოტალიტარული რეჟიმი. ტოტალიტარიზმი (ლათ. totalis) ნიშნავს სრულს, მთლიანს. ეს ცნება ეკუთვნის იტალიური ფაშიზმის იდეოლოგს ჯ.ჯენტილეს. 1925 წლიდან ბ.მუსოლინი პოლიტიკურ გამოსვლებში იყენებს მას.

ტოტალიტარული რეჟიმი ხასიათდება სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური კონტროლით საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ

ყველა სფეროზე, ადამიანის სრული დაქვემდებარება პოლიტიკურ ძალაუფლებასა და გაბატონებულ იდეოლოგიაზე.

ყოველ ქვეყანაში, სადაც გაჩნდა და განვითარდა ტოტალიტარული რეჟიმი მას სპეციფიკური ნიშნები ჰქონდა. ამავე დროს მას გააჩნია ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ყველა ფორმის ტოტალიტარიზმისათვის არის დამახასიათებელი და ასახავს მის არსს. ესენია:

1. ძალაუფლების უდიდესი კონცენტრაცია, მისი გავლენა სოციალური ყოფის ყველა მხარეზე. ტოტალიტარული ცნობიერებისათვის არ არსებობს ცნება „ძალაუფლება და ხალხი", ის მოიაზრება, როგორც ერთიანი, მთლიანი და მას უპირისპირდება „მტრები" – საშინაო თუ საგარეო. პარადოქსულია, მაგრამ ხალხს, რომელსაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია დარწმუნებულია, რომ არსებული ძალაუფლება უკეთ გამოხატავს მის ინტერესებს, ვიდრე თვით ის.

2. ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელია ერთპარტიულობა. არსებობს ერთადერთი პარტია, ხარიზმატიკული ლიდერით, ხოლო პარტიული ორგანიზაციები მთლიანად წარმართავს სამეურნეო-ორგანიზაციულ საქმიანობას.

3. საზოგადოებრივი ცხოვრების სრული იდეოლოგიზირება. მოსახლეობის სრული იდეოლოგიური დამუშავება. ტოტალიტარული იდეოლოგიის საფუძველია წარმოდგენა იმისა, რომ ისტორია არის მოძრაობა ერთი მიმართულებით, ერთი მიზნისაკენ (მსოფლიო ბატონობა, კომუნიზმი), რომლის მისაღწევად ყველა საშუალება მისაღებია. ეს იდეოლოგია გულისხმობს სხვადასხვა მითებს (არიული რასის ზეობა, კლასის ხელმძღვანელი მისია, ისტორიული კანონზომიერება).

4. ტოტალიტარიზმს ახასიათებს მონოპოლია ინფორმაციაზე, სრული კონტროლი მასმედიაზე. ეს იწვევს მასმედიის ცალმხრივობას, ის არის პოლიტიკური ძალაუფლების სრული მორჩილი და სრულად იმყოფება მის სამსახურში.

5. სრული მონოპოლია შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებზე. არმია, პოლიცია, სხვა ძალოვანი სტრუქტურები ძალაუფლების სრულ მორჩილებაში.

6. ადამიანთა ქცევაზე სრული კონტროლისათვის შექმნილი ძალადობის დახვეწილი სისტემა. ამ მიზნისათვის შექმნილია შრომითი და კონცენტრაციული ბანაკები, გეტოები – მძიმე შრომით, წამებით, ნების დათრგუნვით, მასობრივი მკვლელობებით და ა.შ. (სსრკ შეიქმნა გულაგის სისტემა: ეს იყო 53 კონცლაგერი, 425 კოლონია, 50 არასრულწლოვანთა

ბანაკი). მუშაობს რეპრესიული აპარატი. კეთდება ყველაფერი, რათა არ იჩინოს თავი ოპოზიციამ და თავისუფალმა აზრმა და ა.შ.

7. ტოტალიტარული რეჟიმები ფუნქციონირებენ შემდეგი კანონის შესაბამისად: აკრძალულია ყველაფერი, გარდა ნებრძანებისა. ამ პრინციპით ზრდიან თაობებს. ადამიანი უნდა იყოს მოკრძალებული ყველაფერში - სურვილებში, ტანსაცმელში, ქცევაში, არ უნდა განსხვავდებოდეს სხვებისაგან, ინდივიდუალობა და ორიგინალურობა გამორიცხულია, ინერგება ღალატი, დასმენა, მლიქნელობა და სხვ.

ეს ტოტალიტარიზმის ზოგადი ნიშნებია. არის ასევე სპეციფიკური ნიშნებიც, რომლებითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტოტალიტარული რეჟიმები – კომუნისტური, ფაშისტური და ნაციონალ-სოციალიზმი.

კომუნისტური ტოტალიტარიზმი ყველაზე სრულად ავლენს ტოტალიტარიზმის ზოგად ნიშნებს.

ტოტალიტარიზმის მეორე ტიპი – ფაშიზმი ჩნდება იტალიასა და გერმანიაში (1922წ.). ის ეყრდნობა ძლიერ დაუნდობელ ძალაუფლებას, რომელსაც ფლობს ავტორიტარული პარტია და პიროვნების კულტი. იტალიური ფაშიზმისათვის დამახასიათებელია სწრაფვა რომის იმპერიის აღდგენისაკენ.

რაც შეეხება ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმების მესამე ტიპს – ნაციონალ-სოციალიზმს (1939წ. გერმანია), მან კომუნიზმისა და ფაშიზმის ყველა ნიშნები გააერთიანა. მიზანი არიული რასის ბატონობა.

ავტორიტარული რეჟიმი. ავტორიტარული (ლათ. autoritas - ძალაუფლება) სახელმწიფო წყობის რეჟიმი არის ერთი პიროვნების ან ჯგუფის დიქტატურა. ამავე დროს სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება ეკონომიკაზე, კულტურაზე, რელიგიაზე და ა.შ.

ისტორია მოწმობს, რომ ავტორიტარული რეჟიმი ჩნდება იქ, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფო წყობის შეცვლას, ძალთა ძლიერ პოლარიზაციას, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი ჭიანურდება. ე.ი. სადაც ადგილი აქვს ე.წ. გარდამავალ პერიოდს. ასეთი ვითარებები ხშირია და შეიძლება ვთქვათ, რომ ავტორიტარული რიჟიმი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში.

ავტორიტარული რეჟიმის აღმოცენების პირობები განაპირობებენ მის მიზანს. ვთქვათ ქვეყანაში წესრიგია დასამყარებელი. მიზანი თავის მხრივ განაპირობებს მისი მიღწევის საშუალებებს.

ავტორიტარული რეჟიმის აღმოცენების პირობები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, ამიტომ განსხვავებულია მათი ხასიათიც. ჩვენ შეეცდებით ჩამოვაყალიბოთ ზოგადი თვისებები და ასევე განვასხვაოთ ტოტალიტარიზმი და აუტორიტარიზმი.

ავტორიტარიზმის ზოგადი ნიშნებია:

1. ხალხი ჩამოცილებულია ძალაუფლებას, რომლის მატარებელია ან ერთი პიროვნება ან ჯგუფი. ეს შეიძლება იყოს ხარიზმატიკული ლიდერი, სამხედრო ხუნტა, დიქტატორული რეჟიმი და ა.შ. ავტორიტარული რეჟიმი აჩენს უფსკრულს ხალხსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის. ამ უფსკრულზე ხიდის გაღება არც ერთ მხარეს არ უნდა.

2. ერთიანი იდეოლოგიის არარსებობა. აუტორიტარული ლიდერები ტოტალიტარულისაგან განსხვავებით არ მალავენ და არ ესწრაფვიან მალალ მიზნებს, თვლიან, რომ დღეს საზოგადოებას სჭირდება ხსნა, რომლის შემდეგ თითქოსდა მზად არიან წავიდნენ პოლიტიკური სცენიდან.

3. რეჟიმი ეყრდნობა ძალას. ეს საჭირო შემთხვევაში. მაგრამ, უნდა ითქვას, რეპრესიებს არ მიმართავენ. მეტიც, ზოგჯერ, როდესაც წარმატებები ხელშესახებია, მაშინ პოპულარობითაც სარგებლობს.

4. პოლიტიკის მონოპოლია. პოლიტიკა პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციაა. პოლიტიკის სხვა სუბიექტები არ არსებობენ. მაგალითად, პოლიტიკური ოპოზიცია, პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და ა.შ. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დაშვებულ იქნას პროფკავშირები ან რაიმე პარტიები, მაგრამ მკაცრი კონტროლის ქვეშ.

5. უარი საზოგადოების ტოტალურ კონტროლზე. მუშაობს პრინციპი „ნებადართულია ყველაფერი – გარდა პოლიტიკისა" მკაცრად კონტროლდება მხოლოდ საკუთარი უშიშროება, თავდაცვა, საზოგადო წესრიგი, საგარეო პოლიტიკა, სხვა სფერო სახელმწიფო კონტროლის გარეთაა – რელიგია, კულტურა, ეკონომიკა და სხვ.

6. მმართველი ელიტა ყალიბდება არადემოკრატიული გზით, ინიშნება ზემოდან. ე.ი. გარემოცვა ყალიბდება პირადული სიმპათიის მიხედვით, ლიდერისადმი თაყვანებით და არა უნარითა და პროფესიონალური ნიშნებით.

ავტორიტარულ რეჟიმს მოყვანილი ზოგადი ნიშნების გარდა ახასიათებთ სპეციფიკური ნიშნებიც, რომელთა მიხედვით შეიძლება მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია:

1. ავტორიტარული რეჟიმის ერთ-ერთი ფორმა არის სამხედრო მმართველობა, ანუ როდესაც პოლიტიკურ ძალაუფლებას ხელში ჩაიგ-

ლებენ სამხედრო ძალები, აიკრძალება ყველა პარტია და მოძრაობა. სოციალური ყოფის ძირითად სფეროებს განაგებენ სამხედრო პირები (ჩილე, 1973წ.).

2. თეოკრატიული ავტორიტარული რეჟიმი, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება მთლიანად ფანატიკური რელიგიური კლანის ხელში (ირანი, 1979წ.).

3. პერსონიფიცირებული რეჟიმი, ანუ ძალაუფლება მფლიანად პოლიტიკური ლიდერის ხელშია. ეს რეჟიმი მცირე დროს ძლებს, რადგან ძალზე სუსტია თვით პოლიტიკური ინსტიტუტები.

4. მონარქიული ავტორიტარული რეჟიმი (იორდანია, მაროკო, საუდის არაბეთი,...).

5. არსებობს აგრეთვე არაავტორიტარული რეჟიმი. მასობრივი პარტიები დასაშვებია, არსებობს ოპოზიცია, არჩევნები, თუმცა ხდება მათი ფალსიიცირება (მექსიკა).

გარჩეულ იქნა პოლიტიკური რეჟიმის სამი ძირითადი სახე – დემოკრატიული, ტოტალიტარული და ავტორიტარული. შევეცადოთ სპეციალურად გამოვყოთ ორი უკანასკნელი რეჟიმის განმასხვავებელი ნიშნები.

ჯერ – ერთი, რეჟიმები განსხვავდებიან თავიანთი მიზნებით. ტოტალიტარულ რეჟიმს უტოპიური იდეები ახასიათებს (კომუნიზმი, რომის იმპერიის აღორძინება, „მესამე რეიხი" ათასი წელი აპირებდა არსებობას). ავტორიტარულ რეჟიმს არა აქვს პრეტენზია ძირფესვიან ცვლილებებზე. მათი მიზანი მოკრძალებულია – შეასრულებენ კონკრეტულ ისტორიულ მისიას და ტოვებენ პოლიტიკურ სცენას.

მეორე – ტოტალიტარიზმს ახასიათებს ტოტალური ანუ ყოვლისმომცველი კონტროლი. ავტორიტარიზმი კი ზოგიერთ სფეროს არ ეხება. ტოტალიტარიზმის პრინციპია – ნებადართულია ის, რაც ნაბრძანებია. ავტორიტარიზმისა კი – ნებადართულია ის, რაც არ ეხება პოლიტიკას.

მესამე, ტოტალიტარიზმი მიმართავს თავისი მოწინააღმდეგის მიმართ აბსოლუტურ ტერორს. ავტორიტარიზმი კი შერჩევით ტერორს, მიმართული ოპოზიციის გაჩენის წინააღმდეგ.

მეოთხე, ტოტალიტარიზმში ძალაუფლებისაგან მოითხოვენ ყოვლისშემძლეობას, ხალხისაგან კი მორჩილებას. ავტორიტარიზმში ძალაუფლებისაგან მოითხოვენ კომპეტენტურობას, ხალხისაგან კი მორჩილებასა და პროფესიონალიზმს.

ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების დემოკრატიულში ტრანსფორმაციის პერსპექტიეები. პოლიტიკურ რეჟიმებს ბევრი პოლიტოლოგი შეისწავლის. წინა საუკუნის 50-იანი წლებისათვის რეჟიმების შესახებ მეცნიერული თეორია ჩამოყალიბდა, თუმცა აქ მრავალი საკითხი დღემდე დისკუსიურად ითვლება. ერთ-ერთი ასეთი საკითხია – რეჟიმთა ურთიერთტრანსლაციის საკითხი. 70-იან წლებში ფრიდრიხსმა და ბუეზინსკიმ გააკეთეს დასკვნა, რომ ტოტალიტარული რეჟიმი არ იცვლება და ის უნდა იქნეს დანგრეული გარედან, რომ ეს რეჟიმები განწირულია დასალუპავად. დაილუპა გერმანიის ფაშიზმი, მან ომი წამოიწყო და დამარცხდა. მაგრამ ეს თვალსაზრისი უარყო ისტორიამ. ტოტალიტარიზმმა გამოავლინა ევოლუციონური უნარი.

ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა უფრო ალბათურია მშვიდობიან პირობებში. არსებობს გადასვლის სხვადასხვანაირი ფორმა.

პირველი ფორმა – ეს არის რეფორმები ზემოდან. როდესაც ძალაუფლების მპყრობელნი გადაწყვეტენ და განახორციელებენ დემოკრატიულ ცვლილებებს.

მეორე ფორმა – ეს არის ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების სწრაფი რღვევა და მათ მიერ ძალაუფლებაზე უარის თქმა დემოკრატიის სასარგებლოდ.

ტრანსფორმაციის მესამე გზა არის რეფორმების თანდათანობით გატარება – ოპოზიციისა და პოზიციის ერთობლივი შეთანხმებით.

ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების ტრანსფორმირება დემოკრატიულში ურთულესი პროცესია და დაკავშირებული დიდ სიძნელეებთან. პირველ რიგში ის არის ეკონომიკური ხასიათის სიძნელეები. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა აძნელებს ტრანსფორმაციას. მეორე დიდი სიძნელეა ოპოზიციის თანდათანობითი რადიკალიზაცია, როდესაც ოპოზიცია დაწყებული დემოკრატიული ცვლილებების ფონზე თანდათანობით აძლიერებს თავის მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს დესტაბილიზაციის პროცესებს. მესამე სერიოზული პრობლემა დაკავშირებულია ქვეყნების მრავალეროვნულ ხასიათთან. დემოკრატიზაციის პროცესები არსებითად რთულდება, როდესაც იწყება მოძრაობები დამოუკიდებელი ეროვნული ერთეულების შექმნისათვის. არის კიდევ სიძნელე, რომელიც დემოკრატიისათვის შეადგენს საშიშროებას, არიან ადამიანები (საკმაო რაოდენობით), წარსულთან ოპოზი-

ციაში (ოპოზიციაში ტოტალიტარულთან), მაგრამ არ არიან დემოკრატიის მომხრე, მათ ავტორიტარიზმი უფრო იზიდავთ.

საბოლოოდ, ყოველი სახის ტრანსფორმაცია ურთულესი პროცესია, მაგრამ შესაძლებელი.

ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ურთიერთკავშირი. ქვეყნის ეკონომიკური დონე და მისი კავშირი პოლიტიკურ ვითარებასთან დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას და არა მხოლოდ პოლიტოლოგების, არამედ ისტორიკოსების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების. ბევრგან იყო აღნიშნული, რომ განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმები განაპირობებენ ეკონომიკური სფეროს განსხვავებული ტიპების ორგანიზებასა და ფუნქციონირებას. ე.ი. განაპირობებენ და განსაზღვრავენ ეკონომიკური განვითარების დონეს. ყოფილ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ რეჟიმს შეესაბამებოდა ცენტრიდან დაგეგმილი ეკონომიკური სისტემა. ეს კი გამორიცხავდა კერძო საკუთრებას, რომელიც ორი ფორმით არსებობდა – სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმით. გერმანულმა ტოტარიტარიზმმა კი შეინარჩუნა კერძო საკუთრება.

რაც შეეხება ავტორიტარულ რეჟიმს, ის გულისხმობს გარკვეულ თავისუფლებას საბაზრო ურთიერთობებში. მაგრამ მისი შესაძლებლობების საზღვრები შეზღუდულია, რამდენადაც პოლიტიკური რეჟიმის ეს ტიპი ძირითადად ყალიბდება დაბალი და არასტაბილური ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციებში. შესაბამისად სუსტია ეკონომიკური პროცესების საკანონმდებლო ბაზა, ხშირად გამორიცხულია გარანტიები სხვადასხვა რისკისაგან.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები განაპირობებენ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, თანაც დახვეწილია სახელმწიფოს ჩარევის მექანიზმი საბაზრო ეკონომიკაში მისი ოპტიმიზაციისა და წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

მაშასადამე, ნათლად ჩანს, რომ განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმები განსხვავებულ შედეგებს აღწევენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმსა და ეკონომიკურ დონეს შორის კავშირი ნამდვილად არსებობს. ეს კავშირი უფრო ტენდენციის სახით ვლინდება ვიდრე უნივერსალური კანონზომიერებისა. არიან ქვეყნები, რომლებმაც დიდ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემაში. ისიც ცხადია, რომ დემოკრატიული

პოლიტიკური რეჟიმი დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე, მის ტემპებზე, მოსახლეობის შემოსავლების დონეზე.

აქ საჭიროა შევეხოთ კიდევ ერთ პრობლემას. როგორც მეცნიერული გამოკვლევები ადასტურებენ, დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა (შესაძლებლობა, ტემპები და მასშტაბები) ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების დონეზე, ეკონომიკური სფეროს ორგანიზაციაზე ამ სახელმწიფოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა აუცილებლობით მოითხოვს ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეს და აქ უმთავრესი კრიტერიუმია დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა, შეზღუდული სახელმწიფოებრივი კონტროლით.

პოლიტიკური ლიდერობა

ლიდერობის არსი და ბუნება. პოლიტიკური ლიდერი და ლიდერობა. პოლიტიკური ლიდერის განმსაზღვრელი ფაქტორები. პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგია. პოლიტიკურ ლიდერთა ფუნქციები. პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე ტენდენციები. პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე თეორიები.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ყოველი თემა, რომლებიც შეადგენენ პოლიტოლოგიის კურსს პირდაპირ კავშირში არიან პოლიტიკური ძალაუფლების საკითხთან. ეს კავშირი ზოგჯერ უშუალოა, ზოგჯერ კი გაშუალებული. პოლიტიკური ლიდერობის თემა განეკუთვნება პირველს, რადგანაც მისი ცოდნა აკონკრეტებს და აზუსტებს ჩვენს ცოდნას პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ. თავისი ფორმით და შინაარსით პოლიტიკური ლიდერობა არის ძალაუფლებისა და ძალაუფლებრივი ურთიერთობის გამოვლენა. ძალაუფლებრივი ფუნქციებსა და უფლებებს ხორცს ასხამს კონკრეტული პიროვნებები – პოლიტიკური ლიდერები. პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმი ვერ ამოქმედდება მთავარი მოქმედი გმირის, პოლიტიკური ლიდერის გარეშე, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია ძალაუფლებრივ ურთიერთობებში. პოლიტიკური ლიდერობა ნათელს ხდის საზოგადოებაში პოლიტიკის განხორციელების რეალურ მექანიზმს.

ლიდერობის არსი და ბუნება. „ლიდერი" ინგლისური სტყვაა და ნიშნავს „წამყვანს", „ხელმძღვანელს", რაც რეალურად ასახავს „ადამიანი-ლიდერის" როლს, ადგილს, ფუნქციას საზოგადოებაში, იმ პროცესებში, რომლებშიც მონაწილეობს. უფრო კონკრეტულად ლიდერს გააჩნია უნარი ზემოქმედება იქონიოს სხვაზე, მართოს ისინი, წაიყვანოს დასახული მიზნისაკენ. ლიდერი ხელმძღვანელობს ადამიანთა სხვადასხვა სიდიდის ერთობებს, დაწყებული მცირე ჯგუფებიდან დამთავრებული სახელმწიფომდე.

ლიდერთა ჩამოყალიბება-ფორმირება და ფუნქციონირება თავისთავად წარმოედგენს ობიექტურ და უნივერსალურ მოვლენას. ობიექტურია, რადგანაც ადამიანთა ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობა საჭიროებს ორგანიზებულობას, მიზნის მისაღწევად რაციონალური და მისაღები გზების ძიებას. ამას აკეთებენ ის ადამიანები, რომლების სჯერათ, რომელთაც აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი, გამოირჩევიან აქტიურობითა და ენერგიულობით. უნივერსალურია იმ გაგებით, რომ ლიდერი სჭირდება ადამიანთა ერთობის ნებისმიერ სახეს – ჯგუფს, რაიმე ორგანიზაციას, გარკვეულ მოძრაობას და ა.შ. შესაძლებელია საუბარი ლიდერზე პოლიტიკაში, ბიზნესში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რელიგიაში, პარტიაში, პროფკავშირებში, ოჯახში, სტუდენტებში და სხვ. და სხვ.

„ლიდერის" ცნება ფართოდ იხმარება, მდიდარი შინაარსობრივი მოცულობისაა, გულისხმობს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა – ენერგია, აქტიურობა, მისდამი ნდობა, მხარდაჭერა, მართვის უნარი, მისდამი ნებაყოფლობითი მორჩილება... ლიდერი არის ის ვინც განსაზღვრავს პროგრამას, გადასწყვეტს სხვის ნაცვლად...„ლიდერის" ცნებასთან დაკავშირებულია მეორე „ლიდერის" ცნება, რომლის ქვეშ იგულისხმება ადამიანთა ერთობისა და მისი ლიდერის ურთიერთობის რთული მექანიზმი. ლიდერობა გულისხმობს: ა) ლიდერის უნარს ზუსტად განსაზღვროს რეალური სიტუაცია; ბ) ახალი იდეების გენერირების უნარს; გ) ლიდერის სწამთ, მას ემორჩილებიან გაცნობიერებულად და ნებაყოფლობით.

შრომის საზოგადოებრივი ხასიათი აუცილებლობასა და უნივერსალობას ანიჭებს ლიდერობის ასპექტს, რაც საშუალებას იძლევა გამოვყოთ მისი შინაარსისა და ფორმის კონკრეტული გამოვლინებები. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კონკრეტული გამოვლენება დიდად არის გაპირობებული მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით, მათ შორის კონკრეტული სიტუაციით, ლიდერის სოციალური მდგომარეობით, მათი ფსიქოლოგიური თავისებურებებით და ა.შ.

პოლიტიკურ ლიდერობაში ვლინდება ძალაუფლება და ძალაუფლებრივი ურთიერთობები. ეს არის ძალაუფლების რეალიზების კონკრეტული ინსტიტუტი. აქ მხედველობაში გვაქვს ძალაუფლება ზოგადად და არა მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლება.

პოლიტიკური ლიდერი და ლიდერობა. პოლიტიკური ლიდერი არ არის უბრალოდ ის ადამიანი რომელიც ხელმძღვანელობს პოლიტიკურ პროცესებს, ორგანიზაციას ან მოძრაობას. პოლიტიკური ლიდერი არის

ის ვინც ცვლის მოვლენათა მსვლელობას, აძლევს მას საჭირო მიმართულებას. ამიტომ ცხადია, რომ ყოველი პრეზიდენტი, პრემიერი მონარქი და მით უმეტეს პარლამენტარი არის ლიდერი.

ისტორიამ გვაჩვენა, რომ ჭეშმარიტად ლიდერები „ჩნდებიან" საზოგადოების განვითარების გარდამავალ, კრიზისულ ეტაპებზე, მაშინ როდესაც ლიდერის გამოჩენის აუცილებლობით გაჟღენთილია მთლიანი ატმოსფერო. „ეპოქა მოითხოვს ტიტანებს და შობს კიდეც მათ". მოვიყვანოთ XX საუკუნის რამოდენიმე პოლიტიკური ლიდერის სურათი.

ლიდერი არის ის ვინც საზოგადოებას გამოიყვანს უმძიმესი კრიზისული მდგომარეობიდან. ასეთი იყო პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი. თანამედროვე პოლიტოლოგები მას ახასიათებენ, როგორც ფენომენალურ პიროვნებას, რომელმაც იპოვა გზა, გამოეყვანა თავისი ქვეყანა უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან, შექმნა რა გამოჩენილი სპეციალისტებისაგან ძლიერი გუნდი თავისებური „გონიერული ტრესტი". ის მიეკუთვნება პოლიტიკურ ლიდერთა უმაღლეს კატეგორიას. თავის დროზე გამოდიოდა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის კონცეფციით და ბევრი გააკეთა გაეროს ჩამოყალიბების საქმეში.

პოლიტიკური ლიდერი ასევე არის ის ვისაც შესწევს უნარი საზოგადოებრივი ცხოვრების ტრანსფორმირებისა. კანცლერი ჰელმუტ კოლი შევა ისტორიაში როგორც პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც მეტნაკლებად განაპირობა ისტორიული მოვლენა – გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენა.

პოლიტიკური ლიდერია ის პიროვნება, რომელმაც გააცნობიერა გარკვეული ცვლილებების აუცილებლობა და ხელი შეუწყო შესაბამისი პროცესების განხორციელებას. ძნელია ბრიტანეთი 80-იანი წლებში წარმოიდგინო მარგარეტ ტეტჩერის გარეშე. მან მისცა სახელი ახალ პოლიტიკურ დოქტრინასა და პოლიტიკურ სტილს – ტეტჩერიზმს. აკრიტიკებდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკის სფეროში, ხელს უწყობდა საშუალო კლასის განვითარებას, თავისუფალ ბაზარს, კონკურენციის პრიორიტეტს... „სახალხო კაპიტალიზმი" აღიარა საზოგადოებრივი წყობის იდეალურ ტიპად.

მოყვანილი მაგალითები ასაბუთებენ პოლიტიკური ლიდერის იმ გაგებას, რომელიც ზემოთ იქნა მოყვანილი.

პოლიტიკური ლიდერის ცნება დაკავშირებულია პოლიტიკური ლიდერობის ცნებასთან, რომელიც მიუთითებს ძალაუფლების რეალიზირების კნკრეტულ საშუალებებსა და მექანიზმზე. პოლიტიკური ლიდერობა –

ლიდერობის უმაღლესი ფორმაა, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის განსხვავებულ ლიდერებთან განსხვავებული შინაარსისაა. პოლიტიკური ლიდერობის სპეციფიკურობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

პოლიტიკური ლიდერის განმსაზღვრელი ფაქტორები. პოლიტიკური ლიდერობა მრავალგანზომილებიანი ცნებაა ე.ი. მას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს სამი შედარებით ძირითადი ფაქტორი: ლიდერის პიროვნული თვისებები; მის მიერ ძალაუფლების განხორციელების საშუალებები და სიტუაციები, რომლებშიც ლიდერი ვლინდება. ეს სამი ფაქტორი არსებითად განსაზღვრავს პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბებას. აქვე ავღნიშნოთ, რომ არ არსებობს თვისებების რაიმე ჩამონათვალი, აუცილებელი ყველა ლიდერისათვის. ლიდერები ერთმანეთს არ ჰგვანან, თუმცა კი ყველანი მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ საზოგადოების განვითარებაში. მოვიყვანოთ ლიდერის სამი მაგალითი:

რონალდ რეიგანი – აშშ პრეზიდენტი, დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდა მხოლოდ 2-3 საათი, არ გამოირჩეოდა ანალიტიკური გონებით. ცრურწმენის ტყვე, სჯეროდა ასტროლოგიის. არ იყო სათანადოდ ინფორმირებული, არ უყვარდა დეტალებში ჩაძიება, იდეები რომლებსაც ძალზე მიმზიდველად აყალიბებდა ძალზე მარტივი და ცნობილი იყვნენ, მაგრამ მის გადმოცემებში ახლებურად ჟღერდა. მისი მნიშვნელოვანი სიძლიერე – პოლიტიკური წინათგრძნობა, ინტუიციაა.

მარგარეტ ტეტჩერი, პოლიტიკით დაინტერესდა ძალზე ადრე, ოქსფორდის უნივერსიტეტში სტუდენტთა ლიდერი, 25 წლის ასაკში მონაწილეობას ღებულობს პარლამენტის არჩევნებში, უკიდურესად შრომისუნარიანი, ძლიერი, მკვეთრი, ნებისყოფიანი, მარტივი ენით დამაჯერებელი ორატორი.

ჰელმუტ კოლი – კონტაქტისუნარიანი, მისთვის კომპრომისები არ არის უჩვეულო რამ, 16 წლის ქ.დ.კ. წევრი, 24 წლისა ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი, უპირატესობას ანიჭებდა კერძო წარმოებას, ენებს არ ფლობს.

სამი ლიდერი და სამივე ძალზე განსხვავებული პიროვნული თვისებებით.

პიროვნულ თვისებებში შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი:

1) ბუნებრივი თვისებები – ხასიათის სიძლიერე, ნებელობა, პიროვნული მაგნეტიზმი, გადაწყვეტილების მიღების უნარი, ჰიპნოტიკური თვისებები, ინტუიცია, გრძნობა.

ასეთი თვისებებით გამოირჩეოდა საფრანგეთის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი, დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყველა აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ცვლილებები.

მ ო რ ა ლ უ რ ი თვისებები – პოლიტიკური ლიდერების მორალურ მხარეს აღნიშნავდა პლატონი, არისტოტელე, კონფუცი ასახელებდნენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: სიკეთე, პატიოსნება, საქმისადმი თავდადება, ადამიანებზე ზრუნვა, საზოგადოებრივი სიკეთე, სამართლიანობა. სამწუხაროდ პოლიტიკურ ლიდერებს ყველას არ ახასიათებს ჩამოთვლილი თვისებები. მე-XX საუკუნემ საბოლოოდ დახვეწა უარყოფითი ლიდერის ცნება.

მორალური ფაქტორის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. ამის მიზეზია მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა და ხელმისაწვდომი ხასიათი, რაც ძალზე საშიშს ქმნის ლოკალურ სამხედრო კონფლიქტებსაც კი. თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესები, პოლიტიკური კულტურის ზოგადი დონის ამაღლებამ მიუღებელი გახადა სასტიკი და არაადამიანური მეთოდები. პოლიტიკურ მმართველობაში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, გადაწყვეტილებების მიღების დროს პასუხისმგებლობის გრძნობა, პატიოსნება და მოუსყიდველობა, ადამიანებზე ზრუნვა – აი ის მორალური თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს თანამედროვე პოლიტიკურ ლიდერს.

პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი – ძალზე მრავალფეროვანია. ეს არის ანალიტიკური შესაძლებლობები, სწრაფი ორიენტაცია, ოპონენტებისადმი არგუმენტირებული წინააღმდეგობა, პოლიტიკური სიბრძნე, კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს და ა.შ. ნათელია, რომ ყველა ამ თვისებებით დაჯილდოებულ ლიდერს ძნელად თუ მოძებნით პოლიტიკურ პრაქტიკაში, მაგრამ არა მხოლოდ პიროვნული პარამეტრები აყალიბებენ პოლიტიკურ ლიდერს.

2) ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი – ეს პირობითი ცნებაა და იგულისხმება ის საშუალებები, რომლებსაც ეყრდნობა და როგორსაც იყენებს პოლიტიკური ლიდერი დასახული მიზნის მისაღწევისათვის. აქ მნიშვნელოვანია ლიდერის მასებთან კონტაქტის პირობები – პოლიტიკური პარტიები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საკანონმდებლო ორგანოები, ბიუროკარტიული აპარატი და ა.შ.

3) ს ი ტ უ ა ც ი ე ბ ი – რომლებშიც ლიდერი შეიძლება მოხვდეს. სიტუაცია შეიძლება იყოს მშვიდი და სტაბილური, მაგრამ უფრო ხშირად სიტუაცია არის რთული და კრიზისული. კრიზისები ჩვეულებრივ განსხვავებული ინტენსივობით გამოირჩევა, მათს შესაბამისად განსხვავდებიან პრობლემებიც და აუცილებელია ყველა კონკრეტულ სიტუაციაში გამოიძებნოს კრიზისიდან თავის დაღწევის გზები, უფრო ხშირად არასტანდარტული.

პოლიტიკური ლიდერების ტიპოლოგია. პოლიტიკურ ლიდერთა პიროვნული პარამეტრები, ის ინსტრუმენტები, რომლებსაც ისინი იყენებენ და კონკრეტული გარემო, რომელშიც მათ უწევთ მოღვაწეობა გვაძლევს პოლიტიკური ლიდერის გარკვეული ტიპოლოგიების შესაძლებლობას.

ტიპოლოგია ლოგიკური კატეგორია და გარკვეულ საფუძველს მოითხოვს. ერთ-ერთ ასეთ საფუძვლად შეიძლება აღებულ იქნას ის მიზნები, რომელსაც ისახავს პოლიტიკური ლიდერი და რომლითაც ზემოქმედებს ის საზოგადოებაზე. ამ საფუძვლით ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ ტაკერი გამოყოფს პოლიტიკური ლიდერების სამ ტიპს: კონსერვატორები, რეფორმატორები და რევოლუციონერები.

კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ თ ა პოზიცია და ძირითადი მიზანია რეალურად არსებული საზოგადოების „სტატუს-ქვო"-ს შენარჩუნება. შესაბამისად, პოლიტიკური ლიდერის პროგრამა, მისი აქტიურობა მთლიანად მიმართულია საზოგადოების ამ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობის დასაბუთებაზე. როგორც წესი, ასეთი ლიდერები არცთუ ბევრია პოლიტიკური ცხოვრების რეალურ პრაქტიკაში.

რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ ე ბ ი, როგორც წესი მიისწრაფვიან საზოგადოებრივი წყობის რადიკალური გარდაქმნებისაკენ და ამ გზად მიჩნეულია ფართოსმაშტაბიანი რეფორმების ჩატარება, პირველ რიგში – ძალაუფლებრივ სტრუქტურებში. ისტორია იცნობს მარტინ ლუთერ კინგს – რეფორმატორული მოძრაობების ორგანიზატორს.

რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი, არანაირ რადიკალურ რეფორმებს არ სჯერდებიან და მიზნად ისახავენ პრინციპულად ახალ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლას. ისტორია აქაც გვასწავლის – მშვიდობიანი გზა აქ დიდი იშვიათობაა. იგივე რობერტ ტაკერი ასეთ ლიდერებად მიიჩნევს კარლ მარქსსა და ვ.ლენინს.

პოლიტიკური ლიდერების დიფერენციაციის განსხვავებული სისტემაა ის საფუძვლები, რამაც განაპირობა მათი ლიდერად გახდომა.

ანუ მათი ლეგიტიმურობა. ამ კრიტერიუმის შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ ლიდერთა შემდეგი ჯგუფები:

ტ რ ა დ ი ც ი ე ს ლ ი ლ დ ე რ ო ბ ა – საუბარი ეხება პოლიტიკური ძალაუფლების მიღებას ქვეყანაში არსებული ტრადიციების შესაბამისად, როდესაც ის ძალაუფლება გადაეცემა მემკვიდრეობით. უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ძალაუფლებისამ გზით მოვლენილი ლიდერები იშვიათად თუ არიან ჭეშმარიტად პოლიტიკური ლიდერები.

კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ლ ი დ ე რ ო ბ ა, ანუ კანონის საფუძველზე (ლეგალურად) მიღებული ლიდერობა. თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებში ეს არის პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბების ძირითადი გზა, როგორც წესი ეს ხდება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. ასეთი ლიდერებია ზემოთ ნახსენები მ.ტეტჩერი, რ.რეიგანი, ჰ.კოლი, ფ.რუზველტი და ა.შ.

ხ ა რ ი ზ მ ა ტ უ ლ ი ლ ი დ ე რ ო ბ ა – დაფუძნებულია მასების რწმენაზე, რომ მათი ლიდერი ღვთისმიერია და დაჯილდოებულია ზებუნებრივი თვისებებით. ხარიზმა ბერძნულიდანაა ნათარგმნი და ნიშნავს ღვთის მიერ ბოძებულ თვისებებს, რომლებიც ლიდერს გამოარჩევს სხვა ადამიანებისაგან. ეს არის პოლიტიკური ლიდერის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტიპი. ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის მაქს ვებერს, რომელიც ასეთ ლიდერებად თვლიდა -- ბუდას, მუჰამედს, სოლომონს, ცეზარს, ნაპოლეონს და ა.შ.

შეიძლება პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგია მათ მიერ გამოყენებული მართვის მეთოდების საფუძველზე. ამ კრიტერიუმებით გამოიყოფა ორი სტილი – დემოკრატიული და ავტორიტარული.

დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პოლიტიკური ლიდერის ინტერესები ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს, კეთილმოსურნეა, ქმნის თანამშრომლობისა და ინტერესთა თანმთხვევის ატმოსფეროს, ღიაა კრიტიკისათვის.

ა ვ ტ ო რ ი ტ ა რ უ ლ ი პოლიტიკური ლიდერი ორიენტაციას იღებს მართვის არადემოკრატიულ, მონოპოლიურ მეთოდებზე. არ დაუშვებს კრიტიკას, თავისუფალ აზროვნებას, საკუთარ ერთმმართველობას აფუძნებს ძალისმიერი საფუძველზე. ავტორიტარულ სტილზეა აგებული პრაქტიკულად ყველა დიქტატორის, ტირანის, დესპოტის მოღვაწეობა.

პოლიტიკურ ლიდერთა ფუნქციები. პოლიტიკურ ლიდერთა ფუნქციები ბევრად განისაზღვრება იმ მიზნით, რომლებსაც ისინი ისახავენ ამა თუ იმ სიტუაციაში. სიტუაცია კი შეიძლება იყოს ორგვარი კრიზისული

და სტაბილური. ამისდა მიხედვით პოლიტიკური ლიდერის ფუნქციებიც ორგვარი ბუნებისაა.

პოლიტიკური ლიდერის ფუნქციები კრიზისულ სიტუაციებში:

1. ანალიტიკურ ფუნქცია ანუ ფუნქცია დიაგნოზის დასმისა. ეს არის შექმნილი სიტუაციის ყოველმხრივი, ღრმა ანალიზი, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების სრული შესწავლა.

2. მოქმედების პროგრამის შემუშავების ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულებაში დიდ როლს ასრულებს ლიდერის პიროვნული თვისებები, მისი სიმამაცე, ენერგია, გონი, ინტუიცია, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარი.

3. მიღებული პროგრამის შესასრულებლად ქვეყნის მობილიზაციის ფუნქცია. აქ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ლიდერის ფართო მასებთან კონტაქტის დამყარების უნარი, დაარწმუნოს, აღაფრთოვანოს, საკუთარ მხარეს დაეჭვებულთა გადმობირება. ცნობილია პოლიტიკურ ლიდერთა წარმატებით რეალიზებული მრავალი პროგრამა.

საზოგადოების განვითარების შედარებით სტაბილურ ეტაპზე პოლიტიკური ლიდერის ფუნქციები გარკვეულად იცვლიან შინაარსს. ეს ფუნქციებია:

1. ნ ო ვ ა ტ ო რ უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა. საზოგადოებრივი წყობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით ლიდერი გამოდის ახალი იდეებით, კონსტრუქციული სამოქმედო პროგრამით, სტრატეგიული გეგმით, ახალი სოციალური მიზნებითა და ამოცანებით. სიახლე ყოველთვის შეიცავს რისკს, მათი რეალიზებისათვის აუცილებელია სოციალური, მატერიალური, ფინანსური, პოლიტიკური რესურსების ყოველმხრივი ანალიზი.

2. კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა. აქ იგულისხმება, რომ ლიდერის ყოველმა ნაბიჯმა უნდა ასახოს საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა ინტერესების სრული სპექტრი. არცერთი სოციალური ჯგუფი არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. აქ აუცილებელია პროგნოზისტული ნიჭი.

3. ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა. ლოგიკურად გამომდინარეობს წინა ორი ფუნქციიდან, დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ძალების მობილიზება, შესაბამისი ბრძანებები, მითითებები, კადრებისა და მომხრეების ფორმირება. ლიდერის მოღვაწეობა თვითმფრინავის პილოტის საქმიანობას ჰგავს – ხელსაწყოთა კორექტირება, რეგულირება, კონტროლირება.

4. კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა საორგანიზაციო ფუნქციის გაგრძელებაა და მიმართულია პოლიტიკური გარდაქმნების სუბიექტების

საქმიანობის შეთანადებისა და კოორდინირებისაკენ. პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტის შეთანხმებული მოქმედებისაკენ.

5. ინტეგრაციული ფუნქცია მიმართულია საზოგადოების მთლიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ, სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობისაკენ. პოლიტიკური ლიდერი ვალდებულია გაითვალოს და გაითვალისწინოს ცვლილებების ყველა შესაძლებელი ნიუანსი, რათა საზოგადოება დაზღვეულ იქნას არასასურველი შედეგებისაგან.

პოლიტიკური ლიდერის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის საზოგადოებრივი კონსენსუსის დამკვიდრება.

პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე ტენდენციები. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ ლიდერობაში თავი იჩინა ახალმა ტენდენციებმა. მე-XX-ე საუკუნემ შვა ახალი სოციალური ფენომენები, მასშტაბური სტრესული სიტუაციები, გლობალური პრობლემები უშუალოდ ემუქრებიან კაცობრიობის ცივილიზაციას. იზრდება სახელმწიფოებისა და მათი ლიდერების პასუხისმგებლობა კაცობრიობის ბედზე. ამ საქმეში იჩინა თავი ახალმა ტენდენციებმა.

1. მასშტაბურობის ტენდენცია – იგულისხმება ის ვითარება, რომ ვერცერთი პოლიტიკური ლიდერი ვერ განსაზღვრავს თავისი ქვეყნის განვითარების რაიმე პროგრამას სხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინების გარეშე. საშინაო პოლიტიკა ფაქტობრივად იქცა გლობალური პროცესის ელემენტად. ამ ტენდენციის გაგება და გათვალისწინება მაღალი რანგის პოლიტიკოსთა ხვედრია.

2. არაფორმალური პოლიტიკური ლიდერების როლის ზრდა, მეორე ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს. ფრენსის ტაუნსხედმა (30 აშშ) წამოაყენა იდეა ზოგადნაციონალური საპენსიო ფონდის შექმნის შესახებ 60 წელს მიტანებული ხალხისათვის და დიდი შრომა გასწია მის განსახორციელებლად. მას შემდეგ ამ სისტემამ უამრავი სოციალური პროცესები დაარეგულირა ქვეყანაში და დიდ სამსახურს უწევს მმართველ ელიტას. არაფორმალური ლიდერის კლასიკური სახეა ანდრეი სახაროვი, რომელმაც გაიაზრა ატომური ომის კატასტროფული მასშტაბები და მიმართა მემორანდუმით მსოფლიო ხალხებს და მთავრობებს. მან აჩვენა, რომ არაფორმალურ ლიდერს არ გააჩნია სახელმწიფო პოლიტიკის კონტროლის შესაძლებლობები, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პოლიტიკური პროცესების განვითარებაში.

3. შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენცია პოლიტიკური ლიდერობის განვითარებაში ვლინდება ლიდერთა ყურადღების კონცენტრაციაში ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე. ამ ფრონტზე წარმატებები თვალნათლივ წარმოაჩენს ლიდერს.

4. ლიდერი-გმირის გამოჩენის ალბათობის შემცირება ასევე ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. მაგ. როგორიც იყო ნაპოლეონი. ამის მიზეზები მრავლადაა, პოლიტიკური ლიდერობის საზღვრები, ღრმა კრიზისების არარსებობა, ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება და ამდენად მათი აცილების მექანიზმების დახვეწა და რეგულირება.

5. ტენდენციად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ლიდერობის საზღვრების შეზღუდვა, ლიდერად ყოფნის ვადების შემცირება და ა.შ.

პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე თეორიები. თემა პოლიტოლოგთა ყურადღების ცენტრშია და იქმნება მრავალი თეორიები. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

1. თვისებათა თეორია – ძირითადად ყურადღებას უთმობს ლიდერთა პიროვნულ თვისებებს. ჩამოთვლილია ათობით თვისებები, რომლებიდაც უნდა ხასიათდებოდეს იდეალური ლიდერი. ბოგარდუსი თვლის, რომ ადამიანი ლიდერი ხდება ისეთი თვისებების წყალობით, როგორიცაა – ენერგია, გონი, ხასიათი. ლიდერი მხოლოდ ავლენს თანდაყოლილ თვისებებს და უკვე ბავშვობაში შეიძლება ივარაუდო რომ ეს ბავშვი გახდება ლიდერი. ეს თეორია ძალზე განვითარდა აშშ და გამოყოფენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა იუმორი, ინიციატივობა, წინასწარხედვა, ყურადღების მიქცევა, ტაქტი, კომუნიკაბელურობა და ა.შ. ცხადია პოლიტიკურ ლიდერს ბევრი თვისებები უნდა ქონდეს და მათ შორის ბუნებრივიც, მაგრამ პროფესიონალ პოლიტიკოსად მას ქმნის არა მხოლოდ პიროვნული თვისებები, არამედ პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებებიც.

2. სიტუაციური კონცეფცია. ამერიკელი პოლიტოლოგები ვ.დალი, ვ.ფილდერი და სხვ. ლიდერობას განიხილავენ, როგორც სიტუაციის ფუნქციას ე.ი. ერთ სიტუაციაში ლიდერობა სრულებით არ ნიშნავს, რომ სხვა სიტუაციაშიც ასეთად დარჩება. ლიდერის გამოვლენა შედეგია – ადგილისა, დროისა, ვითარებისა. ლიდერი გრძნობს სიტუაციას, იცის როგორ მისცეს მას საჭირო დონემდე განვითარება, იცის როდის შეიძლება მისი გამოყენება (მ.კუტუზოვი). ყველა ჭეშმარიტ ლიდერს ახასიათებს სიტუაციის საკუთარ აქტივში მოქცევის უნარი.

3. **კომპლექსური** მახასიათებლებით ლიდერების დიფერენციაცია – პოლიტიკური ლიდერის პიროვნული მახასიათებლები კონკრეტულ სიტუაციაში. გამოყოფენ 4 ტიპს. მეტაფორული სახელწოდებებით: „მედროშე", „შსახური", „კომერსანტი", „მეხანძრე".

„მედროშე" ლიდერი – დიდი სტრატეგი. თავად აყალიბებს საკუთარ პოლიტიკურ პროგრამას, ახორციელებს საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს. ეს არის პიროვნება ძლიერი ნებისყოფით, სინამდვილის საკუთარი ხედვით. მისი მიმდევრები მასზე გავლენას ვერ ახდენენ (მარქსი, ლენინი).

„შსახური" ლიდერი – აქცენტს აკეთებს თავის მიმდევრებზე, მიისწრაფვის იყოს მათი ინტერესების გამომხატველი. „მედროშისაგან" განსხვავებით „შსახურის" ცენტრალური ამოცანაა მიმდევრების მიერ გამოკვეთილი ამოცანები (გ.კოლი, რ.რეიგანი).

„კომერსანტი" ლიდერი – საკუთარ იდეებს პროგრამასა და გეგმებს უცვლის ამომრჩევლებს მათი მხარდაჭერისათვის. ლიდერის ამ ტიპის თავისებურება ვლინდება მის დამოკიდებულებაში ელექტორატთან. მნიშვნელობას იძენს ამ ლიდერის უნარი დაარწმუნოს მსმენელი, თავისებურია სტრატეგიაც, რომელსაც მიმართავს მხარდასაჭერად.

„მეხანძრე" ლიდერი – ცხადია „აქრობს ხანძარს" ანუ არსებითად რეაგირებს იმ პრობლემებზე, რომელიც თავს იჩენს მის ამომრჩევლებში. აქტიურად რეაგირებენ სოციალურ მოთხოვნებზე, პოლიტიკურ სიტუაციაზე, აღმოცენებულ პრობლემებზე. მათი ქმედებები ძირითადად განისაზღვრებიან დროის მოთხოვნებით.

ცხადია წმინდა სახით პოლიტიკური ლიდერობის მოყვანილი ტიპები დიდი იშვიათობაა. ხშირია მათი განსხვავებული პროცენტით შეთავსება ცალკეულ ლიდერებში.

პოლიტიკური ელიტა

პოლიტიკური ელიტის ცნება. პოლიტიკური ელიტის ფორმირების მექანიზმი. პოლიტიკური ელიტის ფუნქციები. გაბატონებული ელიტა: ცნება და სტრუქტურა. ელიტის თეორია.

პოლიტიკური ელიტის ცნება. ვაგრძელებთ პოლიტიკური ძალაუფლების თემას. ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს ძალაუფლებრივ ურთიერთობებში პოლიტიკური ლიდერი – სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ ცნობილია, რომ „მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვაა. საკუთარი გუნდის, შტაბის, მრჩეველების, ექსპერტების და პოლიტიკური ინსტიტუტების მთელი სისტემის გარეშე პოლიტიკური ლიდერი ვერ შესძლებს საზოგადოების ხელმძღვანელობას. ამისათვის აუცილებელია განსაკუთრებული ინსტიტუტი – პოლიტიკური ელიტა. ეს არის პოლიტიკური ძალაუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების მძლავრი საფუძველი, რომელიც მონაწილეობს პოლიტიკური პროგრამებისა და რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ელიტა – ლათინურ-ფრანგულიდან ნიშნავს შერჩეულს, რჩეულს.

შესაბამის ლიტერატურაში ელიტის მრავალ დეფინიციას ვხვდებით, რომლებშიც ზოგადად იგულისხმება ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აქვს გამოკვეთილი მაღალი მდგომარეობა, პრესტიჟი, ძალაუფლება, სიმდიდრე, ახასიათებთ აქტიურობა პოლიტიკურ და სხვა ნებისმიერ სფეროში. ელიტის ასეთ გაგებაში უნდა გამოიყოს რამოდენიმე მომენტი: „პოლიტიკური ელიტა“ და „გაბატონებულ ელიტა“ არ არიან იგივეობრივენი. მათი მიმართება ნაწილის და მთელის მიმართებაა. „გაბატონებული ელიტა“ როგორც ნაწილს შეიცავს „პოლიტიკური ელიტას“. ე.ი. „პოლიტიკური ელიტა“ მხოლოდ ნაწილია „გაბატონებული ელიტისა“. მეორე მომენტი: „გაბატონებულ ელიტაში“ შემავალი სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით „პოლიტიკური ელიტა“ უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში. საბოლოოდ პოლიტიკური ელიტა –

ეს არის გარკვეული ჯგუფი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, უკავია ძირითადი თანამდებობები, მართავს საზოგადოებას. ეს არის მაღალი რანგის პროფესიონალი პოლიტიკოსები, ძალაუფლებრივი ფუნქციებითა და უფლებებით. აქვე იგულისხმება სახელმწიფოებრივ მოსამსახურეთა სპეციალურად მომზადებული ფენა, რომლებიც ღებულობენ უშუალო მონაწილეობას საზოგადოების მართვის პროგრამების განხორციელებაში.

წლები ცვლიან პოლიტიკური ელიტის პერსონალურ შემადგენლობას, თუმცა თანამდებობრივი სტრუქტურა თითქმის უცვლელია. ზოგადად პოლიტიკურ ელიტაში იგულისხმებიან მონარქები, პრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, მინისტრები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და ა.შ. რომელთა საშუალო ასაკი 50-65 წელია, 60-80% სოლიდური განათლება აქვთ მიღებული, უმრავლესობა -- მსხვილი მეპატრონენი არიან. ჩვეულებრივ მათი რიცხვი მერყეობს 2-4 ათასის ფარგლებში.

საზოგადოების დაყოფა მმართველ და დაქვემდებარებულ ნაწილებად გაპირობებულია მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით:

1. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხანგრძლივ პროცესში ცალკე გამოიყო მმართველი ჯგუფი. ფიზიკური და გონებრივი შრომის გაყოფას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

2. საზოგადოების მართვისათვის აუცილებელია მისი სოციალური გაყოფა ხელმძღვანელებად და შემსრულებლებად. სოციალური ორგანიზაციის იერარქია გარდაუვალია.

3. პოლიტიკური ელიტის ფორმირებას განაპირობებს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურა.

4. პოლიტიკური ელიტის ფორმირების სტიმულატორია მისი წევრებისათვის მიკუთვნებული რიგი პრივილეგიები.

5. პოლიტიკური ელიტის ფორმირებას განაპირობებს აგრეთვე ადამიანთა ბუნებრივი განსხვავება, მათი ფსიქიკური, ინტელექტუალური, ფიზიკური, ორგანიზაციული თვისებების განსხვავებები.

ამგვარი საზოგადოების დაყოფის საფუძველია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

პოლიტიკური ელიტა შინაგანად დიფერენცირებულია და რთული სტრუქტურისაა. შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური ელიტის სამი ფენა:

უმაღლესი პოლიტიკური ელიტა – პოლიტიკური ხელმძღვანელები და მაღალი თანამდებობის პირები (100-200).

საშუალო პოლიტიკური ელიტა – არჩევითი თფანამდებობის დიდი რაოდენობა. პარლამენტარი, სენატორი, გუბერნატორი, მერი...

ადმინისტრაციული ელიტა (ბიუროკრატიული) სახელმწიფო მოსამსახურეთა მაღალი ფენა, მაღალი თანამდებობის სამინისტროებსა და დეპარტამენტებში.

პოლიტიკური ელიტის ფორმირების მექანიზმი. ელიტის ფორმირების პროცესი განსაზღვრულია სხვადასხვა ფაქტორებით და ცხადია, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებისათვის. ძირითადი ფაქტორია სოციალური ბაზის მოცულობა და შერჩევის კრიტერიუმები. ბევრი რამ არის დამოკიდებული გაბატონებულ პოლიტიკურ რეჟიმზე. დასახელებული ფაქტორები და პოლიტიკური რეჟიმი პოლიტიკური ელიტის ფორმირებაში განაპირობებენ ორ ტენდენციას. შევადაროთ ისინი ერთმანეთს. პირველი ტენდენციისათვის დამახასიათებელია ელიტის ფორმირების მექანიზმის დახურული ხასიათი: მისი სოციალური ბაზა ძალზე ვიწროა. შევსება, როგორც წესი, ხდება გაბატონებული ფენიდან; შემრჩევი პირები ანუ სელექტორატი შეზღუდულია. ეს ტენდენცია ტიპიურია ტოტალიტარული რეჟიმისათვის. რაც უფრო დახურულია ელიტა მით უფრო ნაკლებუნარიანია მართოს საზოგადოება. ამ ტენდენციაში თავსდება ჩვენთან ადრე გაბატონებული ნომენკლატურული გზა. მისი გამოძახილი ჩვენთან დღესაც შეიმჩნევა და გარკვეული დრო ექნება ადგილი.

მეორე ტენდენცია სრულებით საპირისპირო ხასიათისაა. ახლავე ავღნიშნოთ, რომ ახასიათებს დემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებს. სადაც პოლიტიკური ელიტა ყალიბდება არა დანიშვნის, არამედ საყოველთაო თავისუფალი არჩევნებით. აღნიშნული ტენდენცია ხასიათდება – შერჩევის პროცესის ღია ხასიათით, სელექტორატის დიდი მოცულობა, არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობებით, შერჩევის კონკურენტულობით, პრეტენდენტთათვის წაყენებული მაღალი მოთხოვნებით. ეს სისტემა ხელს უწყობს მაღალ თანამდებობებზე ღირსეულთა მოხვედრას.

ტენდენცია, რა თქმა უნდა არის ტენდენცია მაგრამ უნდა მივუდგეთ რეალურად. პირველი ტენდენცია სრულებითაც არ ნიშნავს რომ ღირსეულთ დაკეტილი აქვთ გზა მაღალი თანამდებობებისაკენ ან, რომ მეორე ტენდენცია გარანტიას აძლევს მხოლოდ ღირსეულთ.

პოლიტიკური ელიტის ფუნქციები. პოლიტიკური ელიტის სოციალური დანიშნულება აიხსნება მის ფუნქციებში. ფუნქციები ბევრია,

რთულია და დაკავშირებული დიდ პასუხისმგებლობასთან. ისმის კითხვა, რას ეფუძნება და როგორ ხდება პოლიტიკური ფუნქციების რეგლამენტირება? პასუხი თითქოსდა მარტივია – პოლიტიკური ელიტის ფუნქციების შინაარსი და საზღვრები განისაზღვრება ქვეყნის კონსტიტუციით. ასეა იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება ლეგიტიმურია, ხოლო სიტუაცია სტაბილური. სამწუხაროდ რეალურ ცხოვრებაში არ არის იშვიათობა კონსტიტუციისა და რეალური ძალაუფლების ურთიერთდაშორიშორება. ეს ვითარება უნდა იქნას გათვალისწინებული პოლიტიკური ელიტის კონკრეტული ფუნქციების შესწავლისას.

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა: უნდა განისაზღვროს სტრატეგიული პოლიტიკური პროგრამა და შემუშავებულ იქნას მისი განხორციელების სტრატეგია და ტაქტიკა. აქვე იგულისხმება საზოგადოების ინტერესების ამსახველი ახალი იდეების გენერირება, რეფორმატორული კონცეფციის შემუშავება. ამ ამოცანებს ასრულებენ უმაღლესი თანამდებობის წარმომადგენლები და სწორედ ამიტომ მოეთხოვებათ მათ კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის სათანადო დონე. ისტორიას აქვს ამის მაგალითები. საკმარისია გავიხსენოთ ფ.რუზველტის მოღვაწეობა. სტრატეგიული ფუნქციის წარმატებით რეალიზაციას სჭირდება შესაბამისი საკადრო პოლიტიკა „ფონებრივი ცენტრი". მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოებრივი აზრი, მისი თანხმობა ძირითად პოლიტიკურ პროგრამებთან. ამ ვითარებაში წინა პლანზე წამოიწევს პოლიტიკური ელიტის მეორე – კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ყველა ფენების ყოველნაირი სახის ინტერესების გათვალისწინებას. ნათელია, რომ ამ ფუნქციის შესრულებას სჭირდება პოლიტიკური ელიტის განსაკუთრებული უნარი; უნარი მასებთან ურთიერთობისა, მათს ინტერესებზე რეაგირებისა, სათანადო ავტორიტეტი, უნარი ისე გააცნო პროგრამა, რომ მიმდევრები და ენთუზიასტებიც გაიჩინოს.

ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა. მასების ორგანიზაციის ფუნქცია უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ელიტისათვის. ის ითვალისწინებს აღებული კურსის პრაქტიკულ განხორციელებას, პოლიტიკური გადაწყვეტილებების ხორცშესხმას. შემუშავებული სტრატეგიული კურსი რეალიზდება მთელ რიგ ღონისძიებებში, როგორებიცაა – კანონწარმოება, მობილიზება, რეგულირება, კოორდინირება, კორექტირება და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია ი ნ ტ ე გ რ ა ც ი უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა. მისი მიზანია საზოგადოების სტაბილურობის გაძლიერება, კონფლიქტებისა და ანტაგონიზმის შენელება-ჩახშობა, ადამიანთა ჯგუფების სოციალური

ინტერესების ჰარმონიზირება, განსხვავებული სოციალური ფენების დაახლოება დარაზმვა.

ელიტის ზოგადი დახასიათებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ელიტა არის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მაღალი ინტელექტუალური დონით, ხელმძღვანელობის ნიჭით დაჯილდოებული. მაგრამ ელიტას ახასიათებს აგრეთვე შინაგანი წინააღმდეგობა და გახლეჩა, რომლის შემდეგ იწყებს უარყოფითი როლის შესრულებას, სადაც არის ძალაუფლება, იქ არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომლის ბოროტად გამოყენებას წინ არაფერი უდგას. ნ.მაკიაველს ეკუთვნის იდეა, იმის თაობაზე, რომ აზრი არა აქვს ძალაუფლების ფლობას თუ მას ბოროტად არ გამოიყენებ.

გაბატონებული ელიტა: ცნება და სტრუქტურა. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ „გაბატონებული ელიტა" უფრო ფართო მოცულობის ცნებაა ვიდრე „პოლიტიკური ელიტის" ცნება. გაბატონებული ელიტისადმი მიკუთვნებულობის მაჩვენებელია საზოგადოებაში უმაღლესი პოზიციების დაკავება, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სამხედრო თუ სხვა სფეროები. გაბატონებული ელიტა საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც საზოგადოების მართვაში უშუალოდ მონაწილეობას არ ღებულობს, მაგრამ შედგება რა ჭეშმარიტი პროფესიონალებისაგან საკვანძო პოზიციები უკავია. პოლიტიკური ელიტის გარდა გაბატონებული ელიტა გულისხმობს ეკონომიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ, მეცნიერულ, ინფორმაციულ, სამხედრო – ელიტებს, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ გაბატონებული ელიტის სტრუქტურულ ელემენტებს.

ეკონომიკური ელიტა – სოციალური ფენა (კაპიტალის მფლობელები, მსხვილი მესაკუთრენი, დირექტორთა საბჭოების წევრები, კორპორაციების, საავაჭრო ფირმების და ა.შ. წარმომადგენლები), რომლებიც გაბატონებულია ეკონომიკურად, განსაზღვრავს დასაქმებას, ცხოვრების დონეს, მოსახლეობის შემოსავალს.

იდეოლოგიურ-ინფორმაციული ელიტა – უშუალოდ იდეოლოგიური ფრონტის წარმომადგენლები. ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები, განათლების სფეროს მსახურნი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მფლობელნი – ასრულებენ მსოფლმხედველობითი პოზიციების ჩამოყალიბების ფუნქციას, განსაზღვრავენ მოსახლეობის ღირებულებრივ ორიენტაციას, მათს იდეებს, მრწამსს და ა.შ.

ს ა მ ხ ე დ რ ო ე ლ ი ტ ა – გაბატონებული ელიტის მნიშვნელოვანი ფენა, პირდაპირ თუ გაშუალებულად მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა პროცესებში. საზოგადოებაზე მისი ზეგავლენა განისაზღვრება ქვეყნის მილიტარიზაციის ხარისხით, პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით.

კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ე ლ ი ტ ა – აქ იგულისხმება ხელოვნების, განათლების, ლიტერატურის, შემოქმედებითი ინტელიგენციის ავტორიტეტული წარმომადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, მის ზნეობრივ პოტენციალს.

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ე ლ ი ტ ა – ინტელექტუალური ელიტის ნიჭით დაჯილდოებული ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერების, ტექნიკის, სტრ განვითარებას, რომლის განვითარების დონე ქვეყნის ავტორიტეტს ქმნის.

საზოგადოების ხელმძღვანელობის პროცესში პოლიტიკური ელიტა იძულებულია მზედველობაში იქონიოს და შეძლებისდაგვარად არეგულიროს ის წინააღმდეგობები და კონფლიქტები, რომლებისგანაც არ არის დაზღვეული საზოგადოება, როდესაც წინააღმდეგობებს ადგილი აქვს გაბატონებული ელიტის სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ელიტის თეორია. ელიტური თეორიების ქვეყნად ითვლება იტალია, სადაც ერთმანეთისაგან განცალკევებულად გ.მოსკამ და ვ.პატერომ საფუძველი ჩაუყარეს ელიტარული საზოგადოების კონცეფციის შემუშავებას. „პოლიტიკური კლასის" ცნება პირველად იხმარა გაეტანო მოსკამ (1854-1941). ვილფრედო პატერამ (1848-1923) ელიტა განსაზღვრა, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერი და პროდუქტიული ადამიანების ჯგუფი. ის წერს, რომ „კაცობრიობის ისტორია – ეს არის ელიტების თანდათანობით შეცვლის ისტორია". რომლის საფუძველსაც ის ხედავს ელიტების ფსიქოლოგიის ცვლილებაში. ასეთ მიდგომას ფსიქოლოგიური ეწოდება. გ.მოსკას თვალსაზრისით ელიტის უპირველესი ღირსებაა მისი ორგანიზებულობის ხარისხი. მის მიერ შექმნილ კონცეფციას ორგანიზაციულს უწოდებენ. მისი მიმდევარია რობერტ მიხელსი (1876-1936), რომელიც ანვითარებდა რა გ.მოსკას შეხედულებებს მიაჩნდა, რომ ელიტის ძალაუფლება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მის ორგანიზებულობასთან.

აქ მოყვანილი მეცნიერები განეკუთვნებიან მაკიაველის სკოლას, რომლის ძირითადი დებულებებია:

• ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს ელიტარულობა. ამის საფუძველია ადამიანთა ბუნებრივი განსხვავება – ფიზიკური, ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური, მორალური.

• ელიტა გამოირჩევა განსაკუთრებული პოლიტიკური და ორგანიზატორული თვისებებით.

• მასა აღიარებს ელიტის უფლებას ძალაუფლებაზე ე.ი. ლეგიტიმურობას.

• ელიტის შეცვლის ერთადერთი გზაა ბრძოლა, რადგან ძალაუფლებას ნებაყოფლობით არავინ არ დასთმობს.

არსებობს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ელ ი ტ ი ზ მ ი ს თ ე ო რ ი ა (რ.დალი, ს.ლიპსეტი), რომლის ძირითადი დებულებებია:

• დემოკრატია გაგებულია, როგორც არჩევნების დროს საზოგადოების მართვაზე პრეტენდენტთა კონკურენცია.

• ელიტა გაგებულია, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული (თავისუფლება, თანასწორობა, უფლებები...) ღირებულებებისათვის მებრძოლი, წინააღმდეგ მასებისა, რომლებიც თავიანთი უფლებებისათვის (შრომაზე) და სოციალური უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში რადიკალურად და ემოციურად არიან განწყობილი.

• ელიტა არ ბატონობს, არამედ მასებს მართავს მათივე ნებაყოფლობითი თანხმობით და არჩევნების საშუალებებით.

არსებობს აგრეთვე ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ი თ ი თ ე ო რ ი ებ ი (ვ.როპკე, ორტეგა ი.გასეტი), რომელთა ძირითადი დებულებებია:

• ელიტა ეს არის მერთვის უნარით დაჯილდოებული ფენა საზოგადოებისა!

• ელიტის საზოგადოებრივი მდგომარეობა გამართლებულია, რადგან მთლიანობაში პასუხობს საზოგადოებრივ ინტერესებს.

• ელიტა ეს არის ბუნებრივი შერჩევის შედეგი იმ პირებისა, რომლებიც გამოირჩევიან უნიკალური თვისებებითა და მართვის უნარით.

• ელიტის ფორმირება არ ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

• ადამიანთა სოციალური თანასწორობა, უნდა იქნეს გაგებული, როგორც მათი შესაძლებლობების თანასწორობა.

ელიტის პ ლ ურ ა ლ ი ს ტ უ რ ი თ ე ო რ ი ა (ს.კელერი, ო.შტამერი, დ.რისმენი):

- ელიტა მრავალგვარია. ვერც-ერთი მასში შემავალი ჯგუფი ვერ უხელმძღვანელებს საზოგადოებას დამოუკიდებლად.
- დემოკრატიის პირობებში მართვის უფლებები განაწილებულია სხვადასხვა ჯგუფებს შორის.
- ელიტას აკონტროლებენ მასები – არჩევნების, რეფერენდუმების, გამოკითხვის, პრესის საშუალებით. ამის საშუალებას იძლევა აგრეთვე კონკურენცია ელიტის ჯგუფებს შორის.
- ელიტასა და მასებს შორის საზღვარი პირობითია, ელიტის კარები ღიაა არა მხოლოდ მდიდართათვის, არამედ ნიჭიერი ნაწილისათვისაც.

ელიტის მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე - ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი თ ე ო რ ი ა (რ.მილსი). პლურალისტური ელიტიზმის წარმომადგენელთა საპირისპიროდ მემარცხენე-ლიბერალური კონცეფციის წარმომადგენლები ასაბუთებენ, რომ საზოგადოებას მართავს გამოკვეთილად ერთი გაბატონებული ელიტა. ამ პოზიციის ძირითადი დებულებებია:

- რეალურ ცხოვრებაში ელიტა იმყოფება ძალაუფლების უმაღლეს საფეხურზე და არ დაუშვებს მასების მონაწილეობას პოლიტიკაში. დემოკრატიული ინსტიტუტების (არჩევნები, რეფერენდუმები) შესაძლებლობები უმნიშვნელოა. გაბატონებულ ელიტას სახელმწიფოში უკავია უმნიშვნელოვანესი პოზიციები და ამის საფუძველზე ინარჩუნებს ძალაუფლებას, სიმდიდრესა და პოპულარობას, რასაც უბრძოლველად არ დასთმობს.
- მასებსა და ელიტას შორის უდიდესი განსხვავებაა, რომლის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები

„პოლიტიკური პარტიის" ცნება. პოლიტიკური პარტია.სტრუქტურა და ფუნქციები. პარტიის საქმიანობის ფინანსური მხარე. პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაცია. პარტიული სისტემები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები.

„პოლიტიკური პარტიის" ცნება. პარტია (ლათ. parts) ნიშნავს ნაწილს, ჯგუფს. ანტიკურ ეპოქაში არისტოტელე იყენებდა ამ ცნებას, აღნიშნავდა რა მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს. პარტიის მსგავსი ჯგუფები ცნობილია შუასაუკუნეების ევროპისათვის. იტალიაში დაპირისპირებულნი იყვნენ ღველფებისა (რომის პაპის მომხრენი) და გიბელინების (მეფის მომხრენი) პარტიები. უშუალოდ პოლიტიკური პარტიები ჩნდებიან პარლამენტარიზმის ჩამოყალიბებასთან ერთად (XVIII-XIXსს.). თავდაპირველად ეს იყო ელიტარული კლუბები, რომლებიც მოქმედებდნენ პარლამენტში. პარლამენტს გარეთ კი თავს ავლენდნენ მხოლოდ არჩევნებში. ეს პარტიები ორგანიზაციულად გაფორმებულები არ იყვნენ, არ ქონდათ წევრობის პრინციპი. XIX საუკუნეში, როდესაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო ხმის უფლება, ჩნდებიან პარტიები, როგორც პოლიტიკური ძალაუფლებისათვის მებრძოლი სპციალიზირებული ორგანიზაციები.

პარტია წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს. ისინი გამოხატავენ გარკვეული სოციალური ჯგუფების ინტერესებს. გარკვეული აზრით პარტიები შუალედური რგოლია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. პარტიის ამოცანა არის ერთიან პოლიტიკურ ინტერესად ჩამოაყალიბოს უამრავი კერძო ინტერესები. პარტიებითა და საარჩევნო სისტემების საშუალებით ხდება ადამიანთა მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. პარტია ავრცელებს პოლიტიკურ ძალაუფლებას მოსახლეობაზე, აქვს იდეოლოგიური ზეგავლენა, ზემოქმედებს პოლიტიკური ცნობიერებასა და პოლიტიკური კულტურის ფორმირებაზე.

პარტიის მრავალრიცხოვანი განსაზღვრებებიდან შედარებით ოპტიმალურად გვეჩვენება შემდეგი: პოლიტიკური პარტია წარმოადგენს თანამოაზრეთა ორგანიზებულ ჯგუფს, რომლებიც ასახავენ და იცავენ ადამიანთა გარკვეული ნაწილის ინტერესებს და ამ ინტერესების განსახორციელებლად იბრძვიან პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან მასში მონაწილეობის მისაღებად.

პოლიტიკური პარტია.სტრუქტურა და ფუნქციები. დასაწყისში შევეხოთ ფუნქციებს, რომელთაგან შედარებით მნიშვნელოვნად ითვლება სოციალური წარმომადგენლობა, სოციალური ინტეგრაცია და სოციალიზაცია, ბრძოლა ძალაუფლებისათვის, მმართველი ელიტის ფორმირება, რეკრუტირება, პოლიტიკური კურსის შემუშავება და განხორციელება.

სოციალური წარმომადგენლობა ნიშნავს, რომ ეს პარტია პოლიტიკურ სცენაზე რომელიმე სოციალური ჯგუფის, ფენის წარმომადგენელია, იცავს მის ინტერესებს და, ამავე დროს, თავის საქმიანობაში, კერძოდ, პოლიტიკურ ბრძოლაში ეყრდნობა ამ ჯგუფს. თუ კონკრეტულად რომელიმე ფენის წარმომადგენელია ესა თუ ის პარტია, ამაზე ძალიან ბევრ შემთხვევაში უშუალოდ მიუთითებს პარტიის სახელწოდება (მუშათა პარტია, აგრარული კავშირი, ლიბერალისტები და მრავალი სახე.). შემდგომში, კონკურენციის ზრდასთან დაკავშირებით ცხადი გახდა, რომ წარმატების იმედი უნდა ქონდეს იმ პარტიას, რომლის სოციალური ბაზა (ელექტორატი) უფრო ფართოა, და გამოხატავენ არა ვიწრო ჯგუფების ინტერესებს, არამედ ფართო, ეროვნულ ინტერესებს. ეს ვითარებაც აისახა პარტიათა სახელწოდებებში – სახალხო პარტია, ეროვნული პარტია და ა.შ.

პარტიის ერთ-ერთი ფუნქციაა – სოციალური ინტეგრაციის ფუნქცია. საკითხი ეხება სოციალურ კონფორმიზმს, კონფლიქტური მხარეების შერიგებას, არსებულ წყობასთან თანხმობას. აქვე უნდა გამოიყოს პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქცია ანუ პიროვნების ჩართვა პოლიტიკის სამყაროში, გავლენა მის ღირებულებით ორიენტაციაზე, სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ჩვევებზე. სოციალიზაციის ამოცანაა სტაბილურობისა და მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივობის განვითარებაში.

შემდგომი ფუნქცია მიუთითებს პარტიის როლზე პოლიტიკურ სისტემაში. ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია ძირეულია. პარლამენ-

ტარულ დემოკრატიაში პარტიის პრსებობის აზრი დაიყვანება ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე, არჩევნებში გამარჯვებასა და მთავრობის ფორმირებაზე.

პარტიის საქმიანობაში დიდი ყურადღება ეთმობა ე.წ. პოლიტიკურ რეკრუტირებას ანუ მმართველი ელიტის ფორმირებას, ამ პროცესში მონაწილეობას. ამ ელიტისათვის კადრების შერჩევას, მომზადებას, კანდიდატების წამოყენებას ძალაუფლების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში.

პარტიის თავისებურებების შესაბამისად და განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემაში განსხვავებულად სრულდება პოლიტიკური კურსის შემუშავებისა და განხორციელების ფუნქცია.

ფუნქციათა კლასიფიკაციის სხვა საფუძვლის შერჩევით შესაძლებელია პარტიის სხვა ფუნქციებზე მსჯელობა. თუ რა პრინციპებზე აიგება პარტიის მოღვაწეობა, თუ რა როლს ასრულებს ეს პარტია პოლიტიკურ სისტემაში, ამაზე არის დამოკიდებული პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა.

პარტიები ხასიათდებიან რთული შინაგანი სტრუქტურით, პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში შეხვდებით სტრუქტურათა განსხვავებულ ვარიანტებს, რომელთაგან არცერთს არ გააჩნია უნივერსალურობის პრეტენზია. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია ესპანელი პოლიტოლოგის ლ.სანისტებანის ქვემოთმოყვანილი სტრუქტურა შემდეგი ელემენტებით:

1. უმაღლესი ლიდერი და შტაბი (ასრულებს ხელმძღვანელ როლს).
2. სტაბილური ბიუროკრატიული აპარატი (ასრულებს ხელმძღვანელი ჯგუფის ბრძანებებს).
3. პარტიის აქტიური წევრები (არ შედიან ბიუროკრატიაში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობენ მის ცხოვრებაში).
4. პარტიის პასიური წევრები (უმნიშვნელო მონაწილეობას ღებულობენ მის ცხოვრებაში და მხოლოდ ემხრობიან).

აქვე უნდა აღინიშნოს ადამიანები და მეცენატები, რომლებიც არიან ან არ არიან პარტიის წევრები, მაგრამ მხარს უჭერენ მას.

ხელმძღვანელთა მცირე ჯგუფი ღებულობს ძირითად პარტიულ გადაწყვეტილებებს. ჯგუფი ფლობს ინფორმაციას (ზოგჯერ პარტიის რიგითი წევრებისათვის უცნობს), მანიპულირებს პარტიული მასების ცნობიერებითა და მოქმედებებით. ეს ჯგუფი არაერთგვაროვანია, რადგან აქ შეიძლება წარმოდგენილ იქნენ სხვადასხვა პრეტენზიების მქონე

შიდაპარტიული მიმდინარეობები. მათი დაპირისპირება მონდომებით ინიღბება, რიგითი წევრებისათვის მიუწვდომელია, თუმცა როგორც წესი მასმედიას ვერ დაემალება. პარტიული ლიდერები მასმედიას ხშირად აწვდიან ინფორმაციას შემდეგი შინაარსით: „პარტია არასოდეს არ ყოფილა ისეთი ერთიანი, როგორც დღეს", მაგრამ ამ ფრაზის ცოტა ვინმეს თუ სჯერა.

პარტიის საქმიანობის ფინანსური მხარე. პარტიის მოღვაწეობის ამ ბურუსით მოცულ მხარეს შედარებით მშრალად შევეხოთ.

მასობრივი პარტიების ძირითად ფინანსურ წყაროს წარმოადგენს გაწევრიანებისა და საწევრო გადასახადები. ბევრი პარტიისათვის მხოლოდ ეს ვერ არის საკმარისი, ამიტომ მათ ნებადართულ აქვთ კომერციული საქმიანობა. გარკვეულ ეკონომიკურ დახმარებას მათ უწევს სახელმწიფო.

რაც შეეხება დახმარებებს მეცენატებისაგან (მათ დღეს სპონსორები ეწოდებათ), პარტიული ცხოვრების ეს მხარე განსაკუთრებით გასაიდუმლოებულია (მეცენატებად შეიძლება მოგვევლინოს როგორც პიროვნება, ასევე მთელი გაერთიანება, მსხვილი ფირმები, რელიგიური და კულტურული ორგანიზაციები და ა.შ.). სპონსორთა მხარდაჭერა ხშირად შეუცვლელია. ამ შემთხვევაში ჩნდება პარტიის საქმიანობის გარედან წამართვის შესაძლებლობა (ან საშიშროება).

ზოგიერთი პოლიტიკური პარტიები ფლობენ უზარმაზარ სიმდიდრეს (მხედველობაში გვაქვს სკკპ) – საგამომცემლო კომპლექსები, დასასვენებელი სახლები, სატრანსპორტო საშუალებები, დაწესებულებები და მრავალი სხვა. დაწესებულებები და ორგანიზაციები რომლებიც ეწევიან სამეურნეო საქმიანობას ექვემდებარებიან საგადასახადო კანონმდებლობას. რიგი ქვეყნების კანონმდებლობები უკრძალავენ პარტიებს მიიღონ საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციის შეწირვები, ანონიმური დახმარებები. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ინფორმაცია შემოსავლებისა და დანახარჯების შესახებ, პარტიის ქონების შესახებ. ცალკეულ პიროვნებებს სთავაზობენ შეწირვათა შემცირებას.

პრაქტიკაში მიღებულია დებულება ხელმძღვანელი ელიტის (პარლამენტარების, მინისტრების, პრეზიდენტების, კანდიდატების) შემოსავლებისა და ქონების დეკლარაციის შესახებ. დეკლარაცია თანამდებობაზე არჩევის დროს და მისი დატოვების შემდეგ.

საყოველთაოდ მიღებულია შესაწირი თანხის შეზღუდვა, საარჩევნო კომპანიაზე საერთო დანახარჯების კონტროლი.

პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაცია. განსხვავებული კრიტერიუმები მოგვცემენ პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაციის განსხვავებულ ვარიანტებს. მაგალითად, თუ კრიტერიუმად ავიღებთ მისი ლიდერისა და რიგითი წევრების ურთიერთობის სტილს, მაშინ პარტიები დაიყოფიან ორ ჯგუფად -- ავტორიტარული და დემოკრატიული. იმის მიხედვით თუ რა დოზით წარმოადგენენ პარტიები საზოგადოების სხვადასხვა ფენებს ყველა პარტიები დაიყოფა ინტეგრაციულ ე.ი. წარმოადგენენ საზოგადოების ყველა ან უმეტეს ფენებს და წარმომადგენლობითი ე.ი. პარტიის ყველა წევრი ერთ სოციალურ ფენას ან კლასს ეკუთვნის. იდეოლოგიურია პარტიები, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ ცხოვრება თავიანთი იდეალების შესაბამისად; პრაგმატისტულია პარტიები, რომლებიც მიისწრაფიან კონკრეტული პოლიტიკური მიზნისაკენ. სხვა კრიტერიუმების შესაბამისად პარტიები იყოფიან მასობრივ და საკადრო, მამობილიზებელი, პატრონაჟული, ფენობრივ-კლასობრივი და სხვ.

მასობრივი და საკადრო პარტიები. მასობრივი პარტიები ხასიათდებიან რთული ორგანიზაციული სტრუქტურით და მარვალრიცხოვანი მიმდევრებით. ფინანსირების ძირითადი წყაროა საწევრო გადასახადები. პარტიის მიმდევრები ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს. ეს პარტიები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას. პარტიას ხელმძღვანელობენ პროფესიონალი პოლიტიკოსები, პარტიული ბიუროკრატია. პარტიული ძალაუფლების ცენტრი თვით პარტიაშია და არა სხვაგან, ვთქვათ პარლამენტში. ასეთ პარტიას რეალური გავლენა აქვს პოლიტიკურ სისტემაზე. ასეთი პარტია იყო სკკპ, ასეთია დასავლეთევროპული სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა. რაც შეეხება საკადრო პარტიებს ისინი არ არიან მრავალრიცხოვანი, მათი წევრები არიან ავტორიტეტული მოღვაწეები. ასეთია ა.შ.შ. ორივე წამყვანი პარტია – რესპუბლიკურიც და დემოკრატიულიც. ასეთ პარტიების წევრობა ამორფულია, აქ არ არსებობს პარტიაში მილების მექანიზმი, არ არსებობს ფიქსირებული საწევრო გადასახადები. საკადრო პარტიებში მუშაობა არსებითად იწყება წინასაარჩევნო კომპანიების პერიოდში.

მამობილიზებელი პარტიების მიზანია მოსახლეობის მობილიზება რომელიმე კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. ასეთი სახის პარტიები იყვნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების პარტიათა უმრავლესობა.

პატრონაჟული პარტიები იქმნებიან ძირითადად კონკრეტული ლიდერისა და მისი გარემოცვისათვის.

ფენობრივ კლასობრივი პარტიები თავის საქმიანობას წარმართავენ გარკვეული სოციალური ფენებისა და ჯგუფების ინტერესების დასაცავად.

არსებულ სინამდვილესთან მიმართებაში პარტიები იყოფიან სამ ჯგუფად, კონსერვატიული, რეფორმისტული და რევოლუციური, იმის მიხედვით რა სურთ მათ, შეინარჩუნონ ეს სინამდვილე ისე, როგორც არის, გაატარონ გარკვეული რეფორმები თუ რადიკალურად შეცვალონ ის.

არიან პარტიები ინდივიდუალური ან კოლექტიური გაწევრიანებით, ანუ აქ პარტიაში მიღება ხორციელდება გაშუალებულად, სხვა ორგანიზაციის, მაგალითად პროფკავშირის საშუალებით. ასეთია დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია.

პოლიტიკურ სისტემაში ადგილის მიხედვით პარტიები შეიძლება დაიყოს მმართველ ან ოპოზიციურ პარტიად. არის აგრეთვე პარლამენტარული და არაპარლამენტარული, ლეგალური, არალეგალური და ნახევრადლეგალური პარტიები.

პოლიტიკური ქმედებების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ზომიერი, რადიკალური და ექსტრემისტული პარტიები.

პოლიტიკურ სპექტრში ადგილების მიხედვით განასხვავებენ მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტულ პარტიებს.

არც მოყვანილი კლასიფიკაციები და არც მათი კრიტერიუმები არ უნდა განვიხილოთ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, როგორც უცვლელი, მით უმეტეს რომ ერთი და იგივე პარტია შეიძლება განხილულ იქნას სხვადასხვა კრიტერიუმებით, კლასიფიცირებულ იქნას განსხვავებულ საფუძველზე. მაგალითად, ერთი და იგივე პარტია შეიძლება იყოს მასობრივიც, მმართველიც და მკაცრი ორგანიზაციის.

პარტიული სისტემები. საკითხი ეხება იმ ვითარებას, რომელიც აქვს ადგილი იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს მრავალი პარტია. პოლიტიკური პარტიის ტიპებს, მათს ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთმიმართებას, მათს ერთიანობას ეწოდება პარტიული სისტემა. პარტიული

სისტემების დახასიათებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ ტიპოლოგიას, განსხვავებას სხვადასხვა ნიშნებსა და კრიტერიუმებს შორის, რომელთა დახმარებაც ხდება პარტიული სისტემების ტიპოლოგია, ყველაზე გავრცელებულია რაოდენობრივი კრიტერიუმი. თანამედროვე იტალიელი პოლიტოლოგი ჯ. სარტორი აღნიშნავს შვიდსაფეხურიან კლასიფიკაციას: სისტემა ერთი პარტიით, სისტემა ერთი ჰეგემონი პარტიით (არის სხვა პარტიებიც); სისტემა უპირატესობის მქონე პარტიით; ორპარტიული სისტემა; შეზღუდული პლურალისტური სისტემა; უკიდურესი პლურალიზმი. არსებითად საუბარია ერთპარტიულობასა და მრავალპარტიულობაზე.

პარტიული სისტემა ერთადერთი ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიით არის ერთპატიულობის კლასიკური მაგალითი. ამ სისტემაში პარტია და სახელმწიფო თითქმის შერწყმულია. პოლიტიკა მონოპოლიზირებულია. პოლიტიკა ამ პარტიის გარეშე და სხვა პარტიების შექმნა აკრძალულია კანონით. ძირითად გადაწყვეტილებებს ღებულობს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა, სახელმწიფო მოღვაწეები ხშირად მხოლოდ შემსრულებელია.

სისტემა ჰეგემონი პარტიით არსებობს იმ საზოგადოებაში, სადაც ფორმალურად რამდენიმე პარტია ფუნქციონირებს, მაგრამ რეალური პოლიტიკური ძალაუფლება აქვს ერთ პარტიას, რომელიც სხვებთან მიმართებაში „უფროსი ძმის" როლს ასრულებს და გააჩნია განუსაზღვრელი ძალაუფლება (ასეთი ქვეყნებია დღეს ჩინეთი, ადგილი ქონდა მექსიკაში, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების უმრავლესობაში).

პარტიულ სისტემაში, სადაც მოქმედებს უპირატესობის მქონე ანუ დომინირებადი პარტია, არსებობს რამოდენიმე პოლიტიკური პარტია. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად დაკანონებულია მათი თანასწორუფლებიანობა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი პარტია იმყოფება ძალაუფლების სათავეებთან (ასეთი პარტიები იყვნენ – ინდოეთის ეროვნული კონგრესი და იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია).

ორპარტიულობის კლასიკური მაგალითია რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები აშშ-ში, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს სახელმწიფო ძალაუფლებაში. ეს არ ნიშნავს რომ ქვეყანაში არ არსებობს სხვა პარტიები, ისინი არიან, მაგრამ არსებით როლს პოლიტიკურ სცენაზე ვერ ასრულებენ, ვერც რეალურ წი-

ნააღმდეგობას უწევენ არჩევნების დროს ორ ძირითად პარტიას. არაერთხელ იყო „მესამე პარტიის" შექმნის მცდელობა, მაგრამ წარუმატებლად. ამომრჩეველთა მიერ, ასე ვთქვათ, „დაკანონებული" ურთიერთშესაცვლებადობა არც ერთ პარტიას არ აძლევს საშუალებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიკავოს ჰეგემონური მდგომარეობა.

პლურალიზმის, შეზღუდული იქნება ის თუ ზომიერი, მახასიათებელი ნიშანია მათი ორიენტაცია, მიმართული ძალაუფლების სათავეებში მოსახვედრად, კოალიციურ კაბინეტში მოხვედრა. ეს მიზანი ამოძრავებს ყველა პარტიას, რომელთა შორის იდეოლოგიური განსხვავება თითქმის არ არსებობს (ასეთი ქვეყნებია ბელგია, საქართველო).

პარტიული სისტემა უკიდურესი პლურალიზმით (ასეთია იტალია) ანტისისტემურ პარტიებსაც შეიცავს ანუ იმ პარტიებს, რომლებიც არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მოწინააღმდეგენი არიან. მათი იდეოლოგიები პოლარულად განსხვავდებიან. პოლარიზებული პლურალიზმის მაგალითია ორმხრივი ოპოზიციის არსებობა, როდესაც ორივე იკავებს ადგილს მთავრობის ორივე მხარეს – მარჯვნივ და მარცხნივ, ამავე დროს ერთმანეთს გამორიცხავენ და იმყოფებიან პერმანენტულ კონფლიქტში. პოლარიზილებულ პლურალიზმს ახასიათებს, აგრეთვე ერი ან პარტიათა ჯგუფის ცენტრალური მდგომარეობა. კიდევ ერთი ნიშანი, ის არის უპასუხისმგებლო ოპოზიციის არსებობა, უპასუხისმგებლობაში აქ იგულისხმება არასოლიდური პოლიტიკური კურსი, არალოგიკური სვლები, დაპირებების კორიანტელი, სიტყვის გატეხა, ღალატი და ა.შ.

პარტიული სისტემების ტიპოლოგიაში, არის კიდევ ერთი, ე.წ. ატომიზირებული სისტემები. პარტიული სისტემის ამ ტიპის დახასიათებას თავი ავარიდეთ, რადგან თვით სახელწოდებიდან ჩანს, რომ საუბარი ეხება უამრავი რაოდენობის მცირე ზომის (ატომის მსგავსად) პარტიების არსებობას, რომელთა რაოდენობა შეიძლება გადააჭარბოს 20, 30, და. ა.შ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები. ადამიანთა გარკვეული ჯგუფების პოლიტიკური ინტერესების გამოვლენისა და რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმა არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. ჩვეულებრივ მოძრაობებში ერთვებიან ის ადამიანები, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს ამა თუ იმ პარტიის მოღვაწეობა; ადამიანები, რომლებსაც არ უნდათ შეზღუდონ თავიანთი თავი პოლიტიკური პარტიების

პროგრამებითა და საწესდებო ნორმებით, ასევე ის ადამიანები რომელთა სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები ჯერ ვერ არის გამოკვეთილი. პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების სოციალური ბაზა უფრო ფართოა და უფრო ჭრელია, აქ შეიძლება გაერთიანდნენ განსხვავებული სოციალური ჯგუფების, იდეოლოგიის, ეთნიკური, რელიგიური და სხვა წარმომადგენლები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიმდევრები და ა.შ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები ჩვეულებრივ ემხრობიან რომელიმე კონცეფციას და ცდილობენ გადაჭრან რაიმე კონკრეტული პრობლემა. წარმატების შემთხვევაში ისინი წყვეტენ არსებობას ან ტრანსფორმირდებიან სხვა მოძრაობასა და პოლიტიკურ პარტიაში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, როგორც წესი არ ისახავს მიზნად პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, თუმცა არის გამონაკლისი როდესაც ასეც ხდება ლიტვაში „საიუდისი" მოხვდა ქვეყნის სათავეებთან, რუმინეთში „სახალხო ფრონტი" და ა.შ. თუმცა ესენი უკვე იყვნენ ტრანსფორმირებულნი პოლიტიკურ პარტიებში. მოძრაობები თავიანთი მიზნების მისაღწევად ზემოქმედებენ ქვეყნის ხელმძღვანელობაზე.

მოძრაობას ახასიათებს კოლექტიური წევრობა, რაც პარტიებში გამორიცხულია. ზოგჯერ კი მთელი პარტიები და მათი კავშირები შეადგენენ მოძრაობას.

საბოლოოდ პოლიტიკური მოძრაობა – ეს არის სოლიდარულ ადამიანთა დიდი აქტიური ჯგუფი მიმართული რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ზოგი მათგანი მალე გადის სოციალურ-პოლიტიკური ცენტრიდან, ნაწილი კი დიდხანს ცოცხლობს, გადაიქცევიან რა ძლიერ პოლიტიკურ ძალად პოლიტიკური ძალაუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიონ მათ. ასეთი სიძლიერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს წარმოადგენენ ადამიანის უფლებების, გარემოს დაცვის და სხვ. მოძრაობები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამდენად შესაძლებელია მათი კლასიფიცირება და ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დამატებით გამოჩნდება მათი შინაგანი ბუნება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების განსხვავება შესაძლებელია მათი მაშტაბების მიხედვით. მოძრაობა შეიძლება ასახავდეს ადგილობრივ ინტერესებს ან რეგიონალურს (დიდ ქვეყნებში), ან იყოს გლობალური და აერთიანებდეს რიგ სახელმწიფოებს.

მოძრაობათა განსხვავება შესაძლებელია აგრეთვე მათი მიზნების მიხედვით, შესაძლებელია სოციალურ-პოლიტიკური, კულტუროლოგიური, ეთნოპოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.

მოძრაობები განსხვავდებიან ასაკის მიხედვით – სპონტანური ან ხანდაზმულნი, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით – მასობრივი მოძრაობა ან ელიტარული. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების განსხვავება ასევე შესაძლებელია ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში მათი ადგილის მიხედვით: მემარცხენეები, მემარჯვენეები, ცენტრისტები.

როგორც შეიმჩნევა სხვადასხვა მკვლევარები განსხვავებულად უდგებიან პარტიული სისტემების კლასიფიკაციას. მრავალპარტიული სისტემების კლასიფიკაციის თავისებური ვარიანტი შექმნა ფრანგმა პოლიტოლოგმა ჟ.ბურდომ. მან გამოყო ორი ძირითადი ტიპი –მოუწესრიგებელი და მოწესრიგებული მრავალპარტიული სისტემები. მისი აზრით მოუწესრიგებელი მრავალპარტიულობა ახასიათებს იტალიასა და საფრანგეთს, სადაც პარტიები ქმნიან პოლიტიკური ცხოვრების მოუწესრიგებლობის შფაბეჭდილებას, რადგანაც აკლიათ პასუხისმგებლობა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების შესახებ. მოწესრიგებული სისტემის მაგალითად მას მიაჩნია ნიდერლანდები და სკანდინავიის ქვეყნები, სადაც პარტიებს ახასიათებს შინაგანი მობილიზებულობა, ამომრჩევლები გრძნობენ მათი მიზიდულობის ძალას, ამ სიტუაციაში იქმნება სტაბილური მმართველობითი ელიტა.

სამოქალაქო საზოგადოება

ცნება და შინაარსი. სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებისა და ფუნქციონირების პირობები. სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა, მისი აქტიურობის მთავარი მიმართულებები. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში.

ცნება და შინაარსი. რა იგულისხმება პოლიტოლოგიის ამ კატეგორიის ქვეშ? ჩვენი სოციალური მეცნიერებებისათვის თითქმის უცნობია ეს სოციალური ფენომენი. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ამ თემას ჩვენ განვიხილავთ პოლიტიკური რეჟიმების თემის შემდეგ. ზემოთ საუბარი გვქონდა დემოკრატიულ და არადემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებზე. არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი არ გვიწევს, ისინი არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენ. რაც შეეხება დემოკრატიულ რეჟიმს აქ სამოქალაქო საზოგადოება აუცილებლობას წარმოადგენს, ის არის დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ელემენტი, მეტიც რეჟიმის დემოკრატიულ განვითარებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მასში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონით.

„სამოქალაქო საზოგადოება" პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ბუნდოვანი კატეგორიაა. ის არსებობს ისე, რომ არა აქვს ერთიანი ცენტრი, მისი შემადგენელი საზოგადოებები სპონტანურად ჩნდებიან, ვითარდებიან, ზოგიერთს ხანგრძლივი ისტორია აქვს, სხვები მალე ქრებიან, თუმცა თავიანთი მისია მოხდილი აქვთ. რიგ ქვეყნებში ისინი არსებობენ, რიგ ქვეყნებში კი სულაც არ არიან. ყოფილ საბჭოთა კავშირში სამოქალაქო საზოგადოება დიდხანს არც კი იყო, მოგვიანებით გაჩნდნენ. ასეთი ცვალებადი ბუნების გამო იქნებ სულაც არ არის საჭირო სამოქალაქო საზოგადოება. ხომ არსებობს სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს ქვეყანას, განაპირობოს მისი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის კეთილდღეობა და მრავალი სხვა.

წინა ეპოქის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებას ან სრულებით არ იცნობდნენ, ან ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ქონდათ მის შესახებ. ბოლო წლებში ამ ცნებამ მოიპოვა არსებობის უფლება და ძალიან ხშირადაც გვხვდება, განსაკუთრებით საკუთრების კერძო სექტორთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში გაჩნდნენ მრავალი, ადრე უცნობი, ორგანიზაციები და გაერთიანებები მრეწველებისა, ბანკირებისა, არენდატორებისა, მსახიობთა, ომის ვეტერანთა და ა.შ. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოება ჩვენში ჯერ იმყოფება ჩანასახოვან მდგომარეობაში და მისი განვითარება ქვეყნის მომავლისათვის აუცილებელია.

ისმის კითხვა – რა არის სამოქალაქო საზოგადოება? რატომ ვითარდება ის წარმატებით მხოლოდ დემოკრატიული რეჟიმის პირობებში? არ მიგვაჩნია საჭიროდ უკვე კარგად ცნობილის სკურპულოზური კვლევა, გამოვიყენოთ სხვათა გამოცდილება და ჩავწვდეთ სამოქალაქო საზოგადოების შინაარსს.

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა – ეს არის მხოლოდ დემოკრატიული წყობისათვის დამახასიათებელი ადამიანთა ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული გაერთიანება. ეს არის არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების (გაერთიანებები, ორგანიზაციები, ასოციაციები, კავშირები, კლუბები, ცენტრები) დინამიური სისტემა, გავრცელებული საზოგადოების ყველა სფეროში, ასევე, ეს არის არასახელმწიფოებრივი მიმართებები და ურთიერთობები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური და ა.შ.).

ამ განმარტებაში ერთი სიტყვა მოითხოვს დაზუსტებას – სიტყვა არასამთავრობო ნიშნავს, რომ ამ გაერთიანებებს არ ქმნის სახელმწიფო და არც მისი დაშლის უფლება აქვს, იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა არ უქმნის საფრთხეს ქვეყნის სტაბილურობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას (ეს შენიშვნა გასაკეთებელია იმ თვალსაზრისით, რომ მაგალითად, ბანდიტური გაერთიანებებიც წარმოადგენენ ადამიანთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, მაგრამ მათი საქმიანობა არ უწყობს ხელს სოციალურ სტაბილურობას).

სამოქალაქო საზოგადოების ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება საჭიროებს რიგ შევსებასა და დამატებას. პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ, რომ მათი რაოდენობა შეიძლება იყოს ძალიან დიდი, რაც ქვეყნის დემოკრატიულობის კრიტერიუმადაც გამოდგება. მათი რაოდენობის სიმცირე მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქვეყანა პირველ ნაბიჯებს აკეთებს

დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების გზაზე. მეორე, სამოქალაქო საზოგადოებები ასახავენ სოციალური ყოფის ფართო სპექტრს შეეხებიან რა სამეურნეო, კულტურულ, სამართლებრივ, ოჯახის და სხვა ინტერესებს და თავდაპირველად იქმნებიან სწორედ ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მესამე, ყველა ორგანიზაციის სპეციფიკა, რომლებიც შეადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას იმაში მდგომარეობს, რომ მათს შექმნაში სახელმწიფო არ ღებულობს მონაწილეობას, მათ ქმნიან თავად მოქალაქენი და დაწესებულებები, ისინი არსებობენ ავტონომიურად, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა ქვეყანაში მოქმედი კანონების შესაბამისად. მეოთხე, სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი გაერთიანებები ჩნდებიან სპონტანურად, მაშინ როდესაც ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს უჩნდება კონკრეტული ინტერესი და მისი რეალიზაციის მოთხოვნილება. ამიტომ ზოგიერთ ამ ორგანიზაციათაგანი კონკრეტული ამოცანის შესრულებისთანავე დაიშლებიან, ნაწილი კი აგრძელებს არსებობას და დიდხანს არსებობს. მეხუთე, სამოქალაქო საზოგადოება გარკვეულწილად ასახავს საზოგადოებრივ აზრს და წარმოადგენს მისი პოლიტიკური ნების გამოვლენას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ სოციალური სინამდვილის სრული მოწესრიგებისათვის დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემების (რასაც სახელმწიფო არეგულირებს) გარდა, აუცილებელია გადაიჭრას უამრავი რაოდენობის მეტნაკლები სიდიდის საკითხები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა თემას, მათი მოქმედების ასპარეზსს. წარმატებები ამ ასპარეზზე სასიკეთოდ წაადგება საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებას.

ქვემოთ შეეხებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სხვადასხვა საკითხებს, მაგრამ ზემონათქვამი მეტყველებს იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის ის გარემო, სადაც იქმნება ყველა პირობა, რათა ადამიანმა კანონიერი გზით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები, გამოვალინოს ინდივიდუალობა, საკუთარი მეობა, ნიჭი, უნარი, დაიმკვიდროს საკუთარი თავი, კიდევ ერთხელ მივიდეს სოციალური სოლიდარობისა და კოლექტიური აქტების ღირებულებების გაცნობიერებამდე და აღიარებამდე.

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სოციალური ფენომენი იპყრობს ისეთი სოციალური მეცნიერებების ყურადღებას, როგორებიცაა სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური მეცნიერება, ისტორია, სოციო-

ლოგია, ფილოსოფია და სხვ. ყველა ეს მეცნიერებები თავისი კუთხით შეისწავლიან სამოქალაქო საზოგადოებას, რაც მის სირთულეზე და მნიშვნელობაზე მეტყველებს. სამართალმცოდნეობას სამოქალაქო საზოგადოება აინტერესებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასევე როგორც სამართლებრივად სამართავი სუბიექტი. ეკონომიკური თეორიას, როგორც წესი, აინტერესებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აღმოცენების მიზეზები, მის ფუნქციონირებაში ფინანსური წრეების მონაწილეობის დონე და მიზანი. ისტორია აღწერს სამოქალაქო საზოგადოების ეროვნულ ფორმებს, რომელთა რეტროსპექტული ანალიზი გარკვეული დოზით პერსპექტივების საზღვრებს მიუთითებს. ფილოსოფიასა და სოციოლოგიას სამოქალაქო საზოგადოება აინტერესებს როგორც სოციალური სისტემა, როგორც ფორმა საზოგადოების ორგანიზაციისა და ადამიანთა ურთიერთობებისა.

სამოქალაქო საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა პოლიტოლოგია. სწორედ პოლიტოლოგია შეისწავლის სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებთან, მთლიანად სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმებსა და ხასიათს. სოციალურ მეცნიერებებზე დაყრდნობით პოლიტოლოგია შეისწავლის სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენების სპეციფიკას, მის სტრუქტურას, განვითარების ტენდენციებს.

სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებისა და ფუნქციონირების პირობები. სამოქალაქო საზოგადოებას, მისი ცალკეული ორგანიზაციების აღმოცენებას ყველა შემთხვევაში საკუთარი კონკრეტული მიზეზები აქვს. ამ კონკრეტული მიზეზების გარდა არის აგრეთვე საერთო, ზოგადი მიზეზები, რომელთაგან განვიხილავთ რამოდენიმეს.

პირველი მიზეზი დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან, გაპირობებულია კერძო საკუთრების არსებობით. განვითარებული დემოკრატიული საზოგადოების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კერძო მესაკუთრეა. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები შედარებით მცირეა. მაგრამ განვითარებული და მრავალრიცხოვანია საშუალო კლასი, რომელთა სასიცოცხლო შემოსავლის წყაროა კერძო საკუთრება. აქ იგულისხმება კერძო საწარმოები ყველა სფეროში, მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონება – რომელსაც აქირავებენ, ფასიანი ქაღალდები – იძლევიან დივიდენდებს, ფულადი სახსრები – პროცენტული შემოსავლების წყარო, ინტელექტუალური საკუთრება – მწერლები, კომპოზიტორები, გამომგონებლები,

მეცნიერები და ა.შ. რომელთათვის საკუთრების დაკარგვას, ფაქტობრივად არსებობის საშუალებების დაკარგვაა. ამიტომ ცხადია, რომ მის შესანარჩუნებლად დიდ ენერგიას ხარჯავენ.

გამოცდილება მოწმობს, რომ საკუთრების დასაცავად განსაკუთრებით ეფექტურია კოლექტიური ძალისხმევა: ერთი ჯგუფის მესაკუთრეთა გაერთიანებები: ფერმერების ასოციაცია, მრეწველთა კავშირები, საბანკო გაერთიანებები. მათი წარმომადგენლები მუდმივ კავშირში არიან საკანონმდებლო ორგანოებსა და მთავრობის სხვადასხვა კომისიებთან, მუდმივად ცდილობენ პირობების ოპტიმიზაციას, ფუნქციონირების პირობების დახვეწას და ა.შ.

მაშასადამე, კერძო საკუთრება, დემოკრატიული საზოგადოების ეს განვითარებული ინსტიტუტი, ერთ-ერთი მთავარი პირობაა სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებისა და ფუნქციონირებისათვის, ძლიერ თვითორგანიზებად საზოგადოებრივ სტრუქტურად მისი გადაქცევისათვის. სწორედ რომ კერძო საკუთრება გამოვლენის კონკრეტული ფორმების მთელი მრავალფეროვნებით არსებობის შესაძლებლობას აძლევს სამოქალაქო საზოგადოებას.

შემდეგი მიზეზი უშუალოდ დაკავშირებულია წინა მიზეზთან, საქმე ეხება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას. დემოკრატიული საზოგადოება გულისხმობს საკუთარი კანონებით განვითარებად თავისუფალ სამეურნეო სისტემას. მხოლოდ ამ კანონების დაცვით არის შესაძლებელი წარმოებითი საქმიანობა. მთავარი ის არის, რომ თავისუფალი ბაზრის მკაცრ კანონებს მარტო მყოფი წარმოება წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ამიტომ მრეწველთა სხვადასხვა სახის გაერთიანებები, ანუ სამოქალაქო საზოგადოებები, მოწოდებულნი არიან შეამსუბუქონ მრეწველთა სიძნელეები. ე.ი. თავისუფალი ბაზარი ერთ-ერთი წინაპირობაა სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებისათვის.

შემდეგი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიული საზოგადოება მოწოდებულია მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საკუთარი მოქალაქეების ინტერესები. მაგრამ დინამიურ სოციალურ გარემოში აღმოცენებულ ინტერესთა რაოდენობა დიდია, მრავალფეროვანია და იმდენად დიფერენცირებული, რომ პრაქტიკულად სახელმწიფოს არც კი აქვს ზუსტი ინფორმაცია მათ შესახებ. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს ინფორმირება მოსახლეობის ინტერესების ხასიათის შესახებ, რასაც სხვაზე ეფექტურად ახერხებს სამოქალაქო საზოგადოება, მეტიც, სამოქალაქო საზოგადოების ცალკეულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა

აქვთ ადგილზევე და ადგილობრივი რესურსებით გადაჭრან მთელი რიგი საკითხები და გააკეთონ ეს არსებული კანონების ფარგლებში და მათი სრული დაცვით.

მაშასადამე, მესამე ძირითადი მიზეზი, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გაჩენისა და მუშაობისათვის, ეს არის დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეთა ინტერესების მრავალგვარობა. აღნიშნოთ, რომ დემოკრატია ქმნის ინტერესთა ფართო სპექტრის არსებობის შესაძლებლობას. ეს დაკავშირებულია იმ თავისუფლებებთან, რასაც ეს საზოგადოება სთავაზობს თაკის წევრებს.

სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენების აუცილებლობის საკითხიდან გადავიდეთ მისი შესაძლებლობების რეალიზების ასპექტზე. დემოკრატიული სახოგადოება თავისი შინაარსით არა მხოლოდ მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, არამედ, ამავე დროს ქმნის ყველა აუცილებელ პირობას მისი აღმოცენებისა და ფუნქციონირებისათვის. აქ შემდეგი ძირითადი მომენტებია. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ცხოვრების პირველი ძირითადი პირობა არის – სოციალური თავისუფლება, თავისუფალი მოქალაქე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების საფუძველს. სოციალური თავისუფლება ქმნის ადამიანთა თვითრეალიზაციის შესაძლებლობას.

მეორე მნიშვნელოვანი პირობა სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებისათვის არის – საჯაროობა და მასთან დაკავშირებული მოქალაქეთა ინფორმაციულობის მაღალი დონე, რაც თითოეულ მოქალაქეს აძლევს საშუალებას იყოს მოვლენათა შუაგულში, ხედავდეს არსებულ სოციალურ პრობლემებს, იღწვოდეს მათი გადაჭრისათვის.

რა თქმა უნდა, სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის უფლების ფუნდამენტური პირობა არის შესაბამისი საკანონმდებლო და კონსტიტუციური გარანტიები.

აქ ჩვენ შევეხეთ სამოქალაქო საზოგადოების აუცილებლობასა და შესაძლებლობას, რაც საშუალებას იძლევა ხაზი გავუსვათ მის ფუნქციონალურ პარამეტრებს – სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქცია არის საზოგადოების მატერიალური, სოციალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალურად სრული დაკმაყოფილება.

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა, მისი აქტიურობის მთავარი მიმართულებები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და გაერთიანებები მოქმედებენ საზოგადოების ყველა სფეროში. მათი

უმრავლესობა მოდის ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროზე, რომლებიც შეადგენენ სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტური ელემენტებს.

ეკონომიკურ სფეროში მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა ფართო ქსელი (სამრეწველო, სავაჭრო, ფინანსური და სხვ.). განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მათი რაოდენობა 4/5-ს აღწევს. როგორც არასახელმწიფოებრივი ერთეულები ისინი ჩნდებიან და ფუნქციონირებენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებებით: ეკონომიკური რისკი, გაკოტრების საშიშროება, მკაცრი კონკურენცია და მრავალი სხვა. არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოზე ზემოქმედების მიზნით, რათა მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. ბიზნესის სფეროში იქმნება მრავალრიცხოვანი გაერთიანებები და ორგანიზაციები. ამ სფეროში ორგანიზაციათა კონკრეტული მიზნები იცვლებიან, მაგრამ უცვლელია მათი აქტუალურობის სტრატეგიული მიმართულებები.

1. პირველი რაც იგულისხმება სტრატეგიულ მიმართულებებში, ეს არის სამოქალაქო საზოგადოებაში შემავალი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ამის განხორციელება შესაძლებელია მათი წარმომადგენლების მონაწილეობით უმაღლეს სახელმწიფო ორგანიზაციებში, როდესაც უშუალოდ ილებენ მონაწილეობას ნორმატიული საკანონმდებლო აქტების პროცესების მომზადებაში, სხვადასხვა ექსპერტებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა სახელმწიფო საკანონმდებლო დონეზე ძალიან მაღალია ავსტრიასა და შვეიცარიაში, სხვაგან შედარებით დაბალია.
2. გაერთიანებაში შემავალი წარმოებების ბიზნესისადმი ყოველმხრივი ხელშეწყობა: ფინანსური საშუალებების მიზიდვა, მათ შორის სახელმწიფოს დახმარებით, რათა რეალიზებულ იქნას პერსპექტიული პროგრამები; მეურნეობის ახალი ფორმების დანერგვა; წარმოების ოპტიმიზაცია; ახალი ბიზნესის ძიება და ა.შ.
3. ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის წესების დასაცავად საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზება.
4. სამეურნეო და კომერციული ღონისძიებების გატარება გაერთიანების ფარგლებში (ფონდების დაარსება).

5. მრეწველთა პროფესიონალური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ბიზნესისა და კომერციის ცენტრებისა და სკოლების ჩამოყალიბება, კონფერენციებისა და საქმიანი შეხვედრების მოწყობა.

სამოქალაქო საზოგადოების ყველა ორგანიზაცია ეკონომიკურ სფეროში აღნიშნული ხუთი მიმართულებით წარმართავს თავის საქმიანობას, მაგრამ მათი აქტიურობა აქ არ სრულდება. სამოქალაქო საზოგადოებას ეკონომიკურ სფეროში თავისი საქმიანობის ყურადღების ცენტრში აქვს ისეთი სტრატეგიული ინტერესები, როგორიცაა მრეწველობის განვითარება, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა, გაერთიანების შიგნით მრეწველთა შორის შესაძლებელი კონფლიქტების რეგულირება და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სფერო გულისხმობს: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს; მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტიურობის სხვადასხვა ფორმებს (კრებებს, დემონსტრაციებს, გაფიცვებს, მიტინგებს); არეგულირებს ადგილებზე თვითმმართველობის ფორმებს; არასახელმწიფოებრივი მასმედიის საშუალებების ფუნქციონირებას, დაქირავებულ მშრომელებთან ურთიერთობას.

უნდა გაეცეს პასუხი კითხვას – იგულისხმება თუ არა სოციალურ სფეროში პოლიტიკური პარტიები? ცალსახა პასუხი არ არსებობს. ლოგიკის მიხედვით კი ასე უნდა ვივარაუდოთ – თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია მმართველი პოლიტიკური პარტიაა და შესულია ძალაუფლების სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში მაშინ ის არ შეიძლება იყოს სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტი, რამეთუ სამოქალაქო საზოგადოება მთლიანობაში არასამთავრობო წარმონაქმნია. ამავე დროს, დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მრავალპარტიულობის პირობებში ის პოლიტიკური პარტიები (მიუხედავად რაოდენობისა) რომლებიც მოკლებული არიან ძალაუფლების ბერკეტებს საკუთარი აკმაყოფილებენ სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტის კრიტერიუმებს. მარტივად, ისინი წარმოადგენენ არასამთავრობო გაერთიანებებს, არსებობენ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, ცდილობენ თავიანთი ინტერესების განხორციელებას. ე.ი. წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტებს.

სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტები ჩნდებიან და მოქმედებენ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. ხელმძღვანელებიც და დაქირავებული მშრომელებიც თავიანთ ინტერესებს ხორცს ასხამენ მათი საშუალებით. მრეწველთა ინტერესები

ფაქტობრივად არის მესაკუთრეთა კოლექტიური ინტერესი. ეს ინტერესი უშუალოდ დაკავშირებულია დაქირაებულ მუშებთან, მიმართულია ყოველნაირი კონფლიქტების საფუძველშივე გამორიცხვასთან, გაფიცვების გამორიცხვასთან, მშრომელთა დარწმუნებაში, რომ არ გაერთიანდნენ პროფკავშირებში. მრეწველთა კავშირები დაინტერესებულნი არიან შეიმუშაონ ერთიანი პოლიტიკა ჯამაგირთან, სამუშაო დღის ხანგძლივობასთან და სხვ. დაკავშირებით.

მშრომელის სოციალური ინტერესები გადაჯაჭვულია მათ ეკონომიკურ ინტერესებთან ისე, რომ ხშირად სოციალური ქმედების ფორმები წარმოადგენენ ეკონომიკური მიზნების მიღწევის საშუალებას. ერთ-ერთი ასეთი ფორმა, ძალზე გავრცელებული განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, არის მშრომელთა წარმომადგენლობა ანუ დიდ ორგანიზაციებში მშრომელთა მიერ შექმნილი გაერთიანებები და ორგანიზაციები, შექმნილნი სხვადასხვა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მშრომელთა წარმომადგენლობები ყველა დემოკრატიულ ქვეყნებში აღიარებულია კანონის მიერ, ფუნქციონირებენ ლეგალურად, მისი წევრები, იურიდიული თვალსაზრისით, დაცულნი არიან დევნისა და განთავისუფლებისაგან.

ისმება კითხვა – რა უფლებები აქვთ მშრომელთა წარმომადგენლობებს? მათი უფლებები ფართოა და მთლიანად თაესდება მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში. მათ შეუძლიათ შეისწავლონ და განაზოგადონ მშრომელთა მოთხოვნები (ხელფასის დონის, შრომის დაცვის, შრომითი ურთიერთობების, პროფესიული დაავადებების, შვებულებათა ხანგრძლივობისა და ანაზღაურების, სოციალური დაზღვევის, საპენსიო უზრუნველყოფის და ა.შ.). ასევე მათ აქვთ უფლებები მიიღონ მონაწილეობა იმ სოციალური ორგანიზაციების მუშაობაში, რომლებიც ეკუთვნიან ამ კოლექტივს, მხედველობაშია საცხოვრებელი ფონდი, დასასვენებელი სახლები, სასადილოები, ბიბლიოთეკები, სპორტული და კულტურული კომპლექსები და სხვ. ანალიზით მიღებული ინფორმაცია მათ შეუძლიათ წარუდგინონ ხელმძღვანელობას, მოსთხოვონ მათ ან მათთან ერთად განიხილონ ამ საკითხთა ოპტიმალური რეალიზაციის ვარიანტები.

აღნიშნული წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ როლებს ასრულებენ. მათ განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტი აქვთ საფრანგეთში და ამიტომ მოკლედ შეეეხოთ მათ ფუნქციებს და უფლებებს ამ ქვეყანაში.

ა) მათ აქვთ წინასწარი კონსულტაციების უფლება. ე.ი. წარმოების ხელმძღვანელობას არა აქვს უფლება მიიღოს რამე გადაწყვეტილება მათი

საქმის კურსში ჩაყენების გარეშე. ეს შეეხება საშტატო სტრუქტურის ცელილებას, სამუშაო კვირას, ახალი ტექნოლოგიების შემოღებას, სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებს.

ბ) წარმომადგენლობებს აქვთ უფლება იქონიონ სრული ინფორმაცია თავიანთი წარმოების შესახებ, განსაკთრებით ის ინფორმაცია, რომელიც მიდის სამთავრობო სტრუქტურებში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი უფლებაა, რადგან აქ მოწმდება ის ინფორმაცია, რომელსაც ხელმძღვანელები აძლევენ წარმომადგენლობებს (კომიტეტებს), აძლიერებს მათ დამოუკიდებლობას რათა უფრო წარმატებით წარმართონ მშრომელთა სოციალური ინტერესების დაცვა.

გ) წარმოების ხელმძღვანელობა ვალდებულია მიაწოდოს კომიტეტებს ინფორმაცია წარმოების იურიდიული საკითხების, აქციონერთა შორის კაპიტალის განაწილების, წარმოების ადგილისა და როლის შესახებ მრეწველობაში და ა.შ.

აღნიშნული კომიტეტები მოქმედებენ არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებებშიც. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო სექტორში შეჭრისა და შეღწევის მაგალითი.

განსაკუთრებით საინტერესოა სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა საზოგადოების სულიერ სფეროში, სადაც ის მოწოდებულია უზრუნველყოს სიტყვის თავისუფლება, საკუთარი აზრის საჯაროდ განცხადების რეალური შესაძლებლობა, უზრუნველყოს შემოქმედებითი გაერთიანებების დამოუკიდებლობა და თავისთავადობა (მხედველობაშია მწერალთა, მსახიობთა, არქიტექტორთა გაერთიანებები).

სულიერ სფეროში სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს, რომლებმაც საკუთარ თავზე იტვირთეს ეროვნული და ადამიანური მძიმე ტვირთი – დაწყებული ბუნების დამცველთა მრავალი გაერთიანება-მოძრაობებიდან დამთავრებული ომის ვეტერანების, ინვალიდების, მარტოხელა მოხუცების და სხვ. დაცვა და პატრონობა. თითოეული ამ ორგანიზაციის საქმიანობის ავტორიტეტი და ღირებულება, საბოლოო ჯამში, ხსნის ერთ-ერთ ფსიქოლოგიურად დამთრგუნავ დაუცველობის სინდრომს, რაც სოციალური ყოფის ნებისმიერი სხვა სფეროს მოწესრიგებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, აჯანსაღებს ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა ძირითადად ჰორიზონტალური ხასიათისაა – მისი ყველა ორგანიზაციები განეკუთვნებიან თვითორგანიზებად, თვითმმართველ და

ნებაყოფლობით გაერთიანებებს. ამავე დროს არ არის გამორიცხული ვერტიკალური კავშირებიც, როდესაც ერთი ტიპის გაერთიანებები შექმნიან ადგილობრივ მმართველობით ორგანოს, რომლის წევრებიც თავად ხდებიან.

სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება. საკითხის ამგვარი დასმა უფრო ზუსტ ცოდნას მოგვცემს სამოქალაქო საზოგადოების რაობის შესახებ. ეს საკითხი გაჩნდა სამოქალაქო საზოგადოების გაჩენისთანავე, რადგან წინა პლანზე წამოსწია რიგი საკითხები – ვის ეკუთვნის პრიორიტეტი? ვინ ვისზე მაღლა დგას? სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოზე მაღლა დგას თუ პირიქით? ეს კითხვები დღემდე ელოდებიან პასუხს. საღი პრაგმატისტული აზრით კი ყველაფერი ცხადზე ცხადია – წინ არის ის ვის ხელშიც არის მოქცეული პოლიტიკური ძალაუფლება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის ის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც არ შეიძლება არ გაუწიოს ანგარიში სახელმწიფომ და პოლიტიკურმა ძალამ.

განვიხილოთ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, მათი თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები, რის შედეგადაც სასარგებლოა მათი ურთიერთობა საზოგადოებისათვის.

ცხადია მათ შორის არ არის კონფრონტაცია. სამოქალაქო საზოგადოება მიმართავს სახელმწიფოს კონკრეტული ინიციატივებით, სახელმწიფო განსხვავებული ფორმებით უჭერს მხარს ან უარყოფს შემოთავაზებულ იდეებს, რაც გამოიხატება მატერიალური საშუალებების გამოყოფაში ან რაიმე სხვა სახის დახმარებაში.

პრაქტიკულად ყველა დემოკრატიული ქვეყნების ძალაუფლებრივ სტრუქტურებში არსებობენ სპეციალური ორგანოები სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობებისათვის, მათი საქმიანობა მრავალმხრივია. ეს არის მოცემულ ორგანიზაციათა რეგისტრაცია, მათდამი დახმარება (კონსულტაციები, ფინანსირება), მათი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ფორმებიც არსებობს. მაგალითად, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შედიან სხვადასხვა საბჭოებსა თუ კომისიებში, რომლებიც შექმნილი არიან პარლამენტთან და მთავრობასთან, სადაც გამოდიან როგორც ექსპერტები და პროფესიონალები, რადგან საზოგადოებრივი აზრის

შესახებ ფლობენ ძალზე ღირებულ ინფორმაციას კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის სხვა ფორმათაგან გამოვყოთ ბევრ ქვეყანაში გავრცელებული საპარლამენტო წარმომადგენლობა. ეს არის მაღალი თანამდებობრივი პერსონა, პასუხისმგებელი საკანონმდებლო სამსახურის წინაშე, რომელიც თავის ადგენებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. ეს პერსონები უშუალოდ მოქალაქეთაგან ღებულობენ საჩივრებს (თანამდებობის პირთა უსამართლობანი, ან მეწარმეთა მხრიდან რაიმე დარღვევები), აქვთ ყველა საშუალება შეისწავლონ მასალები და შედეგები მოხსენდეს კომისიას შესაბამისი რეკომენდაციებით. მათი რეკომენდაციების იგნორირება იშვიათად ხდება, რაც მათს ავტორიტეტზე მიუთითებს.

მოცემული საკითხის განხილვა ძრავალი დასკვნის საშუალებას იძლევა:

1. სამოქალაქო საზოგადოება ის ერთ-ერთი ძლიერი ძალაა, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლებას არ უშვებს აბსოლუტური ბატონობის დასამყარებლად. ამ მისიის მისაღწევად მას ბევრი ბერკეტი გააჩნია: აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კომპანიებსა და რეფერენდუმებში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების დიდი შესაძლებლობა (დამოუკიდებელი მასმედიის დახმარებით), ამა თუ იმ სახელმწიფო რეფორმების საწინააღმდეგო კომპანიების წარმოება.
2. სამოქალაქო საზოგადოება საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას. ამიტომ ორგანიზაციის მრავალი წარმომადგენელი მუშაობენ სახელმწიფო ორგანიზაციებში. ე.ი. არიან რა ნებაყოფლობითი, თვითორგანიზებადი, თვითმმართვადი ისინი სხვადასხვა ფორმით მაინც თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან.
3. თავის მხრივ სახელმწიფო დაინტერესებულია სამოქალაქო საზოგადოებასთან კეთილ ურთიერთობაში, რადგანაც, ჯერ-ერთი, ძალაუფლების ლეგიტიმურობის სათავე სამოქალაქო საზოგადოებაა; მეორეც, კონტრაქტი სამოქალაქო საზოგადოებასთან არის წყარო საზოგადოებაში არსებული ვითარების ინტერესების, განწყობის, მათდამი დამოკიდებულების ინფორმაციის შესახებ; მესამეც, ისტორიის რთულ ეტაპზე (კრიზისები, ომები) სამოქალაქო საზოგადოება, როგორც წესი გადაიქცევა სახელმწიფოს მხარდამჭერ ძლიერ ძალად; მეოთხე, სამოქალაქო საზოგადოებაში

არის ისეთი ძალებიც, რომელთაც შეუძლიათ ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოსათვის (ბანკების გაერთიანებები, მრეწველთა კავშირები).

4. სამოქალაქო საზოგადოების ავტონომიური ხასიათი არ ნიშნავს მათი მოქმედების პროგნოზირების შეუძლებლობას. ამიტომ სახელმწიფო ცდილობს მის განვითარებაზე დაამყაროს კონტროლის სხვადასხვა ფორმები. ერთ-ერთი ასეთი ფორმა ორგანიზაციის წარმომადგენლის კონტაქტები სამთავრობო სტრუქტურებთან.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ნორმალურ ურთიერთობას. მათი დაპირისპირებაც არ არის გამორიცხული, თუმცა ეს იქნება ძალზე ხანმოკლე, მაგრამ შედეგები ვერ იქნება ოპტიმისტური.

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. ზემოთ ავღნიშნეთ, რომ საზოგადოების დემოკრატიულობის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი არის სწორედ, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე, მისი ორგანიზაციების სიმრავლე და როლი საზოგადოებაში. ამ მხრივ ადგილი აქვს გარკვეულ დისპროპორციას. სამოქალაქო საზოგადოება არ არის ქვეყნის დედაქალაქის პრეროგატივა. ეს ორგანიზაციები შესაძლებელია და უნდა გაჩნდნენ ნებისმიერ რეგიონში, ქალაქში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის ინფორმაციებში სოლიდური ადგილი აქვს დათმობილი ინფორმაციას სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, ჩვენი სრენისათვის ისინი ჯერ კიდევ აღიქმებიან, როგორც ოფიციალური სტრუქტურები, ძალზე ცოტა მათგანს გააჩნია სრული დამოუკიდებლობა.

საარჩევნო სისტემა

საარჩევნო კანონმდებლობა. საარჩევნო სისტემაია განსხვავებული ტიპები. კანდიდატის განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. წინასაარჩევნო კომპანიის ნაბიჯები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არჩევნებში. საარჩევნო კომპანია და ფინანსები. საარჩევნო სისტემების გავრცელებული კონცეფციები.

საარჩევნო კანონმდებლობა. არჩევნები უაღრესად რთული და დინამიური პროცესია. მისი კონკრეტული შინაარსი ყველა ქვეყნისათვის განსხვავებულია, მეტიც, ერთი ქვეყნის შიგნითაც ის განიცდის ცვალებადობას. არჩევნები და საარჩევნო სისტემა ფაქტობრივად არის საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესი, აქ ყალიბდება წარმომადგენლობითი სისტემა მთლიანად – დაწყებული ადგილობრივი ორგანოებიდან თვით პრეზიდენტამდე. ეს პროცესი მთლიანად ექვემდებარება დადგენილ კანონზომიერებას.

საარჩევნო სისტემა წარმოადგენს ლეგიტიმური პოლიტიკური ძალაუფლების ორგანოების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი წესებისა და მეთოდების ერთობლიობას. საარჩევნო სისტემა ყველგან ფორმირდება გარკვეულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. აღნიშნული კანონმდებლობა არის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების დეტალური დალაგება. ე.ი. კანონმდებლობაში მითითებულია რიგი, თუ როგორ უნდა გაკეთდეს კანდიდატების დასახელება, მოთხოვნები კანდიდატების მიმართ, ხმის მიცემის პროცედურა, ხმების დათვლა, მასმედიის გამოყენების შესაძლებლობა, ფინანსირების წყაროები.

ამ თვალსაზრისით ყველა ქვეყანა სპეციფიკურია. ეს უკვე კანდიდატების დასახელებაში იჩენს თავს. კანონმდებლობა კანდიდატის დასახელების უფლებას აძლევს პიროვნებას, ადამიანთა ჯგუფებს, პარტიებს. მაგრამ კანდიდატების დასახელებაში რეალურად ძირითად როლს პარტიები ასრულებენ. მაგალითად, გერმანიაში ბუნდესტაგის კანდიდატად დასა-

ხელება შეუძლია პოლიტიკურ პარტიებს, ამომრჩევლებს, არაპარტიულ დაჯგუფებებს. არაპარტიული დეპუტატის რეგისტრაციისათვის აუცილებელია ერთი უბნის 200 ამომრჩევლის ხელმოწერა. იტალიაში კანდიდატს სჭირდება 350 ხელმოწერა. საფრანგეთში, იაპონიაში, ინდოეთში საკმარისია ერთი ხელმოწერა, ირლანდიაში 10, შვეიცარიაში 15, ნიდერლანდებში 25.

აშშ არჩევნებთან დაკავშირებით ყველა საკითხი წყდება შტატების კანონმდებლობით. ყველა შტატსა და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში უსიტყვოდ ფიქსირდება ორი წამყვანი პარტიის კანდიდატები. სხვა პარტიის კანდიდატებს კი სჭირდებათ ხელმოწერათა გარკვეული რაოდენობა (მაგალითად, ნიუ-იორკში 20 ათასი ხელმოწერა, ილინოისში – 25 ათასი, ოჰაიოში – 5 ათასი). ძირითადი პარტიები კანდიდატებს ასახელებენ თავიანთ პარტიულ კონფერენციებზე და ა.შ.

პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ძალზე დეტალურად არეგულირებს ამ პროცესს, მას ძალზე დიდ ყურადღებას უთმობენ, ყველანაირად გამორიცხავენ დარღვევასა და არაკანონიერი ხერხების გამოყენებას არჩევნებზე: იქნება ეს მოსყიდვა, ძალისმიერი ზეგავლენა, მონაცემთა შეცვლა, არჩევნებზე გაწეული დანახარჯების გაყალბება და ა.შ.

საარჩევნო კანონმდებლობაში ცალკე საკითხად არის გამოყოფილი ხმის მიცემის პროცედურა. არჩევნებიც და მისი ეს ასპექტიც სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. ინგლისში ეს კეთდება ბიულეტენებით. ეს კლასიკური სახეა. ჯერ საარჩევნო უბნის თავმჯდომარე აჩვენებს, რომ ურნები ცარიელია, შემდეგ ურნები დაილუქებიან. დაიწყება ხმის მიცემა, რომლის შემდეგ ურნები მიაქვთ ცენტრალურ საარჩევნო უბანში, სადაც დაიწყება ხმების დათვლა სპეციალური აგენტების თანდასწრებით.

საარჩევნო კანონმდებლობა აუცილებლად აღგენს გარკვეულ შეზღუდვებს და მოთხოვნებს დეპუტატობის კანდიდატებისადმი. მაგალითად, აშშ. კონგრესში შეიძლება მხოლოდ ამერიკელის არჩევა, არანაკლებ 25 წლისა, და იყოს ქვეყნის მოქალაქე ბოლო 7 წლის მანძილზე. დეპუტატი უნდა იქოს იმ ოლქის მცხოვრები, სადაც ირჩევენ. ეს რაციონალური მოთხოვნაა. დეპუტატი კარგად იცნობს საკუთარი ამომრჩევლების პრობლემებსა და იცავს მათ ინტერესებს. აშშ სენატში ირჩევენ 30 წელს მიღწეულ ადამიანებს. ისინი უნდა იყვნენ ქვეყნის მოქალაქენი და იმ შტატის მცხოვრები (9წ), საიდანაც არის არჩეული. ზოგიერთი ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობაში აღნიშნული მოთხოვნები შეიძლება არც იყოს.

ყველა ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობაში დიდი ადგილი ეთმობა მოთხოვნებს კანდიდატებისადმი. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კანდიდატები, რომლებიც კენჭს იყრიან ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში უნდა აკმაყოფილებდნენ რიგ მოთხოვნებს. ამ პალატის წევრი ვერ გახდება უცხოელი, პიროვნება რომელსაც უკავია ზოგიერთი თანამდებობა (მაგ. მოსამართლე), სამინისტროსა და ცენტრალური უწყებების თანამშრომლები, სამხედრო მოსამსახურენი, საჯარო კორპორაციების ხელმძღვანელები (ბი-ბი-სი, ტელევიზია).

მსგავს შეზღუდვებს სოლიდური საფუძვლები გააჩნიათ. არჩევითი თანამდებობები მოითხოვენ პოლიტიკურ მიუკერძოებლობას. მსაჯულის ობიექტურობას, ზომიერებას და სხვა თვისებებს, აუცილებელს პარლამენტის წევრისათვის. დიდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემა გულისხმობს, რომ მოცემული თანამდებობის პირები შეიძლება არჩეულ იქნან პარლამენტში თუ დატოვებენ თავიანთ პოსტებს.

საარჩევნო კანონმდებლობა ასევე დიდ ყურადღებას უთმობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ზომიერების მომენტს მათი გამოყენების პროცესში და განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდება არჩევნების პროცესში ფინანსური დანახარჯების მაჩვენებლებს. ამ საკითხებს ქვემოთ დაეთმობა განსაკუთრებული ყურადღება.

საარჩევნო სისტემათა განსხვავებული ტიპები. საკითხი ეხება მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებს. საარჩევნო სისტემებმა დიდი ევოლუცია განიცადეს და ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში ჩამოაყალიბეს არჩევნებში მონაწილეობის ორი ზემოთხსენებული ფორმა. მათ საფუძველზე იქმნებიან შერეული ფორმები. განვიხილოთ ეს ფორმები და მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ისინი განსხვავდებიან არა იმდენად ფორმალური მომენტებით, არამედ პოლიტიკური მიზნებით, რაც მიიღწევა აღნიშნული საარჩევნო სისტემებზე დაყრდნობით.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა კანდიდატს (ან ჯგუფს) აღიარებს გამარჯვებულად თუ მან მიიღო კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა. უმრავლესობა სხვადასხვანაირია. არსებობენ საარჩევნო სისტემები, რომლებიც გამარჯვებულისაგან მოითხოვენ ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას (ე.ი. 50%+1 ან მეტი). ეს სისტემა მუშაობს ავსტრალიაში. მაჟორიტარული სისტემა ფარდობითი უმრავლესობით ნიშნავს, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა უფრო მეტი ხმა, ვიდრე კონკურენტები დააგროვებენ ანუ მთავარია „ფინიშთან იყო პირველი".

ასეთია არჩევნები აშშ, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში. არიან სისტემები, არიან ქვეყნები, რომლებიც მაჟორიტარული სისტემის ორივე ნაირსახეობას იყენებენ. საფრანგეთში, საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში მოქმედებს აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა და თუ საჭირო გახდა მეორე ტური აქ უკვე ფარდობით უპირატესობას აღიარებენ.

მაჟორიტარული სისტემა სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. აქ როგორც წესი აღმოცენდება და ძლიერდება უშუალო კავშირი კანდიდატსა (მომავალ დეპუტატსა) და ამომრჩევლებს შორის. კანდიდატი კარგად ერკვევა თავის ოლქში არსებულ ვითარებაში, ამომრჩეველთა ინტერესებში, პირადად იცნობს მათ აქტიურ წარმომადგენლებს. ასევე ამომრჩევლებმაც კარგად იციან ვის ანდობენ თავიანთ ინტერესებს. კიდევ ერთი მომენტი არის საყურადღებო. ნათელია, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში იმარჯვებს ქვეყანაში შედარებით ძლიერი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი. თავის მხრივ ეს იწვევს პარლამენტიდან შედარებით სუსტი პარტიების გაცხრილვას. ე.ი. ეს სისტემა ხელს უწყობს ქვეყნის მაშტაბით ორი ან სამი წამყვანი პარტიის ჩამოყალიბებას, რაც უფრო სოლიდურს და სასარგებლოს ხდის მთლიანად პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას.

პროპორციული საარჩევნო სისტემა ნიშნავს, რომ მანდატები განაწილდება ზუსტად მიცემული ხმების პროპორციულად. ეს სისტემა გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, მეტიც, მთელ რიგ ქვეყნებში მხოლოდ პროპორციული სისტემით ატარებენ არჩევნებს (ლათინური ამერიკის ქვეყნები). აღნიშნული სისტემის გამოყენებით სურთ უზრუნველყონ პარტიული, სოციალური და ეროვნული ჯგუფების პროპორციული და ფართო მონაწილეობა ძალაუფლების ორგანოებში. მსგავსად მაჟორიტარული სისტემისა, პროპორციულ სისტემასაც აქვს ნაირსახეობები. პირველია საარჩევნო სისტემა ზოგადსახელმწიფოებრივ დონეზე, როდესაც არ არსებობს საარჩევნო უბნები და ხმის მიცემა წარმოებს მთელი ქვეყნის მაშტაბით. მეორეა, როდესაც სისტემა ეფუძნება მრავალმანდატიან ოლქებს, ამ შემთხვევაში სადეპუტატო მანდატები განაწილებულია საარჩევნო უბნებში პოლიტიკური პარტიების გავლენის მიხედვით.

მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებს ახასიათებთ გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მაჟორიტარული სისტემის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში ჩადებულია შესაძლებლობა ჩამოაყალიბოს ეფექტური

და სტაბილური მთავრობა. საქმე იმაშია, რომ ის საშუალებას აძლევს დიდ და სოლიდურად ორგანიზებულ პოლიტიკურ პარტიებს შედარებით ადვილად გაიმარჯვონ არჩევნებში და ჩამოაყალიბონ ერთპარტიული მთავრობა. პრაქტიკა მოწმობს, რომ ასეთ საფუძველზე შექმნილი ძალაუფლებრივი სტრუქტურები მდგრადია და ატარებენ მტკიცე სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. მაგალითად, საკმარისია აშშ და ინგლისი. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ნაკლია ის, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი რჩება ძალაუფლების ორგანოებში წარმომადგენლის გარეშე. კიდევ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ რომელიმე პარტიამ კონკურენტებზე ნაკლები დაგროვილი ხმებით, დეპუტატების მეტი მანდატი მიიღოს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ პარტიამ დააგროვოს მეორე პარტიაზე მეტი ხმა და არ მიიღოს არცერთი მანდატი.

პროპორციული საარჩევნო სისტემის ღირსებად ითვლება მისი შესაძლებლობა წარმოაჩინოს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების რეალური სურათი, ყველა წარმომადგენლობით, ხელი შეუწყოს პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას. ამ სისტემას აქვს თავისი ნაკლოვანი მხარეც. ამ სისტემას იყენებს იტალია სადაც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში 50-ზე მეტი ხელისუფლება გამოიცვალა. სისტემის ძირითადი ნაკლოვანებებია: პირველი, პროპორციული არჩევის პირობებში მთავრობის ფორმირება გაძნელებულია. არ არსებობს დომინირებული პარტია, მკაფიო პროგრამით და მიზნებით. მარვალპარტიული კოალიცია შედგება პარტიებისაგან, რომელთა მიზნები და ამოცანები განსხვავებულია ანუ ამ პრინციპზე აგებული მთავრობები გამოირჩევიან არასტაბილურობით. შეიძლება მოხდეს ისე, რომ პოლიტიკური პარტიები, რომელთაც არა აქვთ მხარდაჭერა ქვეყნის მასშტაბით, მოხვდნენ კოალიციურ მთავრობაში რადგან პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს ხმას აძლევენ უშუალოდ პარტიას და არა რომელიმე კანდიდატს, ამიტომ, ამომრჩევლებისა და კანდიდატს შორის კავშირი არ არსებობს, ისინი ერთმანეთს არ იცნობენ. დეპუტატები დამოკიდებულნი არიან პარტიაზე, რაც მოგვიანებით თავს იჩენს საპარლამენტო დისკუსიებში ტენდენციურობის სახით.

პროპორციული საარჩევნო სისტემის ნაკლოვანი მხარეები კარგად ჩანს, გაჩნდა მცდელობა დაეძლიათ ეს ხარვეზები, რამაც დაღი დაასვა პროპორციულობის პრინციპს.

მაჟორიტარული სისტემები თითქმის ყველგან ერთნაირია, პროპორციული სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ უკანასკნელს

ყველა ქვეყანაში თავისი სპეციფიკა აქვს, რაც თვით ქვეყნის განვითარების ისტორიით, დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემით და სხვა გარემოებებით არის განსაზღვრული. პროპორციული სისტემის მიზანია პროპორციული წარმომადგენლობის მიღება, თუმცა, თითქმის ყველგან, ადგილი აქვს მცდელობას ზოგიერთი პარტიებისათვის დამატებითი ბარიერების შექმნას. მაგალითად, გერმანიაში პარტია, რომელიც ხმების 5%-ზე ნაკლებს მიიღებს, პარლამენტში ვერ სვდება. ასე იყო ჩვენთანაც. როდესაც ჩვენთან 7% დაადგინეს, თავი იჩინა ბარიერის ამ ფორმის ძალამ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საარჩევნო სისიტემებმა განცლეს განვითარების დიდი გზა. ამ პროცესში დაიწყო შერეული სისტემების გამოყენება იმ იმედით, რომ ორივე სისტემის დადებითი მომენტები გაერთიანდებოდა. ეს კი ხელს შეუწყობს მდგრადი მთავრობის ჩამოყალიბებას. საარჩევნო სისტემათა სრულყოფის გამოცდილება თვალნათლივ ასაბუთებს, რომ მოცემული (გაერთიანებული) სისტემა უფრო დემოკრატიული და ეფექტურია პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევისათვის.

კანდიდატის განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს არჩევნების ჩატარების დიდი და განზოგადოებული გამოცდილება, აღნიშნავენ, რომ არჩევნები, წინასაარჩევნო კომპანია ხანგრძლივი და რთული პროცესია და მას დიდი ყურადღება ეთმობა (მაგალითად, აშშ წინასაარჩევნო კომპანია არჩევნებამდე ორი წლით ადრე იწყება და მისი მექანიზმი დეტალურად შესწავლილია).

ერთი შეხედვით საარჩევნო კომპანია იწყება მაშინ, როდესაც კანდიდატი, გააკეთებს განცხადებას მისი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. ეს ასე არაა. წინასაარჩევნო აქტიურობა უფრო ადრე იწყება. კანდიდატის განცხადება დიდ წინასწარ მზადებას მოითხოვს. აქ იგულისხმება შემდეგი რამ: უნდა დაზუსტდეს წარმატების ალბათობა, ამომრჩეველთა მხარდაჭერის დონე, არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების წყაროები, მხარდამჭერთა ჯგუფის დადგენა და მათი უნარის ანალიზი, და ა.შ. არ იქნება სწორი ვიფიქროთ, რომ თავისი განცხადებით ის უბრალოდ ამცნობს საზოგადოებას თავისი გადაწყვეტილებას. გაცხადებას მრავალი მიზანი აქვს და რიგი ამოცანებიც უნდა გადაჭრას. მთავარი მათგან შემდეგია: პირველ რიგში, მოცემული განცხადებით კანდიდატი ახსნა-განმარტებით მიმართავს ამომრჩეველს თუ რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება. ის არწმუნებს ამომრჩეველს, რომ მხოლოდ მას ძალუძს მათთვის და მთელი საზოგადოებისათვის იმის გაკეთება, რაც სხვა კანდი-

დატებისათვის აბსოლუტურად შეუძლებელია. ეს მომენტი კანდიდატმა განსაკუთრებით უნდა დაასაბუთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნები სრულიად სხვა გზით წავა. მეორე რიგში, ამომრჩევლებისადმი პირველსავე მიმართვაში კანდიდატმა ზოგადად უნდა ჩამოაყალიბოს ის ძირითადი თემა, ის პრობლემები, რომელსაც შემდგომ, წინასაარჩევნო კომპანიაში მთავარი ყურადღება დაეთმობა. მესამე, განცხადების გაკეთებისთანავე პრეტენდენტმა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უნდა დააკარგვინოს კონკურენტებს. ხაზი უნდა გაუსვას საკუთარ დადებით მხარეებს, თავის უნარს მობილიზაცია გაუკეთოს გამარჯვებისათვის აუცილებელ ყველა რესურსებს, განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ მას ღრმად ესმის საზოგადოების პრობლემები.

გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა ტექნიკურ, ფორმალურ მომენტებს, კერძოდ – განცხადების გაკეთების დროის შერჩევა, ადგილი სადაც ეს განცხადება კეთდება, ვინ იქნება ამ დროს კანდიდატის გარემოცვაში, უნდა გადაიჭრას საკითხი, თუ რა ღონისძიება ტარდება განცხადების მერე და ა.შ. ამ მომენტებს დავუთმოთ ცოტაოდენი ყურადღება.

განცხადების გასაკეთებლად შერჩეულმა დრომ შეიძლება არსებითად იმოქმედოს კანდიდატის მომხრეებსა და მის ოპონენტებზე. მაგრამ ოპტიმალური დროის შერჩევა ადვილი არ არის. ხშირად მომგებიან პოზიციაში ხვდებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვაზე ადრე გააკეთებენ განცხადებას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განცხადების პირველი გამკეთებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ცენტრში ექცევა, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია. მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. ადრე განცხადების გამკეთებელი, ადრევე ხვდება კრიტიკის შუაგულში. ამავე დროს, წინასაარჩევნო კომპანიის ფინიშზე ანუ უშუალოდ არჩევნებზე კანდიდატს „დაღლილობა" არ უნდა შეეტყოს.

სპეციალისტების აზრით, დროსთან შედარებით არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილს თუ სად იქნება გაკეთებული განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. საინფორმაციო საშუალებები ყურადღების ცენტრში მოაქცევენ ამ ადგილს და მისდა მიხედვით გაკეთდება დასკვნები პრეტენდენტის სოციალური და პოლიტიკური სიმპათიების შესახებ.

ადგილისა და დროის გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე თუ ვინ არტყია გარს პრეტენდენტს განცხადების გაკეთების დროს, იქნებიან ეს ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის, პოლიტიკის თუ მხოლოდ ოჯახის წარმომადგენლები. ამას გარდა კანდიდატს არა აქვს უფლება გააკეთოს

განცხადება და შემდეგ დროებით გაქრეს, აღარ გამოჩნდეს. პირიქით, დაიწყოს გარკვეული მოძრაობა დაპირებებისა და წამოყენებული იდეების რეალიზაციის მიზნით. ეს ნაბიჯები, ისევე, როგორც დაპირებები სხვადასხვა შინაარსისაა, და ყველაფერი დამოკიდებულია წინასაარჩევნო ბრძოლის სასტარტო სცენარის შემდგენელი პროფესიონალების კვალიფიკაციასა და შემოქმედებით ფანტაზიაზე.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც საარჩევნო სისტემა გარკვეულია და, მეტიც, დროის მიერ შემოწმებულიცაა, საარჩევნო მარათონში ჩაბმის ყველა დეტალი ნათლადაა გარკვეული. მეტიც, მათი რეალიზაცია ხდება გარკვეული კონცეფციის მიხედვით, რომლის ცალკეული ელემენტები უნდა ავლენდნენ მოქნილობას ე.ი. სიტუაციის მიხედვით უნდა იცვლებოდნენ. პრინციპში კი, წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩართვის ყველა ძირითადი ელემენტი აუცილებლად სრულდება. ესენია: გააზრებულად შერჩეულდი ადგილი და დრო, სპეციალურად ამ პროცედურაზე მოწვეული პიროვნებები, თვით კანდიდატის სიტყვა და მისი თანმდევი კონკრეტული ქმედებები. ყოველივე ეს უკვე ნიშნავს, რომ საარჩევნო კომპანიამ სტარტი აიღო.

წინასაარჩევნო კომპანიის ნაბიჯები. კანდიდატის მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადების შემდეგ ფაქტობრივად იწყება საარჩევნო კომპანია. ამ პროცესში მრავალრიცხოვანი საკითხებია გადასაჭრელი. პირველ რიგში ალბათ უნდა გადაიჭრას კანდიდატის საარჩევნო პლატფორმის ჩამოყალიბების საკითხი. ოფიციალურ განცხადებაში პლატფორმაზე ზოგადი მითითებაა გაკეთებული. ახლა კი უკვე საჭიროა მისი გაშლა, ამომრჩეველთათვის გარკვევით ჩამოყალიბებული წინადადებების მთელი პაკეტი, რომლებშიც ნათლად არის წარმოდგენილი ადგილობრივი და მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოკვეთილი პრობლემები და გამიზნულია მათ გადასაჭრელად (მაგალითისათვის ეს შეიძლება იყოს ბიუჯეტის შესრულება, უმუშევრობის დაძლევა, ადამიანის უფლებები და ა.შ.). კანდიდატის პლატფორმის ძირითადი შინაარსის გაცხადების შემდგომ ყველა შესაძლებელი საშუალებების გამოყენებით იწყება ამ პლატფორმის რეკლამა. შემუშავებულ უნდა იქნეს წინასაარჩევნო კომპანიის ე.წ. სტრატეგია და ტაქტიკა. ცალკე გამოიყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები. წინასაარჩევნო კომპანიაში იქმნება კანდიდატის აუცილებელი იმიჯი, მიმდინარეობს მისი პირადული ნიშნების დადებითი დახასიათება.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ წინასაარჩევნო კომპანია ურთულესი პროცესია. მისი მხოლოდ მიზნების ჩამოთვლაც კი ძალზე ძნელია, ხოლო უკვე აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია სპეციალური აპარატი, რაც ცნობილია წინასაარჩევნო კომპანიის შტაბის სახელით. აღნიშნული შტაბის შექმნა იწყება კანდიდატის ოფიციალურ განცხადებებთან ერთად, თუმცა ცხადია, რომ ამ კუთხით წინასწარი სამუშაოები ჩატარებულია და შტაბის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია. ოფიციალურად შტაბში შედიან – მოწინააღმდეგეთა შესწავლის სპეციალისტები, საარჩევნო ოლქებში ვითარების შემსწავლელი ჯგუფი, პრესასთან კავშირი, ფინანსირების წყაროთა საკითხები, უკანასკნელ პერიოდში საჭირო გახდნენ პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტები, ცალკე განყოფილება მუშაობს კანდიდატის იმიჯის შესაქმნელად, კონკურენტებზე მუშაობა სხვა ჯგუფს ევალება. კარგია თუ კანდიდატი ოფიციალური შტაბის გარდა შექმნის კიდევ ერთ, არაფორმალურ საკონსულტაციო ჯგუფს, რომელშიც ჩვეულებრივ გაერთიანდებიან კანდიდატის მეგობრები, ნათესაობა, მიმდევრები, სპონსორები და ა.შ. ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი ღონისძიების წარმატებას ბევრად განაპირობებს მისი ხელმძღვანელი. ტრადიციულად შტაბის ხელმძღვანელი არის ან მეგობარი ან მისი დაქვემდებარებული კოლეგა. მაგრამ ეს „თანამდებობა" იმდენად საპასუხისმგებლოა,რომ ძალუძთ მხოლოდ პროფესიონალებს. როგორც ეკონომისტები ამბობენ მოთხოვნა განსაზღვრავს წინადადებებს, ასე რომ, არ არის გამორიცხული წინასაარჩევნო კომპანიის შტაბისათვის პროფესიონალი ხელმძღვანელის დაქირავება.

უნდა დაისვას კითხვა – რა აკეთებს ამ დროს თვით კანდიდატი? შტაბის პროფესიონალი, გამოცდილი ხელმძღვანელები თვლიან, რომ თუ კანდიდატი თავად ცდილობს უხელმძღვანელოს შტაბს, ის კარგავს ძვირფას რესურსს – დროს, ეს არ არის მისი საქმე.

ზოგადად კი საარჩევნო კომპანია სამ ეტაპად იყოფა და ყოველ ეტაპს თავისი ამოცანა აქვს შესასრულებელი. პირველ ეტაპზე საფუძველი ეყრება წინასაარჩევნო კომპანიის საფუძვლებს, ამ ეტაპზე ხდება' შტაბის ფორმირება, მისი ძირითადი ამოცანების გააზრება-გაანალიზება, უნდა გადაიჭრას ფინანსირების საკითხი და ამის შემდეგ შემუშავდეს სვლები, დაზუსტდეს ამ პროცესში ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ყველა ასპექტი.

მეორე ეტაპი უკვე არის სტრატეგიის შემუშავება.

რაც შეეხება სტრატეგიას აქ ვარიანტების სიმრავლე გამორიცხულია. სტრატეგიული გეგმა არის საბოლოო გამარჯვებისაკენ მიმავალი გეგმა. ანუ აუცილებელია ორიენტირი აღებულ იქნას პარტიულ წარმომადგენლობაზე, მომხრეებზე და საკუთარ შესაძლებლობებზე. კომპანია უნდა წარიმართოს მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის ფორმით, ამომრჩევლებს შესთავაზოს პრობლემების გადაჭრის საკუთარი გზა და დაარწმუნოს ამ გზის სისწორეში. სტრატეგია გარკვეულად შეიცვლება თუ ორიენტაცია აღებული იქნება გამოჩენილ პიროვნებაზე, მაშინ როდესაც საკითხი ეხება მეორე ვადით არჩევას. აქ უკვე წინა პლანზე წამოიწევს პიროვნული პარამეტრები, შესაძლებლობები, იმიჯი.

მესამე ეტაპზე ხდება კანდიდატის ფართო რეკლამის საშუალებით ხმების მოპოვება. კანდიდატის მრავალრიცხოვანი შეხვედრები ამომრჩევლებთან. ყველა სხვა საკითხებთან ერთად აქ კანდიდატს დიდი ფიზიკური დატვირთვა ელოდება. პარალელურად მიდის კანდიდატის პლატფორმის ფართო გაშუქება. აქტიურად და მაქსიმალური დამაჯერებლობით ხდება კონკურენტთა არგუმენტების უკუგდება. პარალელურადვე მიმდინარეობს არჩევნებში გამარჯვების ზეიმის პროგრამის დამუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზადვე უნდა იყოს ღირსეული სიტყვა და გვახსოვდეს, რომ არც ერთი არჩევნები არ მთავრდება ნულოვანი შედეგებით. ლამაზად წაგება ხელოვნებაა, რომელიც შემდეგ ეტაპებზე აქტივში შედის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არჩევნებში. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მასმედიას ძალუძს მოიგოს ან წააგოს საარჩევნო კომპანია. მე-20-ე საუკუნის 40-იანი წლების ინფორმაციულმა რევოლუციამ გააძლიერა მასმედიის ელექტრონული საშუალებები. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი სპეციალურად ადგენს მასობრივი ინფორმაციის წყაროების, განსაკუთრებით ტელევიზიის საშუალებით საარჩევნო პროგრამის განხორციელების გეგმას. ტელერეჟისორები შეიმუშავებენ კანდიდატის ვიდეოსახეს, ინსტრუქციებს ჩაუტარებენ კანდიდატს თუ რომელ წამს როგორ უნდა მოიქცეს, რათა ამომრჩევლებზე მოახდინოს მაქსიმალურად მომგებიანი შთაბეჭდილება. მასმედიის როლი იმდენად გადამწყვეტია, რომ ამ კუთხით იხარჯება საარჩევნო ყიუჯეტის უდიდესი ნაწილი.

უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა არჩევნებმა (მხედველობაში გვაქვს სხვა ქვეყნებიც) გამოკვეთა ტელევიზიის ადგილი საარჩევნო კომპანიის პერიოდში. პირველ რიგში ეს იყო პირდაპირი კავშირის შესაძლებ-

ლობა საარჩევნო კომპანიის შტაბსა და ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს შორის, ეს იყო შესაძლებლობა ოპერატიულად მიიღო ინფორმაცია, მისცე მითითებები, მოახდინო რეაგირება და ა.შ. ასევე საყურადღებოა საკაბელო ტელევიზიის შესაძლებლობები და ვიდეოფირების გავრცელებით ზემოქმედება პოტენციალურ ამომრჩევლებზე. საკაბელო ტელევიზიას ძალუძს გამიზნულად იმოქმედოს გარკვეულ რაიონზე და უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის გავრცელება. არ არის გამორიცხული დროებითი სატელევიზიო არხების შექმნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით ან უშუალოდ დაამყარო კავშირი ადგილობრივ ტელეკომპანიებთან, რომელთაც უკვე აქვთ ამ სახის არხები. უნდა იქნეს გამოყენებული კომპიუტერული გრაფიკის შესაძლებლობები, რაც აძლიერებს კანდიდატის ტელევიზიით გამოსვლის შთაბეჭდილებებს. ეს რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელების ელექტრონულ საშუალებებს, მათ შესაძლებლობებს. ისმის კითხვა თუ რა შინაარსის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს კანდიდატმა და მისმა საარჩევნო შტაბმა ამომრჩევლებს? აქ აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა: მიწოდებულ ინფორმაციაში გამოკვეთილი უნდა იყოს პოზიტიური ცნობები კანდიდატის შესახებ. ნეგატიური ინფორმაცია ოპონენტებზე, კანდიდატებისა და მათი პროგრამების შედარება, მოწინააღმდეგე მხარის კრიტიკულ გამოსვლებზე დამაჯერებელი პასუხები.

შტაბის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინფორმაციის გარდა ნებისმიერ კანდიდატზე ვრცელდება ე.წ. თავისუფალი ინფორმაცია. მხედველობაში გვაქვს იმ ჟურნალისტთა საქმიანობა, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან პოლიტიკის სფეროზე, რომელთა ინტერესები მრავალმხრივია – ბრძოლა, ქიმპობა, შეცდომები, უზუსტობები და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უნდა იყოს უკვე მოქმედი და ავტორიტეტული პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების პოზიციათა საჯარო გამოსვლებით მათი პოზიციების დაფიქსირება. არც ეს პროცესი არის აბსოლუტურად უმართავი.

მასმედიის ელექტრონულ საშუალებებზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს ინფორმაციის გავრცელების ტრადიციული საშუალებები – პრესის შესაძლებლობების გათვალისწინება, ან საარჩევნო კომპანიის ტრადიციული საშუალებები – ფურცლები, პლაკატები, პირდაპირი წერილობითი გზავნილობები, ინტერვიუები, ანალიტიკური განხილვები, კომენტარები, არც რადიოს გამოყენება უნდა იქნეს იგნორირებული და უკანა პლანზე გადაწეული.

ცხადია, რომ რთულია საარჩევნო კომპანიის საქმიანობა და აქ არც ერთი შანსი არ უნდა იქსეს ხელიდან გაშვებული. ყოველი ნაბიჯის ეფექტურობა დამოკიდებულია მის ფორმაზე, მის შინაარსზე, რასაც საბოლოოდ განსაზღვრავს შტაბისა და მისი თავმჯდომარის პროფესიონალიზმი და შემოქმედებითი ნიჭი.

საარჩევნო კომპანია და ფინანსები. ზემოთ განხილულმა საკითხებმა ერთი რამ ცხადყვეს -- ფინანსური უზრუნველბოფის გარეშე რაიმე წარმატებაზე საუბარი უაზრობაა. ფინანსირება საარჩევნო კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ერთ-ერთმა უცხოელმა პოლიტიკოსმა დაახასიათა საარჩევნო კომპანიის ძირითადი ელემენტები -- კანდიდატი, მასთან დაკავშირებული პრობლემები, კომპანიის ორგანიზება და ამისათვის საჭირო ფინანსები. თუ მეოთხე ელემენტი არ არსებობს ან სუსტია, პირველი სამი აზრს კარგავს. ფინანსური რესურსები სჭირდება კანდიდატის დასახელების ორგანიზაციას, მის შეხვედრებს ამომრჩევლებთან, ტელევიზიას, რადიოს, პრესას, პროგრამის გამრავლებასა და გავრცელებას, რეკლამას, თვით არჩევნების ჩატარებას. ფინანსებთან დაკავშირებით წამოიჭრება რიგი საკითხები: როგორ არის ორგანიზებული არჩევნების ფინანსირება? ანუ ვინ აფინანსებს არჩევნებს? როგორია ფინანსური დანახარჯების სტრუქტურა? ანუ არჩევნების რომელ ელემენტს რა ხარჯები სჭირდება? ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს არჩევნები დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც საარჩევნო სისტემებმა განვლეს განვითარების დიდი გზა და დღეისათვის საკმაოდ სტაბილური ფორმები შეიმუშავეს.

ისევე, როგორც არჩევნებისათვის არსებობს კანონმდებლობა, ასევე მისი ფინანსირებაც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. სხვადასხვა ქვეყანაში ეს კანონმდებლობები განსხვავებულია, მაგრამ, ამასთან ერთად, არის საერთო ნიშნებიც: ბევრ ქვეყანაში დადგენილია საარჩევნო კომპანიის ფინანსირების ზედა ზღვარი. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში მიღებულია კანდიდატისადმი ფინანსური მხარდაჭერა, თუ მას არა აქვს კომპანიის წარმართვისათვის საკმარისი ფინანსები. ასევე ყველა ქვეყანაში ცნობილია, ანუ გამჭვირვალეა არჩევნების ფინანსური მხარე. ფინნანსებთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი მომენტი, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა აიძულებს კანდიდატს შეიტანოს გარკვეული (დადგენილი) რაოდენობის თანხა, რომელიც მას დაუბრუნდება თუ ვერ დააგროვებს ხმების გარკვეულ (დადგენილ) პროცენტს. მოყვანილი მომენტების მიზა-

ნია შეუქმნას ყველა კანდიდატს თანაბარი პირობები, არ დაუშვას ისეთი პიროვნებების მონაწილეობა და გამარჯვება, რომელბიც არ აკმაყოფილებენ კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნების ყველა პუნქტს.

საარჩევნო კანონმდებლობის დაცვის გარანტი უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო სისტემების გავრცელებული კონცეფციები. პრობლემები, რომელბიც დაკავშირებულია საარევნო სისტემებთან, წინასაარჩევნო კომპანიებთან, მათ ფინანსირებასთან მეცნიერ-პოლიტოლოგთა ფართო წრის ყურადღებას იქცევს. ზოგიერთი მათგანის კონცეფცია საკმაოდ პოპულარული და გავრცელებულიცაა. ფრანგმა პოლიტოლოგმა მორის დუვერჟემ შეიმუშავა პარტიული და საარჩევნო სისტემების ურთიერთობის კონცეფცია. მისი აზრით აღნიშნული ურთიერთობა ვლინდება იმ სამ კანონში, რომლებიც მას ეკუთვნის. პირველი კანონი: ერთტურიანი კენჭისყრით ორგანიზებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ნებისმიერ ქვეყანაში აუცილებლობით გვაძლევს ორი მოქიშპე პარტიებით შემდგარი პარტიული სისტემის ფორმირებასა და დამკვიდრებას. ამ კანონის მოქმედებას ორი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, მესამე და საერთოდ სხვა პარტიები სუსტად არიან წარმოდგენილი პარლამენტში. მეორე მიზეზი ფსიქოლოგიური ხასიათისაა – ყოველი ამომრჩეველი, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებს იმ კანდიდატს, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვს. მეორე კანონი: ნებისმიერ ქვეყანაში დამკვიდრებული ორტურიანი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მოწმობს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში არსებული პარტიული სისტემა, გულისხმობს რამოდენიმე პარტიას. ამავე დროს ამ პარტიებს უკავიათ საკმაოდ მოქნილი პოზიციები, მიისწრაფიან კომპრომისისაკენ. ამ კანონის მოქმედება გაპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოცემული საარჩევნო სისტემა შესაძლებლობას აძლევს ყველა პარტიას მიიღონ მონაწილეობა პირველ ტურში. ეს არის გზა მრავალპარტიულობისაკენ. მესამე კანონი: პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას. თანაც ისეთი პარტიებისა, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან შინაგანი სტრუქტურით და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოზიციით. ასეთი სისტემა ხელს უწყობს მრავალპარტიულობის ფართოდ გავრცელებას. ეს ნათელია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ყოველ პარტიას უჩნდება რეალური შესაძლებლობა ჰყავდეს საკუთარი წარმომადგენელი პარლამენტში ყოველგვარი სხვა პარტიებთან კავშირე-

ბისა და ბლოკების გარეშე, ყოველგვარი კომპრომისული სვლების გარეშე. ეს რაც შეეხება კონცეფციას პარტიული და საარჩევნო სისტემების ურთიერთობის შესახებ.

ცხადია, ამომრჩევლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული არცერთი თემა არ იწვევს აზრთა ისეთ სხვადასხვაობას, როგორც ამომრჩეველთა სხვადასხვაგვარობის თემა. პოლიტოლოგთა ინტერესი ამ თემის მიმართ გასაგებია, რადგან ყოველი ახალი არჩევნები მოითხოვს მოსამზადებელ სამუშაოებს, პროგნოზებს, საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამომრჩეველთა პოლიტიკურ სიმპათიებზე დაყრდნობით ესა თუ ის პარტია ან დამოუკიდებელი კანდიდატი ღებულობს გარკვეულ კონკრეტულ ზომებს რაც მათი აზრით ხელს უწყობს არჩევნებზე გამარჯვებას. აღნიშნულ კონცეფციაში განხილულია საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს არჩევნების შედეგებზე ცვალებადი პოლიტიკური შეხედულებების მქონე ამომრჩეველები.

საუბარი ეხება იმ ამომრჩეველებს, რომლებიც ორ ერთმანეთის თანმიმდევრობით მოწყობილ არჩევნებში სხვადასხვა პარტიებს აძლევენ ხმას. რაოდენობის თვალსაზრისით ასეთი ამომრჩევლები ბევრი არ არის (გერმანელი პოლიტოლოგების გამოკვლევით 10-15%). მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია. თავისთავად ციფრი დიდი არ არის, მაგრამ მას შეუძლია ისეთი გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე, რომ ეს სენსაციად ჩაითვალოს, და მაშასადამე იმოქმედოს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მთლიანად პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამომრჩეველთა ეს ჯგუფი პოლიტოლოგთა ყურადღების ცენტრში არის მოქცეული.

აღნიშნულ კონცეფციაში არსებითი ადგილი უკავია საკითხებს ამ მოვლენის წანამძღვრებისა და მიზეზების შესახებ. აქ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი პოლიტოლოგი თვლის, რომ ამომრჩეველთა პოზიციის მერყეობის წინაპირობა და წანამძღვრებია ინფორმაციის არაერთგვაროვანი ხასიათი. აქ შემჩნეულია გარკვეული კანონზომიერებაც, რაც უფრო ჭრელია მასმედიისა და სოციალური გარემოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მით უფრო მეტია ამომრჩეველთა პოლიტიკური ორიენტაციის ცვალებადობის დიაპაზონი. პოლიტოლოგთა სხვა ჯგუფს მიაჩნია, რომ ამომრჩეველთა მერყეობა გაპირობებულია ხუსტად გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიციით.

ამავე კონცეფციის ჩარჩოებში ხდება ამომრჩეველთა მერყეობის მიზეზთა ევოლუციის კვლევა. შედეგი დაახლოებით ასეთია. თუ ადრე ასეთი ამომრჩეველი ხასიათდებოდა როგორც აპოლიტიკური და ცუდად ინფორმირებული, დღეს სხვაგვარი თვალსაზრისია. დღეისათვის მათ ეწოდებათ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის პოზიციებზე მდგომი დამოუკიდებელი ამომრჩევლები. ეს პოზიცია უახლოვდება „პოლიტიკის ეკონომიკური საფუძვლების" თეორიის მიმდევრებს. ანუ აქ ადამიანი განიხილება, როგორც საბაზრო ეკონომიკის კანონებით მოქმედი ამომრჩეველი. ის აანალიზებს და ირჩევს სხვადასხვა პარტიების მიერ წარმოდგენილ პროგრამებიდან იმას, რომელიც უფრო პასუხობს მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. შესაბამისად ის არის ძნელად „აღსაზრდელი" ამომრჩეველი.

არის თვალსაზრისი, რომლის თანახმად მერყეევი ამომრჩეველი – ეს არის კარგად ინფორმირებული, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით ძლიერ გაცნობიერებული, აქტიური, მობილური მოქალაქე. როგორც წესი ის ეკუთვნის ქალაქის საშუალო ფენას. რადგან ქალაქი ვახსენეთ, მივხედოთ სოფელსაც. სოფლის მოსახლეობა ხმას უფრო ტრადიციულად აძლევს. ცვალებადი და მერყეევი ამომრჩეველთა პროცენტი სოფლად ბევრად მცირეა.

საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებული თეორიული კონცეფციების დამუშავებაში მნიშვნელოვნად ითვლება არჩევნების პრობლემებისადმი მიდგომის საკითხი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს არის არჩევნებისადმი მიდგომის, მისდამი დამოკიდებულების საკითხი. ე.ი. გარკვევა იმისა თუ რა პოზიციაზე დგას ესა თუ ის პოლიტიკური პარტია ან ცალკე აღებული კანდიდატი. დღეისათვის ამ კუთხით გამოიყვეთა სამი შემდეგი მიდგომა:

1. არჩევნების გეოგრაფიის კონცეფცია. მისი ფუძემდებელი ა.ზიგფრიდი აანალიზებდა რა საფრანგეთში ჩატარებულ სხვადასხვა საარჩევნო კომპანიების შედეგებს, მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში არსებობენ ისეთი რაიონები, რომლებშიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამომრჩეველთა პოლიტიკური ინტერესები უცვლელი რჩებოდა. ამომრჩეველთა აღნიშნული სტაბილურობა განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება, როდესაც პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური სისტემა, მთლიანობაში პოლიტიკური სიტუაცია ამ ქვეყანაში განიცდიდა არსებით ცვლილებებს. ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ რაიონების ამომრჩეველთა პოლიტიკური შეხე-

დულებების სტაბილურობა არის მათი სოციალური და ბუნებრივი პირობების გამოძახილი. ამ დასკვნამ განაპირობა პროცესის კვლევისადმი მისი მიდგომა და გააკეთებინა შესამჩნევი აქცენტი არჩევნების გეოგრაფიაზე.

2. შემდგომი კონცეფცია ეფუძნება არჩევნების შედეგების შეფასების მრავალფაქტორიანობას. ეს კონცეფცია შემუშავებულ იქნა აშშ ერთ-ერთ კოლეჯში. კონცეფციის არის მდგომარეობს შემდეგში: არჩევნების შედეგების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის პარალელურად მხედველობაში უნდა იქნეს გაბატონებული პოლიტიკის როლი არჩევნებამდე და განსაკუთრებით არჩევნების პროცესში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, პოლიტიკური პარტიების მდგომარეობა, პარტიული და საარჩევნო კომპანიების ურთიერთკავშირი.

3. შემდეგი კონცეფცია საარჩევნო პროცესის ანალიზს უდგება სოციალური საკითხების საფუძველზე, რაც ნიშნავს არჩევნების შედეგების ზოგადი მაჩვენებლებიდან აქცენტის მონაცვლებას არჩევნების შედარებით კონკრეტულ მონაცემებზე, რაც მოცემული იყო საზოგადოებრივი აზრის შესწავლით ან სხვა სახის გამოკითხვის შედეგად. ამ კონცეფციის საფუძველია კვლევის სოციალურ-ფსიქოლოგიური მიმართულება, პირველად ამ სახის კვლევა განახორციელეს მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა. შემდგომ ის ფართოდ გავრცელდა.

პოლიტიკური სუბიექტი. პოლიტიკური პროცესი

პოლიტიკური სუბიექტის ცნება. პოლიტიკური სუბიექტის ტიპოლოგია. პოლიტიკური ურთიერთობა. პოლიტიკური კონფლიქტი. პოლიტიკური კონფლიქტები და პოლიტიკური პროცესები.

პოლიტიკური სუბიექტის ცნება. სპეციალურ ლიტერატურაში შესვლებით იდეას, სადაც პოლიტიკა და თეატრი გაიგივებულია. პირველი არის სცენა – სადაც სრულდება წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით, საინტერესო მოვლენებით დატვირთული სპექტაკლები, ბევრი მონაწილე გმირებით – პარტიებით, ლიდერებით, სოციალური ჯგუფებით, რომელთა შორის ურთიერთობა შეადგენს სპექტაკლის შინაარსს. მაყურებელს კითხვა უჩნდებათ – ვინა არის მთავარი გმირი? საერთოდ, ვინ ვინ არის? პასუხის გაცემა ძნელი არ არის. მთავარია გადაიჭრას საკითხი პოლიტიკური სუბიექტების ვინაობის შესახებ, ანუ საჭიროა პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეთა განსაზღვრა, მათი ინტერესების, ძალისა და გავლენის უნარი, უნარი იბრძოლონ ძალაუფლებისათვის, პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის.

ვის ეძახიანს პოლიტიკურ სუბიექტს? თქმა მხოლოდ იმისა, რომ პოლიტიკური სუბიექტი არის ის ვინც მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცხადია არ არის საკმარისი. პოლიტიკურ ცხოვრებასა და პროცესებში მხოლოდ მონაწილეობა პოლიტიკური სუბიექტის სტატუსს არ ანიჭებს. პოლიტიკური სუბიექტი შეიძლება ეწოდოს იმას, ვინც არა მხოლოდ მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებასა და პროცესებში, არამედ მეტიც, ქმნის ამ პროცესებს, წარმართავს მათ, ანხორციელებს დასახულ მიზნებს. პოლიტიკური სუბიექტი არ არის მასობრივი სცენის უსახელო მსახიობი. მას აქვს საკუთარი სახელი, ეს შეიძლება იყოს – სახელმწიფო, პარტია, ლიდერი, ელიტა, კლასი და ა.შ. პოლიტიკური სუბიექტი აცნობიერებს საკუთარ როლს, რეალურად აფასებს თავის შემაძლებლობასა და მდგომარეობას პოლიტიკასა და საზოგადოებაში, თანამოაზრეთა ძალასა და გავლენას.

პოლიტიკური სუბიექტი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. პირველი რაც მას მოჭარბებულად უნდა ახასიათებდეს ეს არის – აქტიურობა. აქტიურობაში გამოიხატება მისი მოღვაწეობის ინტენსივობის ზომა. აქტიურობა არის ინტენსიურობის საზომი. ცხადია აქტიურობას საერთოდ და კერძოდ კი პოლიტიკურ აქტიურობას შეიძლება მიეცეს განსხვავებული მიმართულება. ის შეიძლება იყოს კონსტრუქციული ხასიათის, მიმართული სოციალურ სინამდვილეში დადებითი ღონისძიებების დამკვიდრებისა და დაცვისაკენ. შეიძლება ჰქონდეს დესტრუქციული ხასიათი, მიმართული იყოს სოციალური სისტემის დესტაბილიზაციისაკენ და რღვევისაკენ. პოლიტიკური სუბიექტის აქტივობის გამოსავლენად არსებული ასპარეზი ძალზე ფართოა, მოიცავს პოლიტიკური, სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს (მოლაპარაკებები, პარტიის ლიდერის, ელიტის საქმიანობა, უკიდურესი ფორმაა – სოციალური რევოლუცია).

პოლიტიკური სუბიექტის ტიპოლოგია. პოლიტიკური პროცესების სუბიექტების ტიპოლოგიის კრიტერიუმები განსხვავებულია და სპეციალურ ლიტერატურაში მრავლადაა მოყვანილი შესაბამისი მაგალითები. შევეცადოთ გამოვყოთ პოლიტიკური სუბიექტის რამოდენიმე ნაირსახეობა. პირველ რიგში, ეს არის ის ვინც უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვისაც მასობრივი ცნობიერება აიგივებს პოლიტიკასთან: სახელმწიფო, პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოძრაობები და ა.შ. სწორედ ისინი ჩანან მუდმივად პოლიტიკურ არენაზე. მეორე რიგში პოლიტიკაში თავს იჩენს, არა მხოლოდ უშუალო სუბიექტების, არამედ, ვთქვათ, დიდი სოციალური ჯგუფების – კლასების, ფენების და სხვათა ინტერესები და პოლიტიკის სუბიექტადაც ისინი გვევლინებიან. მესამე რიგში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობაში ან სამთავრობო ჯგუფებში ყველას არა აქვს რეალური შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე. აქ გადაწყვეტილებებს ღებულობს მოღვაწეთა ვიწრო წრე – პოლიტიკური ელიტა, ფინანსური დირექტორატები, ჩრდილოვანი ან ნახევრადლეგალური გაერთიანებები. პოლიტიკური სუბიექტი შეიძლება იყოს ცალკე აღებული პიროვნება ე.წ. ხარიზმატიკული ლიდერი, რომელიც საკუთარი ძალით ადგენს პროგრამას, მისი რეალიზაციის გეგმას, ხელმძღვანელობის განხორციელების პროცესს, ხოლო მისი გარემოცვის როლი აქ უმნიშვნელოა.

პოლიტიკური სუბიექტის ინტერესისა და მოღვაწეობის ობიექტს -- პოლიტიკური ობიექტი წარმოადგენს. პოლიტიკური ობიექტის შინაარსი და ხასიათი მთლიანად განსაზღვრა შესაძლებელია დროის, ადგილისა და ვითარების სრული გათვალისწინებით.

პოლიტიკური ურთიერთობა. პოლიტიკურ მიმართულებებსა და პოლიტიკურ პროცესებში ვლინდება პოლიტიკური სუბიექტების ურთიერთმიმართება. ამდენად პოლიტიკურ ცხოვრებაში გასარკვევად უნდა დავაზუსტოთ ისეთი ცნების შინაარსი, როგორიცაა პოლიტიკური ურთიერთობა. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება ურთიერთობა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პოლიტიკური ძალაუფლება და ან მისი განხორციელება.

პოლიტიკური მიმართებები ისევე მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის როგორც სოციალური, ეკონომიკური მიმართებები: ისინი ააშკარავებენ საზოგადოების ხასიათს, ექსპლუატაციის დონეს, ბატონობას ან ერთიანობასა და თანამშრომლობას. პოლიტიკურ მიმართებათა ინტენსივობა იცვლება სოციალური ვითარების ცვლილებებთან დაკავშირებით. კრიზისულ სიტუაციებში შეიძლება მიწყნარდნენ (რადგანაც განსაკუთრებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ არის გამორიცხული არც რეპრესიები, არც შეიარაღებული შეჯახება) ან პირიქით მკვეთრად აქტიურდებიან (რევოლუციებში, ღია დემოკრატიული რეფორმების დროს).

პოლიტიკური მიმართებების სუბიექტებია მმართველი ძალა და ოპოზიცია, პოლიტიკურ პირთა ერთობები დაყოფილნი მემარჯვენეებად, მემარცხენეებად და ცენტრისტებად. მათი ურთიერთობები ვლინდებიან საპარლამენტო საქმიანობასა და ბრძოლაში, პარტიათაშორისო და შიდაპარტიულ ბატალიებში. არსებობს აგრეთვე ტრადიცია პოლიტიკურ ურთიერთობებში განვასხვავოთ რადიკალური (მემარცხენეები და მემარჯვენეები) და ზომიერი (ცენტრისტული) მიმართებები, ან პროგრესიული (მემარცხენეები) და რეგრესიული (მემარჯვენეები) მიმართებები, ცხადია იმისი გათვალისწინებით, თუ რა ითვლება რეაქციულად და რა პროგრესიულად.

პოლიტიკური პროცესის პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთობა ხდება და ვითარდება დროსა სივრცეში და ღებულობს დინამიური მოვლენების, პოლიტიკური პროცესების სახეს. „პროცესის" ცნება მეცნიერულ ლიტერატურაში შესულია კიბერნეტიკის თეორიიდან, სადაც

პროცესი გაგებულია, როგორც ნებისმიერი თანმიმდევრობა ერთიმეორის მიყოლებული, მეტწილად ურთიერთდაკავშირებული და კონკრეტული შედეგისაკენ მიმავალი მოვლენებისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესი – ეს არის მოვლენა დინამიკაში, მოძრაობასა და ცვალებადობაში. ამიტომ, ზოგადად, პოლიტიკურ პროცესად უნდა გავიგოთ ერთი პოლიტიკური მოვლენის გადასვლა სხვა პოლიტიკურ მოვლენაში, რომელიც მოიცავს დროის გარკვეულ მონაკვეთს. პოლიტიკური პროცესები მნიშვნელობის კუთხით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათს სიმრავლეს და მრავალგვარობას განაპირობებს საზოგადოებაში მიმდინარე ძირითადი, ფუნდამენტური ძალის პროცესები. მაგალითად: კონსტიტუციური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი, დემოკრატიზაციის და ა.შ. ფუნდამენტური პოლიტიკური პროცესები განსაზღვრავენ ყველა სხვა სახის პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა ერთიანობა საბოლოო ჯამში არის კიდეც პოლიტიკური ცხოვრების შინაარსი.

პოლიტიკური პროცესის შინაარსი გამოირჩევა მრავალფეროვნებით: ეს შეიძლება იყოს რომელიმე კონცეფცია, დაწყებული რაიმე იდეიდან და დამთავრებული ჩამოყალიბებული თეორიით; ან რაიმე სოციალური მნიშვნელობის პროცესი, შესაბამისი საფეხურებითა და მიმართულებით; წინასაარჩევნო პერიოდში ჩვეულებრივ ხორციელდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი შესაძლებელ კანდიდატებზე.

რაც შეეხება პოლიტიკური პროცესის სტრუქტურას, აქ იგულისხმება პროცესის სუბიექტი (რეალური ძალაუფლება ან კონკრეტული პიროვნება აღჭურვილი შესაბმისი ძალაუფლებით); პროცესის ობიექტი – რომლის შექმნა, მიღება საბოლოო შედეგად უნდა მოგვცეს აღნიშნულმა პროცესმა. პოლიტიკური პროცესის მესამე სტრუქტურული შემადგენელი ნაწილია პროცესის განსახორციელებლად აუცილებელი მეთოდები, საშუალებები ე.ი. რესურსები, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ პროცესის სუბიეტისა და ობიექტის დამაკავშირებელ სტრუქტურულ ერთეულებს. პოლიტიკური პროცესების რესურსებად გვეძლევიან მატერიალური და იდეალური საფუძვლები: ცოდნა, მეცნიერება, ტექნიკური და ფინანსური საშუალებები, მასების განწყობა, მათი იდეოლოგია და ა.შ.

პოლიტიკური პროცესების შინაარსის უფრო დეტალური ანალიზი და მათი შეფასება დაკავშირებულია მისი განსხვავებული ტიპების ანალიზთან. აქ არ არის საუბარი იმის შესახებ, მართვადია თუ უმართავი

აღნიშნული პროცესი, თუმცა პროცესების ამ კუთხით განხილვა ასევე წარმოადგენს მათს ტიპოლოგიას. ძალზე ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ სინამდვილეში გამოიყოფა ორი ძირითადი ვითარება – სტაბილურობა და კრიზისული სიტუაციები. ეს შეიძლება საფუძვლად დაედოს პროცესების გარკვეულ ტიპოლოგიას. კერძოდ, პოლიტიკური პროცესები სოციალური კონფლიქტების პირობებში, ე.ი. როდესაც პოლიტიკური პროცესების სუბიექტთა შორის ადგილი აქვს წინააღმდეგობას, დაპირისპირებას, და პოლიტიკური პროცესები სოციალური სტაბილურობის ანუ კონსენსუსის საფუძველზე.

პოლიტიკური კონფლიქტი. როდესაც ვეხებით პოლიტიკაში კონფლიქტების საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება ამ თემის აქტუალობასა და მნიშვნელობას როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ასპექტით. ყველგან, სადაც კი ადგილი აქვს სოციალურ განსხვავებებს,ადგილი აქვს კონფლიქტებს, მეტიც, სადაც კი არის ადამიანი, იქ არის კონფლიქტიც. ისტორიის რა მონაკვეთიც არ უნდა ავიღოთ ცხადი გახდება, რომ კონფლიქტები სოციალურია ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია.

პოლიტოლოგიის თემატიკაში კონფლიქტების თემა ერთ-ერთი ცენტრალურია და ამ თემას საერთო პუბლიკაციის დიდი ნაწილი ეთმობა. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან პოლიტიკა და კონფლიქტი ყოველთვის ერთადაა. პოლიტიკა თავისი ბუნებით კონფლიქტურია. ე.ი. კონფლიქტი პოლიტიკის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. კონფლიქტით პოლიტიკა ამკვიდრებს თავის სოციალურ მიზანდასახულობას, თუმცა მისი (კონფლიქტის) არსებობა ხშირად აღიქმება როგორც პოლიტიკის სისუსტე, მეტიც – კრახი.

საზოგადოების განვითარების თვალსაზრისზე პოლიტიკურ აზროვნებაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი კონცეფცია. ერთის თანახმად თანხმობა და სიმშვიდე, საზოგადოებრივი წესრიგი და სოციალური ერთიანობა უშუალოდ ასახავენ საზოგადოებისა და ადამიანის ბუნებას. მეორე კონცეფციის თანახმად – კონფლიქტების გარეშე ერთიანობა და წესრიგი გამორიცხულია, რადგანაც ეს ერთიანობა ეფუძნება ძალასა და იძულებას, ერთის უუფლებობასა და მეორის ბატონობას.

წინა საუკუნეში გაბატონებული იყო ორი მიმდინარეობა პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, კონსენსუსის სკოლა და რ.დარენდორფის კონფლიქტის სკოლა. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის

ამოსავალი პოზიცია შემდეგში მდგომარეობს ნებისმიერი საზოგადოება წარმოადგენს მეტნაკლებად სტაბილური სტრუქტურული ელემენტების ერთიანობას; ყოველი ელემენტი ასრულებს თავის ფუნქციას (როლს); სისტემის ელემენტები ეყრდნობიან კონსენსუსსა და ღირებულებათა ლეგიტიმურობას (კანონებს ე.ი. როდესაც საზოგადოება აღიარებს ძალაუფლებას, პოლიტიკურ ნორმებსა და წესებს – მიღებულს ამ საზოგადოებაში). სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თეორიას ჰქონდა ობიექტური საფუძველი, 30-იანი წლების კატასტროფული ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დაწყებული სტაბილურობის სახით. ამ კონცეფციის შეცდომა მდგომარეობს მის მოჭარბებულ ოპტიმიზმსა და იმედში, რომ საზოგადოებას ძალუძს ყველა სოციალური პრობლემის უმტკივნეულოდ გადაჭრა.

კონფლიქტების სკოლის ამოსავალი თეზისია აღიარება იმისა, რომ კონფლიქტი – ეს არის საზოგადოების განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი ფაქტორი, მეტიც საერთოდ უაზრობაა კონფლიქტების გარეშე განვითარებაზე საუბარი. არ არსებობს საზოგადოება, სადაც არა აქვს ადგილი უთანხმოებას, შეტაკებებს, ძალადობას. რ.დარენდორფის მიხედვით პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს სივრცეს სოციალურ-პოლიტიკური სუბიექტების შეჯახებებისათვის. კონფლიქტები აიძულებს საზოგადოებას შექმნას ინსტიტუტები და მექანიზმები, რათა იწინასწარმეტყველონ მოვლენათა სვლა, კონფლიქტური სიტუაციები, მათი არიდება, სასურველი გზით წარმართვა და ა.შ. ამასთანავე პოლიტიკური პროცესი გაგებულია, როგორც სოციალურ ჯგუფებს შორის ძალაუფლებისათვის, სტატუსისა და რესურსებისათვის ბრძოლა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ავღნიშნეთ, არის კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების მექანიზმი.

როგორც ჩანს თითოეული ამ მოდელთაგანი სწორად აღწერს პოლიტოსფეროს ცალკეულ ასპექტებს და იმ დოზით ცდებიან რა დოზითაც აცხადებენ პრეტენზიას საბოლოო ჭეშმარიტებაზე.

სოციალურ კონფლიქტებზე საუბრისას ვერ ავარიდებთ თავს ავსტრიელ მოაზროვნეს, ფსიქოანალიზისა და ქვეცნობიერის თეორიის მამამთავარი ზ.ფროიდის თვალსაზრისს, რომელმაც კონფლიქტების სიღრმისეული მიზეზები დაინახა ადამიანის ანტისოციალურ ხასიათში, ანტისოციალურობაში, იმ კულტურაში, რომელმაც ეს სოციალურობა თავს მოახვია მას. ადამიანის ანტისოციალური არსი დაფარულია ქვეცნობიერის სფეროში, რომელიც შეადგენს ჩვენი ფსიქიკის მნიშვნე-

ლოვან ნაწილს, და ვლინდება აგრესიულობის განსხვავებულ ფორმებში მათ შორის სამხედრო და პოლიტიკურ ძალადობაში. კულტურა ზღუ-დავს აღნიშნულ ინსტინქტებს, მაგრამ მათი სრული მოცილება შეუძლე-ბელია. თანაც, აღნიშნავს ზ.ფროიდი, ეს კონფლიქტი არც თუ ისე უმტკივ-ნეულოა, ის იწვევს ნევროზს, დეპრესიებს, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს პოლიტიკური სუბიექტების მიერ გაკეთებულ ნაბიჯებზე. ზ.ფროიდი ფსიქოანალიზის ამოცანად მიიჩნევს ნევროზებისა და კონფლიქტის კონკრეტული გამოვლენის მიზეზების დადგენას.

პოლიტიკური კონფლიქტები და პოლიტიკური პროცესები. საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობისათვის სერიოზულ საშიშ-როებას ქმნიან კონფლიქტები, მაგრამ ამავე დროს უნდა იქნას შემჩნეული მისი პოზიტიური ფუნქციაც. კონფლიქტი გამორიცხავს უძრაობის დადგომას, კონფლიქტის უწყვეტი გადაჭრა იწვევს პროგრესულ ცვლი-ლებებს ე.ი. კონფლიქტს შემოქმედებითი როლი აკისრია. კონფლიქტი ააშკარავებს დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების განვითარების მიმართულებებში პროგრესული გზის გამოკვეთას. კონფლიქტი ხელს უწყობს ცალ-ცალკე მხარეთა შინაგან დაკავშირებასა და მთლიანობას. ეს მომენტი ხშირად გამოიყენება პოლი-ტიკური ძალების მიერ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

საბოლოო ამოცანა რა თქმა უნდა, არის არა კონფლიქტებისაგან თავისუფალი საზოგადოების კონსტრუირება, არამედ არსებული პოლი-ტიკური კულტურის ჩარჩოებში ვისწავლოთ კონფლიქტების გადაჭრა. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში კონფლიქტების დიდი ნაწილი გადაიჭრება სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, სხვა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტებით. კონფლიქტური სიტუაციების მოწესრი-გებას სახელმწიფო იწყებს იმ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტები გავრცელებით იმუქრება, მაშინაც როდესაც კონფლიქტის გამოვლენები დაუშვებელია კანონის თვალსაზრისით; ასევე მაშინაც, როდესაც კონფ-ლიქტი მიზეზი ხდება საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილზე ძალადობისა.

პოლიტიკური კონფლიქტების ფორმებია მასობრივი მოძრაობები: ბუნტი, აჯანყება, სამოქალაქო ომი, რევოლუცია.

რევოლუცია – ეს არის საზოგადოების ძირეული გარდაქმნა, გაბა-ტონებული ელიტის სრული შეცვლა. ეს შეცვლა ხორციელდება საზო-გადოების განვითარების ახალი პროექტის შესაბამისად, ახალი დაწესე-

ბულებებისა და ახალი ღირებულებების შექმნით. სოციალურ რევოლუციაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ეტაპები: მომწიფება, აფეთქება და ინსტიტუციონალიზირება. პირველ ეტაპზე გროვდება გადაუჭრელი კონფლიქტები, გაცრუებული იმედები, მკაცრი კრიტიკა, რაც საზოგადოებას უკარგავდა ცვლილებებისა და გარდაქმნების შესაძლებლობასა და მათს რწმენას. მეორე ეტაპი არის უშუალოდ შეიარაღებული შეჯახება ავანყებულებსა და სამთავრობო ნაწილებს შორის. ამ ეტაპზე ადგილი აქვს ძალადობას, დიდ მსხვერპლს, ნგრევებს. მესამე ეტაპი – გამარჯვება, აქ ხელისუფლებაში მოდის ახალი ძალა, ლიდერი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს აპარატის ხელმძღვანელობას.

პოლიტიკური პროცესების სხვა ნაირსახეობაა რეფორმები, რომლებიც ასევე მიმართულნი არიან კონფლიქტების მოსაგვარებლად. ისინი იწვევენ საზოგადოებრივ ცვლილებებს, მაგრამ არ ეხებიან სისტემის საფუძვლებს. რეფორმები მიზნად ისახავენ ნათლად გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრას და არ ეჭიდებიან გიგანტურ პრობლემებს.

რევოლუციები და რეფორმები იმ საზოგადოებების „კუთვნილებაა" რომლებიც თავისი ისტორიის გარდატეხის საფეხურებზე დგანან. სტაბილური საზოგადოებებისათვის უფრო დამახასიათებელია – საარჩევნო პროცესი, ძალაუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები, ზოგადად, არჩევნები ნებისმიერ დონეზე. საარჩევნო პროცესი რეგლამენტირებულია კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით, სადაც სრულდება რიგი მოთხოვნები: 1. თანასწორობა უზრუნველყოფილია ყველასათვის, ვინც მონაწილეობას ღებულობს არჩევნებში – კანდიდატები, პარტიები (თანასწორობაში იგულისხმება – ფინანსური, ინფორმაციული, სახელმწიფო აპარატის ჩაურევლობა); 2. პრეტენდენტთა რეგისტრაციის ინსტიტუტი – კანონთან შესაბამისობა, ასაკობრივი ცენზი, პროფესიონალური დონე, ცხოვრების წესი და ა.შ. 3. ამომრჩეველთა რეგისტრაციის ინსტიტუტი – აქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ.

დღეისათვის არჩევნებში იყენებენ საარჩევნო სისტემების განსხვავებულ ვარიანტებს, რომელთა შორის სხვებზე მეტად გავრცელებულია ორი სისტემა: უმრავლესობის სისტემა ანუ მაჟორიტარული და პროპორციული ანუ პროპორციულ წარმომადგენლობითი სისტემა. მაჟორიტარული სისტემის დროს არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა. ცნობილია მაჟორიტარული სისტემის ორი ნაირსახეობა – აბსოლუტური უმრავლესობით

და შეფარდებითი უმრავლესობით. აბსოლუტური უმრავლესობით არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ე.ი. ორმოცდაათ პროცენტს პლუს ერთი ხმა. თუ ასეთი კანდიდატი არ არის, მაშინ არჩევნების მეორე ტური ტარდება, სადაც, როგორც წესი, იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც კონკურენტზე მეტ ხმებს დააგროვებს ანუ შეფარდებითი უპირატესობის სისტემით.

სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება განსხვავებული საარჩევნო სისტემები, ზოგჯერ კი ერთ ქვეყანაში ორივე სისტემა. სრულყოფილი სისტემის პრეტენზია არ გააჩნია არც-ერთ საარჩევნო სისტემას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი საკმაოდ სრულად უზრუნველყოფენ სოციალურ წარმომადგენლობას შესაბამის ორგანოებში.

პოლიტიკური კულტურა

პოლიტიკური კულტურის ცნება და მისი სტრუქტურული შემადგენელი ელემენტები. პოლიტიკური კულტურის ფუნქციები. პოლიტიკური კულტურის ცნება და ნაირსახეობები. პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგია. პოლიტიკური კულტურის ფორმირების გზები და ფაქტორები.

თანამედროვე ცხოვრება პოლიტიზირებულია – ეს ჩვენთან თვალნათლივ ჩანს. ნებისმიერ თემაზე საუბარი თანდათანობით იძენს პოლიტიკურ შეფერილობას. თუ საუბარი დისკუსიაში გადაიზარდა, თუ რომელიმე მხარემ ხმას აუწია და კამათის ჩვეული ნორმები დაარღვია, ცხადია – მისი პოლიტიკური კულტურა დახვეწას საჭიროებს. ხშირად, უსამართლოდ ადამიანის პოლიტიკურ კულტურას აიგივებენ მის განათლებულობასთან. პოლიტიკური კულტურა კი წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ელემენტს, რომლის განვითარების დონე თვით ამ სისტემის გარკვეული მახასიათებელია. პოლიტიკური კულტურა ასახავს მოქალაქეთა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეების პოლიტიკურ და იურიდიულ კომპეტენტურობას, მათ პოლიტიკურ ქცევას – ყოველივე ამის გამო დიდი გავლენა აქვს პოლიტიკური და სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე, მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ პროცესებს, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის ხასიათს. პოლიტიკური კულტურა დინამიური ფენომენია და თაობათა ცვლაში ცვლილებათა ფართო დიაპაზონით ხასიათდება.

პოლიტიკური კულტურის ცნება და მისი სტრუქტურის შემადგენელი ელემენტები. პოლიტიკური კულტურა – ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია. პირველ რიგში ის არის ისტორიული განვითარების მსვლელობაში დაგროვილი პოლიტიკური გამოცდილება, გაცნობი-

ერებული და გათავისებული კონკრეტული თაობის მიერ სოციალური განვითარების კონკრეტულ საფეხურზე. აღნიშნული გამოცდილება ზემოქმედებს ადამიანთა პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაზე, რაც საბოლოო ჯამში ვლინდება მათს პოლიტიკურ შეხედულებებსა და ორიენტაციებში, ეს უკანასკნელნი კი განსაზღვრავენ მათს პოლიტიკურ ქცევას. პოლიტიკური კულტურის განსაზღვრებაში ნახსენებია სამი ურთიერთდაკავშირებული ცნება – პოლიტიკური გამოცდილება, პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური ქცევა წარმოადგენენ პოლიტიკური კულტურის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს. შევეცადოთ თითოეული მათგანის დახასიათებას.

პოლიტიკური კულტურის განვითარების საფუძველია კაცობრიობისა ზოგადად და კერძოდ ეროვნული მთლიანობის პოლიტიკური გამოცდილება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ისტორიული გამოცდილება მეტნაკლები დოზით ათვისებულია ადამიანთა მიერ და ვლინდება მათ პოლიტიკურ სოციალიზაციაში. ისტორიული ცნობიერების საფუძველზე ყალიბდება ადამიანთა პოლიტიკური ცნობიერება, საზოგადოების სოციალური მეხსიერება, მკვიდრდება პოლიტიკური ქცევის სახეები და პოლიტიკური ორიენტირები.

პოლიტიკური გამოცდილების განსხვავებულ ფორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიტიკურ ტრადიციებს. ტრადიციები ყალიბდება რამოდენიმე თაობის მოღვაწეობის შედეგად, ამდენად წარმოადგენენ თაობათა ცხოვრების შედარებით მყარ საფუძველს და განსაზღვრავს მათი პოლიტიკური ქცევის სახეებს. პოლიტიკური ტრადიციების (ზოგადად ტრადიციების) შენარჩუნება და განვითარება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობისა და მისი პროგრესული განვითარებისათვის. საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონები და ნორმები რომლებმაც შეაღწიეს ეროვნულ პოლიტიკურ ტრადიციებში, მოქალაქეთა მიერ უკვე აღქმულია არა როგორც იძულების საშუალებები, არამედ როგორც პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები, აუცილებელნი საყოველთაო სიკეთის მისაღწევად. ამ მხრივ მშვენიერი მაგალითია დიდი ბრიტანეთი. კონსერვატიზმში გამოხატული დამოკიდებულება ტრადიციებისადმი ფაქტობრივად განაპირობებს ამ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მაღალ დონეს.

პოლიტიკური კულტურის კიდევ ერთი სტრუქტურული ელემენტია – პოლიტიკური ცნობიერება, რაც ყალიბდება თაობების პოლიტიკური გამოცდილებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის საფუძველზე. ეს არის ადამიანთა პოლიტიკური ცოდნის ღირებულებების სისტემა, ადამიანთა

იდეურ-პოლიტიკური მრწამსი, რომელთა საფუძველზე ხორციელდება მეტნაკლებად მდგრადი და მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური ორიენტაციების შემუშავება.

ასევე პოლიტიკურ ცნობიერებაში გამოიყოფა ორი კომპონენტი: იდეოლოგიური და ემოციურ-ფსიქოლოგიური. იდეოლოგიურში იგულისხმება პოლიტიკური ცოდნა (ადამიანთა ცოდნა ზოგადად პოლიტიკაზე, პოლიტიკურ ცხოვრებაზე), პოლიტიკური ღირებულებები (მსჯელობები პოლიტიკური ცხოვრების ეთიკურ-ნორმატიულ ასპექტებზე), პოლიტიკური მრწამსი (ყალიბდება ცოდნისა და მრწამსის შესაყარზე, წარმოდგენები პიროვნების პოლიტიკურ იდეალზე).

პოლიტიკური კულტურის მესამე ელემენტია – პოლიტიკური ქცევა, პიროვნების პოლიტიკური ურთიერთკავშირი პოლიტიკურ გარემოსთან, რაც ვლინდება პოლიტიკური მონაწილეობის რაიმე ფორმით. ადამიანთა პოლიტიკური ქცევა ვლინდება მის პოლიტკურ საქმიანობაში და პრაქტიკაში აკლენს პოლიტიკური კულტურის დონეს. ადამიანს შეუძლია აინტერესებდეს პოლიტიკური ცხოვრება, იყოს კარგად ინფორმირებული, ქონდეს საკუთარი შეხედულება საკუთარ მთავრობაზე და ა.შ. მაგრამ შეიძლება სულაც ინდიფერენტული იყოს სოციალური ყოფის ამ კუთხის მიმართ.

რადგან პოლიტიკური კულტურის დონეს შევეხეთ, საჭიროა კიდეც ავღნიშნოთ კრიტერიუმები რომლებშიც ვლინდება ადამიანთა პოლიტიკური ქცევის დონე: პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მაჩვენებლები, აქტიურობა (პოზიციური) და რაციონალურობა.

პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობით მოქალაქე და მთლიანად საზოგადოება იძენს ახალ პოლიტიკურ გამოცდილებას, ხელს უწყობს პოლიტიკური კულტურის შემდგომ შენარჩუნებაზე და მის სრულყოფაზე ახალი პოზიტიური გამოცდილებით. ეს პასუხისმგებლობა გაცნობიერებული უნდა ქონდეს თითოეულ მოქალაქეს, რამდენადაც პროგრესული ძვრების საფუძველი და მთავარი პირობაა პიროვნების მაღალი პოლიტიკური კულტურა.

ამდენად შესაძლებელია ვისაუბროთ პოლიტიკური კულტურის გარკვეულ ფუნქციებზე, რომლებიც მისი ბუნებიდან გამომდინარეობენ და ასევე მიუთითებენ მის მნიშვნელობაზე საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

პოლიტიკური კულტურის ფუნქციები. პოლიტიკური კულტურა ადამიანთა ცნობიერებაში აყალიბებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური

ცოდნის, შეხედულებების, მრწამსის, პოლიტიკური კომპეტენტურობის აუცილებელ დონეს, ე.ი. პოლიტიკური კულტურა ასრულებს შემეცნებით ფუნქციას. საზოგადოებაში მიღებული ზოგად პოლიტიკურ კულტურულ ღირებულებებზე დაყრდნობით პოლიტიკური კულტურა ამკვიდრებს საზოგადოებრივ თანხმობას. ამ გზით ქმნის პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურობისათვის აუცილებელ საფუძველს. ე.ი. შესაძლებელია ვისაუბროთ პოლიტიკური კულტურის ინტეგრაციულ ფუნქციაზე. პოლიტიკური კულტურა განაპირობებს კავშირს პოლიტიკური პროცესის მონაწილეთა შორის, როგორც „ჰორიზონტალურ", ასევე „ვერტიკალურ" განასერში, კომუნიკაციური როლის მაჩვენებელია. პოლიტიკური კულტურის ძალით ხდება მისი ელემენტების ტრანსლირება თაობიდან თაობაში, ხერხდება პოლიტიკური გამოცდილების აკუმულირება. ამ ფუნქციასთან არის დაკავშირებული სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის ფუნქცია. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური კულტურა ქმნის პირობებს პოლიტიკური სისტემისა და მთლიანად საზოგადოების ეფექტური განვითარებისათვის.

პოლიტიკური კულტურის ნორმატიულ-რეგულაციური ფუნქცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში აყალიბებს და ამკვიდრებს პოლიტიკურ ღირებულებებს, მიზნებს, მოტივებს, ქცევის ნორმებს. როგორც წესი, ეს ხორციელდება რომანტიული ხასიათის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში და ქმნის პირობებს სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ურთიერთობის ეფექტური რეგულირებისათვის. მთლიანობაში, როგორც ჩანს, პოლიტიკური კულტურა ქმნის პირობენების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობებს, ე.ი. ასრულებს აღმზრდელობით ფუნქციას.

პოლიტიკური კულტურის აქ მოყვანილი ფუნქციების ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს პოლიტიკური კულტურის ტოტალურ ხასიათს, ის ეხება ყველა ურთიერთობებს, რაც კი არსებობს პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს შორის.

პოლიტიკური კულტურის ცნება და ნაირსახეობები. საზოგადოების პოლიტიკური კულტურა არ არის და არც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადამიანთა განსხვავებულ ერთობებს ამოძრავებთ განსხვავებული ინტერესები, რაც ბადებს პოლიტიკური კულტურის განსხვავებულ მოდელებს, ე.წ. სუბკულტუ-

რებს. მათ შორის გამოიყოფა – რეგიონალური, სოციოეკონომიკური, ეთნოლინგვისტური, რელიგიური, ასაკობრივი სუბკულტურა.

რეგიონალური სუბკულტურის განსხვავებები გაპირობებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს შორის არსებული განსხვავებით, მხედველობაში გვაქვს კლიმატი, ბუნებრივი რესურსები და ა.შ. ეს თავის მხრივ ბადებს ეკონომიკურ განსხვავებას, ე.ი. განსხვავებას ცხოვრების წესში, კულტურის ზოგად დონეში და საბოლოოდ კოლიტიკურ-კულტურული დონის განსხვავებას. რეგიონების პოლიტიკური კულტურის განსხვავებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, რეგიონის ეკონომიკური სპეციალიზაცია, მათი ადგილი შრომის ზოგად დანაწილებაში. განსხვავდება აგრარული და მრეწველობის რეგიონების სუბკულტურა. აგრარული უფრო სტაბილური, კონსერვატული ხასიათისაა, ძირითადად ზოგადი პოლიტიკის მემარცხენე სპექტრის, არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამორიცხავენ დემონსტრაციებს, პროტესტის სხვა ფორმებს. სხვაგვარი სუბკულტურით ხასიათდება რეგიონები, გავითარებული მრეწველობით. ის რეგიონები, რომლებიც საკუთარ თავს ეკონომიკური თვალსაზრისით მთლიანად პატრონობენ გამოირჩევიან არაწინააღმდეგობრივ სუბკულტურით, სიმშვიდით, ლოიალობით არსებული რეჟიმის მიმართ, ისწრაფვიან პოლიტიკური თავისთავადობისაკენ და ა.შ. ყოველივე ეს ახასიათებს არა მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც გამოირჩევიან ტერიტორიების სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით, ხშირად სუბკულტურების განსხვავება და წინააღმდეგობრივი ხასიათი უფრო გამოკვეთილად იჩენს თავს ნაკლები სიდიდის ქვეყნებში.

სოციოეკონომიკური სუბკულტურა გაპირობებულია საზოგადოებაში განსხვავებული ჯგუფების (ფენების, კლასების) არსებობით, განსხვავებით მათს ეკონომიკურ სტატუსსა და ცხოვრების ნორმებს შორის, განსხვავებით ინტერესებს შორის, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ამ ჯგუფების პოლიტიკურ ორიენტაციასა და როლს.

ეთნოლინგვისტური სუბკულტურები დაკავშირებულია შესაბამისი სოციალური ჯგუფების ენობრივ, ეთნიკურ თავისებურებებთან. აღნიშნული ჯგუფების გავლენა პოლიტიკურ კულტურაზე ხდება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ეთნიკური ცნობიერება და ეროვნული ხასიათი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური ღირებულებები და უპირატესობები, როგორც წესი, მეორადია ეთნიკურ ფაქტორებთან მიმართებაში.

რელიგიური სუბკულტურები თავს იჩენენ იმ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის რელიგია არის ადამიანთა რაიმე ჯგუფის ძირითადი ელე-

მენტი. ამ კუთხით ისლამური ფუნდამენტალიზმი არის მოვლენა არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც პოლიტიკური. ან კიდევ, განსხვავებული რელიგიურ-სექტური ბიმდინარეობებს აქტიურობის დაცვა არის გაყალბებული, მცდარი დემოკრატიულობა, სეპარატისტული აზროვნების ელემენტებისადმი მხარდაჭერა, რაც საბოლოოდ ვერ ითამაშებს დადებით როლს ქვეყნის მთლიანობისა და სიძლიერის აღორძინებაში.

ასაკობრივი სუბკულტურა ასახავს ასაკობრივად განსხვავებული სოციალური ჯგუფების პოლიტიკური ღირებულებების განსხვავებულ სისტემებს. სუბკულტურის მოცემული ტიპი თავს იჩენს გარდამავალ ეპოქებში, როდესაც უფროსი ასაკის, უფროსი თაობის პოლიტიკური კულტურა ჩამოყალიბებული წინა პოლიტიკური რეალობის პირობებში განსხვავდება ახალი თაობის პოლიტიკური ორიენტაციებისაგან. სტაბილურ სისტემებში ეს განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა.

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგია. ნებისმიერი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ფორმირება ხდება მრავალრიცხოვანი ფაქტორების ზეგავლენით. ეს ვითარება განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურის განსხვავებული ტიპების არსებობას. პოლიტიკური კულტურების დიფერენციაცია ხორციელდება განსხვავებული კრიტერიუმების შესაბამისად. კრიტერიუმები კი მრავლადაა. აქ მოვიყვანთ სხვადასხვა კრიტერიუმებით გაპირობებულ ტიპოლოგიას, მათს შედარებით მოკლე დახასიათებებს და დასასრულს შეეცდებით რომელიმე მათგანის მეტნაკლებად სრული დახასიათებების მოყვანას.

ერთ-ერთ კრიტერიუმად ავიღოთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სუბკულტურათა ურთიერთობაში თანხმობისა და შესაბამისობის ხარისხი. ამ საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ინტეგრირებული (ერთგვაროვანი) და ფრაგმენტარული (სხვადასხვაგვარი) პოლიტიკური კულტურა: ინტეგრირებული ანუ ერთიანი, მთლიანი, პოლიტიკური ძალადობის, კონფლიქტების ალბათობა ძალზე მცირეა; არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალური დამოკიდებულება. პოლიტიკურ სტაბილურობას ბევრად განაპირობებს მოსახლეობის საერთო მატერიალური მდგომარეობა. რაც ფაქტობრივად წარმოადგენს პოლიტიკური სტაბილურობის სოციალურ საფუძველს (ინგლისი), ზოგადი ვითარება გაპირობებულია აგრეთვე ეროვნული პოლიტიკური კულტურით. რაც შეეხება ფრაგმენტალურ პოლიტიკურ კულტურას, ის ხასიათდება საპირისპირო მახასიათებლებით სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროში (ინდოეთი, ნაწილობრივ იტალია).

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის სხვა კრიტერიუმად (საფუძვლად) შეიძლება ავიღოთ, მაგალითად, ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომლებზედაც აქვს აღებული ორიენტაცია ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფებს თავიანთი პოლიტიკური საქმიანობის პროცესში (მაგალითად მოქალაქეობრივი კულტურა, ელიტარული პოლიტიკური კულტურა, არქაული პოლიტიკური კულტურა).

პოლიტიკურ კულტურათა დიფერენციაციის საფუძვლად შეიძლება აღებულ იქნას ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაში ადამიანთა ქცევის ხასიათი. აქ გამოიყოფა ორი ტიპი: მოქალაქეობრივი და დაქვემდებარებული. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მოქალაქეთა მონაწილეობას სოციალურ პროცესებში, მეორე შემთხვევაში კი ადგილი აქვს სრულ დაქვემდებარებას, შემსრულებლობას და არა შემოქმედებით მოღვაწეობას.

ნებისმიერი სოციალური მოვლენის ტიპოლოგიის რამდენ კრიტერიუმსაც გამოვყოფთ იმდენ ნაირსახეობას მივიღებთ. სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში პოლიტიკური ტიპოლოგიის დეფიციტი არ შეიმჩნევა. დიდი ყეოადღება ეთმობა კლასიფიკაცია -- ტიპოლოგიებს, მათს შედარებით ანგალიზსა და დახასიათებას. აქ მოვიყვანთ დღეისათვის ერთ-ერთ გავრცელებულ კლასიფიკაციას, რომელიც ეკუთვნის ამერიკელ სოციოლოგს გ.ალმონდს, რომელიც გამოყოფს პოლიტიკური კულტურის ოთხ ძირითად ტიპს – ინგლისურ-ამერიკულს, ევროპულს (კონტინენტალურს), ავტორიტარულ-პატრიარქალურს (ინდუსტრიამდელს) და ტოტალიტარულს. პოლიტიკური კულტურის ამ ნაირსახეობების ანალიზის პროცესში საინტერესო იქნება თუ გავაკეთებთ პარალელებს ჩვენს წარსულსა და დღეანდელობასთან იმ მიზნით თუ რომელი მათგანია უფრო მისალები ჩვენი ყოფისა და, რაც მთავარია, ჩვენი მენტალიტეტისათვის.

ინგლისურ-ამერიკული პოლიტიკური კულტურის დახასიათების დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის საერო ბუნებისაა და თავისი ძირითადი მიზნებით პრაგმატისტულ ხასიათს ატარებს. პოლიტიკა აქ გვევლინება მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული ჯგუფური ინტერესების შეჯახების მარეგულირებელ მექანიზმად, ინტერესებისა, რომელთაგან ყოველივეს აქვს არსებობის უფლება. პოლიტიკა არ არის გაიგივებული სიკეთისა და ბოროტების, პროგრესისა და რეგრესის ბრძოლის არბიტრთან. აქ გამორიცხულია წინასწარ დაგეგმილი კოლექტიური ბედის მაღიარებელი ფატალისტური პრინციპი (როგორც უახლეს წარსულში გვქონდა „ჭარდაუვალი ისტორიული აუცილებლობის", ან „ისტორიული კანონზომი-

ერების“ და სხვათა სახით). ამდენად პოლიტიკური პროცესი არის ღია სარბიელი განსხვავებული საზოგადოებრივი ჯგუფების რეალური შესაძლებლობებისათვის და, რაც მთავარია, მათივე სტიქიური ექსპანსიის, აღვირაშვებულობის შემზღუდველი ძალა... ინგლისურ-ამერიკული პოლიტიკური კულტურის მეორე მახასიათებელი ნიშანია საერთო ეროვნული კონსენსუსი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველი პარტია (გამარჯვებულიც და დამარცხებულიც) აღიარებს ძირითად ღირებულებებს და თამაშის იმ ძირითადი წესების სამართლიანობას, რომელსაც იცავს და მისდევს პოლიტიკური პროცესების ყოველი სუბიექტი. პოლიტიკურ სუბიექტს შეიძლება უჭირს კიდევაც დამარცხების აღიარება და შედეგების სამართლიანად ჩათვლა, მაგრამ ეს ძალზე ძნელად შეიმჩნევა. დამარცხებული მხარე ეგუება თავის ბედს, არ გადის ბარიკადებზე, არ მიმართავს ტერორს, არც ტოტალურ საბოტაჟს და ა.შ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა რეალობის საღი, პრაგმატული ხედვა, რწმენა იმისა, რომ არჩევნებში ერთმანეთს შეეჯახნენ არა სიკეთისა და ბოროტების ძალები, არამედ ჩვეულებრივი „ცოდვილი“ მიწიერი ინტერესები, რომელთგან არც უკანონო იყო რომელიმე და არც ისეთი, რომ არ ჰქონოდა არსებობის უფლება და უნარი. ასევე დარწმუნებულნი არიან, რომ სოციუმის სინამდვილეში თამაშებს ნულოვანი მაჩვენებლები არა აქვთ, ე.ი. ერთი მხარის გამარჯვება არ ნიშნავს მოწინააღმდეგის სრულ განადგურებასა და გაქრობას... ასევე სჯერათ, რომ პოლიტიკურ სარბიელზე გამარჯვება ან დამარცხება არასოდეს არის საბოლოო და უკანასკნელი, უბრალოდ მათი რიგიც დადგება. ეს პოლიტიკური კულტურა დაფუძნებულია მენტალიტეტის იმ ტიპზე, რომლისთვისაც უცხოა სამყაროს დასასრულის აღიარება, მისი მოლოდინი ან საერთოდ მისი წინასწარგრძნობა. მენტალიტეტის ეს ტიპი უფრო შუალედისაკენ მიისწრაფვის (პოლიტიკაში „ცენტრისაკენ“). მისთვის უცხოა და მიუღებელი „ისტორიის საწყისის“ ბარბაროსული სტიქია და მისი დასასრულისათვის დამახასიათებელი კულმინაციური დაძაბულობა. სივრცული მიმართებით ეს მენტალიტეტი და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურა ცენტრისტულია. მაგალითად, აშშ ორივე ძირითადი პარტია, თავიანთი გამოკვეთილი პოზიციების პარალელურად და მათს შეულახავად მიისწრაფვიან ცენტრისაკენ, რადგანაც შუალედური მენტალიტეტის, ცენტრის მხარდაჭერა არჩევნებში გამარჯვების შანსს საგრძნობლად ზრდის. ამასთანავე ისიც ცნობილია, რომ პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიაზე ამომრჩეველი ნაკლებად მოიძებნება.

განსხვავებით ზემოთგანხილულისაგან, ევროპული (კონტინენტური) პოლიტიკური კულტურა არაერთგვაროვანია, რთულია და, ერთი შეხედვით, დროებით და გარდამავალ ხასიათს ატარებს. პოლიტიკის ზემოთმოყვანილი ახსნა, როგორც „ჯგუფური ინტერესების მარეგულირებელი მექანიზმი", სადაც პოლიტიკა გაიგივებულია იდეალებისათვის ბრძოლასთან, როგორც სიკეთისა და ბოროტების შეჯახება. მასობრივ ცნობიერებაში პოლიტიკა „ტიტანების ბრძოლაა" და ყოველი ეტაპი ახალი სამყაროსათვის დაბადების პრეტენზიითაა. მენტალიტეტის ეს ტიპი მკვეთრად ასხვავებს დაპირისპირებულ ძალებს, რაც პოლიტიკაში ვლინდება მემარჯვენეებისა და მემარცხენეების გამოკვეთილი პოლარიზებით, სადაც ასევე გამოკვეთილია ცენტრის მცირერიცხოვანება, მეტიც, პოლიტიკური ლიდერები თავს არიდებენ ცენტრიზმის ან მისკენ სვლის დემონსტრირებას, რადგან ეს ემუქრება ბაზის დაკარგვით, რის სანაცვლოდ გარანტირებულია სიძულვილი ორივე მხრიდან. მსგავსს ვითარებაში წარმატების შანსი აქვს მხოლოდ იმ პარტიებსა და კოალიციებს, რომელთაც ნათლად აქვთ გამოკვეთილი თავიანთი სოციალური ბაზა. ამიტომაც ევროპულ პოლიტიკური კულტურაში პოლიტიკური დრო ხასიათდება შეუნიღბავი ციკლურობით, წყვეტადობით. ყოველი გამარჯვებული პარტია ცდილობს თავიდან დაიწყოს, შეცვალოს ეროვნული ისტორიის სვლა, გადაასხვაფეროს, შესამჩნევად გამოკვეთოს თავისი ბატონობის საზღვრები პოლიტიკურ დროში. მოწინააღმდეგეებთან მიმართებაც ნაკლებად შემწყნარებლურია, აიგივებენ მათ ბოროტ მაცდუნებლებთან და არ ინდობენ.

ავტორიტარულ-პატრიარქალური პოლიტიკური კულტურის შინაარსის გასაგებად შეიძლება გამოვიყენოთ სისხლით ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ცნებები – მშობლები, შვილები, და-ძმები, ობოლი, გერი, ღვთისშვილი და ა.შ. თვით ამ საზოგადოების შინაარსი იძლევა ამის საშუალებას, რადგანაც მეფე-მონარქი გაგებულია როგორც „მამა", როგორც ოჯახის უფროსი, სხვა წევრები შვილებად ითვლებიან, მათ შორის გზააბნეულნი, ქვრივ-ობოლნი, ღვთისშვილნი, სოციალურად საშიშნიც კი და ა.შ., რომლებზე ზრუნვაც ოჯახის უფროსის ვალია. ტრადიციული, პარტიარქალური საზოგადოების მმართველი მოქცეული იყო ნათესაურ გარემოში, შესაბამისი და შეუცვლელი ეთიკური ნორმებით, შეგონებებით, ტრადიციებით არტახებდადებული, რაც განაპირობებდა საკუთარი ხალხისადმი მზრუნველობას და აბსოლუტურად გამორიცხავდა ამ მენტალიტეტისათვის შინაგანად მიუღებელ ნებისმიერი ხასიათის რეპრესიებსა და მით უმეტეს გენოციდს.

საზოგადოების მოწყობის ავტორიტარულ-პატრიარქალური მოდელი არსებითად განსხვავდება ტოტალიტარული მოდელისაგან, რომლის დამახასიათებელ ძირითად მეტაფორად გამოგვადგებოდა „მექანიზმი"-ის ცნება. საზოგადოება გაგებულია, როგორც რომელიმე ქარხანა, საწარმო, ხოლო საზოგადოების თითოეული წევრი გაიგივებულია ამ რთული „მექანიზმის" ცალკეულ ნაწილებთან. ამ საზოგადოების იდეალია ავტომატს მიმსგავსებული ადამიანის ქმედება. აქ ბატონობს ეთიკურად შეუზღუდავი „მეცნიერული რაციონალიზმი", რომელიც მზადაა შეცვალოს მორალურად თუ ფიზიკურად გაცვეთილი და უვარგისი ლეტალები ახლით, უფრო სასარგებლოთი. ცხადია, ამ შემთხვევაში ხალხი განიხილება როგორც მრეწველობის ნედლეული, და რაც ყოველად გაუმართლებელია, ყოველნაირი ძალადობა და თვით გენოციდიც კი ითვლება მეცნიერული ტექნოლოგიის ნაირსახეობად.

თანამედროვე სამყარო ძალზე რთულია, რომ შესაძლებელი იყოს მისი მართვა ერთიანი პრინციპებით. ამას გარდა, ნებისმიერი ცივილიზაცია არცთუ ისე სრულყოფილი და დახვეწილია, რომ უნივერსალობის პრეტენზია ჰქონდეს. თავის გამოვლენასა და პოტენციალურ შესაძლებლობებში ვერცერთი ვერ გამოდგება ყველა ხალხისა და ქვეყნისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიანი ეტალონისადმი მიმსგავსებასა და დაქვემდებარებას ეწინააღმდეგება კაცობრიობის ისტორიული სვლის ანტიენტროპიული სტრატეგია – მრავალვარინტულობისა და მრავალსახეობის შემდგომი გაძლიერება, როდესაც ვცნობთ საზოგადოებრივი განვითარების მრავალსახეობასა და მრავალვარინტულობას, ამით იმ ფაქტის კონსტატაციას ვახდენთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყანათა ეკონომიკური წყობის, მათი ინტერესების, გაგების, იდეოლოგიათა სიმრავლე არსებობს. საზოგადოებრივი განვითარების მრავალსახეობისა და მრავალვარიანტულობის ნიადაგზე დგომა ნიშნავს პატივი ვცეთ თითოეული ქვეყნის კანონიერ უფლებას – მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც მის საკუთარ მიზნებს, ინტერესებს, თეორიულ პლატფორმას შეესაბამება. თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს იცხოვროს მის მიერ შერჩეული ცხოვრების წესით, პროპაგანდა გაუწიოს მას, გარკვეული წარმოდგენა იქონიოს კაცობრიობის თუ საკუთარი წარსულსა და მომავალზე. ამიტომ სწორი იქნება, თუ არ მოვახდენთ პოლიტიკური კულტურის ცნების ნატურალიზებას, არ მივაწერთ მას ამა თუ იმ ხალხისა თუ პლანეტის რეგიონისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ასევე არ არის გამართლებული ისტორიის ნებისმიერი მიღწევის (მნიშვნელობის მიუ-

ხედავად) შედეგის, ახალი გეზის აღების გაიგივება დასახულ საბოლოო მონაპოვართან, სრულ გამარჯვებასთან და ა.შ. ისტორიაში, როგორც ჩანს, მოქმედებს ქაოსის ძალების მიერ და მათი მხრიდან გამოწვევის პერმანენტული კანონი, მიმართული სტაბილურობისა და სიმშვიდის წინააღმდეგ, რომელსაც თამამად შეიძლება მივაწეროთ ძლიერი ალბათობის ტენდენცია. ადამიანი კი მოეკლინება რა ამ ქვეყანას, ცდილობს ნაკლები ალბათობის ფენომენები – სილამაზე, სიკეთე, ჰარმონია, წესრიგი და სტაბილურობა -- აქციოს უფრო ძლიერ, სიცოცხლისუნარიან ალბათობებად. ამ გზაზე ადამიანს არ შეეშველება არც მიმართულების მანიშნებელი, ან სხვა ოდნავ დამცველი და გარანტიის მიმცემი რაიმე ძალა, როგორიცაა, ვთქვათ, „ისტორიული კანონზომიერება", ან კიდევ სხვა იმედის მომცემი ნაბიჯები სამყაროს გონისა. მხოლოდ საკუთარი ინტელექტუალური და ნებელობითი პოტენციალის სრული მობილიზებით უჩნდება ადამიანს მიზერული შანსი დასძლიოს ქაოსის მორიგი შემოტევა და გაასწოროს მისი თანამედროვე ისტორიის გამრუდებულ კვალი.

პოლიტიკური კულტურის ფორმირების გზები და ფაქტორები. პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა ადამიანთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. უწყვეტი კონტაქტი პოლიტიკურ რეალობასთან. პოლიტიკური პროცესი უამრავი პოლიტიკური ინსტიტუტების ასპარეზია, რომელთაგან ყველა მონაწილეობს პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში – მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს მიზანდასახული ქმედებები განათლების სფეროში, იდეოლოგიური მოღვაწეობა, ეკლესია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მეცნიერება, ოჯახი, კოლექტივი, სხვადასხვა კლუბები.

როდესაც სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს იდეოლოგიურ ფუნქციას ამით ის ფაქტობრივად უშუალო მონაწილეობას იღებს პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი პარამეტრების ფორმირებაში. იგივე უნდა ითქვას აღზრდისა და განათლების საკითხებზე მაშინაც როდესაც საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრავს ეროვნული და პოლიტიკური საზოგადოების მიღებას. მეორე მნიშვნელოვანი გზაა იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა პოლიტიკური პარტიებისა, რადგანაც სწორედ მათი მოღვაწეობით ყალიბდება ადამიანთა დამოკიდებულება პარტიისა, პოლიტიკური სისტემისადმი და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკლესიას. პროტესტანტულმა ეკლესიამ ბევრად განაპირობა დასავლეთის საზოგადოების დამოკიდებულება შრომისადმი, თითოეული მოქალაქის

მოკალეობა შეექმნა სიმდიდრე საკუთარი შრომით, ყოფილიყო კანონმორჩილი და სიკეთის მოსაველი.

თანამედროვე პირობებში პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში შეუცვლელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. არაა შემთხვევითი, რომ მას მეოთხე ხელისუფლების (ძალაუფლების მეოთხე შტოს) უწოდებენ. ამ მეტაფორული შედარების უკან იგულისხმება მასმედიის რეალური ძალა ჩამოაყალიბოს მოქალაქეთა პოლიტიკურ-კულტურული ღირებულებები, პოლიტიკური ქცევის სტერეოტიპები. მასმედიის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება-სრულყოფა შესაბამისად ზრდის მის როლს საზოგადოებაზე ყოველნაირი ზემოქმედების საქმეში.

მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარების პროცესი სასწავლო დაწესებულებებში შეიცავს ასევე დიდ შესაძლებლობებს ზოგადად კულტურისა და კერძოდ პოლიტიკური კულტურის ფორმირების სფეროში. რაც შეეხება ამ საკითხში ოჯახის როლს, ამაზე დიდი ხნის წინ მიუთითა კონფუციმ – ოჯახური ურთიერთობების პრინციპები გადადის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ამით განაპირობებს მის კულტურულ შინაარსს.

ცნობილია, რომ არსებობენ ქვეყნები ანალოგიური სოციალ-პოლიტიკური სისტემებით და მნიშვნელოვნად განსხვავდებიან პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით. ამ განსხვავებების საფუძველია ე.წ. „გარეშე" ფაქტორები, ანუ პოლიტიკური ფაქტორები, როგორებადაც გულისხმობენ – ისტორიული განვითარების სპეციფიკას, ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და განსაკუთრებით ეკონომიკურ ფაქტორებს.

ისტორიული გამოცდილება ბევრად განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურის ხასიათს, მის ხარისხს, მით უმეტეს თუ ეს გამოცდილება გულისხმობს პოლიტიკური ხასიათის გამოცდილებებსაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი ისტორიული მოვლენების როლი, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ერის ისტორიაში, მხედველობაშია ომები, რევოლუციები, დიდი ეროვნული კრიზისები. შეუძლებელია მსგავსი პოლიტიკური კულტურა ჰქონდეს კანადასა და რომელიმე ევროპულ ქვეყანას, ან საქართველოს. აქ ფაქტობრივად შევეხეთ გეოპოლიტიკურ ფაქტორს. გეოგრაფიული გარემო და ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებები ზემოქმედებენ ადამიანთა ხასიათებზე, მათს ინტერესებზე, აყალიბებენ მიზნის მიღწევის თავისებურ მეთოდებს, ეს ყველაფერი გადადის კულტურის ელემენტებში და მაშასადამე პოლიტიკური კულტურას შესძენს სპეციფიკურ ელფერს.

პოლიტიკური კულტურის ფორმირების ერთ-ერთი ძლიერია ეკონომიკური ფაქტორი. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, საზოგადოების ყოფაზე ეკონომიკური სტაბილურობის, ეკონომიკური თავისუფლების ზემოქმედებას. თუმცა ეკონომიკური ფაქტორის ზემოქმედება პოლიტიკური კულტურის ფორმირებაზე არ უნდა იქნას გაგებული უხეშად, თითქოს ყოველი ცვლილება ეკონომიკაში აუცილებლად აისახება პოლიტიკურ კულტურაში. უნდა გვახსოვდეს, რომ რეალურ საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესში ადგილი აქვს ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული სფეროების ურთიერთმოქმედებას (ეს საკითხები შედარებით დეტალურად გაანალიზებულია „პოლიტიკა და ეკონომიკის" განყოფილებაში).

პოლიტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთობის საკითხისათვის

ისტორიის სვლა აისახება სულიერ სფეროში; სულიერში ე.ი. იდეათა სფეროში, ეს ამოსავალი პოსტულატი გამოდგება იდეოლოგიის ფენომენის გაგების საფუძვლად, ასევე მისი და პოლიტიკის ურთიერთობის გასაგებად. ცნობილია ინტერესთა ადგილი და როლი ადამიანის მოღვაწეობაში, რომ სოციალურ ყოფაში საერთოდ და პოლიტიკაში განსაკუთრებით არაფერი არ ხდება ინტერესის გარეშე. ამავე დროს თვით ინტერესი ავლენს თავს მხოლოდ განსხვავებული იდეების ფორმით. ყოველნაირი საზოგადოებრივი ბრძოლა კლასებს, ფენებს, პარტიებსა თუ სახელმწიფოებს შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღემდე ფაქტობრივად იყო ბრძოლა იდეების ირგვლივ და მათ გამო. ამ გზით ავლენენ საკუთარ ინტერესებს განსხვავებული სოციალური ძალები. რიგითი ჯარისკაციც კი ბრძოლის ქარცეცხლში ებმევა რაღაც იდეით აღფრთოვანებული. ამაში იდგომარეობს ადამიანის არსი: სიტყვა, აზრი, იდეა ყოველთვის და ყველგან წინ უსწრებდა ადამიანის ქმედებებს. „პირველად იყო სიტყვა" – ამასაც ნიშნავს.

ჩვენ შეიძლება ყოველთვის ვერ ჩავწვდეთ, გავიგოთ და შევიცნოთ დიდი სოციალური მოძრაობებისა და ცვლილებების ჭეშმარიტი მიზეზები, რადგანაც მათს საფუძვლად შეიძლება იყოს და არიან კიდეც ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, ეროვნულ-ეთნიკური ან მათი განსხვავებული დოზით გაწონასწორებული, ხშირად ფარული ნაერთი. მაგრამ როგორი საფუძველიც არ უნდა ქონდეთ, რეალობაში ისინი ყოველთვის გამოიხატებიან რომელიმე იდეის ფორმით, იდეისა, რომელიც აერთიანებს, რაზმავს, უბიძგებს ქმედებებისაკენ ადამიანთა დიდ მასებს.

გავიხსენოთ ისიც, რომ თავად სახელმწიფო არის ორი საწყისის – იდეისა და ძალის, ხორცშესხმა. სახელმწიფო სოცოცხლისუნარიანია მხოლოდ იდეისა და ძალის ამ შეერთებით. სანამ სახელმწიფო არსებობს მისთვის დამახასიათებელი იდეით გამსჭვალულია მთელი მისი გარემო,

მისი ყოფის ყოველი მხარე. თავის მხრივ იდეა, რომელსაც არ აძლიერებს სახელმწიფო, მხოლოდ კეთილი სურვილია და მეტი არაფერი. ამიტომ სამართლიანია მტკიცება, რომ სახელმწიფოებრივი (ეროვნული) ინტერესი ყოველთვის გამოდის გაბატონებული, ცენტრალური იდეის ფორმით, რომელშიც აისახება ამ სახელმწიფოს მოთხოვნილებები და ინტერესები მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე და დაცულია (მხარს უჭერს) მის ხელთ არსებული ძალით.

მაგრამ იდეა არ არის იდეოლოგია, თუმცა ნათელია, რომ მათ შორის ძლიერი კავშირია. ახლო წარსულში იდეოლოგიის ცნების ქვეშ ჩვენ გვესმოდა იდეებისა და შეხედულებების სისტემა, მხედველობაშია პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური, ესთეტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა იდეები. იდეოლოგია განიხილებოდა, როგორც ზედნაშენის ნაწილი, რომელიც საბოლოო ჯამში ასახავდა ეკონომიკურ მიმართებებს, შესაბამისი სოციალური ჯგუფებისა და კლასების ინტერესებს. იდეოლოგიის მოყვანილი განსაზღვრება მთლიანობაში არ უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. თუნდაც იმიტომ, რომ იდეოლოგია აქ განიხილება როგორც ზედნაშენის ნაწილი. რა ნაწილზეა საუბარი ბუნდოვანია. შემდეგ, განსხვავებული იდეებისა და შეხედულებების მარტივი და ხშირად განსხვავებული ჩამოთვლაც არ იმსახურებს ნდობას. რა თქმა უნდა მოყვანილი და მსგავსი განსაზღვრებები შეიცავენ გარკვეულ დადებით ინფორმაციას იდეოლოგიის შესახებ, მაგრამ დღეს ეს უკვე საკმარისი აღარ არის. უფრო მისაღები იქნება იდეოლოგიის შემდეგი დეფინიცია, თუმცა დიდი პრეტენზიით არც ის გამოდის. იდეოლოგია უნდა განიხილებოდეს, როგორც იდეებისა და წარმოდგენების მთლიანი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კოლექტიური ცნობიერების ფორმირებას, საზოგადოებრივ თანხმობას, საზოგადოებრივი ნების მობილიზებას, ქცევის ღირებულებითი ნორმების დამკვიდრებას. ადამიანთა ცნობიერებაში იდეოლოგია ამკვიდრებს საზოგადოებაში არსებულ წესრიგს, აქ მიღებულ ეტალონებს, ის არა მხოლოდ აყალიბებს სოციალურ ჯგუფებისა და ინდივიდების ღირებულებით ორიენტაციებს, არამედ არის ამ ღირებულებების მთავარი და ხშირად მებრძოლი ხასიათის გამომხატველი.

თავისი შინაარსით „იდეოლოგიის" ცნება ენათესავება „მსოფლმხედველობის" ცნებას, თუმცა მათი გაიგივება გამორიცხულია. მსოფლმხედველობა ისევე როგორც იდეოლოგია არის სამყაროზე და ამ სამყაროში ადამიანის ადგილის, გარემომცველ სინამდვილესთან ადამიანის

მიმართების შესახებ წარმოდგენების სისტემა. ინდიკიდთა ცხოვრებისეული პოზიცია და ღირებულებითი ორიენტაციები ეფუძნება მსოფლმხედველობას. მოყვანილ ორ ცნებას შორის განსხვავება უფრო იმაში შეიმჩნევა, რომ იდეოლოგია მეტად ვიდრე მსოფლმხედველობა, შეიცავს ნორმატიულ ელემენტებს: ის მიმართულია შეინარჩუნოს ან შესცვალოს არსებული სოციალური ურთიერთობები, ჩამოაყალიბოს გარკვეული კოლექტიური ცნობიერება. ასეთი ცნობიერებისაგან განსხვავებით იდეოლოგიას (ისევე, როგორც პოლიტიკას) გააჩნია მოთხოვნის, იძულების მომენტი; მისი სუბსტრატი არის არა ინდივიდი, არამედ ჯგუფი.

იდეოლოგია არის ინდივიდუალური და მასობრივი მსოფლმხედველობის ფორმების ერთ-ერთი მთავარი დეტერმინატორი. მაგრამ, შევნიშნოთ აქვე, ინდივიდუალური მსოფლმხედველობა შეიძლება შეიქმნას როგორც იდეოლგიის გარეშე, ასევე მის საწინააღმდეგოდაც.

იდეოლოგია მეტნაკლებად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებას და რა თქმა უნდა სახელმწიფოს. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ქმნის იდეოლოგიას, ისევე როგორც ქმნის კანონებს, საზოგადოებრივ მორალს. სახელმწიფოებრივ დონეზე განსხვავებული იდეებისა და შეხედულებების სისტემა მიიღებს რა მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან ამის შემდეგ იდეოლოგია როგორც ასეთიდან თანდათან გადაიქცა სახელმწიფო იდეოლოგიად და უკვე თავად იწყებს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული მიმართულებით ფორმირებას. აქ ხდება პრინციპში იგივე, რასაც აქვს ადგილი საზოგადოებაში არსებულ ზნეობრივ ნორმებთან მიმართებაში. ამა თუ იმ მორალურ ნორმას არავითარი ძალა არა აქვს ადამიანებზე. ზოგს ის მოსწონს, ზოგს არა. თავის სოციალურ როლს ის შეიძენს თუ შესაბამისი ორგანიზაციის წყალობით შეიძენს საჯარო იძულებით ხასიათს. მაშინ, როგორც მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავენ, ისინი დაეუფლებიან მასებს და გადაიქცევიან მატერიალურ ძალად. ამ პროცესის გავლით, ადრე იდეათა არააუცილებელი სისტემა გადაიქცევა იდეოლოგიად, ე.ი. მოცემულ საზოგადოებაში იდეათა იმ სისტემად, რომელიც იძულების ხასიათისაა, თუნდაც რომ არ იყოს აყვანილი კანონის სტატუსში.

ზემონათქვამი საკმაოდ მიუთითებს პოლიტიკისა და იდეოლოგიის პრინციპულ კავშირზე. ისტორიული პარალელების საძიებლად შემოვიფარგლოთ ახალი დროებით, ისტორიის ამ მონაკვეთზეც თვალნათლივ ჩანს როგორც ერთის, ასევე მეორის თანდათანობითი გამოყოფა რელი-

გიისა და ეკლესიისაგან. უარყოფითი ფორმით რელიგია, როგორც რწმენა შეავიწროვა რელიგიამ, როგორც იდეოლოგიამ; პოზიტიური ფორმით ის მთლიანად გამოაძევა პოლიტიკამ; ეკლესიის ადგილი მკვიდრად დაიკავა სახელმწიფომ; პოლიტიკამ კი დაიკავა რელიგიის ადგილი; საჯარო იდეოლოგია იკავებს რელიგიური იდეოლოგიის ადგილს. პოლიტიკა იქცა ადამიანის ახალ რელიგიად; იდეოლოგია კი მის თეოლოგიად. შესაბამისად დაიწყო ადგილისა და ფუნქციის შეცვლა ზნეობრიობამ. თუ ადრე ზნეობრიობა ძირითადში დაკავშირებული იყო რელიგიასა და ეკლესიასთან, ღმერთის რწმენასთან, ხოლო პოლიტიკა, როგორც საერო სფერო – კავშირშია უზნეობასთან, ახალი დროიდან დაწყებული ყველა ესენი თანდათანობით იცვლიან ადგილებს: პოლიტიკა, სახელმწიფო გადაიქცნენ ზნეობრიობის ეტალონებად, ხოლო იდეოლოგია მათს თეორიულ დაფუძნებად. რაც შეეხება რელიგიას, რომელიც თუნდაც თავისთავად არ ქცეულა უზნეოდ, მაინც სიცრუისა და ცრურწმენის სფეროდ წარმოაჩენდნენ ფილოსოფოსები, მეცნიერები, პუბლიცისტები და იდეოლოგიის სხვა მსახურნი.

პოლიტიკამ, როგორც ახალი დროის რელიგიამ ინსტიტუციონალიზირებულმა თავისი „ეკლესიის", ანუ სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავთან ერთ სულიერ კვანძად შეკრა იდეოლოგია და ზნეობრიობა. რელიგიურ ზნეობას დაუტოვეს მხოლოდ მცირეოდენი სიკრცე იდნივიდუალურ დონეზე. პოლიტიკურ დონეზე კი ის გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური დემოკრატიის საშუალება იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო გაემართლებინათ ზნეობრივი თვალსაზრისით საეჭვო ქმედებები, ან საჭირო იყო თავის მხარეზე გადმოებირებინათ მორწმუნეთა მასები. სახელმწიფო როგორც ხორცშესხმული საყოველთაობა, როგორც გამოსატულება ეროვნული სულისა და მისი თვითშენახვისაკენ სწრაფვისა გადაიქცა უმაღლეს ხორცშესხმულ მორალად: ეს უკანასკნელი გვეელინება მის ჩარჩოებში ყველა სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების ზნეობრივი მხარის კრიტერიუმებად; სახელმწიფოს მიმართ მათი ლოიალობა იქცა ზნეობრიობის მთავარ ნიშნად, შესაბამისად არალოიალურობა უზნეობის ნიშნად. აი რატომ უნდა ვამტკიცოთ, რომ ყოველი თანამედროვე სახელმწიფოს სიმბოლო არის „გოლგოთა", რომელზედაც ზნეობრივი და იდეური დისიდენტები ჩვეულებრივ დამნაშავეებთან ერთად ჯვარს არიან გაკრულნი, რადგანაც ერთნიც და მეორენიც სახელმწიფოსათვის ერთნაირად უზნეოდ ითვლებიან, ორივენი ძირს აცლიან კოლექტიურ ცნობიერებას, საზოგადოებრივ სოლიდარობას და

მათს სახელმწიფოებრივ სამხედრო ძალაუფლებრივ სტრუქტურებს. ყოველივე ეს ვრცელდება არა მხოლოდ ტირანიასა და დესპოტიაზე, ის სავსებით მიესადაგება ე.წ. ლიბერალურ დემოკრატიასაც; ლიბერალური დემოკრატიაც ხომ არ არსებობს სახელმწიფოს გარეშე, როგორი ლიბერალურიც და დემოკრატიულიც არ უნდა იყვნენ ისინი. მაგრამ, რადგან ეს ასეა, სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს და თუ ვისაუბრებთ განსხვავებაზე დესპოტიასა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის მოცემულ ასპექტში, ეს არის ზომის განსხვავება და არა პრინციპისა. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში იდეოლოგია პოლიტიკისათვის საშუალებაა დაასაბუთოს და გაამართლოს თავისი ესა თუ ის ქმედებები; კრიტიკულ ვითარებაში თვით პოლიტიკა იწყებს საშუალების როლის შესრულებას მებრძოლი და შემტევი იდეოლოგიის ხელში. რელიგიის, როგორც იდეოლოგიის უტილიტარულ-პოლიტიკური როლი და მისი პირდაპირი კავშირი პოლიტიკასთან საკმაოდ სრულად ასახა ჰობსმა. რელიგიის თესლი კულტივირდება ორი რიგის ადამიანების მიერ. ერთნი – ისინი არიან ვინც მათ ზრდის საკუთარი შეხედულებების თანახმად, მეორენი კი – ეს ისინი არიან ვინც ამას აკეთებდნენ ღმერთის მითითებით. მაგრამ მაინც, ორივე რიგის ადამიანები ჩადიოდნენ ამ ქმედებებს იმ განსხვავებით, რომ მათი მიმდობი ადამიანები გადაექციათ კანონთა დამკერებად. პირველი რიგის რელიგია, ჰობსის აზრით, ნაწილია ადამიანური პოლიტიკისა, რომელიც მიუთითებს იმ ვალდებულებებზე, რომლებსაც მიწიერი მმართველები მოითხოვენ თავიანთი ქვეშევრდომებისაგან. მეორე რიგის რელიგია კი წარმოადგენს ღვთიურ პოლიტიკას და შეიცავს წესებს იმისათვის ვინც თავი მიაკუთვნა ღვთიურ სამეფოს. პირველ რიგს განეკუთვნებიან ყველა წარმართები ვინც სახელმწიფოები დაარსა და მისი კანონმდებლობები. მეორეს განეკუთვნებიან აბრაამი, მოსე, ქრისტე. ამ მსჯელობებიდან ჩანს, რომ მიუხედავად განსხვავებისა ორივე რელიგია განუყოფელია პოლიტიკისაგან.

რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო მით უფრო მისიონერულ ხასიათს ე.ი. პოლიტიკურ ხასიათს ატარებს აქ გაბატონებული რელიგია. იგივე ვითარებაა როგორც ძლიერი რელიგიების შემთხვევაში, რომელთაც არ შეუძლიათ მისიონერული ფუნქციის გარეშე. ამ მსგავსებას საფუძველი მისცა ამერიკული ექსპანსიონიზმისა და იმპერიალიზმის ცნობილ იდეოლოგს მეხენს განეცხადებინა, რომ სახელმწიფო მსგავსად რელიგიებისა დაიშლება თუ არ მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას თავის მისიონერულ

დანიშნულებას. მისთვის ამერიკული საგარეო ექსპანსია უფრო მეტს ნიშნავს ვიდრე ეროვნული მიზანდასახულობა: ეს არის მორალური მოვალეობა, და ის დარწმუნებულია იმაში, რომ ამერიკული გავლენის გაზრდა, გაფართოება მსოფლიოში გაანათლებდა სხვა ხალხებს, მოუტანდა მათ ქრისტიანულ სარწმუნოებას და ანგლო-საქსურ პოლიტიკურ გენიას (კ.იასპერსი). თუმცა ამერიკული ოფიციალური პოლიტიკა ყოველთვის დარცხვენილი არიდებდა თავს მისწრაფებებს, მაგრამ პრაქტიკულად ანხორციელებდა მას შესაშური სიზუსტით თვით უკანასკნელ დრომდე, მისი გმირული ქმედებების ჩათვლით სპარსეთის ყურესა და ბალკანეთის ექსპანსიაში. ეს ფაქტი მეტყველებს არა იმდენად პოლიტიკაზე მეხენის გავლენაზე, რამდენადაც იმაზე, რომ მან საკმაოდ ზუსტად გამოხატა ამერიკული პოლიტიკისა და იდეოლოგიის ჭეშმარიტი სული, მისთვის დამახასიათებელი ინტერვენციონიზმი შეზავებული ქრისტიანული მორალიზმის ცბიერებაზე.

თუ შეეეცდებით შეავაჯამოთ ჩვენი თვალსაზრისი პოლიტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთობაზე, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხასიათის, მათი განვითარების დონის, ადგილისა და დროის ვითარების გათვალისწინებით ეს ურთიერთობა სამი ფორმით ვლინდება: 1. იდეოლოგია, როგორც პოლიტიკის საშუალება, 2) პოლიტიკა, როგორც იდეოლოგიის საშუალება, 3) იდეოლოგია, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის იდეურ-თეორიული დაფუძნება და გამართლება. რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა სავსებით პირობითია, რადგან ყველა ეს ფუნქციები მუდმივად იცვლება, ერთი გადადის მეორეში, ესატყვისებიან ერთმანეთს, მაგრამ, კვლავ, ვითარების გათვალისწინებით და მასზე დამოკიდებულად, იდეოლოგიის პოლიტიკასთან კავშირის ხან ერთ ფუნქციაზე კეთდება მეტი აქცენტი, ხანაც მეორეზე. პრაქტიკა კი მთლიანობაში გვიჩვენებს, რომ იდეოლოგია და პოლიტიკა გამუდმებით იცვლიან ადგილებს როგორც მიზეზი და შედეგი, როგორც მიზანი და საშუალება. მათი ასეთი მძლავრი ურთიერთგადახლართვა განსაკუთრებით იჩენს თავს მაშინ, როდესაც იდეოლოგია იღებს სახელმწიფო იდეოლოგიის ფორმას და ე.ი. საყოველთაოს ფორმას, რის შედეგადაც საერთოდ წაიშლება ზღვარი პოლიტიკასა და იდეოლოგიას შორის და სახელმწიფო იქცევა „იდეოკრატად" ჩვენი დროის სიმბოლო სწორედ რომ იდეოკრატიული სახელმწიფოა.

იდეოლოგიის მჭიდრო კავშირი პოლიტიკასთან და მასზე ზემოქმედება ძირითადად იმით აიხსნება, რომ არის რა რელიგიის პირდაპირი მემკვიდრე, მისი საერო შემცვლელი, იდეოლოგიას თავისი გაჩენის დღიდანვე ახასიათებს ტენდენცია გააიგივოს საკუთარი თავი საზოგადოებრივ-

ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან, მოწოდებულია გასცეს პასუხი ცხოვრების ყველა კითხვას და შეაერთოს თეორია და პრაქტიკა. რამდენადაც ყოველი კონკრეტული იდეოლოგია ჩნდება გარკვეული რელიგიური ცნობიერების ნიადაგზე, რაც ასევე სულიერი საფუძველია ამა თუ იმ ცივილიზაციისა, ერისა, სახელმწიფოსი, ამიტომ ეს კონკრეტული იდეოლოგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმდენად, რამდენადაც განსხვავდებოდნენ მათი რელიგიები, და ყოველი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა, მისი საყოველთაობაზე ყოველნაირი პრეტენზიის გარეშე, ყოველთვის იყო სპეციფიკური, ეროვნული, შეზღუდული მსოფლმხედველობა და ამ სახით ახდენდა ზეგავლენას შესაბამის პოლიტიკაზე. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი სამყაროსათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ბრძოლა არის მხოლოდ იმ ბრძოლის სხვა ფორმით გაგრძელება რაც დასაბამიდან ახასიათებდა მთელს ქვეყანას. ყოველი ხალხი ყოველთვის პატივს სცემდა მხოლოდ თავის ღმერთებს, თვლიდა მათ უმაღლესად, უფრო ძლიერებად და ბრძნად ვიდრე სხვა ხალხების ღმერთები, იბრძოდნენ მათთან ერთად და თუ ისინი იღუპებოდნენ იღუპებოდა ამ ხალხის ეროვნული სულიც. ხალხი, რომელიც კარგავდა თავის ღმერთებს, კარგავდა სამყაროს ღირებულებრივ ხედვასაც და ხალხად, როგორც მთლიანად და ერთიანად არსებობის საზრისსაც, და ე.ი. უკვე აღარ იყო არაფერი თუ არა „ეთნოგრაფიული მასალა". თუ ეს ასეა და ეს კი ასეა ამიტომ ვერ დაეთანხმები კ.იასპერსს, რომელმაც პოლიტიკური თავისუფლების ნიშნად პოლიტიკის მსოფლმხედველობისაგან გამოყოფა აღიარა. ისინი განუყოფელნი არიან, რაც შეეხება პოლიტიკას – თუ ის „განთავისუფლდა" მსოფლმხედველობისაგან გადაიქცევა პოლიტიკანობად, ანტიპოლიტიკად, მოწყვეტილი თავის სოციალურ ფესვებს, მთლიანად საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, რომლის ასახვასაც აგრეთვე წარმოადგენს იდეოლოგია.

ამიტომ, როდესაც დღეს საუბრობენ „დეიდეოლოგიზაციაზე" კონკრეტულად პოლიტიკის დეიდეოლოგიზაციაზე, ამ სიტყვებს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და შევეცადოთ განვჭვრიტოთ თუ რა იმალება მათ უკან: პოლიტიკური ტრიუკია, საშიში მიამიტობა, იდეოლოგიური პარადიგმების ცვლა თუ ხალხის სულიერი ღირებულებების დანაშაულებრივი უგულვებელყოფა? როგორადაც არ უნდა იყოს იდეოლოგია (ისევე როგორც რელიგია) – ეს, როგორც მაქს ვებერი ამბობდა – არ არის „ფიკარი", რომელიც შეიძლება გააჩერო ნებისმიერ მომენტში, რათა ჩამოხვიდე ან ახვიდე მასში საკუთარი ნებასურვილით. თვით ხალხს,

ზნეობრიობის უმაღლეს მატარებელს გადამწყვეტ ვითარებებში შეუძლია უარი სთქვას მასში გაბატონებულ იდეაზე, მაგრამ ძალით ამას ვერ გააკეთებინებ, ისევე როგორც ვერ მოახვევ თავს რაიმე დაქირავებულ იდეოლოგიას ისე, რომ არ დალუპო თვით ხალხი, წაართვა არსებობის საზრისი.

იმავე მიზეზებით პოლიტიკისათვის იდეოლოგია არა მხოლოდ საშუალებაა დასახული მიზნების მისაღწევად, არამედ არის მისი არსებობის საშუალება, მისი სულიერი და ზნეობრივი საფუძველი, წყარო, საიდანაც იღებს თავისი მიზნებისა და ამოცანების სიღრმისეულ საზრისებს. ყოველი პოლიტიკური ქმედება საბოლოო ჯამში დაიყვანება გამოკვეთილი ღირებულებითი პოზიციის დაკავებაზე. იდეოლოგია ეხმარება ჩამოაყალიბოს და თეორიულ-ფილოსოფიური დასაბუთება-დაფუძნება გაუწიოს ამ ღირებულებებს, დაიცვას ისინი სხვა, უცხო ღირებულებებისაგან. იდეოლოგიურ საფუძველს მოწყვეტილი პოლიტიკა კარგავს საკუთარ მაცოცხლებელ იდეას, გადაიქცევა ცარიელ პოლიტიკანობად, პოლიტიკურ თამაშად „ხელოვნებად ხელოვნებისათვის" და საბოლოო ჯამში კი პოლიტიკურ ავანტიურიზმად. ასე მოსდის პოლიტიკას საზოგადოების სულიერი კრიზისის პერიოდებში, რომელსაც თან სდევს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ორგანული კავშირების მოშლა, პოლიტიკასა და ზნეობრიობას შორის კავშირის გაქრობა, იდეასა და ძალას შორის კავშირის არარსებობა. შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელ და ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზმში პოლიტიკა, იდეოლოგია (რელიგიური თუ საერო) და ზნეობრიობა წარმოადგენენ ამ საზოგადოების სულიერი ყოფის ერთიან ძლიერ კვანძს; იქ სადაც ეს კვანძი იწყებს დაშლას ცალკეულ ნაწილებად, ეს საზოგადოება ავადაა, აქ ბინდი დგება და იწყება სვლა სტაგნაციისა და შემდეგ უარეს შედეგამდე.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის საკითხისათვის

როდესაც საუბარი იწყება პოლიტიკასა და ეკონომიკაზე უკვე ჩვეულებად იქცა მათი, როგორც „დიალექტიკური წყვილის" განხილვა, თანაც აუცილებელ ურთიერთდაპირისპირებაში. რომელი განსაზღვრავს რომელს? პოლიტიკა ეკონომიკას თუ ეკონომიკა პოლიტიკას? – ეს ის კითხვაა, რომელზეც დღესაც ფიქრობენ სპეციალისტები. ამ მიდგომით აპრიორულად იგულისხმება, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა თავისი არსით საზოგადოებრივ უოთიერთობათა ორი განსხვავებული სფეროა და მკვლევარის ამოცანა მდგომარეობს იმაში, განსაზღვროს მათ შორის „სწორი" ურთიერთკავშირი.

პოლიტიკისა და ეკონომიკის დაშორიშორება და მკაცრი დაქვემდებარება უკიდურეს ზღვარს აღწევს მარქსიზმის მოძღვრებაში. მარქსიზმს, როგორც ცნობილია ეკონომიკის ქვეშ ესმის საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა. ამ აზრით ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საკუთრების მიმართება წარმოების საშუალებებზე. ეკონომიკის განმსაზღვრელი ფაქტორია მწარმოებლური ძალები. ცვლილებები საწარმოო ძალებში იწვევენ ცვლილებებს საწარმოო ურთიერთობებში და საბოლოოდ მთელი პოლიტიკურ-იურიდიულ ზედნაშენში. ეკონომიკა ან ეკონომიკური ბაზისი ქმნის საფუძველს ყველა სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის და ასრულებს გადამწყვეტ როლს საზოგადოების განვითარებაში. „წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები: აი ასეთი ნათელი ფორმით განსაზღვრავს მარქსი პოლიტიკისა და ეკონომიკის შესაბამისობას. ეს პოზიცია დიდხანს რჩებოდა უცვლელი.

საბოლოო ჯამში პოლიტიკა განსაზღვრულია ეკონომიკით – ეს გახლავთ მარქსიზმის პირველი ფუნდამენტური დებულება. მეორე მხრივ, ვ.ლენინის მიხედვით, პოლიტიკას, წარმოადგენს რა ეკონომიკის კონ-

ცენტრირებულ გამოხატვას არ შეუძლია არ იდგეს პოლიტიკაზე მაღლა – ეს არის მეორე, არანაკლებ ფუნდამენტური დებულება მარქსიზმისა. როგორადაც არ უნდა ვეცადოთ, მას ვერ გავექცევით, რადგანაც აბსოლუტიზირებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ესა თუ ის მხარე და თანაც მაშინ, როდესაც აბსოლუტიზირებას პრინციპულად ვერ იგებენ. მართლაც, თუ ავიღებთ თვით ცნებებს „წარმოებითი ურთიერთობანი" ისევე როგორც საზოგადოების „ეკონომიკური ბაზისი", ისინი იმდენად მრავალმხრივი და ფართოა, რომ არსებითად ფარავენ საზოგადოების სოციალურ და მთლიანად კულტურულ ცხოვრებას, არ ტოვებს რა ადგილს, რაიმე სხვა „არაწარმოებითი ურთიერთობებისათვის. მარქსიზმის კლასიკოსები თავად ხედავდნენ თავიანთი კონცეფციის სისუსტეს და არა ერთხელ გამოსულან ახსნა-განმარტებისა და გამართლების სურვილით, ცდილობდნენ რა როგორმე შეემსუბუქებინათ კონცეფციის სიმკაცრე. ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა ენგელსის წერილი ბლოხისადმი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად ისტორიულ პროცესში განმსაზღვრელ მომენტად საბოლოო ჯამში გვევლინება წარმოება და კვლავწარმოება რეალური ცხოვრებისა. არც მე და არც მარქსი მეტს არ ვამტკიცებდით. თუ ვინმე ამახინჯებს ამ დებულებას იმ აზრით, რომ ეკონომიკური მომენტი თითქოსდა ერთადერთი განმსაზღვრელი მომენტია, ის გადააქცევს ამ დებულებას არაფრის მთქმელ, აბსტრაქტულ, უაზრო ფრაზად. ეკონომიკური მდგომარეობა – ეს ბაზისია, მაგრამ ისტორიული ბრძოლის მხედველობაზე ასევე ზემოქმედებენ და ბევრ შემთხვევაში უმეტესად ფორმას განსაზღვრავენ ზედაშენის სხვადასხვა მომენტები: კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმები და მისი შედეგები – სახელმწიფო წყობა, დადგენილი გამარჯვებული კლასის მიერ მოგებული ბრძოლის შემდეგ და ა.შ. სამართლებრივი ფორმები და ამ ბრძოლების ასახვაც კი მონაწილეთა ცნობიერებაში, პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, რელიგიური განაზრებები და მათი შემდგომი განვითარება-გადაქცევა დოგმის სისტემად. ყველა ეს მომენტები ურთიერთმოქმედებენ, რომელშიც ეკონომიკური მოძრაობა, როგორც საბოლოო ჯამში აუცილებლობა შემთხვევითობების უსასრულო სიმრავლეშიიკვლევს გზას. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ისტორიული პერიოდისადმი თეორიის გამოყენება უფრო ადვილი იქნებოდა ვიდრე პირველი ხარისხის მარტივი განტოლების ამოხსნა.

ბევრი კუთხით საინტერესო წერილი თავისთავად არის მოწმე იმისა, რომ სოციალური ცხოვრება განიხილებოდა ძალზე გამარტივებულად.

შეურყეველი იყო ისევ ბაზისი, მაშინ როდესაც ყველა სხვა ეს სხვა კი წარმოადგენს არც მეტი, არც ნაკლები ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს, ანუ ის რის გარეშეც ადამიანი აღარ არის ადამიანი – განიხილება როგორც მეორეხარისხოვანი, არარსებული, რომელიც მხოლოდ „აგრეთვე" ახდენს გავლენას და ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს ისტორიული ბრძოლის მხოლოდ „ფორმას".

ახსნა-განმარტებები და გამართლება ვერ გამოიდა, მაგრამ ინტერნაციონალის ბელადების ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, მოთხოვნილება ნათელი, გასაგები ახსნისა იმდენად აუცილებელი, რომ მარქსისტული ფორმულირება მიღებულ იქნა მთლიანად. მის წინააღმდეგ დროდადრო გაისმოდა კრიტიკა, მაგრამ რაიმე სერიოზული შედეგი მათ არ მოჰყოლიათ. ამ ფორმულაში კონცენტრირებული სახით მიღებული იყო განმანათლებლობის ეპოქის რაციონალიზმი, რუსოიზმი. საზოგადოების გარდაქმნის მისებური ხედვით, კამპანელას, თომასის, მორის, ფურიეს, ოუენის და სხვათა კაზარმული სოციალიზმის მექანიცისტური უტოპიები და პოზიტივიზმი. მარქსის ეკონომიზმში გამოიხატა მკაცრი დეტერმინისტული, არსებითად ფატალისტური წარმოდგენები ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალებზე. მარქსის ეკონომიკური თეორია თავისი ხასიათით ემსგავსება მ.ვებერის „იდეალურ ტიპს" უეჭველი ევრისტიკული ღირსებებით, რომელიც მისი აპოლოგეტების მეცადინეობით აღიარებულ იქნა „ერთადერთ ჭეშმარიტ" თეორიად ბოლოს და ბოლოს დაინგრა საკუთარი დასკვნების აბსოლუტურობის პრეტენზიის სიმძიმის ქვეშ. მისი ერთ-ერთი დიდი ნაკლია – ადამიანის როლის მის რაციონალური და ირაციონალური საწყისების დაკნინება. ეს უკანასკნელი, უნდა ითქვას, საერთოდ ახასიათებს მარქსიზმს, როგორც სხვა ნებისმიერ მოძღვრებას, რომელიც გართულია მთელი „კაცობრიობის" ბედნიერების რაციონალური სქემის ძიებით და განსაკუთრებით მისი იმ ნაწილისა, რომელმაც სახელად მიიღო ისტორიული მატერიალიზმი. ეს, პრინციპში, არაფრით არ განსხვავდება სხვა მეტაფიზიკური მოძღვრებისაგან მხოლოდ იმ სხვაობით, რომ მისი საფუძველია არა იდეალური არამედ მატერიალური აბსოლუტი. ეს მომენტი, სხვათაშორის, ძალიან აახლოებს მას ჰეგელის ისტორიოსოფიასთან, თუმც ეს არცაა გასაკვირი, რადგან მარქსი ხომ ჰეგელისაგან გამოდის. ჰეგელის მიხედვით ისტორია წარმოადგენს უსახურ, უფრო ზუსტად ზესახიერ პროცესს, მასში რეალიზებულია ის, რასაც ჰეგელი ეძახდა „გონის ცხიერებას". ეს ვლინდება იმაში, რომ აბსოლუტური გონის ქმედება ადამიანებს უქმნის მცდარ

შთაბეჭდილებებს თითქოსდა ისინი მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისა და მიზნების მიხედვით, მაშინ როდესაც სინამდვილეში მათი საშუალებით ხორციელდება აბსოლუტური გონის გადაწყვეტილებები; ადამიანები კი არიან მხოლოდ საშუალებები მისი ზეადამიანური მიზნების განსახორციელებლად. ისტორიულ მატერიალიზმში კი ასეთი ცბიერი არის უკვე არა გონი, არამედ მატერია ანუ ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც თითქოსდა ფარულად, „ზედნაშენის" საშუალებით, ადამიანთა ინდივიდუალური მატერიალური ინტერესების გზით ანხორციელებს მხოლოდ მისთვის ცნობილ, მაგრამ იგივე ზეპიროვნულ მიზნებსა და ამოცანებს.

ეკონომიკური თეორიის მარქსისტული ვარიანტი ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ცნობიერებაში და ეს იქედანაც ჩანს, რომ ჩვენთან დაწყებული თითქოსდა რადიკალური ცვლილებები კვლავ მიმდინარეობს მკაცრი მარქსისტული დეტერმინირების სქემით: ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას და ყველა სხვა ზედნაშენურ ელემენტებს. სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სულიერ-მორალური საფუძვლების სრული რღვევა რასაც ადგილი აქვს ჩვენს სახელმწიფოში და თანაც გამაოგნებლად მოკლე დროში კიდევ ერთხელ მიუთითებს აღნიშნული სქემის მცდარობასა და დამღუპველ ხასიათზე, იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება განისაზღვრება სხვა ფაქტორებით, რომ მის საფუძვლად არის საზოგადოების კულტურა მთელი თავისი შემადგენელი ელემენტებით: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სულიერ-მორალური, ესტეტიკური, რომლებიც ქმნიან საზოგადოების იმ ჩონჩხს, რომელიც განსაზღვრავს კიდეც მის შესაბამის სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ტიპს.

საგნისადმი მიდგომის ჩვენი ზოგადი წანამძღვარი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკას ვთვლით კულტურის ისეთივე ელემენტად, როგორიცაა პოლიტიკა; ერთიც და მეორეც დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან, როგორებიცაა ინტერესი, მიზანი და საშუალება, ერთიც და მეორეც საზოგადოებრივი ურთიერთობებია. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რადგან დღემდე ადგილი აქვს გაურკვევლობას ამ საკითხში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეკონომიკის ქვეშ ხშირად ესმით არა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, არამედ წარმოება ან კიდევ საქონლის რეალიზაციის სფერო. ეკონომიკის ასეთი გაგების გამო მეცნიერულ გამოკვლევებში პოლიტოლოგების მიერ (ასევე ეკონომისტებთანაც) ადგილი აქვს ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის დამახინჯებულ გაგებას. ამის გამო ხშირად შეიძლება შეხვდე დებულებას, რომ ეკონომიკა,

როგორც უშუალო წარმოება ან როგორც რეალიზაციის სფერო არის სწორედ ის „ბაზისი“, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკას, ცვლის მას, აძლევს გეზს, და მას თვლიან მარქსიზმად.

ეკონომიკა არ არის წარმოება და არც განაწილება, ეკონომიკა არის წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა ადამიანებს, კლასებს, პარტიებს შორის წარმოებისა და განაწილების პროცესში. პოლიტიკა აგრეთვე არის ადამიანთა, კლასთა, პარტიათა და სახელმწიფოთა საზოგადოებრივი ურთიერთობა სოციალური ცხოვრების კვლავწარმოების პროცესში მთელი მისი სპექტრის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა მწარმოებლურის ჩათვლით. ამიტომ წმინდა სქოლასტიკად უნდა ჩაითვალოს წმინდა პოლიტიკის ცალკე გამოყოფა, ისევე როგორც წმინდა ეკონომიკისა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მათი განცალკევება შეუძლებელია, ისინი გადახლართულნი და ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ყოველი მათი დაშორიშორება ხელოვნურია და გამართლებულია ვიწრო აკადემიური მიზნებით. ვითარების გამო, საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპის გამო, მის მიერ დასახული ამოცანები (შესატყვისად საზოგადოებრივი ურთიერთობების ეკონომიკური ან პოლიტიკური ასპექტები განუწყვეტლივ იცვლებიან, მაგრამ არავითარ გარემოებაში არ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა, ურთიერთგანცალკევება და მით უფრო მათი ურთიერთდაპირისპირება. პოლიტიკა და ეკონომიკა ერთნაირად არიან გაპირობებული სოციალური გარემოთი, რომელშიც თავადვე იზრდებიან და რომლის ინტეგრალურ ნაწილადაც გვევლინებიან. აღნიშნული სოციალური გარემო გულისხმობს საზოგადოების სულიერ და მატერიალურ საფუძვლებსაც, არსებულ ადათ-წესებსაც, არსებულ ტრადიციებს აქ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს და საერთოდ ყოველივეს რაც მისი ისტორიის პროდუქტია. დიდი შეცდომაა მოახდინო ეკონომიკური მოვლენების იზოლირება ყველა დანარჩენისაგან და განიხილო ისინი ვაკუუმში. ისეთი ცნებები, როგორებიცაა წარმოებითი ურთიერთობები, წარმოების წესი, საკუთრება და ა.შ. მხოლოდ ნაწილობრივ არიან ეკონომიკური ცნებები; თავისი არსით ისინი ასევე წარმოადგენენ იურიდიულ და პოლიტიკურს და მთლიანობაში კულტუროლოგიურ ცნებებს. ამიტომ არა მხოლოდ არაპროდუქტიულია, არამედ უბრალოდ უაზრობაცაა შეისწავლო და მით უფრო გარდაქმნა ეკონომიკა მოცემული საზოგადოების პოლიტიკის, სამართლისა და კულტურისაგან გამოყოფილად.

მოცემული დებულებები უფრო ნათლად ჩანს ეკონომიკისა და პოლიტიკის საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ სუბიექტებად, მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოდიან სახელმწიფოები – ორგანიზაციები, რომლებიც თავისთავად პოლიტიკურებია და თანაც ყველა ურთიერთობებს აპოლიტიზირებენ. ის რასაც ეძახიან მსოფლიო ეკონომიკას თავისი არსებით არის ეროვნული ეკონომიკების პროდუქციის რეალიზების სფერო, ანუ სფერო მსოფლიო ვაჭრობის, მსოფლიო ბაზრის. ამიტომ აქ სულაც არა გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ რაიმე წარმოებით ურთიერთობებზე, ყოველ შემთხვევაში იმ აზრით, რომელშიც ეს ცნება იგულისხმება შიდაეკონომიკურ ურთიერთობებში. საგარეო ვაჭრობა კი იგულისხმება აქ ერთი ქვეყანა თუ კომპლექსი ქვეყნებისა ამით რეალიზაციის პროცესი სულაც არ იკვლება. ამ თვალსაზრისით ბავშვური გულუბრყვილობაა ზოგიერთი პოლიტოლოგების თვალსაზრისი, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს განიხილავენ როგორც „ბაზისს" საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობებისათვის. მეტიც, ეკონომიკური ბაზისისა და პოლიტიკური ზედნაშენის ურთიერთდაპირისპირება ვერ უძლებს კრიტიკას.

ზემონათქვამიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების, წარმოების პროცესში ადამიანთა ერთიერთობების განსაზღვრა. მაგრამ პოლიტიკა ასევე წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობას. პოლიტიკის საფუძველია ინტერესები, მაგრამ რასაც ჩვენ ვეძახით ეკონომიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საფუძველიც ინტერესებია – ინტერესები ეკონომიკური, წარმოებითი, ასევე ის ინტერესები, რომლებიც შეიძლება განისაზღვროს როგორც პოლიტიკური. ისმის კითხვა სად გადის საზღვარი ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, არსებობს კი ასეთი საზღვარი საერთოდ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მოხერხდება ჩვენთვის ტრადიციული მარქსისტული კონცეფციის საზღვრებში, სადაც საუბარია ურთიერთობაზე ბაზისსა და ზედნაშენს შორის. საერთოდ უნდა დავივიწყოთ ყოველნაირი ურთიერთდაპირისპირება პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის, უარი უნდა ვთქვათ სფეროებზე, რომლებიც შეიძლება აიხსნას ტექნიკური მეთოდებითა და ხერხებით. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებს, ყოველ შემთხვევაში როდესაც საკითხი შეეხება ფუძემდებლურ საკითხებს, ეკონომიკისა და პოლიტიკის პრობლემები განიხილებიან კულტურის ზოგადი პოლიტიკის დონეზე, რომლებიც უკვე

შეეხებიან ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს. „ისევე როგორც არ არსებობს „homo economicus“ წერს ცნობილი თანამედროვე ეკონომისტი კარლო სიპოლა ასევე არ არსებობს ეკონომიკური მოღვაწეობა, განცალკევებული მოღვაწეობის სხვა ფორმებისაგან. როდესაც ჩვენ ვმართავთ ჩვენს საქმეებს, ჩვენ ყოველთვის ვიქცევით გარკვეული სახით და ქმედების ეს სახე ასახავს ჩვენს ინდივიდუალურობას ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. ის წესი, რომლითაც ჩვენ წარვმართავთ ჩვენს საქმეებს დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ გვიყვარს და გვძულს, როგორ ვჭამთ და ვისვენებთ, როგორ ვფიქრობთ და საერთოდ როგორ ვუყურებთ საგნებს. შრომისა და საქმეების წარმართვის ჩვენი სტილის შეცვლა გულისხმობს უფრო ზოგად ცვლილებებს ჩვენს ჩვეულებში, ურთიერთობებში, მოტივაციებსა და ღირებულებით სისტემებში, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას“. აქ შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე კარლეილის შეხედულებები ჩვეულებზე და მის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში. ორივე მოყვანილი მეცნიერის თვალსაზრისი ენათესაობა შპენგლერის, ტოინბის, ვებერის და სხვათა კულტუროლოგიურ იდეებს, რომლებსაც ჩვენ ხშირად ვიყენებთ.

ჩვენ მივუახლოვდით მ.ვებერის ფუნდამენტურ დებულებას, რაც გამომდინარეობს კულტუროლოგიური, ღირებულებითი მიდგომის არსიდან. მოვლენის თვისება, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ ის პოლიტიკურს თუ ეკონომიკურს სულაც არ ახასიათებს მას როგორც ასეთს „ობიექტურად“: ის განსაზღვრულია ჩვენი შემეცნებითი ინტერესის მიმართულებით, რამეთუ ყოველი მოვლენა გამომდინარე ჩვენი მიზნებიდან შეიძლება განხილულ იქნას როგორც „პოლიტიკური“, ასევე როგორც „ეკონომიკური“ – სხვაობა აქ წმინდა პირობითია ასე მიაჩნია მ.ვებერს. მოყვანილ იდეას აკრცელებს დაწესებულებებზეც კი, რომლებიც წინასწარგანზრახვით არიან შექმნილი ან გამოყენებული „ეკონომიკური“ მიზნებისათვის, როგორიცაა ბირჟა ან ბანკი. სინამდვილეში კი ერთიც და მეორეც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკურ დაწესებულებად. უნდა ითქვას, რომ მარქსიზმის კლასიკოსებმა სხვაზე მკვეთრად დააცილეს ერთმანეთს ეკონომიკა და პოლიტიკა, თუმცა მ.ვებერის ზემოთმოყვანილი იდეა კლასიკოსებისათვის უცნობი და მიუღებელი არ ყოფილა. ენგელსი თვლის, რომ „ძალადობა (ანუ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება) ეს იგივე ეკონომიკური ძალაა. მაგრამ ძალადობა, როგორც კარგად იცოდნენ კლასიკოსებმა არის მთავარი პოლიტიკური ძალა, პოლიტიკის ძირითადი საშუალება. მაშასადამე, აქაც კარგად

ჩანს, რომ ძალადობის განხილვა, როგორც ეკონომიკური თუ როგორც პოლიტიკური ძალა დამოკიდებულია გამოკვლევების მიზნებზე, მის მიმართულებაზე, იმ თვალსაზრისზე თუ სოციალურ-ეკონომიკური ყოფის რომელი კუთხე გვაინტერესებს. სხვათაშორის, ეს სამართლიანი არა მხოლოდ ეკონომიკისა და პოლიტიკის მიმართულებისათვის, არამედ სამართლიანია აგრეთვე ეკონომიკისა და ეთიკის, ესთეტიკის, რელიგიის და ა.შ. მიმართულებებისათვის. სურვილის მიხედვით ადვილად დადგინდება ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების თავდაპირველი ეკონომიკური საფუძველი, ან პირიქით ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს განვითარება აუცილებლობით მოითხოვს მისთვის საჭირო საშუალებების განვითარების ეკონომიკურ ასპექტს (რაიმე სფეროს განვითარება, მუშა-ხელის დასაქმება, ბუმი ან პირიქით). ამიტომ ყველაფრის დაყვანა ეკონომიკურ მიზეზებზე, ან ყოველივეს ეკონომიკური სფეროს მიერ გამართლება მცდარია. „ეკონომიკური დასაბუთება – წერს მ.ვებერი არაფრით არაა უფრო ამომწურავი ხასიათის, ვიდრე კაპიტალიზმის გამოყვანა რელიგიური ცნობიერების ამა თუ იმ ცვლილებებიდან, რომლებმაც კაპიტალისტური სულის გენეზისში გარკვეული როლი ითამაშეს, ან რაიმე პოლიტიკური წარმონაქმნის გამოყვანა გარემოს გეოგრაფიული პირობებიდან". ყველა ამ შემთხვევაში – ხაზს უსვამს მ.ვებერი – გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელსაც მივაწერთ ეკონომიკურ პირობებს, არის ის თუ მიზეზთა რომელ ტიპს მივაკუთვნოთ მოცემული მოვლენის ის სპეციფიკური ელემენტები, რომლებსაც ჩვენ ცალკეულ შემთხვევაში ვანიჭებთ მნიშვნელობას, ვთვლით მნიშვნელოვნად.

ამასთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა იმ პოლიტოლოგების მცდელობები რომლებიც ცდილობენ განასხვავონ საერთაშორისო პოლიტიკური აქციები ეკონომიკურებისაგან. ამერიკელი როზენაუ (პოლიტოლოგი) აკრიტიკებს ამერიკულ მეცნიერებას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მასში არსებული სრული გაურკვეველობის შესახებ, სვამს კითხვას – თუ რით განსხვავდება „საერთაშორისო პოლიტიკური აქტები იმ აქტებისაგან, რომლებიც ასეთად არ ითვლებიან. „არის თუ არა მთავრობის ყოველი აქტი პოლიტიკური? მთავრობის მიერ ნედლეულის გაყიდვა საზღვარგარეთ ითვლება თუ არა პოლიტიკურ აქტად, ხოლო კერძო ფირმის მიერ ანალოგიური აქცია მხოლოდ ეკონომიკური აქტია? თუ მთავრობის მიერ ნედლეულის გაყიდვა არის ერთდროულად პოლიტიკურიც და ეკონომიკური აქტიც, მაგრამ რომელი ასპექტი განეკუთვნება პირველს და რომელი მეორეს? ეს ტირადა მოვიყვანეთ

იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი იმ გაურკვევლობაზე, რასაც ადგილი აქვს პოლიტოლოგებსა და ეკონომისტებში, რომლებიც ტრადიციულად ცდილობენ უშუალოდ აღნიშნოთ რომ ეს არის ეკონომიკური, მეორე კი პოლიტიკური აქტია. ეს იმიტომ რომ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული დემარკაციის კრიტერიუმის ხასიათი. ეს კრიტერიუმი კი დამოკიდებულია მკვლევარის მიზანზე, კვლევის ამოცანაზე, მიზეზების იმ ტიპზე, რომელზედაც მას დაყავს განსახილველი მოვლენა, საბოლოოდ კრიტერიუმი მოთავსებულია მკვლევარის თავში. ამაზე დამოკიდებულად „კერძო კომპანიის აქცია" შეიძლება განხილულ იქნას როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკურ აქტად, იგივე ითქმის არა მხოლოდ მთავრობის აქტებზე, არამედ ფირმების, კორპორაციების აქტებზეც. უფრო მკაცრი კრიტერიუმის მაძიებელს შეუძლია გაიხსენოს, რომ ერთ-ერთ კრიტერიუმად ითვლება პოლიტიკური აქტის სოციალურ-იძულებითი ბუნება, თუ საუბარი ეხება ე.წ. ეკონომიკურ აქტებს, პოლიტიკურს ჩვენ დავარქმევდით მათგან იმ აქტს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ზემოქმედებს ეკონომიკურზე ან ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკას, რომელიც იძულებულია უცხო ქვეყნის ამა თუ იმ აქციას უპასუხოს პოლიტიკური ქმედებებით.

ეკონომიკასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული მოვლენები და პროცესები თვით მ.ვებერმა დაყო სამ ჯგუფად. პირველი – ის ობიექტები, რომლებსაც შეიძლება ვიწრო აზრით დაერქვას საკუთრივ „ეკონომიკური" პროცესები და ინსტიტუტები. ეს ძირითადში ის ობიექტებია, რომლებიც სწორედ რომ ეკონომიკური მიზნებით არიან შექმნილი (ზემოთხსენებული ბანკები და ბირჟები). მეორე ჯგუფია ე.წ. „ეკონომიკური რელევანტური მოვლენები". ისინი ჩვენ გვაინტერესებს არა მათი ეკონომიკური მნიშვნელობით, მაგრამ ზოგიერთ პირობებში იძენენ ასეთ მნიშვნელობებს, რამდენადაც უნარი აქვთ ეკონომიკური ზემოქმედებისა. მესამე ჯგუფია, ეკონომიკურად გაპირობებული მოვლენები" ანუ ისინი, რომელთა ეკონომიკური ზემოქმედება სულაც არაა საინტერესო, ან აქვს უმნიშვნელო ინტერესი, მაგალითად რომელიმე ეპოქისათვის დამახასიათებელი ხელოვნების სტილი ან მიმართულება.

მ.ვებერის მოყვანილ დაყოფას, რა თქმა უნდა გააჩნია გარკვეული ევრისტიკული დანიშნულება. მაგრამ მთლიანად მისი მიღება მოვლენათა ეკონომიკური ღირებულებების დაყოფის სქემად შეუძლებელია. ამისათვის ძალიან გაურკვეველია მ.ვებერის სამ ჯგუფს შორის საზღვები. საბოლოოდ დაიყვანებიან კვლავ მკვლევრის თვალსაზრისზე, მის წინაშე

მდგარი მიზნების შესაბამისად, თუ რა მიაჩნია მას თავისთვის ახლა მნიშვნელოვნად.

სოციალური ცხოვრების მოვლენათა დაყოფა „პოლიტიკურად“ და „ეკონომიკურად“ მიუხედავად ამ დაყოფის პირობითობისა, თუ გვსურს დავიცვათ თანმიმდევრობა, უნდა ვაღიაროთ, რომ საბოლოო ჯამში პოლიტიკას (როგორც ინტერესების, მიზნების, ნების, საშუალებების ღირებულებით გაპირობებული ერთიანობა) არ შეიძლება არ ქონდეს უპირატესობა ეკონომიკასთან (ამ ცნების ნებისმიერი მნიშვნელობით) აუცილებლად შეასრულებს მის მიმართ განმსაზღვრელ როლს. რაც სხვაზე ნათლად სახელმწიფოს მაგალითში ჩანს. რადგანაც ისტორიული განვითარების პროცესში სახელმწიფო ყოველთვის მიისწრაფოდა საკუთარ თავზე აეღო საზოგადოების მოწყობის მუდმივად მზარდი პასუხისმგებლობა, მას არ შეეძლო არ აეღო საკუთარ თავზე იმ ფუნქციების შესრულება, რაც ტრადიციულად ცნობილია, როგორც ეკონომიკური ფუნქციები. ამიტომ, თანდათანობით, თავდაპირველი პირობითი დაყოფა „ეკონომიკურსა“ და „პოლიტიკურ“ სფეროებად თანდათან კარგავდა აზრს და მხოლოდ მეცნიერ-პედანტების სამფლობელო იყო, რომელთაც არ შეეძლოთ ყოველივე არ დაეშალათ ელემენტებად, ატომებად. მაგრამ, კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზი. მეცნიერულ პედანტიზმში (ალბათ ყველაზე ძნელად დასაძლევ მოვლენაში) დღემდე დაუძლეველია „ეკონომიკის“ ობიექტურობა, მისი კანონების რკინისებული კანონებით მოქმედება. ეს თვალსაზრისი, თავისი არსით ძალზე სუბიექტური, დღესაც ზემოქმედებს ჩვენს ცნობიერებაზე, დღემდე გვეძლევა სოციალიზმის ეკონომიკურ კანონებად. ცნობიერებაში გამჯდარია იდეა, რომ თუ შეიცვლება ეკონომიკა, ამას თითქმის ავტომატურად მოყვება მთელი ზედნაშენის შეცვლა სასურველი მიმართულებით. ამასთანავე ხშირად მხედველობის არედან გვეპარება, რომ ეს ცვლილებები ყოველთვის ხორციელდებოდა პოლიტიკური ნების ძალით, პოლიტიკური მიზნებით და პოლიტიკური საშუალებებით. კარგია, როდესაც ეს პოლიტიკური რესურსები ხელთ უპყრიათ საღად მოაზროვნე ადამიანებს. თუ ეს ასე არ არის, ეკონმიკური ცვლილებები „მზად არიან“ გამოიწვიონ სრული დეზორგანიზაცია და ქაოსი, საფუძველი შეურყიონ თვით „ეკონომიკურ“ ყოფას. როგორც ობიექტურია ეკონომიკა, ზუსტად იმავე დოზით ობიექტურობა ახასიათებს „პოლიტიკასაც“. ამ უკანასკნელის ობიექტურობა მდგრადობს მის სოციალურად იძულებით ხასიათში.

ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევებში უყურადღებობა ეტყობა ერთ მნიშვნელოვან თემას ე.წ. „ეკონომიკურ დეტერმინიზმს“ ან

კონცეფციას რომლის თანახმად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია ეკონომიკა, რაც გაბატონებული გახდა დასავლეთში და იქიდან შემოდის ჩვენთან. კონცეფცია სრულ თანხმობაშია დასავლეთევროპულ რაციონალიზმთან, სწრაფვასთან გამოვლენილ იქნას ძირეული მიზეზები და კანონები, და ყველაფრის რაციონალურ საწყისებზე დაყვანით ახსნის სურვილით. დასავლეთევროპული ცივილიზაციის რაციონალისტური ხასიათი ნაცნობია ჩვენთვის და ის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. მარქსიზმი მისი ტიპიური გამოვლენაა. მაგრამ პარადოქსულია ის გარემოება, რომ დასავლეთელი გუშინდელი და დღევანდელი ანტიმარქსისტები თვით მარქსს აჭარბებენ მარქსისტობაში და მასზე შორს მიდიან ისტორიულ მატერიალიზმში, ასრულებენ რა მას აბსოლუტიზმამდე ე.ი. ეკონომიკურ დეტერმინიზმამდე. ილუსტრაციისათვის დავასახელოთ ორი ძალზე ავტორიტეტული წიგნი დასავლეთში, რომელთა შორის დროის ინტერვალი ერთი საუკუნეა. მხედველობაში გვაქვს ადამს ბრუკსის „ცივილიზაციისა და დაცემის კანონის" (1895წ.) ["Закон цивилизации и упадка"] და უკანასკნელი წლების ბესტსელერი, პოლ კენედის წიგნი „დიდი ქვეყნების აღმასვლა და დაცემა" (1995წ.) ["Взлеты и падения великих держав"]. ორივე ავტორმა მიზნად დაისახა გამოეკვლიათ ცივილიზაციის აყვავებისა და დაცემის ძირითადი მიზეზები, და ორივენი, თითქოსდა შეთანხმებულნი იყვნენ, ასეთ მიზეზად წინა პლანზე წამოსწიეს „ეკონომიკური ფაქტორი". ის დამტკიცება აუცილებელი და შესაძლებელი იყო, კერძოდ, სოციალური განვითარების განსაზღვრულობა ეკონომიკით, მათ ყოველნაირი მტკიცების გარეშე აპრიორი მიიღეს წანამძღვრად და მეთოდოლოგიური საფუძვლად. საბოლოო ჯამში, ორივე ნაშრომი, შეიძლება ავტორთა სურვილის წინააღმდეგაც კი, ამტკიცებენ მ.ვებერის დებულებას იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ მოვლენის ეკონომიკური განპირობებულობა, არ არის მისი ასეთი, როგორც „ობიექტური" და დამოკიდებულია მკვლევარის შემეცნებით ინტერესებზე, იმ მიზანზე, რომელსაც ის ისახავდა მიზნად. მხოლოდ ამ კუთხით შეიძლება გაგებულ იქნას ბრუკს ადამსის მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ „მთლიანობაში რეფორმაცია იყო მაღალი ხარისხის დონის ეკონომიკური ფენომენი".

გეოპოლიტიკის რაობის საკითხისათვის

პოლიტიკის განხილვა სოციალური სინამდვილის განსხვავებულ სფეროებთან მიმართებაში მისთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვან ნიუანსებს ააშკარავებს. წინა თაკებში შევეხეთ პოლიტიკის მიმართებას ეკონომიკასთან, იდეოლოგიასთან, მაგრამ არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს ადამიანური ყოფის ყველა სფეროზე, მათ შორის პოლიტიკურ შეხედულებებზე, თვით პოლიტიკაზე, მის რეალიზაციაზე. ეს ასპექტი არის გეოგრაფია, უფრო ზუსტად ქვეყნის, ხალხის, ერის გეოგრაფიული მდებარეობა. ამ ასპექტის მნიშვნელობა მარტივად შეიძლება განისაზღვროს.ყოველი სახელმწიფო აუცილებლობით გულისხმობს სამ კომპონენტს: ტერიტორიას, ხალხს, პოლიტიკურ ორგანიზაციას. ხალხი სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, რა პოლიტიკური სისტემაც არ ჰქონდეთ მათ, მათ ყოველთვის უკავიათ დედამიწის გარკვეული სივრცე და მათი საქმიანობა ასე თუ ისე არის ფიზიკური გარემოს პირობებით განსაზღვრული. ის აძლევს სტიმულს ადამიანის საქმიანობას და თავადვე ზღუდავს ამ პროცესს.

ყოველი სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა უნიკალურია. მისი ტერიტორიის ლანდშაფტი, ზომა, ბუნებრივი რესურსები განუმეორებელია. სახელმწიფოს ტერიტორია შეზღუდულია სხვა სახელმწიფოებთან არსებული პოლიტიკური საზღვრებით. გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ქმნის სპეციფიკურ წინააღმდეგობებს როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე სახელმწიფოსა და მის ფიზიკურ გარემოცვას შორის.

სახელმწიფოს ტერიტორიულ-გეოგრაფიული უნიკალურობა განაპირობებს მის ისტორიულ ფონს. ორივე ერთად განაპირობებს ხალხის, სახელმწიფოს თავისთავადობას, აქცევს მათ ისტორიულ ინდივიდუალებად. ყველა იმ ფაქტორებიდან, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანთა საქმიანობაზე, მათ შორის პოლიტიკურ საქმიანობაზე გეოგრაფიული ფაქტორი ყველაზე ნაკლებად ცვალებადია, რაც გარკვეულწილად განაპირობებს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მემკვიდრეობითობას. მთაგრე-

ხილები მშვიდად ადევნებენ თვალს მინისტრებისა და დიქტატორების ურთიერთმონაცვლეობას. სოციალური ცვლილებების რამდენი საფეხური გაიარა რუსეთმა პეტრე დიდსა და სტალინს შორის. კლემანსოს, დე გოლს, შირაქს ერთნაირად აწუხებდათ ღია საზღვრები გერმანიასთან, ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ცვლილებები ვერანაირად ვერ იმოქმედებენ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ პოზიციაზე, რაც გაპირობებულია მისი გეომდებარეობით.

მართლაცდა, ეკონომიკური, ზნეობრივი, რელიგიური, იდეოლოგიური და პოლიტიკის სხვა სოციალური დეტერმინატორები დროის სვლის პარალელურად იცვლებოდნენ. იცვლებოდნენ ისტორიის სუბიექტები, უცვლელი იყო გეოგარემო. შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიულ სივრცობრივი კონფლიქტები უფრო ძნელად მოსაგვარებელი არის, ვიდრე სხვა სახის კონფლიქტები. ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც ერთი და იგივე იდეოლოგიის, რელიგიის მიმდევარი, ერთი და იგივე ან ძალიან მონათესავე კულტურის მქონე, ხალხს შეურიგებელი კონფლიქტი ჰქონდათ მიწის ან ზღვის რომელიმე მონაკვეთის გამო.

ეროვნული ტერიტორიის სიდიდე გარკვეულად ზემოქმედებს სახელმწიფოს მოქმედებებზე საკუთარი ინტერესების დასაცავად. ბუნებრივი პირობები და რესურსები განაპირობებენ მოსახლეობის სიმჭიდროვეს, სახალხო მეურნეობის სტრუქტურას. ეკვატორსა და ოკეანესთან სიახლოვე ნიშნავს მსოფლიოს ძალთა ძირითად ცენტრებთან და კონფლიქტის ზონებთან სიახლოვეს. უშიშროების კუთხით მეზობელი ქვეყნები შეადგენენ უშუალოდ პოტენციალურ მტრებს და მოკავშირეს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას რომ ქვეყნის გეოგრაფიის შესწავლა დიდ ინფორმაციას იძლევა მისი რაობის შესახებ.

ყოველდღიური ინტერესების კარნახით მიმდინარე დიპლომატიის ფონზე შეიძლება გეოგრაფიული ფაქტორი უკანა პლანზე გადავიდეს, სანამ პოლიტიკური წარუმატებლობები გვაიძულებს მის წინაპირობების ძიებას და კვლავ მოგვაბრუნებს პოლიტიკის გეოგრაფიით დეტერმინირების ფაქტორისაკენ. შეიძლება პოლიტიკოსმა თავი აარიდოს ამ ფაქტორებს, მაგრამ ეს ფაქტორები არ აგვარიდებენ თავს და მკაცრად დასჯიან იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც უვიცობით თუ ზერელე პოზიციით ვერ შეძლეს ამ ფაქტორების მნიშვნელობის წვდომა.

საიმედო და ეფექტიური საგარეო პოლიტიკისათვის აუცილებელია ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი შეიარაღებული ძალები, ხალხის სულიერი და სოციალური მთლიანობა-ერთობა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ასევე

აუცილებელია ქვეყნის მსოფლიო და რეგიონალურ სივრცეში საკუთარი ადგილის სპეციფიკურობის ბოლომდე გააზრება და გამოყენება. მსოფლიოს დღეს არსებული დანაწილება ეს არის არა მხოლოდ პოლიტიკური, ასევე გეოგრაფიული რეალობაც, ამის უგულებელყოფა და გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია, რადგან მასთან დაკავშირებულია პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურა, უშიშროების კონცეფცია და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ნებისმიერი ქვეყნის უმთავრესი ინტერესია საკუთარი თავის კულტურულ-ისტორიული ერთობის სახით შენარჩუნება. გეოპოლიტიკური კუთხით ეს ინტერესი განსაკუთრებულ აზრს იძენს. რამდენადაც ტერიტორია სახელმწიფოს იმანენტური შემადგენელი ნაწილია, ამდენად თავისთავადობის შენარჩუნება პირველ რიგში ნიშნავს ამ ტერიტორიის დაცვას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობის შენარჩუნებას. ამის გარეშე შეუძლებელია საუბარი ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე. თუ სახელმწიფო გარე სამყაროსთან ურთიერთობებში პრიორიტეტებს ანიჭებს სხვა ფაქტორებს (იდეურ-ზნეობრივ, ემოციურ და სხვა). ადრე თუ გვიან ის დამარცხდება და სხვა სახელმწიფოზე გახდება დამოკიდებული. პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის უდიდესი შეცდომაა, რაც პირდაპირ მიუთითებს პოლიტიკაში მის დილეტანტიზმზე, მდგომარეობს მის მიამიტურ რწმენაში, რომ ძალისმიერი პოლიტიკის სამყაროში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა თითქოსდა ეფუძნება მათ ლიდერებს შორის არსებულ მეგობრულ გრძნობებზე. ამ რწმენის სასარგებლოდ არ მეტყველებს ხუთიათასი წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების არცერთი ფაქტი. კაცობრიობას ქმნიდნენ არა გრძნობები და ემოციები არამედ გეოგრაფიული მიზეზები და ძალთა ბალანსი და თუ ამ პროცესში იბადებოდნენ მეგობრული გრძნობები ისინი შეადგენდნენ შედეგებს და არა მიზეზებს.

საგარეო პოლიტიკას ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი – ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნიკური, კულტურული, საგარეო ვაჭრობის და ა.შ. ეს საკითხები ბევრად არის გაპირობებული ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და ამა თუ იმ დოზით გამიზნულია იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც მიაკუთვნებენ გეოპოლიტიკურ საკითხებს: ნედლეულის ძიება და გასვლა გარე ბაზარზე, მიგრაციის შეზღუდვა თუ წახალისება, სასაზღვრო პრობლემების მოგვარება, საკუთარი ფლოტის დაცვის უზრუნველყოფა, მისთვის ბაზების ძიება და ა. შ. ყოველივე ეს მოწმობს არა მხოლოდ გეოგრაფიული ასპექტების მნიშვნელობის შესახებ

სახელმწიფოსათვის, მისი საგარეო პოლიტიკისათვის, მისი ადგილისა და როლის შესახებ სახელმწიფოთა სისტემაში, ამავე დროს მიუთითებს იმ აუცილებლობაზე, რომ უფრო ღრმად უნდა იქნას გააზრებული მისი მოქმედების მექანიზმი, თანაც ისე, რომ არც მის აბსოლუტიზირებს ჰქონდეს ადგილი და არც იგნორირებს.

გაცნობიერება იმისა, რომ სახელმწიფოს არსი ბევრადაა დამოკიდებული გეოგრაფიულ გარემოსა და კლიმატზე, არ არის ჩვენი ეპოქის დამსახურება,. არც ამ საკითხების მეცნიერული ანალიზი იწყება ჩვენი ეპოქით. პოლიტიკურ გეოგრაფიის მეცნიერულ დისციპლინად გადაქცევას უკავშირებენ მე-XX-ე საუკუნის გერმანელ გეოგრაფს ფრიდრიხ სპლეტს, თუმცა მას წინ უსწრებდა ფილოსოფოსთა, მეცნიერთა, პოლიტიკურ მოაზროვნეთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც კურადღება მიაქციეს გეოგრაფიული ფაქტორის როლს პოლიტიკურ პროცესებში.

ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი განსხვავებაა ამ საკითხებზე ადრე არსებულ შეზღუდულ და ნაკლებად სისტემატიზირებულ შეხედულებებსა და იმ შემაჯამებელ თვისობრივ ნახტომს შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ეს ნახტომი არ იყო შემთხვევითი. მის საფუძველს არ შეადგენდა მხოლოდ ჰეგელისეული კანონი განცალკევებულად არსებულ ცოდნის რაოდენობის ახალ ინტეგრაციულ თვისობრიობაში გადასვლის შესახებ, თუმცა ამ კანონის სრული იგნორირებაც არ შეიძლება. აღნიშნული თვისებები, ჩვენი აზრით, განსაზღვრულია თვით ობიექტურ სამყაროში მიმდინარე არსებითი ცვლილებებით. მხედველობაში გვაქვს ამ დროისთვის მთელი პლანეტის მაშტაბით არსებულ რეგიონთა განცალკევებულობის შეცვლა შედარებით მჭიდრო რეგიონებად. ასევე შეიკრა განცალკევებული გეოგრაფიული დეტერმინიზმის კონცეფციები და შეიძინა პოლიტიკური გეოგრაფიის შემდეგ კი გეოპოლიტიკის სახე. მაშასადამე გეოპოლიტიკა ვერ დაიბადებოდა XVIII ან XIX საუკუნეებში, ის არის XX საუკუნის პირმშო, როგორც გეოგრაფიული კონცეფციების გაერთიანება და როგორც გეოგრაფიული სივრცის შემჭიდროება.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის განვითარების ისტორია და ეტაპები გარკვეულად იმეორებს დედამიწის სივრცის შემჭიდროვებას. ადრე დაუსახლებელი, აუთვისებელი ტერიტორიები, გაუყოფელი რეგიონები და ზოგადად ქვეყნებისათვის სხვა სახის პრობლემები. დღეს კი სხვა სიტუაციაა, ტერიტორიები განაწილებულია, დღეს ვერცერთი სახელმწიფო ვერ გადაჭრის დემოგრაფიულ პრობლემას თავისუფალი მიგრა-

ციის საშუალებით, ვერც ნედლეულის პრობლემას გადაჭრის სხვა მიწების ანექსიის გზით. მსოფლიოში შეიქმნა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია, რომლის მნიშვნელობა კაცობრიობის შემდგომი დროისათვის ჯერ-ჯერობით გაცნობიერებული არ არის.

ძველმა ბერძნებმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება ადამიანის სოციალურ ვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედების ფაქტს. მათ მიერ ცნობილი სამყარო დაყოფილი იქნა კლიმატურ ზონებად. პარმენიდეს მიხედვით არსებობს ხუთი სითბური ზოლი: ერთი ცხელი, ორი ცივი და ორიც შუალედური ზოლი.პარმენიდეზე დაყრდნობით არისტოტელე ასაბუთებდა შუალედური რგოლების უპირატესობას, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ. კლიმატური ზონების თეორიამ ჩვენს დროში ახალი შინაარსი შეიძინა. ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ისტორია იქმნებოდა ჩრდილოეთის განედის 20 და 60 გრადუსებს შორის, ანუ ჩრდილოეთის ნახევარსფეროში სადაც განლაგებულია ხმელეთის მეტი ნაწილი. პოლიტიკური ენერგია იბადებოდა ზომიერ კლიმატურ პირობებში და მიზიდულობის ისტორიული ცენტრები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო მიმართული ამავე გრადუსების ფარგლებში. მესოპოტამიისა და ეგვიპტის სამდინარო ციეილიზაციები შეცვალა საბერძნეთისა და შემდეგ რომის ქალაქმა სახელმწიფოებმა. ყველა ძველი ციეილიზაციები მოქცეულია ჩრდილოეთის განედის 20-45 გრადუსებს შორის.

ევროპის, რუსეთის, აშშ, იაპონიის კულტურული და პოლიტიკური ცენტრები მოქცეულია ჩრდილოეთის განედის 45-60 გრადუსებს შორის ზომიერად გრილ ზოლში.

მოგვიანებით გეოგრაფიულ კონცეფციებში შეიტანეს ხმელეთისა და ზღვის სიურცე, როგორც მნიშვნელოვანი მახასიათებლები ორი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობის შესადარებლად. არისტოტელემ თაკის „პოლიტიკაში" საინტერესო შეფასება მისცა კუნძულ კრეტის გეოგრაფიულ მდებარეობას. რამაც განაპირობა კუნძულის მნიშვნელობის გაზრდა სხვა რეგიონებთან მიმართებაში. არისტოტელეს აზრით, კუნძული თითქოსდა ბუნებით არის მოწოდებული იბატონოს საბერძნეთზე, და მისი გეოგრაფიული მდებარეობა მშვენიერია. ერთი მხრივ ის ეხება ზღვას რომლის ნაპირებზე ბერძნები ცხოვრობენ, მეორეც ის არ არის შორს არც პელორონესიდან და არც აზიიდან, კერძოდ როდოსიდან. სწორედ ამიტომ გაბატონდა მინოსი ზღვაზე და დაიმორჩილა კუნძულები.

სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ცხოვრებისათვის გეოგრაფიული პირობების მნიშვნელობას აღნიშნავდა პლატონი, პოლიბიუსი, რომაელი ციცერონი და განსაკუთრებით სტრაბონი. სტრაბონი ეხება დაუსახლებელ ქვეყნებს და აღნიშნავს, რომ ისინი არ წარმოადგენენ რაიმე პოლიტიკური მიზნის ობიექტებს, შორეული ადგილების, მათი მოსახლეობის ცოდნა საჭიროა, თუ ეს კუნძულებია მათი მოსახლეობა არანაირ სარგებლობას არ მოგვიტანს ვაჭრობის საქმეში. სტრაბონის ეს პოზიცია, დღევანდელი თვალსაზრისით, წმინდა გეოპოლიტიკურია.

გეოგრაფიულ გარემოს მიუწვდომლობის აქ მოყვანილი იდეა შემდგომისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახდა გეოპოლიტიკურ აზროვნებაში. ჟან გოტმანი აღნიშნავს რომ მიწვდომა არის მაღე-ტერმინირებული ფაქტორი, ადგილი რომელიც ადამიანისთვის მიუწვდომელია მოკლებულია რაიმე პოლიტიკურ მნიშვნელობას და არც რაიმე პრობლემას არ წარმოადგენს. მთვარის სუვერენიტეტი პოლიტიკურად ნეიტრალურია, რადგან ჯერ-ჯერობით ვერაფერს აძლევს ადამიანს, თუმცა აქ ვითარება თანდათანობით იცვლება. არც ანტარკტიდას ჰქონდა რაიმე პოლიტიკური ღირებულება. სანამ არ დაიწყო მისი ათვისება, მაგრამ როგორც კი აითვისეს ძალიან მალე დაჰყვეს კიდეც ნაწილებად, დაიყო ინტერესებიც , რამაც არა ერთი პოლიტიკური ინცინდენტი გააჩინა. რაც შეეხება მთვარეს მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის სწრაფი ზრდა დედამიწის მობინადრეთათვის არც თუ შორეულ მომავლის საქმეა.

დედამიწაზე აღარ არის აუთვისებელი ადგილები, თუ არ ჩავთვლით ადგილებს ოკეანის ფსკერზე, მაგრამ არც ის გაგრძელდება დიდხანს.

შუა საუკუნეებში, ერთ-ერთი პირველი ვინც სპეციალური ყურადღება მიაქცია გეოგრაფიისა და პოლიტიკის კავშირს იყო ჟან ბოდენი. გეოგრაფიული ფაქტორებიდან მან უპირატესი ყურადღება მიაქცია კლიმატს, მას დააბრალა ჩრდილოელთა უპირატესობა სამხრეთელებზე. მთის ხალხებისა ბარის მიმართ. ბოდენი მოუწოდებდა პოლიტიკოსებს ყურადღება მიექციათ კლიმატურ პირობებზე. ბოდენის შეხედულება, რომ ქვეყნის ძალა დაგანვითარება პირდაპირ კავშირშია კლიმატურ პირობებთან არსებითად ემთხვევა თანამედროვე გეოპოლიტიკოსების შეხედულებებს.

ბადენის შემდგომ გეოგრაფიული პრობლემატიკა დროებით უყურადღებოდ იქნა მიტოვებული ფილოსოფოსთა და პოლიტიკოსთა მიერ. მხოლოდ XVIII საუკუნეში დაუბრუნდნენ მას მოაზროვნეები, ამჯერად შ. მონტესკიეს „ კანონთა გონის “ სახით. თავისი თანამემამულის ბოდენის

მსგავსად მონტესკიე ყურადღებას უთმობს კლიმატური პირობებს, მაგრამ იმავე დროს ეხება სახელმწიფოს ტერიტორიის, სივრცეს, ნიადაგს, კულტურას, ეკონომიკას, განიხილავს რა მათ ისტორიის ელემენტებად. მონტესკიე არა მხოლოდ შეეხო ფიზიკურ გარემოს, არამედ მოითხოვა მათთან შესაბამისობაში მოეყვანათ ქვეყნის კანონები. ე.ი. თავის კონცეფციაში მონტესკიემ შეიტანა ნორმატიული ელემენტი, რაც შემდგომ, განსაკუთრებით გერმანელ გეოპოლიტიკოსებთან პრიორიტეტულად იქნა მიღებული.

XIX საუკუნეში იმკვიათია მოაზროვნე, რომელმაც უყურადღებოდ დატოვა გეოპოლიტიკური პრობლემატიკა. გეოგრაფიული დეტერმინიზმის სკოლამ თანდათანობით გადაინაცვლა გერმანიისკენ სადაც ორი საუკუნის მიჯნაზე მიაღწია განვითარების მაღალ სტადიას. ამ სკოლის სათავეებთან იდგნენ ალექსანდრე ფონ გუმბოლტი და კარლ რიტერი.

გეოგრაფიულ დეტერმინიზმის განვითარებაში თვისობრივად ახალი ეტაპია გეოგრაფ ფრიდრიხ რატელის შეხედულებები. ფრიდრიხ რაცელი ითვლება თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის დამაარსებლად. თუმცა მას არ გამოუყენებია „გეოპოლიტიკის" ცნება, მისი შეხედულებების მრავალი დებულება გეოპოლიტიკური ხასიათისაა. პირველ ყოვლისა ამას მოწმობს მისი დამოკიდებულება ისეთ ცნებასთან, როგორიცაა სივრცე. სივრცის ცნებას ისედაც ბევრმა მოაზროვნემ მიაქცია ყურადღება, (მონტესკიე) ხაზი გაუსვეს სივრცის სიდიდესა და სახელმწიფოს ძლიერების კავშირს, მაგრამ რაცელთან სივრცემ შეიძინა პოლიტიკურ-გეოგრაფიული შინაარსი. რაცელთან სივრცე არ არის გაიგივებული მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიასთან, აქ სივრცე უფრო მეტია, ის თავად არის პოლიტიკური ძალა ე. ი. უფრო მეტი ვიდრე მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნება. სივრცე ეს არის ის ბუნებრივი საზღვრები, რომლებშიც მიმდინარეობს ხალხების ექპანსია. ყოველ სახელმწიფოსა და ხალხს აქვს სივრცის თავისი კონცეფცია ანუ იდეა თავისი ტერიტორიული სამფლობელოს შესაძლებელი საზღვრების შესახებ. სახელმწიფოს დაცემა, რაცელის აზრით, არის სივრცისეული კონცეფციის შესუსტების შედეგი. სივრცე განაპირობებს ხალხების არა მხოლოდ ფიზიკურ ევოლუციას, არამედ მის მენტალურ დამოკიდებულებასაც გარემომცველ სამყაროსთან. ადამიანის შეხედულება სამყაროზე დამოკიდებულია იმ სივრცეზე, რომელშიაც ის ცხოვრობს.

რაცელი მთლიანად იზიარებს XIX საუკუნის ბუნებათმეცნიერების მიღწევებს, ევოლუციის პრინციპს. ის სახელმწიფოს განიხილავს როგორც ცნობილ ორგანიზმს. რაცელის „კანონები" პირველ რიგში არის

სივრცისა და ადგილმდებარეობის კანონები, რომელთა შინაარსი დაახლოებით შემდგომში მდგომარეობს: „ სახელმწიფოს სივრცე იზრდება მის კულტურასთან ერთად; სახელმწიფოს ზრდას თან სდევს იდეები, ვაჭრობის, მისიონერობის, აქტუალურობის ზრდა; სახელმწიფო იზრდება მცირე სახელმწიფოთა შემოერთებითა და მათი გაერთიანებებით; საზღვარი არის სახელმ წიფოს პერიფერიული ორგანო და მოწმობა მასში მიმდინარე ცვლილებების რაობაზე; ზრდის პროცესში სახელმწიფო ცდილობს დაეუფლოს ფიზიკური გარემოს ყველაზე ღირებულ ელემენტებს. სანაპირო ზოლი, მდინარეთა შესართავები, დაბლობები, რესურსებით მდიდარი უბნები და ა.შ.; ტერიტორიული ზრდის თავდაპირველი იმპულსები შეიძლება მოდიოდეს სხვა სახელმწიფოებისაგან, უფრო მაღალი ცივილიზაციისაგან.

სიცოცხლეს განსაზღვრავს და განაპირობებს დიდი სივრცე, თვლიდა რაცელი და დარწმუნებული იყო, რომ XX საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი პოლიტიკური პრინციპი იქნებოდა ადამიანის სწრაფვა დიდი სივრცეებისაკენ და მისი ეფექტური გამოყენება. რაცელს სჯეროდა, რომ მომავალში გაბატონებული როლი ექნებოდათ დიდი კონტინენტური სივრცის მფლობელ ქვეყნებს, როგორებიცაა ჩრდილოეთ ამერიკა, ევრაზიული რუსეთი, ავსტრალია, სამხრეთ ამერიკა. რამდენად გამართლდა რაცელის ეარაუდები დღეისთვის ადვილი შესამოწმებელია.

რაცელის შეხედულებები აიტაცა და ახალი იდეებით გააძლიერა შვედმა პანგერმანისტმა რუდოლფ ჩელენმა. გეოპოლიტიკურმა იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს ხალფორდ მაკინდერის, კარლ ხაუსხოფერის, ალფრედ მეხენის, ნიკოლა სპაიკმენის და სხვათა შეხედულებებში.

დანაწევრებული სამყარო-გეოპოლიტიკური რეალობაა. ის იცვლება დროსა და სივრცეში, თან ინარჩუნებს დანაწევრებას საზღვრების განსხვავებულ კომბინაციებში. დღეს ფაქტობრივად ჩვენ ვართ მოწმენი კიდევ ერთი ასეთი ვარიანტის დაბადებისა. ღმერთმა ქნას, რომ ეს იყოს უკეთესი ვარიანტი. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ესეც რეალობაა და უგნურობაა მისი იგნორირება, ისევე როგორც მის მიერ გამოწვეული პოლიტიკური თუ ფიზიკური ცვლილებების იგნორირება. როგორც ჩანს გეოპოლიტიკა ჩვენთვის ჯერ კიდევ terra incignita არის, თუმცა ცხადია, რომ მისი მოშველიება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გასააზრებლად აუცილებელია. ისიც უნდა ითქვას, რომ გეოპოლიტიკა პანაცეა არ არის. ის არის ერთ-ერთი საშუალება შემეცნებისა და ე.ი. ჩვენს გარემომცველ პოლიტიკურ სამყაროზე ზემოქმედებისა. ეს საშუალება უნდა ვიცოდეთ და სწორად გამოვიყენოთ.

სარჩევი

პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება. შესავალი. საზოგადოება და მისი შემადგენელი სისტემები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები. პოლიტოლოგიაში გამოყენებული ცნებებისა და კატეგორიების შესახებ. პოლიტოლოგიის საკითხები და პრობლემები. პოლიტოლოგიის ამოცანები და მისი კავშირი სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. პოლიტოლოგიის თეორიული მეთოდები. პოლიტოლოგიური ანალიზის ემპირიული მეთოდები. დიალექტიკა და სინერგეტიკა. პოლიტოლოგიის შემეცნებითი ღირებულება. 3

პოლიტიკური ძალაუფლება. ძალაუფლების განსაზღვრება. პოლიტიკური ძალაუფლება. პოლიტიკური ძალაუფლების საფუძვლები. ლეგიტიმურობის პრობლემა. პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურა. პოლიტიკური ძალაუფლების რესურსები. პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციები, ფორმები და განსხვავებული დონე. პოლიტიკური ძალაუფლების განვითარების ტენდენციები.... 28

სახელმწიფო – პოლიტიკური ინსტიტუტი. სახელმწიფოს ცნება, არსი, მახასიათებლები, ამოცანები, ფუნქციები. სახელმწიფოებრივი წყობის ფორმები თანამედროვე ეპოქაში. სახელმწიფოს მმართველობის ფორმა და ეკონომიკური განვითარების დონე. თანამედროვე სახელმწიფოების განვითარების ტენდენციები. 39

პოლიტიკური რეჟიმი. „პოლიტიკური რეჟიმი" – პოლიტოლოგიის კატეგორია, მისი არსი. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. ტოტალიტარული რეჟიმი. ავტორიტარული რეჟიმი. ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების დემოკრატიულში ტრანსფორმაციის პერსპექტივები. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ურთიერთკავშირი. 49

პოლიტიკური ლიდერობა. ლიდერობის არსი და ბუნება. პოლიტიკური ლიდერი და ლიდერობა. პოლიტიკური ლიდერის განმსაზღვრელი ფაქტორები. პოლიტიკური ლიდერების ტიპოლოგია. პოლიტიკურ

ლიდერთა ფუნქციები. პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე ტენდენციები. პოლიტიკური ლიდერობის თანამედროვე თეორიები. 59
პოლიტიკური ელიტა. პოლიტიკური ელიტის ცნება. პოლიტიკური ელიტის ფორმირების მექანიზმი. პოლიტიკური ელიტის ფუნქციები. გაბატონებული ელიტა: ცნება და სტრუქტურა. ელიტის თეორია. 70
პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები. „პოლიტიკური პარტიის" ცნება. პოლიტიკური პარტია.სტრუქტურა და ფუნქციები. პარტიის საქმიანობის ფინანსური მხარე. პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაცია. პარტიული სისტემები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები. 78
სამოქალაქო საზოგადოება. ცნება და შინაარსი. სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენებისა და ფუნქციონირების პირობები. სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა, მისი აქტიურობის მთავარი მიმართულებები. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. 88
საარჩევნო სისტემა. საარჩევნო კანონმდებლობა. საარჩევნო სისტემათა განსხვავებული ტიპები. კანდიდატის განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. წინასაარჩევნო კომპანიის ნაბიჯები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არჩევნებში. საარჩევნო კომპანია და ფინანსები. საარჩევნო სისტემების გავრცელებული კონცეფციები. 101
პოლიტიკური სუბიექტი. პოლიტიკური პროცესი. პოლიტიკური სუბიექტის ცნება. პოლიტიკური სუბიექტის ტიპოლოგია. პოლიტიკური ურთიერთობა. პოლიტიკური კონფლიქტი. პოლიტიკური კონფლიქტები და პოლიტიკური პროცესები. 117
პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური კულტურის ცნება და მისი სტრუქტურული შემადგენელი ელემენტები. პოლიტიკური კულტურის ფუნქციები. პოლიტიკური კულტურის ცნება და ნაირსახეობები. პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგია. პოლიტიკური კულტურის ფორმირების გზები და ფაქტორები. 126
პოლიტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთობის საკითხისათვის 139
პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის საკითხისათვის 147
გეოპოლიტიკის რაობის საკითხისათვის 158

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთა № 237

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება"
თბილისი, 380060, დ.გამრეკელის 19